ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

№24

12-18.VI 2013

## თათული დოლიძე: „სარკიდან ემოციური, მეოცნებე ადამიანი მიყურებს“

გვ.37



სანდრო: „როცა მივხვდი, რომ მოვწონდი, დაველოდე, როდის გამომიტყდებოდა სიყვარულში“

ნუცა: „სანდრომ ცოლად, მგონი, ჩემი ოჯახის გამო მომიყვანა“

## სანდრო: „ვამაყობ, რომ დოდო აბაშიძის სიძე ვარ!“

## როგორ ჩაიგდო ხელში სანდრო კაკულია ნუცა აბაშიძემ

გვ.30

გვ.71



დედა ანა: „მინდა, პატრიარქს ჩემი გამოცხადების შესახებ მოვუყვე“

გვ.36



„გამორიცხული არ არის, ერთმანეთი შეგვიყვარდეს“

ზუზუ ქალის გამო ცემას გადაურჩა

გვ.24



ნატო ნიქარაძე: „როცა ქმარს გავშორდი, „რუსთავი 2“-დან წასვლა მაშინ გადავწყვიტე“

გვ.6



ვის აძლევს ქრთამს კახა კუკავა სიყვარულისთვის

გვ.11



ნინი ქარსელაძე რვაწლიანი განშორების შემდეგ მამას თავიდან ეცნობა

ISSN 1987-9369

9 771987 936002

## ვინ და როგორ ყიდის ქართველ ბავშვებს უცხოელ გეებზე

გვ.26



გვ.8

## გვანცა ჯაფარიძე: „სტივ უანდერის სიმღერა სცენიდან ჩემს რჩეულს ვუმღერე“



## ზურა შევარდნაძე: „ლონდონში ძველმანების ბაზრობებზე ვცხოვრობ“

გვ.43



გვ.50

## ფაქოს რჩეულმა ფეისკონტროლი სადედამთილოსთან უნდა გაიაროს



გვ.34

## ელენე კალანდაძე: „ჩემსა და ნოდარს შორის ვიღაც მესამე ჩადგა“



## როგორ ჩაუფრინა ნიკა გრიგოლიამ დიმა ობოლაძის აივანს

გვ.31



## გიორგი ნაზარიშვილის მანქანას ნაწილები სცვივა

გვ.33

# ნომერში


**ოჯახური პორტრეტი**

ვის აძლევს ქრთამს კახა კუკავა სიყვარულისთვის 6

**შოუს მიღმა**

გვანცა ჯაფარიძე: „სტივ უანდერის სიმღერა სცენიდან ჩემს რჩეულს ვუმღერე“ 8

**ეტაპი**

ნინი ქარსელაძე რვაწლიანი განშორების შემდეგ მამას თავიდან ეცნობა 11

**გულახდილი საუბრები** 12-13

**პოლიტიკა**

- ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა ბაზაში უდისციპლინობის ბრალია? 16
- ზურაბ აბაშიძე: „ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების ყოფნა არის ვიზა ნატო-ში“ 17
- სოზარ სუბარი: „სასჯელაღსრულების სისტემა გაადამიანურდა და ახლა შეიძლება წავიდე“ 19

**გახმაურებული საქმე**

- 20 წლის ბიჭის მკვლელობა, რომელსაც გამოძიება თვითმკვლელობად ასაღებდა 21
- თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა — მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი გოგონა ადგილზე დაიღუპა 23

**ნაცნობი სახე**

ნატო ნიჟარაძე: „როცა ქმარს გავშორდი, „რუსთავი 2“-დან წასვლა მაშინ გადავწყვიტე“ 24

**მწვავე პრობლემა**

ვინ და როგორ ყიდის ქართველ ბავშვებს უცხოელ გეებზე 26

**ცხოვრების გაკვეთილები**

**მოზარდები** 28-29

**სიყვარულის ისტორია**

სანდრო კაკულია: „ვამაყობ, რომ დოდო აბაშიძის სიძე ვარ!“ 30

**მეორედ დაბადება**

როგორ ჩაუფრინა ნიკა გრიგოლიამ დიმა ობოლაძის აივანს 31

**ავტომოყვარული**

გიორგი ნაზარიშვილის მანქანას ნაწილები სცვივა 33

**გაბზარული გული**

ელენე კალანდაძე: „ჩემსა და ნოდარს შორის ვიღაც მესამე ჩადგა“ 34

**ეკრანული წყვილი**

ზუზუ ქალის გამო ცემას გადაურჩა 36

**სარკის წინ**

თათული დოლიძე: „სარკიდან ემოციური, მეოცნებე ადამიანი მიყურებს“ 37

**ცხოვრება ჩემოდნებზე**

ზურა შევარდნაძე: „ლონდონში ძველმანების ბაზრობებზე ვცხოვრობ“ 43

**მეგზური**

ბანდარ სერი ბეგავანი — ბრუნეის მწველი ეგზოტიკა 45

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე** 46-47

**დედიკოების სკოლა** 48-49

**ჩემი მშვენიერი ლედი**

ფაქის რჩეულმა ფეისკონტროლი სადედამთილოსთან უნდა გაიაროს 50



№24(790) 12 — 18 ივნისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 10.06.2013, 21.00 სთ-ზე.



**სპორტის მიღმა** 51

**ადამიანის ინსტიტუტი**

- როგორ გავთავისუფლდეთ უსიამოვნო წარსულისგან 52
- დილიდანვე კარგი განწყობა 52

**მხოლოდ ქალებისთვის**

- დიეტა „საათის მიხედვით“ — გამქრალი 6-7 კილო 53
- მოხდენილად რომ ვიაროთ 53


## მართლმადიდებლური ფილმები, რომლებზეც არაქრისტიანებიც ტირიან

### რას უყვება პატრიარქი სტუმრად მისულ რეჟისორებს



რამდენიმე ხნის წინ, აღდგომამდე, მარტის თვეში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სტუდია „გუთანის“ წევრები ესტუმრნენ და დოკუმენტური ფილმი „მიწის სჯული“ აჩვენეს. პატრიარქი აქვითინდა, მერე კი კურთხევა გასცა, ეს ფილმი ყველა ქართველმა ნახოს.

„ერთმა მშობელმა, რომელიც თავადაც სექტანტი იყო და მისი ორი შვილიც იმავე სექტაში იყო გაერთიანებული, გვითხრა, მე გწირავთ ჩემს ერთ შვილს, თქვენ ისეთი ფილმი ჩამოიტანეთ, ხელზე შეეხეთ მას, აღარ შემოიჩქირება, ტაძარში გაიქცა და სტიქარი ჩაიცვაო".

გვ.14


**შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** 54-55

**სახალისო** 56-57

**იყავით ჯანმრთელი** 58-59

**ქალური მოთხრობები**

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-22) 66
- ლელა ცუცქირიძე — „გამოუსწორებელი“ 68

**წმინდანები**

თუ ღმერთი უსმენს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვეშინოდეს 72

**კითხვები მოძღვარს**

„დროს კი არ მოაქვს ურწმუნოება, რწმენის არქონას მოაქვს ცუდი დრო“ 73

**გზა ტაძრისაკენ**

დედა ანა: „მინდა, პატრიარქს ჩემი გამოცხადების შესახებ მოვუყვე“ 76

**ხელსაქმე** 78



ვანო მერაბიშვილი

## რატომ შეუტანეს ციხეში მერაბიშვილს რუკაამოხეული წიგნი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი ნაცმოძრაობის გენმდივნის ვანო მერაბიშვილისთვის შესაგზავნი წიგნებიდან ბერძნული და რომაული რუკების ამოხევის ფაქტს ეხმაურება და განმარტავს, რომ ციხეში რუკის შეღწევის შემთხვევაში ვანო მერაბიშვილის სასჯელს 3 წელი დაემატებოდა.

— ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა კანონი, რომლის მიხედვით, ისეთი ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად, სანთებელა, პატიმარს სასჯელი 3 წლით ეზრდებოდა. მსგავსი არაადამიანური პირობები სასჯელაღსრულების სისტემაში აუცილებლად გამოსწორდება. მე გადავამოწმე ამ ბოლო დროს სასაცილოდ გამხდარი თემა — რუკა, რომელიც არ შეიტანეს ვანო მერაბიშვილთან და მართალი აღმოჩნდა: რუკის შეტანა ნაციონალებს აქვთ აკრძალული მათ მიერ მიღებული კანონით და თანამშრომელმა, რომელიც ძველ რეჟიმშიც მუშაობდა, ვანო მერაბიშვილის წიგნში რუკა ამოხია, რადგან იცოდა, რომ ვანოსაც და მასაც ამისთვის 3-3 წელი მიესჯებოდათ. მადლობა თქვან, რომ ეს რუკა მერაბიშვილთან არ შევიდა, თუმცა მსგავსი არაადამიანური პირობები სასჯელაღსრულების სისტემაში გამოსწორდება, — აცხადებს სოზარ სუბარი.

## ელისო კილაძემ „ეროვნულ ფორუმს“ კომპრომატები ამოუქექა

ჟურნალისტი ელისო კილაძე სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი მტკიცებით, არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ პრემიერის მრჩევლის, ირაკლი მელაშვილის კავშირების გამოყენებით, საქართველოში რუსეთიდან დიდი ფული გადმოირიცხა და ის „ეროვნული ფორუმის“ დაფინანსებას მოხმარდა.

— ხელთ მაქვს სპეცსამსახურის მიერ შედგენილი დოკუმენტი. მასში საუბარია, ერთი შეხედვით, თითქოსდა უწყინარ პარტიაზე, რომელსაც „საქართველო და დიასპორა“ ჰქვია და თავის დროზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ დააფუძნა. ეს პარტია უნდა დაეფინანსებინა ორ ცნობილ ბიზნესმენს, ბესარიონ ხვინთელიანს და თამაზ მექობრიშვილს. ამ პროცესების შემდგომ ბატონმა თამაზმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მას აქვს დატოვებული წერილები, რომლებიც სხვადასხვა ინსტანციებში გააგზავნა, მათ შორის პრემიერის სახელზე და მისი ოჯახის წევრებს ვთხოვ, ეს წერილები გაასაჯაროონ.

ამავე დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ რაღაც პერიოდის შემდგომ მიხეილ ხუბუტიამ ხვინთელიანს, მექობრიშვილს, მჟავიას და ყველა იმ პირს, ვინც პარტიაში იყო, წინადადება მისცა, დაფინანსების სანაცვლოდ „ეროვნულ ფორუმს“ შეერთებოდნენ და გაეძლიერებინათ ის. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ირაკლი მელაშვილის კავშირების მეშვეობით გადმოირიცხა და საქართველოში „ეროვნული ფორუმის“ დასაფინანსებლად შემოვიდა ძალიან დიდი თანხა. ეს დოკუმენტი ერთი კვირის წინ გაზეთში გამოქვეყნდა და თავმოყვარე სახელმწიფო, მინიმუმი, დაკითხვაზე დამიბარებდა, რომ მისი წარმომავლობა და შინაარსი გაერკვია.

ირაკლი მელაშვილი გახლავთ პრემიერის მრჩეველი, მას ხელი მიუწვდება სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო დოკუმენტებზე და თუ ის ოკუპანტი ქვეყნიდან მისი კავშირების მეშვეობით „ეროვნული ფორუმის“ დასაფინანსებელი თანხის შემოტანაში მონაწილეობდა, მინიმუმი, ეს გამოძიების დაწყების საფუძველი უნდა გახდეს, — აცხადებს ელისო კილაძე.

ის ასევე ამბობს, რომ დოკუმენტს თან ახლავს სამი აუდიოჩანაწერი, რომლებიც ეხება პარტიის დაფინანსების გეგმებს და შეხვედრებს რუსეთსა და მინსკში.

პრემიერის მრჩეველმა, ირაკლი მელაშვილმა, რომელიც კილაძის მიერ ამ ინფორმაციების გავრცელებისას საქართველოში არ იმყოფებოდა, განაცხადა, რომ საკითხს თბილისში დაბრუნებისთანავე გაარკვევდა.

## თედო ჯაფარიძეს ელჩობა აღარ სურს



თედო ჯაფარიძე

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე მისი კანდიდატურის წარდგენაზე უარს ამბობს და ამის თაობაზე უკვე მიმართა შესაბამის უწყებას.

— უამრავი ახალი და ამავე დროს მწვავე თემა გამოვიდა წინა პლანზე, ბევრი დელიკატური ხასიათის პროცესი განვითარდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამ პროცესებში ძალიან აქტიურად არის ჩართული საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტი, ასევე სხვა საპარლამენტო სტრუქტურები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და აღმასრულებელ უწყებებთან ერთად. გამომდინარე აქედან, მივიღე გადაწყვეტილება, სათანადო უწყებამ მოხსნას ჩემი კანდიდატურა. აღნიშნული გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ნაწილია ის გაუგონარი აჟიოტაჟი, ის უზომოდ და უაზროდ გაწელილი პროცესი, რომელიც თან ახლავს ამ ბიუროკრატიულ გადაწყვეტილებას — ახალი ელჩის დანიშვნას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მთლიანად საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მისი რეალიზების პროცესს და ზიანს აყენებს ჩვენი დიპლომატიის რეპუტაციას, უხერხულ მდგომარეობაში აგდებს საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს, — აცხადებს თედო ჯაფარიძე.

## მოსამართლეები გალიიდან არ გამოდიან

იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლე წევრებით უკვე დაკომპლექტდა. 9 ივნისს მოსამართლეთა კონფერენციამ მეორე ტურის შედეგად ორი თავმჯდომარე აირჩია — მერაბ გაბინაშვილი და შოთა გეწაძე. ოთხადგილიან კვოტაზე კი, მოსამართლეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, პაატა სილაგაძე, ლევან მურუსიძე, ილონა თოდუა და თამარ ალანია დაინიშნენ. მათ გარდა, მოსამართლე წევრებში თანამდებობრივად შედიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი და კონფერენციის მიერ ადრევე არჩეული გიორგი შავლიაშვილი. საბჭოს დარჩენილ 6 წევრს საქართველოს პარლამენტი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში აირჩევს. პარლამენტს 45 კაციანი სია უკვე წარედგინა.

მოსამართლეთა კონფერენციას, რომელიც ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა, 30-მდე არასამთავრობო ორგანიცაზია აკვირდებოდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმა მოსამართლეს თავისუფალი არჩევანის უფლება მიანიჭა, ის მაინც იმ ფრინველს ჰგავს, რომელიც წლების განმავლობაში გალიაში იჯდა, ახლა დახურული კარი გაუღეს, მაგრამ ის მაინც არ მიფრინავს.

— ერთ-ერთმა მოსამართლემ წამოაყენა წინადადება, რომ დღის წესრიგი, რომელიც ადმინისტრაციულმა კომიტეტმა შეიმუშავა, თავად კონფერენციას დაემტკიცებინა და ცვლილებებიც შეეტანა, მაგრამ მოსამართლეებმა ამ ინიციატივაზე უარი თქვეს. ანუ მათ ურჩევნიათ, ვიღაცის დადგენილი წესრიგით იმოქმედონ. ეს არაჯანსაღი დამოკიდებულებაა, — ამბობს კოჟორიძე.

მისი აზრით, მაშინაც კი, როცა ყველანაირი ნორმა თანასწორობის პრინციპებს პასუხობს, მოსამართლეები მაინც არ აღმოჩნდნენ მზად დამოუკიდებელი არჩევანის გასაკეთებლად.

სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ქლენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია. სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

## კოტე კუბლაშვილი თეა წულუკიანს მოსამართლის შეურაცხყოფაში ადანაშაულებს



■ თეა წულუკიანი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი მოსამართლის შეურაცხყოფად აფასებს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებას. მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, გასაოცარია, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის საბჭოში ყველაზე ოდიოზური ფიგურა უპრობლემოდ, პირველივე ტურში აირჩიაო. მან ზაზა მეიშვილი იგულისხმა, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პალატის და კოლეგიის თავმჯდომარედ აირჩიეს.



■ კოტე კუბლაშვილი

— ეს არის ბატონი ზაზა მეიშვილის შეურაცხყოფა, რაც იუსტიციის მინისტრის მხრიდან მიუღებელი და დაუშვებელია. ვფიქრობ, იგი მიხვდება, რომ არ შეიძლება, ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს მოსამართლეს, რომელიც, რაც სასამართლო სისტემაში მუშაობს, წესიერებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

რაც შეეხება თავად პროცესს, ვერავინ იტყვის, რომ რამე დამალული იყო და რაღაც კულუარულად ხდებოდა. რაც კულუარულად მანამდე ხდებოდა, ჯერ კიდევ განხილვის საკითხია და ამ ადამიანებმა, მათ შორის მინისტრმა, ამაზეც უნდა ისაუბრონ. მოსამართლეთა კონფერენციამ, მისი მომზადების პროცესმა აბსოლუტური საჯაროობის პირობებში ჩაიარა. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს მოსამართლეებს კითხვების დასმის შესაძლებლობა არ მიეცათ, ყველამ კარგად დაინახა, რომ კანდიდატები თითქმის ერთი საათის განმავლობაში გამოდიოდნენ და თავიანთ მოსაზრებებს აფიქსირებდნენ, — განაცხადა კუბლაშვილმა.

## იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ მამუკა ახვლედიანი აირჩიეს

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მოსამართლეთა კონფერენციამ მოსამართლე მამუკა ახვლედიანი აირჩია. კონფერენციაზე სულ 2 კანდიდატი დასახელდა. მეორე კანდიდატმა, თეიმურაზ თოდრიამ თავისი კანდიდატურა მოხსნა. შესაბამისად, მოსამართლეებმა მხოლოდ ერთს უყარეს კენჭი. მან დარბაზში მყოფი 222 მოსამართლიდან 197-ის მხარდაჭერა მიიღო.

კენჭისყრის ამ შედეგის გამოცხადების შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციას უძღვებოდა, მამუკა ახვლედიანს ახალ თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და აღნიშნა, რომ მას საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მისია დაემატა.

მამუკა ახვლედიანი სისხლის სამართლის მოსამართლეა. 2012 წლის 26 ნოემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ახალი თავმჯდომარე 1973 წელსაა დაბადებული ცაგერში. მას იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად დამთავრებული აქვს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი და გელათის სასულიერო სასწავლებელი.

## არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნოდ დაფინანსებას ითხოვს

არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის დაფინანსების თემა პრობლემატურ საკითხად რჩება. პარტიები — „დემოკრატიული მოძრაობა“, „თავისუფალი საქართველო“, „ქართული დასი“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ერთობლივ განცხადებას ავრცელებს საარჩევნო რეფორმის შესახებ.

„სამწუხაროდ, ხელისუფლებამ უარი თქვა თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო დაპირებაზე, რომ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში არჩევნები ჩატარდებოდა 50%-იანი ბარიერის პირობებში. სამწუხაროდ, 2013 წლის 27 აპრილის არჩევნებიც 30%-იანი ბარიერის პირობებში ჩატარდა, რამაც საშუალება მისცა ხელისუფლების კანდიდატს, დაუმსახურებელი გამარჯვება მოეპოვებინა (მაგალითად, ნაძალადევის ოლქში 38%-ით). სულ ახლახან კი ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ საბიუჯეტო დაფინანსება გაუორმაგდება ყველა კვალიფიციურ სუბიექტს, ხოლო საპარლამენტო პარტიები მიიღებენ დამატებით ე.წ. ბონუსებს, „ქართული ოცნება“ კი შეინარჩუნებს 7-დან 6 პარტიულ წევრს საარჩევნო ადმინისტრაციაში“, — ნათქვამია განცხადებაში.

მასში ასევე განმარტებულია, რომ რადგანაც კვალიფიციურ პარტიებს არ განეკუთვნებიან ლეიბორისტული პარტია, „თავისუფალი საქართველო“ , „ქართული დასი“, „დემოკრატიული მოძრაობა“ და სხვა, 12-მა არასაპარლამენტო პარტიამ კონსენსუსით შეიმუშავა წინადადება, რომლის მიხედვითაც მიზერული დაფინანსება უნდა გამოყოფილიყო არაკვალიფიციური პარტიებისთვისაც 2012 წლის 1 ოქტომბრის და 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნების მიხედვით.

„სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ცალსახა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე ყოველგვარი განხილვის ან ალტერნატივის შემოთავაზების გარეშე. მიზანშეუწონლად მიაჩნიათ გამონაკლისების დაშვებაც არაკვალიფიციური სუბიექტების სასარგებლოდ, მაგრამ მათ შევახსენებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის პირობებში დღევანდელი ხელისუფლების ორი სუბიექტი — კონსერვატიული და რესპუბლიკური პარტიები, სწორედ ასეთი დროებითი წესით იღებდნენ დაფინანსებას, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენდნენ კვალიფიციურ სუბიექტს 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ, რომ კანონპროექტი „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან დამატებით კონსულტაციებამდე და შეთანხმებამდე ამოღებულ იქნეს ინტერფრაქციული ჯგუფის და პარლამენტის განხილვის დღის წესრიგიდან“, — ნათქვამია განცხადებაში.

### კრიმინალური ქრონიკა

## თურქეთის მოქალაქეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი შემოჰქონდა

სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული შაჰინ ემრე ბ. მაშინ დააკავეს, როცა ის საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანას ცდილობდა. სამართალდამცავებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალებები 49,34 გრამი მარიხუანა და 112 აბი ექსტაზი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისა და საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს.

## აჭარაში სასტუმროების თანამშრომლები პროსტიტუციის ხელშეწყობისთვის დააკავეს

აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა სასტუმრო „ზიგანას“ მენეჯერი, 1971 წელს დაბადებული შორენა ხ, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სასტუმრო „იაკამუზას“ დროებითი მფლობელი, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1964 წელს დაბადებული ანაჰიდ ა. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე დააკავეს.

ორივე სასტუმრო გონიოს დასახლებაში მდებარეობს და რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. მოწმის სტატუსით უკვე დაიკითხა სასტუმროებში მომუშავე ოცამდე ქალი.

## მკვლელობის მცდელობა „ძმობის დუქანში"

ჩატარებული ოპერატიული, სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შსს-მ განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული, 1971 წელს დაბადებული კობა ქ. დააკავა. მას ბრალად ედება, რომ გორში რესტორან „ძმობის დუქანში“ ქეიფის დროს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მასთან ერთად მყოფი 48 წლის შალვა არუნაშვილი ცეცხლსასროლი იარაღით გულმკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილს გორის ჰოსპიტალში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.





Cyan Magenta Yellow Black



■ თეა და კახა შვილებთან ერთად

ოჯახური პორტრეტი

# ვის აძლევს ქრთამს კახა კუკავა სიყვარულისთვის

## კახა: „სარკის“ ეს ინტერვიუ ჩემს ცოლს კედელზე უნდა დავუკიდო!“

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას ოჯახი მატების მოლოდინშია — მესამე შვილს ელოდება. უფროსები, ქალ-ვაჟი, 6 წლის ნინი და 5 წლის ნიკოლოზი არიან. ცნობილ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს სახლში შვილები ჰყავს ოპოზიციაში. განსაკუთრებით უფროსი ქალიშვილი არ აღიარებს მამის „იურისდიქციას“ და კოცნის სამაგიეროდ ქრთამს ითხოვს. პოლიტიკოსის მეორე ნახევარი, თეა ოქროპირიძე, ფრანგული ენის სპეციალისტია. იმ 9 წლის განმავლობაში, რაც ცოლ-ქმარი არიან, თეას ქმართან თუკი რაიმე სასაყვედურო აქვს, მისი უდროობა და უფულობაა.

**— ბატონო კახა, როგორ და რატომ მოგინდათ პოლიტიკაში ჩაბმა?**

**კახა:** 2002-2003 წლებში ადვოკატი ვიყავი და თბილისის საკრებულოსთან ვთანამშრომლობდი, როგორც მოწვეული სპეციალისტი. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მაშინ გავიცანი. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მათ სიაში 28-ე ვიყავი. 2004-ში პარლამენტის წევრი გავხდი. არჩევისთანავე პრაქტიკულად საპარლამენტო ოპოზიციაში ვიყავი. მე არ ვყოფილვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი. კონსერვატიული პარტიის კვოტით მოვხვდი მათ სიაში ისევე, როგორც ნიკა გვარამია. მერე ბუნებრივად მოხდა კონფლიქტი ჩვენ შორის და მეორე დეპუტატი ვიყავი კობა დავითაშვილის შემდეგ, ვინც მაშინ უმრავლესობა დატოვა.

**— თქვენ და კობა დავითაშვილი, როგორც მახსოვს, მეგობრები იყავით. კონფლიქტი რატომ მოგივიდათ?**

**კახა:** ეს მოგვიანებით, 2011 წელს მოხდა, როცა ისინი 26 მაისის აქციას გაემიჯნენ და მე ვესწრებოდი. ამ ნიადაგზე გაიყო ჩვენი გზები. ისინი ამბობდნენ, რატომ იყავით 26 მაისს აქციაზეო. მე კი ვთვლიდი, რომ იქ უნდა ვყოფილიყავი. ასევე, იყო საზოგადოების ერთი ნაწილი, ახლა დღევანდელი ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ რომ ჰქვიათ, რომლებიც თვლიდნენ, რომ საპროტესტო აქციები იყო პროვოკაცია, ზედმეტი რადიკალიზმი, ექსტრემიზმი. მე ასე არ მივიჩნევდი, ამიტომ ისინი თავიანთ გზას დაადგნენ და მე — ჩემსას.

**— როცა მეგობრების პოლიტიკური შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, როგორც წესი, მეგობრობასაც ესმება წერტილი?**

**კახა:** კი, საქართველოში მთავრდება ხოლმე, მაგრამ ამას მხოლოდ პოლიტიკური შეხედულება არ უდევს საფუძვლად. საქართველოში აღმოსავლური ტიპის პოლიტიკური სისტემაა, რომლის მიხედვით, თუ ვიღაცასთან გუნდში ხარ, კონფორმიზმის ძალიან დიდი და მაღალი დოზა უნდა გქონდეს და სხვებთან ურთიერთობა გაწყვიტო. გამონაკლისები არის და მეც მათ შორის ვარ.

კობა დავითაშვილი რომ გავიდა საპარლამენტო უმრავლესობიდან და მე მათთან ვრჩებოდი, ერთ-ერთი შენიშვნა, რასაც მაძლევდნენ, ის იყო, თუ რატომ ვმეგობრობდი კობასთან. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ რომ მითხრეს, მერე მეც დავტოვე ისინი. ეს უშუალოდ მიშასგან მოდიოდა, მაგრამ მე ამას დავით კირკიტაძე მეუბნებოდა. იქიდან წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი

**თეა: „სულ მპირდება, რომ ყველაფერი კარგად იქნება, აღარ იქნება პოლიტიკაში ამ დონით ჩართული და ოჯახისთვის მოიცლის, მაგრამ რაც დრო გადის, პირიქით ხდება“.**

სწორედ ამ მეგობრობის გაწყვეტის მოთხოვნა იყო და კიდევ ის, რომ მათი პარტიის დიქტატს უნდა დავქვემდებარებოდი. საქართველოში პოლიტიკური კუთვნილება ნათესაური, ფინანსური კავშირებით ან კიდევ ვაზელინის დიდი პარტიით განისაზღვრება.

**— „ქართული ოცნების“ სიაში რატომ ვერ მოხვდით?**

**კახა:** არ მითქვამს, რომ ბატონი ბიძინა არის ქვეყანაში ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, ყველაზე მაღალი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, ყველაზე დიდი ბიზნესმენი, ქვეყნის გადამრჩენელი თუ სიზმრიდან მოსული ოცნება. მე ასე არ ვფიქრობ. მის პლუსებსაც ვხედავ და მინუსებსაც. იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებაში“ მოხვდე, კარგად ხედავთ, რაც არის საჭირო. ახლა პოლიტიკური უპრინციპობის დიდ მაგალითებს ვუყურებთ. ხალხი, რომელიც თავიდან ნატო-ს მომხრე იყო, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ამბობდა, რომ ჩვენმა ჯარებმა ავღანეთი უნდა დატოვონ. „ოცნებაში“ რომ შევიდნენ, ისევ თქვეს, ნატო და ავღანეთი ხსნა არისო. ამ დღეებში ზოგმა განაცხადა, რომ ისევ აღარ უნდა ნატო. მე ასეთი მანევრები არ გამიკეთებია და ამიტომაც „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ჩემთვის უცხო სხეულია.

**— ამიტომაც პარლამენტის გარეთ დარჩით. არადა საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნა პოლიტიკოსისთვის ხომ ძალიან მნიშვნელოვანია?**

**კახა:** რა თქმა უნდა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, ტრიბუნა ქუჩაში გქონდეს. პარლამენტის ტრიბუნასთან დღეს ძალიან ბევრი დგას ისეთი, ვინც ქუჩაში დაცვის გარეშე ვერ გამოდის. რესტორანში რომ დასხდნენ, კი ნახეთ, როგორ მიამტვრიეს ცხვირ-პირი. „ქართული ოცნების“ ბევრი მაჟორიტარი დეპუტატიც არის, ვინც საკუთარ რაიონში ვერ ჩადის. მე კი პრობლემა არ მაქვს. დაცვის გარეშე რომელ ქუჩაზეც მინდა, იქ გავივლი, რომელ რესტორანშიც მინდა, იქ შევალ და რომელ ქალაქშიც მინდა, იქ ჩავალ. პოლიტიკოსისთვის ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

**— ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა თქვა, კობა დავითაშვილი მაინც წავა ჩვენი პარტიიდან, რადგან მისთვის ოპოზიციაში ყოფნა უფრო ადვილიაო. ეს თქვენზეც შეიძლება ითქვას?**

**კახა:** ჩემზე ამბობენ, რომ თავი დავიღუპე, რადგან არ ვიცი, როგორ მოვხვდე თანამდებობაზე და ა.შ. მე მგონია, რომ ვინც დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან, არ არიან პოლიტიკოსები. ისინი არიან დაქირავებული კადრები, რომლებიც თავის დროზე შევარდნაძემ იქირავა, მერე — სააკაშვილმა და ბოლოს — ივანიშვილმა. ხვალ რომ სხვა მოვიდეს, იტყვიან, გუშინ ვცდებოდითო.

**— პოლიტიკოსისთვის რეიტინგიც მთავარია. თავი დაიღუპაო, ალბათ იმიტომ ამბობენ თქვენზე, რომ თქვენი რეიტინგი არ არის მაღალი.**

**კახა:** თავის დაღუპვაში, იცით, რას გულისხმობენ? არის ასეთი ტერმინი, „ადგილს აფუჭებს“. თუ თანამდებობის პირი ქრთამს არ იღებს, მასზე ამბობენ, ადგილს აფუჭებსო. ახლაც რომ მოვინდომო მინისტრობა და გამოვაცხადო, უი, რა დიდებული კაცია ივანიშვილი-მეთქი, ალბათ ხვალვე შემიყვანენ მინისტრების სიაში. ვინც ყველაზე მეტი ვაზელინი წაისვა, ყველაზე მაღლა არის. ეს ჩვენი ქვეყნის სამწუხარო რეალობაა. დააკვირდით, რა თანმიმდევრობით ტოვებდნენ ნაციონალურ მოძრაობას. პირველი ის მიდიოდა, ვინც მიშას საკმარისად ვერ აქებდა. ბიძინა ივანიშვილს ყველაზე მეტად აქვს ეს მიდრეკილებები.

**— როცა თქვენ ნაციონალების სიით პარლამენტში მოხვდით, ბაგებში თქვენს ორსართულიან სახლზე ატყდა აურზაური — კახა კუკავამ უზარმაზარი ქონება საიდან იშოვაო.**

**კახა:** თქვენ ალბათ სხვადასხვა პოლიტიკოსებთან სახლში დადიხართ ინტერვიუების გამო და ხედავთ, რომ ჩემი სახლი მათთან შედარებით არაფერია. 90%-ს ისეთი სახლები აქვთ, იქ თავისუფლად შეიძლება ინდოელ რაჯაზე ფილმის გადაღება. რაც მთავარია, ეს სახლი ჩემი კანონიერი შემოსავლებით ავაშენე, როცა ადვოკატი ვიყავი. თანამდებობაზე ყოფნის დროს არაფერი შემიძენია. ახლაც თბილისის საკრებულოს წევრის ხელფასით ვცხოვრობთ. ჩემი მეუღლე არ მუშაობს. ეს სახლი „რუსთავი 2“-ის ობიექტივში იმიტომ მოხვდა, რომ საკმარისი

**კახა: „ქვეყნის ყველაზე დიდ გარყვნილებაზე მიუთითებს ის, რომ „ოცნების“ თუ ნაციონალების ლიდერთა შვილები საზღვარგარეთ სწავლობენ და მათი ცოლებიც არ მშობიარობენ საქართველოში. ოპერაციებსაც საზღვარგარეთ იკეთებენ. ჩემი შვილები სკოლასაც აქ დაამთავრებენ და უნივერსიტეტსაც. თუ ქართველი ხარ, თბილისის უნივერსიტეტი უნდა დაამთავრო და არა — მაიამის!“.**

რაოდენობის ვაზელინის წასმით ვერ დავფარე. მაშინ გამოვედი და ვთქვი, რომ კერძო საკუთრების რეკეტი მიმდინარეობდა. რიყეზე რომ წაართვეს ხალხს ქონება, მაშინ ვითომ გადაადგდეს ქურდობა, მაგრამ პროკურორები გახდნენ ქურდები. ვამბობდი, რესპუბლიკის გენერალური ქურდი ზურა ადეიშვილია-მეთქი. ადეიშვილმა მაშინ მოიწვია თათბირი, რომელსაც ჩემი ორი კურსელი ესწრებოდა და პარლამენტში მასალების შეტანა ითხოვა ჩემი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ბევრი რამ გადაქექეს, ბოლოს ამ სახლის პროექტი იპოვეს და აღმოაჩინეს დარღვევა, რომ ფანჯარა არ იყო ზუსტ ადგილას ამოჭრილი.

**თეა:** შემოცვივდნენ, სახლს ამოწმებდნენ. რომ დაათვალიერეს, შერცხვათ, რადგან მაშინ ჭალიც კი არ გვეკიდა, დაუმთავრებელი იყო.

**— თეა, სახლშიც პოლიტიკოსობს თქვენი ქმარი, გიწევთ მისი მოსაზრებების მოსმენა?**



Cyan Magenta Yellow Black

**თეა:** არა. როცა სახლშია, პოლიტიკაზე არასოდეს ლაპარაკობს. როცა რამეს შევეკითხებით, მხოლოდ კი და არა-თი გვპასუხობს.

**კახა:** ტელევიზიით ისედაც იგებენ, რას ვაკეთებ.

**თეა: „კახა ნინიკოსთან ცუდ მეთოდებს მიმართავს, ქრთამს იყენებს. ნინიკოს პიცა უყვარს და ეუბნება, იტალიურ რესტორანში წაგიყვან, ოღონდ ერთი მაკოცეო“.**

**თეა:** ტელევიზიით უფრო მეტს ვიგებ, ვიდრე კახასგან.

— **ქალბატონო თეა, ცხრა წელია, პოლიტიკოსის ცოლი ხართ. ოდესმე გითხოვიათ ქმრისთვის, რომ სხვა სფეროში ეცადა ძალები?**

**თეა:** სულ მპირდება, რომ ყველაფერი კარგად იქნება, აღარ იქნება პოლიტიკაში ამ დოზით ჩართული და ოჯახისთვის მოიცლის, მაგრამ რაც დრო გადის, პირიქით ხდება. ვხვდები, რომ გაუჭირდება პოლიტიკიდან წამოსვლა. უკვე შევეგუე მისი ცხოვრების წესსა და რეჟიმს.

**კახა:** ამ გრაფიკის განტვირთვაზეა ლაპარაკი და არა იმაზე, რომ საერთოდ შევეშვა პოლიტიკას. პოლიტიკა შენი პოზიციის ქონაა. ყველაზე სამარცხვინო პოზიცია ის არის, რომელიც ჩვენს ხელოვან ხალხს აქვს ხოლმე, როცა ამბობენ, პოლიტიკაში არ ვერევითო. როცა გეკითხებიან, გირგვლიანი რომ მოკლეს, ამაზე რას ფიქრობო და პასუხობ, პოლიტიკაში არ ვერევიო, ესე იგი ვაზელინი გისვია. ბიზნესმენი ვიქნები თუ ადვოკატი, პოზიცია ყოველთვის მექნება. რაც შეეხება ჩემს უდროობას, თეა უფრო შემოსავლებს უჩივის, თორემ ფული რომ იყოს, უდროობას აიტანდა.

**თეა:** ალბათ ყველაფერი მოგვარდება. კმაყოფილი ვარ, არ ვუჩივი უფულობას.

**კახა:** ამ ინტერვიუს ამოვჭრი და კედელზე დაგიკიდებ!

— **ბატონო კახა, აპროტესტებს თქვენი ცოლი უფულობას?**

**კახა:** რა თქმა უნდა, აპროტესტებს. რომელი ცოლი არ აპროტესტებს ამას? როცა პოლიტიკაში ხარ, ფულის შოვნა გარკვეულ კომპრომისებთან არის დაკავშირებული და მერე ის ნაშოვნი ფული იმხელა პოლიტიკურ ვალებს წარმოშობს, ალბათ ასე ყოფნა ჯობია. ხომ გაგიგიათ, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო. საქართველოში არავის უვიწყებენ, ვინ რა გააკეთა და შვილებს და შვილიშვილებს უბრუნებენ. არ მინდა, ისეთი პოლიტიკური ვალები ავიკიდო, რომ ჩემს რეპუტაციას შავ ლაქებად დარჩეს. როგორღაც ავიტანთ უფულობას, ყოველ შემთხვევაში, არ გვშია.

ხანდახან თეას პროტესტი ფულთან დაკავშირებით აქტიური და ინტენსიურია ხოლმე. რამდენიმე წლის წინ ერთმა ევროპულმა ორგანიზაციამ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში რამდენიმეწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა საერთაშორისო ორგანიზაციაში. თვეში 12.000 ევრო უნდა ამეღო. რა თქმა უნდა, არ ვაპირებდი წასვლას, რადგან აქ გაგანია აქციები მიმდინარეობდა. თეამ ეს რომ გაიგო, პროტესტი ჰქონდა, რა ჯანდაბა გინდა, მაგ საკნებში რომ ზიხარ, ევროპაში წავიდეთო.

ჩემი შვილები საჯარო სკოლასა და ბაღში დადიან. მართალი რომ გითხრათ, ფული რომ მქონდეს, მაინც დავფიქრდებოდი, კერძო სკოლაში შემეყვანა თუ არა.

ქვეყნის ყველაზე დიდ გარყვნილებაზე მიუთითებს ის, რომ „ოცნების“ თუ ნაციონალების ლიდერთა შვილები საზღვარგარეთ სწავლობენ და მათი ცოლებიც არ მშობიარობენ საქართველოში. ოპერაციებსაც საზღვარგარეთ იკეთებენ. ჩემი შვილები სკოლასაც აქ დაამთავრებენ და უნივერსიტეტსაც. თუ ქართველი ხარ, თბილისის უნივერსიტეტი უნდა დაამთავრო და არა — მაიამის! ვინც მაიამის უნივერსიტეტი დაამთავრა და ჩამოვიდა, ბევრ მათგანს ბევრი ღერძი მორყეული აქვს.

არ მინდა, ჩემი ბიჭი საყურეებით რომ გამომეცხადოს. უნივერსიტეტი მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღების საშუალება არ არის, ფასეულობებს და იდეოლოგიას გადმოგცემს. თუ გინდა, შენი შვილი ნამდვილი ქართველი იყოს, ლოს ანჯელესში არ უნდა ისწავლოს. მათი ფასეულობების სისტემას მიიღებს და მაშინ ჯობია, იქ დარჩეს, თორემ მერე სწორედ ის საცოდაობა მოხდება, რაც ახლა ლგბტ-ებს სჭირთ. იქიდან ბრუნდებიან, პროტესტი უჩნდებათ თავიანთი ქვეყნის ტრადიციების მიმართ და საცოდავი საყურებლები ხდებიან. ტრადიციები უფრო ძლიერია, რადგან ამის უკან 3.000 წელი დგას და, საბოლოო ჯამში, დამარცხებულები გამოდიან.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საზღვარგარეთ გარკვეული კურსების გავლა ნორმალურია. თეა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ერთწლიან კურსებზე საფრანგეთში.

**კახა: „ნინიკო ჩვენს ოჯახში ყველაზე კორუმპირებულია“.**

— **ქალბატონო თეა, კახა როგორი მამაა, შვილებთან ახლო ურთიერთობა აქვს?**

**თეა:** ძალიან კარგი მამაა, მოსიყვარულე. ნამეტანი სიყვარული აწუხებს ხოლმე ბავშვების მიმართ, დასდევს და აწვალებს, კოცნის. ვეჩხუბები, შვილებს სხვა რამე ასწავლე-მეთქი. ამ ბოლო დროს ცოტა გამოასწორა, რაღაცეებსაც უყვება.

— **მესამე შვილს ელოდებით. სულ რამდენი შვილი გინდათ?**

**კახა:** ვფიქრობ, მინიმუმი, ოთხი შვილი უნდა გვყავდეს. კომუნისტების დროს სამი შვილი იყო მოდაში. ითვლებოდა, რომ ორი შენარჩუნება იყო და მესამე — ზრდა. დღეს, ქვეყანაში განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, ალბათ ოჯახში ოთხი შვილი მაინც უნდა იყოს. როცა პატრიოტიზმზე ლაპარაკობ და ერთი შვილი გყავს, ცოტა უცნაურად გამოიყურება ეს ყველაფერი.

ბავშვები ჩემზე დადებითად მოქმედებენ. როცა თეას მიჰყავს სოფელში ან ბაკურიანში, სახლი ცარიელდება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვცხოვრობთ ერთად — ჩემი მშობლები, ჩემი და თეას დები. მე და ნიკოლოზი ვვარჯიშობთ და ასე ვჩხუბობთ. ნინიკოსთან კი სულ ვჩხუბობ.

— **რის გამო ჩხუბობთ 6 წლის ბავშვთან?**

**კახა:** ნინიკო არ აღიარებს ჩემს იურისდიქციას სახლში და ამის გამო მიწევს ჩხუბი. მხოლოდ თეას უჯერებს. ვცდილობ, დავანახო, რომ ცოტა უფროსი ვარ მასზე, მაგრამ არ გამომდის. როგორც აფხაზეთი, ისე ვარ — არაღიარებული. არ ვარ მისთვის ავტორიტეტი.

**თეა:** კახა ნინიკოსთან ცუდ მეთოდებს მიმართავს, ქრთამს იყენებს, რაღაცეებს ჰპირდება. ნინიკოს პიცა უყვარს და ეუბნება, იტალიურ რესტორანში წაგიყვან, ოღონდ ერთი მაკოცეო.

**კახა:** ნინიკო ჩვენს ოჯახში ყველაზე კორუმპირებულია.

— **მერე ეგ ნორმალური მეთოდი გგონიათ?**

**კახა:** მე არ ვარ ბავშვების აღზრდით დაკავებული, ეს დედამისის საქმეა. მას კარგად უჯერებს და მეც დედის საშუალებით ვმართავ. რომ გაიზრდება, ალბათ დაჭკვიანდება.

— **ვის ჰგავს?**

**კახა:** არ ვიცი. მე მშობლების დამჯერი ვიყავი.

(ამის შემდეგ ბატონმა კახამ ნინიკო მოიხმო და ჰკითხა, ვინ რა დოზით უყვარდა ოჯახში. ნინიკო ხელების გაშლით აფიქსირებდა სიყვარულის სიდიდეს. აღმოჩნდა, რომ მამა ხელების ყველაზე პატარა გაშლაზე უყვარს).

— **ბატონო კახა, ეს არ გწყინთ?**

**კახა:** თავიდან მწყინდა, მაგრამ შევეჩვიე. 5 ლარის ამბავია და გაადიდებს.

**თეა:** უფროსი შვილიშვილია და გათამამებულია.

— **მესამეს ბიჭს ელოდებით თუ გოგოს?**

**თეა:** გოგო გვითხრეს და ვნახოთ. ნოემბერში დაიბადება.

— **ბატონო კახა, ფეხმძიმე ცოლს მაინც არ ანებივრებთ?**

**თეა:** თუ ექიმთან ვარ წასასვლელი, ნერვიულობს, სანამ მივალ. სხვა მხრივ... პირველი ორსულობის დროს სულ მოჰქონდა, რასაც ვეტყოდი, თუმცა ხანდახან ნაყიდს მაღაზიაში ტოვებდა. კახამ არ იცის, ჭიქა და თეფში სად ინახება. ძალიანაც რომ შიოდეს, არაფერს შეჭამს, ქვაბშიც არ ჩაიხედავს. უნდა დაუდო, მოემსახურო, რომ ჭამოს.

— **როგორც ჩანს, კარგად ემსახურებით. ბოლო დროს წონაშიც მოიმატა.**

**კახა:** ახლა არ მომიმატია, 2008 წლის არჩევნების შემდეგ მოვიმატე. ერთი პერიოდი სულ სახლში ვიჯექი და...

**თეა:** ჩემი მამამთილის გაფუჭებულია. ძალიან ყურადღებიანი პიროვნებაა და მუდამ ხელს უწყობდა, ოღონდ არაფერში შეზღუდული ყო. შვილიშვილებზეც ასეა, სულ თავზე დაჰკანკალებს.

— **ქალბატონო თეა, თქვენ რომ არ მუშაობთ, ეს ქმრის მოთხოვნაა, თქვენი სურვილი თუ იძულებითი მდგომარეობა?**

**თეა:** უბრალოდ ასე აეწყო. ერთი წელი ვმუშაობდი კერძო სკოლაში, მაგრამ თავი დავანებე, რადგან ჩავთვალე, რომ ბავშვებისთვის უფრო მეტი ყურადღება უნდა დამეთმო. სულ სახლში არ ვზივარ. დავდივარ სხვადასხვა კურსებზე, ტრენინგებში ვმონაწილეობ.

**თეა: „კახა საზღვარგარეთ რომ მიდის, ჩემთვის მუდამ ჩამოაქვს სუნამო. აქ არაფერს ყიდულობს ჩემთვის. საზღვარგარეთ ალბათ უფრო ვენატრები“.**

**კახა:** იმ სკოლაში 40 ლარი ჰქონდა ხელფასი. ვეუბნებოდი, მაინც იმუშავე-მეთქი. გამომიქვეყნეთ განცხადება თქვენს ჟურნალში, რომ ფრანგული ენის კარგი სპეციალისტი სამსახურს ეძებს მაღალი ანაზღაურებით.

— **ბატონ კახას სიურპრიზები ეხერხება?**

**თეა:** კახა საზღვარგარეთ რომ მიდის, ჩემთვის მუდამ ჩამოაქვს სუნამო. აქ არაფერს ყიდულობს ჩემთვის. საზღვარგარეთ ალბათ უფრო ვენატრები.

✓ **რუსუდან ადვაძე**


OXFORD HOUSE

დარეგისტრირდი
OXFORD HOUSE-ის
საზაფხულო სკოლაში

15 ივნისამდე და გაიარე 1 საფეხური მხოლოდ 5 კვირაში ინტენსიური კურსის საშუალებით. გაიუმჯობესე საუბრის, წერის, კითხვისა და მოსმენის უნარები უმოკლეს დროში. კურსის ბოლოს გაიცემა დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

რეგისტრაციისათვის დაგვიკავშირდით
0790 115 115 ან ეწვიეთ www.oxford.ge




Cyan Magenta Yellow Black

# გვანცა ჯაფარიძე: „სტივ უანდერის სიმღერა სცენიდან ჩემს რჩეულს ვუმღერე“



20 წლის გვანცა ჯაფარიძე მუსიკალურ პროექტ „საქართველოს ვარსკვლავს“ გამოეთიშა, მაგრამ არც უფიქრია, სიმღერას თავი დაანებოს, ეს მისი მოწოდებაა, ჟანგბადია — როგორც „სარკესთან“ თქვა. პარალელურად კი აქვს გატაცებები — უყვარს ხატვა, ღამის ქუჩებში ველოსიპედით სიარული და ირაკლი ჩარკვიანი. ლამაზი გოგონა არც დიზაინერებს დარჩენიათ შეუმჩნეველი და ერთხანს პოდიუმზეც გამოდიოდა, მაგრამ მისმა დამოუკიდებელმა ხასიათმა „თოჯინად“ ყოფნა ვერ იგუა.

მამით ობოლია. დედამ ის და მისი და მარტომ გაზარდა. მამისგან სპორტის სიყვარული გადაეცა, დედისგან — სიმღერის ნიჭი. მისი გული უკვე დაკავებულია. გვანცა თვლის, რომ იპოვა „თავისი ადამიანი“, რომელსაც ერთ-ერთ ტურში სიმღერაც მიუძღვნა.

— **გვანცა, ძალიან დაგწყდათ გული, კონკურსს რომ დაემშვიდობეთ?**

— პრინციპში, უკვე აღარც მწყდება გული. 7 კონცერტი ცოტა არ არის, დიდი გამოცდილება მივიღე. ისეთ ხალხთან მქონდა ურთიერთობა, როგორებიც არიან ნიკა მემანიშვილი, ნინო ქათამაძე... მთელი გუნდი მიყვარს, ვინც ამ პროექტზე მუშაობს. არ ვფიქრობ, რომ „საქართველოს ვარსკვლავიდან“ ისე წამოვედი, არაფერი გამიკეთებია. ახლა ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებ მუშაობას, არც სწავლას შევეშვები და არც სიმღერას.

— **მუშაობაში მოდელობა იგულისხმეთ?**

— არა, მოდელობას ძალიან დიდი ხანია, რაც თავი დავანებე. მძლეოსნობის ფედერაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მენეჯერი ვარ. თავიდან ძალიან მომწონდა ჩვენებები, რადგან პოდიუმზე გასვლა სცენას ჰგავდა. ბოლოს კი გავაკეთე დასკვნა, რომ ჩემი საქმე მხოლოდ სიმღერა იყო. რატომღაც გული ამიცრუვდა ამ პროფესიაზე, არც არასოდეს მიოცნებია, რომ მოდელი გავმხდარიყავი.

— **საერთოდ როგორ მოხვდით სამოდელო სფეროში?**

— ჩემს დას ძალიან უნდოდა, ამ საქმეში ბედი მეცადა. მისი მეგობარი ნიკო კეჟერაშვილი იყო ჩართული მოდის სფეროში და მათი ინიციატივა იყო, რომელიმე სააგენტოში მივსულიყავი. მერე სიმღერისკენ გადავიხარე და მოდელობა სამუდამოდ მივატოვე. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბევრი იმედგაცრუება მქონდა. მივხვდი, რომ ამ სფეროში ჩვენს ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა არ იყო. საზღვარგარეთ კი ბევრი მიზეზის გამო ვერ წავედი.

— **ერთ-ერთი მიზეზი უფინანსობა ხომ არ იყო?**

— სოფო ჭყონიას ძალიან უნდოდა ჩემი საფრანგეთში ან იტალიაში წაყვანა, მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ცხვირის ოპერაცია, რაზეც უარი ვთქვი. მაშინ ამის ფინანსური საშუალება არ მქონდა, ამას გარდა, 16 წლის ვიყავი და სახის ნაკვთები ბოლომდე არც მქონდა

> **„მტკივა, რომ ირაკლი ჩარკვიანი აღარ არის. ბატონი გელა რომ ლაპარაკობდა, ამ ყველაფერმა ამოხეთქა. მისი საუბრისას ირაკლის ამქვეყნად არყოფნას ისე განვიცდიდი, თითქოს ჩემი ძალიან ახლობელი იყო. რომ წარმოვიდგინე, რას გრძნობდა ბატონი გელა ჩარკვიანი, როცა მისი შვილის სიმღერებს ისმენდა, ძალიან ავღელდი".**

ჩამოყალიბებული, ამიტომ ოპერაცია არ გავიკეთე. ან რატომ უნდა გამეკეთებინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას უნდოდა? რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ მინდოდა, მაგრამ ალბათ არც ისე ძალიან, რომ ამაზე წავსულიყავი. ეს რომ სიმღერასთან ყოფილიყო კავშირში, რა თქმა უნდა, აუცილებლად გავიკეთებდი ოპერაციას, მაგრამ მოდელობის გამო არაფერი გავაკეთე. მოდელების მიმართ დამოკიდებულება არ მომწონდა, თავს თოჯინად ვგრძნობდი. ბევრჯერ ვფიქრობდი, რატომ ვაკეთებ ამას, რატომ ვარ ვიღაცის საკიდი-მეთქი.

— **საესტრადო სცენისკენ პირველი ნაბიჯები როდის გადადგით?**

— 16 წლისა „ჯეოსტარში“ მივედი, მაგრამ არც ისე ბევრი მქონდა საკუთარ თავზე ნამუშევარი. ჟიურიმ კარგი შეფასება მომცა და მითხრა, როცა დაიხვეწები, მერე მოდიო. მარინა ბერიძემაც მირჩია, ამ კონკურსისთვის პატარა ხარო. ის იყო ტრამპლინი, რომ ეს საქმე სერიოზულად გამეგრძელებინა, მაგრამ მაშინ გული მეტკინა. მთელი ერთი თვე სახლში ვიჯექი და ვგლოვობდი. იმედგაცრუება რთულად გადავიტანე. ვერ ვაცნობიერებდი, რა მითხრეს, ამიტომ ვბრაზობდი.

ამის შემდეგ დავიწყე მეცადინეობა. იმ პერიოდში ჩემი და აკეთებდა საღამოებს, სადაც ვმღეროდი და ამან მდგომარეობიდან გამომიყვანა. ანა, ჩემი და, ჩემთვის ყველაფერია, სულ გვერდით მიდგას, ჩემი მენეჯერი, პიარია. ყოველთვის ყველაფერს ანას ვეკითხები. ამის შემდეგ ისევ მოვინდომე „ჯეოსტარში“ მონაწილეობა, მაგრამ გამოჩნდა უფრო ახალი, განსხვავებული პროექტი „ახალი ხმა“ და გადავწყვიტე, იქ მეცადა ბედი.

— **მაგრამ ერთი მწვრთნელიც კი არ შემობრუნდა თქვენკენ.**

— დიდი იმედებით კი მივედი. სიმღერა, რომელიც მომცეს, ჩემი არ იყო. ის წარუმატებლობაც დამეხმარა, რომ არ გავჩერებულიყავი და მეტი გამეკეთებინა. ჩემმა მეგობარმა, „ახალი ხმის“ მთავარმა სცენარისტმა, მანანა დოიაშვილმაც მირჩია, არ გაჩერდე, ხალხს ისევ უნდა დაენახვოო და ამიტომ გადავწყვიტე, „საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგზე მივსულიყავი.

— **კიდევ აპირებთ კონკურსებში მონაწილეობას?**

— საქართველოში კონკურსზე აღარ გავალ. უკვე მივიღე ის, რაც მინდოდა — ხალხმა შემიყვარა.

— **ახლა ვინ არის „საქართველოს ვარსკვლავში“ თქვენი ფავორიტი, ყველაზე მეტად ვის გულშემატკივრობთ?**

— მარიკო ლეჟავას. ის გამარჯვებას იმსახურებს. მიზანდასახული და შრომისმოყვარეა. კარგი ადამიანია, მთელი გულით და სულით ვუსურვებ გამარჯვებას.

— **იმ ტურში, სადაც ირაკლი ჩარკვიანის სიმღერები სრულდებოდა, მაშინ, როცა ბატონი გელა ჩარკვიანის შეფასებას ისმენდით, ტირილი ვერ შეიკავეთ. თქვენი ცრემლები რამ გამოიწვია, რა ემოცია გქონდათ მაშინ?**

— ბატონმა გელამ რომ ლაპარაკი დაიწყო, თითქოს ტკივილი განმიახლდა. მტკივა, რომ ირაკლი ჩარკვიანი აღარ არის, მაგრამ მან მაგარი კვალი დატოვა. სანამ სცენაზე გავიდოდი, კინაღამ მოვკვდი, გულისწასვლები მჭირდა, ბავშვები მეუბნებოდნენ, ხომ არ გაგიჟდი, თავი ხელში აიყვანეო. ბატონი გელა რომ ლაპარაკობდა, ამ ყველაფერმა ამოხეთქა. მისი საუბრისას ირაკლის ამქვეყნად არყოფნას ისე განვიცდიდი, თითქოს ჩემი ძალიან ახლობელი იყო. რომ წარმოვიდგინე, რას გრძნობდა ბატონი გელა ჩარკვიანი, როცა მისი შვილის სიმღერებს ისმენდა, ძალიან ავღელდი.

— **როგორ აპირებთ სასიმღერო კარიერის გაგრძელებას?**

— რაღაც შემოთავაზებები მაქვს. ვაპირებ, ისევ ვიმღერო ჩემი ხალხისთვის. უახლოეს მომავალში ერთ-ერთ →10





Cyan Magenta Yellow Black

# ერექციის მკურნალობის თანამედროვე ასპექტები

მამაკაცის სექსუალური პრობლემები რამდენიმე წლის წინ ერთგვარი განაჩენი იყო, დღეს კი მედიცინის განვითარებისა და სრულიად ახალი ტიპის პრეპარატების აღმოჩენით სექსუალური დისფუნქცია დასაძლევი წინაღობა აღმოჩნდა. მთავარია სექსოლოგთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვეს მამაკაცის პრობლემების სათავე, რომ მკურნალობამ შედეგიანი სახე მიიღოს.

სექსუალური დისფუნქციების ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული ერექციული დისფუნქციაა და იგი სტატისტიკურად 40 წლის ზევით ყოველ მეორე მამაკაცს აღენიშნება. ამ ტიპის პრობლემები გაზშირდა ახალგაზრდულ ასაკშიც, რაშიც ხშირ შემთხვევაში დამნაშავე არაჯანსაღი ცხოვრების წესია. თუ როგორია მამაკაცური ჯანმრთელობის თავისებურებანი, რა შემთხვევაში უნდა მივაკითხოთ სპეციალისტს და როგორ დავამარცხოთ ერექციული დისფუნქცია მოკლე დროში, ამაზე პროფესორი, სექსოლოგი ანდრო კანდელაკი გვიამბობს.



ანდრო კანდელაკი

**ანდრო კანდელაკი:**

— ტერმინი იმპოტენცია, როგორც „განაჩენი“, მამაკაცისათვის კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. სექსუალური დისფუნქცია დღეს დაძლევადი პრობლემაა. სექსუალური დისფუნქციის ფორმებიდან ამჯერად ყურადღებას ერექციულ დისფუნქციაზე შევაჩერებ. ეს არის პრობლემა, როდესაც მამაკაცს არ შეუძლია მიაღწიოს ან შეინარჩუნოს სათანადო დონეზე ერექცია სრულფასოვანი სექსუალური აქტის ჩასატარებლად. ასაკის მატებასთან ერთად, მამაკაცებში ერექციული დარღვევების სიხშირე იზრდება. მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით 40-70 წლის მამაკაცების 50 პროცენტში ერექციული დისფუნქცია სახეზეა, თუმცა ეს პრობლემა 20-40 წლის მამაკაცებშიც საკმაოდ ვლინდება. იშვიათია მამაკაცი, რომელსაც ერექციული შეფერხება ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ ჰქონია. ეს პრობლემები შეიძლება იყოს დროებითი, სიტუაციური, სტრესებთან, გადაღლასთან, ჭარბ ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული. ყველა ეს პრობლემა წარმავალია, თუ მამაკაცი მოინდომებს, მიაკითხავს ექიმს და შეიცვლის ცხოვრების წესს.

*— ერექციული პრობლემები ძირითადად ფსიქოლოგიური წარმოშობისაა თუ ფიზიკური?*

— 20-30 წლის წინ ერექციული პრობლემების 90 პროცენტს ფსიქოლოგიურ დარღვევად განიხილავდნენ, დღეს კი, როცა ერექციის ფიზიოლოგიური მექანიზმები სრულად იქნა შესწავლილი და შესაბამისად დაიხვეწა დიაგნოსტიკური მეთოდები, გაიზარდა ორგანული მიზეზებით განპირობებული ერექციული დისფუნქციების წილი. ვინაიდან მამაკაცის ღირებულებათა სისტემაში სექსუალური ცხოვრების ხარისხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერექციის კუთხით ნებისმიერი ხარვეზი მწვავე ფსიქოლოგიური ტრავმის ხასიათს იღებს და აისახება წყვილის ურთიერთობაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც ორგანული, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტები, რათა მკურნალობა წარმატებული იყოს.

*— რა შეიძლება იყოს ერექციული დისფუნქციის მიზეზი?*

— მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე, დიაბეტი, ჰორმონული დარღვევები, ზურგის ტვინის ტრავმები. ამასთან ერთად, გამომწვევ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა ტიპის მედიკამენტები, მაგალითად: ბეტაბლოკატორები, რომლებიც წნევის დამწევ საშუალებებად გამოიყენება, ანტიდეპრესანტები. უარყოფითად მოქმედებს ასევე შარდმდენი საშუალებები, ალკოჰოლი და ნარკოტიკები. ძირითადად ეს ყველაფერი რისკის ჯგუფში შედის. თუ ეს რისკები გამოირიცხა, მაშინ მხოლოდ ფსიქოლოგიური მომენტი რჩება, სადაც წამყვანი ადგილი სტრესს უკავია, არა აქვს მნიშვნელობა, სამსახურებრივი იქნება ის თუ ოჯახური. არიან ადამიანები, რომლებსაც შინაგანი შფოთვის მაღალი დონე აქვთ, რაც ყოველთვის აისახება სექსუალურ ცხოვრებაზე.

ამ მამაკაცურ პრობლემაში ძალიან დიდ როლს თამაშობს პარტნიორი ქალი, რადგან თანამედროვე სექსოლოგია პაციენტად განიხილავს წყვილს და არა ინდივიდს. როდესაც მამაკაცს ერექციული დისფუნქციის ნიშნები აქვს, მნიშვნელოვანია, როგორ რეაგირებს ქალი ამ პრობლემაზე — დელიკატურად, სიმშვიდით თუ პირიქით, მამაკაცს ფსიქოსექსუალურ ტრავმას აყენებს, მკვახედ მიუთითებს რა პრობლემაზე, ბუნებრივია, ეს პრობლემას აღრმავებს.

*— ძირითადად რა შეცდომას უშვებენ მამაკაცები, როცა ამ პრობლემას სათანადოდ არ აფასებენ?*

— თუ ერექციულმა ჩავარდნებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მან აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს. რაც უფრო მალე მოგვარდება ეს პრობლემა, მით უფრო ეფექტური იქნება მკურნალობის მეთოდები. ძალიან მნიშვნელოვანია მამაკაცებში ასოს სისხლძარღვოვანი სისტემის როგორც არტერიული, ისე ვენური სისტემის გამოკვლევა, რადგან ის პირდაპირ ახდენს გავლენას ერექციის ხარისხზე.

*— ერექციული დისფუნქციის დროს ხშირად თვლიან, რომ ეს მათი განაჩენია და უნდა შეეგუონ.*

— ეს არის წმინდა პიროვნული ნევროზული რეაქცია პრობლემაზე. დღეს ეს ნამდვილად აღარ შეესაბამება რეალობას. არსებობს თანამედროვე პრეპარატები, რომლებიც ხელს უწყობენ და აძლიერებენ სისხლის მიწოდებას ასოში. თანამედროვე მედიცინამ და ამ ტიპის მედიკამენტების გამოყენებამ ბევრ მამაკაცს მიანიჭა ბედნიერება, იცხოვროს სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრებით. ყველაზე დიდ შეცდომას მამაკაცი მაშინ უშვებს, როდესაც ერექციული დისფუნქციის პირველივე ნიშნებზე თვლის, რომ ის დაბერდა და აღარ შეუძლია სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება. ჯანსაღი ცხოვრებით თუ იცხოვრებ, უარს იტყვი ჭარბ ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, სწორად იკვებები და ბევრს იმოძრავებ, სექსუალური ჯანმრთელობის ღრმა სიბერემდე შენარჩუნება იქნება შესაძლებელი. თანამედროვე მედიცინაში სიბერე არ ნიშნავს სექსუალური ფუნქციის მიტოვებას.

*— ერექციული დისფუნქციის მკურნალობის ეფექტურ საშუალებებში რა მოიაზრება?*

— 1998 წელს პირველად მსოფლიო მედიცინაში შეიქმნა ახალი პრეპარატი, მეხუთე ტიპის ფოსფოდიესთერაზის ინჰიბიტორი — სილდენაფილი, რომელიც უფრო ცნობილია ვიაგრას სახელწოდებით. ეს იყო რევოლუციური გარღვევა ერექციული პრობლემების მოგვარების საკითხში. წლების განმავლობაში შეიქმნა ამ ტიპის ახალი ეფექტური საშუალებები (ტადალაფილი და ვარდანაფილი). აი, უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენს ბაზარზე შემოვიდა ახალი ტიპის სილდენაფილი სავაჭრო სახელწოდებით **ტორეო**, რომელიც წარმოადგენს სილდენაფილის პერორალურ (პირში შესასხურებელ) სპრეის. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ექიმის მიერ განსაზღვრული დოზის შესხურების შედეგად, **ტორეო** სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს მამაკაცის ერექციულ ფუნქციაზე.

*— რა არის ტორეოს უპირატესობა სხვა, მსგავსი ტიპის პრეპარატებთან შედარებით?*

— ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რომ **ტორეო** მიღებიდან 15-20 წუთში იწყებს მოქმედებას, რაც გრძელდება რამდენიმე საათი. თუ სხვა პრეპარატები სექსუალურ აქტამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე უნდა დალიოს პაციენტმა, **ტორეოს** 2-4 შესხურება აქტამდე 15-20 წუთით ადრეც საკმარისია.

ასევე, **ტორეოს** მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელია მიღებისას მისი დოზირების გაზრდა, რაც ინდივიდუალური პაციენტებისათვის ოპტიმალური ეფექტის მიღწევის საწინდარს იძლევა.

**ტორეო** გამოიყენება როგორც უშუალოდ სექსუალური აქტის წინ, ასევე სამკურნალო მიზნით სპეციალისტის რეკომენდაციის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა პრეპარატების, ასევე **ტორეოს** მიღებამდე სასურველია, რომ მამაკაცებმა (განსაკუთრებით ცხოვრების მეორე ნახევარში მყოფებმა) ჩაიტარონ სრული სექსოლოგიური გამოკვლევა, რათა თავიდან აიცილონ თვითმკურნალობით გამოწვეული შესაძლო გართულებანი.


**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, მოგვმართოთ:**

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კლინიკა**

**ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 17**

**კლინიკის ტელეფონი: 237-11-89; მობ.: 577-41-15-71.**





Cyan Magenta Yellow Black

კლუბში სიმღერას დავიწყებ. მერე ვნახოთ, ალბათ ვიპოვი ჩემს თავს. სიმღერა ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე, ჩემი ყველაფერია, ჟანგბადია! არაფერი მსიამოვნებს ისე, როგორც მღერა და არსად ვგრძნობ თავს ისე კომფორტულად, როგორც მუსიკაში. ერთი წამი არ შემიძლია მუსიკის გარეშე.

— **როგორ ფიქრობთ, ჩვენი შოუბიზნესის წამომადგენლები როგორ იღებენ ახალბედა კოლეგებს?**

— კრიტიკულად, თუმცა ვისაც კარგად ესმის ეს სფერო, ისინი ხელგაშლილები იღებენ ახალ სახეებს და არც კონკურენტებად აღიქვამენ. იმედია, ეს სფერო უფრო განვითარდება, მართლა ძალიან დიდი პოტენციალი აქვს ქართულ შოუბიზნესს. ამ პროექტში კი ის თაობაა, რომელიც სცენაზე სასწაულებს გააკეთებს, მთავარი ხელშეწყობაა.

— **სიმღერის ნიჭი ვისგან გამოგყვათ, თქვენს ოჯახში მღერიან?**

— დედაჩემისგან, თინა წერედიანისგან. ბებიაჩემი ძალიან კარგად მღეროდა, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, რომ სიმღერა არავის ადარდებდა, ის კი ამ საქმეში მართლა ძალიან მაგარი ყოფილა. ჩემი ბიძებიც მღერიან. დედა ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მემღერა.

ძალიან პატარა ასაკში საოპერო ხმა მქონდა. ლუჩანო პავაროტის გიჟივით ვუსმენდი. მამაჩემს ჰქონდა სერიოზული მუსიკოსების ალბომები, სიამოვნებით ვუსმენდი და მერე მე ვმღეროდი. ბოლოს დედამ თქვა, ბავშვი კონსერვატორიაში მივიყვანოთო, მაგრამ პედაგოგმა რომ მითხრა, იმღერეო, საოცრად დავიბენი. არიებს იქ ყველა ისე მაგრად მღეროდა, ყველაფერს ჰაერში წევდნენ. მე ხმა ჩამივარდა, გავწითლდი. დედაჩემი მეუბნებოდა, გვანცა, იმღერეო, მაგრამ იმდენად შემეშინდა, „ჭრელო პეპელაც“ კი ვერ ვიმღერე. ოპერას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩემს თავს იქ ვერ ვხედავ. ზოგჯერ ვნანობ კიდეც, თავი რომ დავანებე, მაგრამ ეტყობა, საკუთარი თავი უფრო სხვა ჟანრში დავინახე.

— **დედა კრიტიკულია თქვენ მიმართ?**

— კი და ბევრ რჩევას მაძლევს. მეუბნება, თავისუფლად იმღერე და ყურადღება არავის მიაქციოო. გული დაწყდა, პროექტი რომ დავტოვე, მაგრამ ისიც ჩემსავით ფიქრობს — მთავარი მონაწილეობაა და არა მოგება. რა თქმა უნდა, ამის შემდეგაც გვერდში დამიდგებიან დედა, ჩემი და, ბიძაშვილები. სამწუხაროდ, მამაჩემი გარდაცვლილია.

ჩემი ბიძაშვილი, სალომე ჯაფარიძე, იმდენად ემოციურია, პროექტიდან რომ გამოვვარდი, მისი ბღავილი სცენაზე მესმოდა. ჩემზე მეტად განიცადა, იმხელა ხმაზე კიოდა, ფაქტობრივად დამტიროდა. დილამდე ვერ დავაწყნარე. ჩემი და გაითიშა, დედაჩემსაც სასწაულები დაემართა. ბოლოს ვიფიქრეთ, რომ ამ ემოციებიდან დალევა გამოგვიყვანდა და კაფეში წავედით. იქ სასიამოვნო ფაქტი მოხდა: კაფეში მისულებს ნინო ქათამაძის ბენდის წევრები დაგვხვდნენ, მერე ნინოც მოვიდა. რა თქმა უნდა, პროექტის დასრულების შემდეგ ნინო უკვე ნანახი მყავდა და ისე გამამხნევა, ყველაფერი დამავიწყა. სიმღერის დროს ნინოს ვარდი მეკეთა, მათხოვა. ეს ის ძალიან ცნობილი ვარდია, ყველა კონცერტზე თავზე რომ ეკეთა. ბოლოს კი მისახსოვრა. ძალიან გამიხარდა, რადგან

**„გვერდით მყავს ისეთი პიროვნება, რომელიც ყველაფერში მიგებს, ჩემი ადამიანია“.**

ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი და მუსიკოსია. კაფეში ნინოსთან არ მივედი, უკვე შემრცხვა, ბოლოს თვითონ დამინახა, შემოვარდა და ჩვენთან დაჯდა. ძალიან თბილი ადამიანია, ისეთი რაღაცეები მითხრა, ცუდი დღის კარგი დასასრული გამოვიდა. პირადად რომ გავიცანი, ორმაგად შემიყვარდა.



**„მოდელების მიმართ დამოკიდებულება არ მომწონდა, თავს თოჯინად ვგრძნობდი. ბევრჯერ ვფიქრობდი, რატომ ვაკეთებ ამას, რატომ ვარ ვიღაცის საკიდი-მეთქი“.**

— **რამდენი წლის იყავით, მამა რომ გარდაიცვალა?**

— მარტში 4 წლის ვხდებოდი, მამა კი იანვარში გარდაიცვალა. პატარა ასაკის მიუხედავად, ყველაფერი მახსოვს, რაც ყველას უკვირს. მამა კარგად მახსოვს. ის ლეიკემიით გარდაიცვალა, მკურნალობდა, მაგრამ ბოლოს უცებ წავიდა ამქვეყნიდან. დედას ორი პატარა ბავშვი დავრჩით. აღარ გათხოვილა. მან მოგვიყვანა აქამდე ისე, რომ არაფერი მოგვაკლო. ეტყობა, იმას ფიქრობდა, რადგან მამა არ ჰყავთ, არაფერი მოაკლდეთო და ყველაფერი ის მოგვცა, რაც ხშირად იმ ბავშვებს არ აქვთ, ვისაც ორივე მშობელი ჰყავთ.

ჩემს თვალში დედა სამაგალითო ადამიანია. ქალისთვის ძალიან რთულია იმ ტკივილის გადატანა, რაც ქმრის დაკარგვას მოჰყვება და, მით უმეტეს, რომ მის გარეშე გიწევს ორი ბავშვის გაზრდა. როცა ამ ყველაფერს ასე წარმატებით ართმევ თავს, ძალიან მაგარი ხარ. მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნებოდა. 39 წლის იყო, ამქვეყნიდან რომ წავიდა. ძალიან მაგარი კაცი გახლდათ. სვანეთში მამაჩემი თემურ ჯაფარიძე და ბაბუა, გივი ჯაფარიძე, ძალიან ცნობილები იყვნენ.

ჩვენი გვარის წარმომავლობაზე ლეგენდები დადის, რომ რაჭაში ძმები ცხოვრობდნენ, რომლებიც ყველაზე გიჟები და რქიანები იყვნენ, ამიტომ სვანეთში გადაასახლეს და იქ გამრავლდნენ. მესტიაში ყველაზე დიდი გვარი ჯაფარიძეა.

— **სიმღერა თქვენი მოწოდებაა, გატაცებები რა არის?**

— ჩემთვის კარგი განტვირთვა ხატვაა, მაგრამ ამისთვის დრო უკვე აღარ მრჩება. თან ამას მუზა, თავისი განწყობა სჭირდება. ძალიან მიყვარს ღამე ქუჩაში ველოსიპედით სეირნობა გიჟივით მარტოს, ფეხით სეირნობაც მიყვარს. ვგიჟდები თხილამურებით სრიალზე. ბაბუაჩემი მოთხილამურე იყო და საქართველოს ჩემპიონიც ყოფილა. მამაჩემიც ძალიან მაგარი მოთხილამურე გახლდათ. მამისგან სპორტის სიყვარული გამომყვა, დედისგან — სიმღერის. სვანეთში ხშირად ავდივარ და ვისვენებ. იქ გატარებული დღეები ჩემთვის ყველაზე მაგარია. ყველაფერი ის მიზიდავს, რაც ადრენალინთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ სიმღერაც ჩემთვის კარგი ადრენალინია.

— **სიყვარულზე რატომ არაფერს ამბობთ? შეუძლებელია ასეთ ემოციურ და მგრძნობიარე გოგონას ვინმე არ მოგწონდეთ.**

— მარტო არ ვარ. არსებობს ადამიანი, რომელიც ჩემ გვერდითაა, მაგრამ ჯერჯერობით სერიოზული ურთიერთობა არ გვინდა. გვერდით მყავს ისეთი პიროვნება, რომელიც ყველაფერში მიგებს, ჩემი ადამიანია. ძალიან გამიმართლა. ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად იყოს.

— **მუსიკოსი ხომ არ არის?**

— არა, მაგრამ ძალიან კარგი მუსიკალური გემოვნება აქვს. ისე ნერვიულობდა ჩემს ყველაზე გამოსვლაზე... რჩევებს მაძლევდა და ყველანაირად გვერდში მედგა.

— **სერიოზულ ურთიერთობას რატომ გაურბიხართ?**

— ამისთვის მზად არ ვარ, თან მეშინია, ეს ყველაფერი არ დაინგრეს.

— **ისე ლაპარაკობთ, მგონია, რომ წარსულში სიყვარულში იმედი გაგიცრუვდათ.**

— კი, ასეა. არ მეგონა, ოდესმე კიდევ თუ შემიყვარდებოდა. არ მინდოდა, ვინმე გულთან მიმეშვა, მაგრამ მაინც მოხდა ასე. იმედია, ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნება.

— **სცენიდან თქვენს სიმღერებს იმას ხომ არ უძღვნიდით, ვის ვინაობასაც ჯერჯერობით არ გვიმხელთ?**

— სტივ უანდერის სიმღერა მისთვის ვიმღერე. წინასწარ განვეწყვე, რომ მისთვის უნდა მიმეძღვნა, ყველაფერი ჩავდე, რაც გამაჩნდა. ჩემთვის მთავარი ემოციაა და თითოეულ ნოტში ყველაფერს ვდებ.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

ეტაპი

# ნინი ქარსელაძე რვაწლიანი განშორების შემდეგ მამას თავიდან ეცნობა

## „მე ისეთი მერაბი და ზურა მყავს ოჯახში, გამიჭირდება მათნაირი მამაკაცის პოვნა"



მომღერალი ნინი ქარსელაძე თინეიჯერული ასაკიდან გამოვიდა და საკუთარი თავისგან უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე ადრე — დადის ფორტეპიანოზე და თვლის, რომ ახლა 100 პროცენტით სიმღერისკენ არის გადახრილი. წელს იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და მუსიკისთვის მეტი დრო აქვს. პატარა გოგონა, რომელიც მღეროდა დუეტში „ნინი და ქუჩის ბიჭები“, შემდეგ ჰიტს „ჩემი ქალაქი, უკვე 21 წლისაა და თავის ცხოვრებას, შემოქმედებას სხვანაირად ხედავს და გეგმავს. ახალ რეპერტუარს ამზადებს, სადაც ფრანგულენოვანი სიმღერებიც შევა. სიყვარულზე არ ლაპარაკობს ერთი მიზეზის გამო — ეშინია, „არ დაითარსოს“. ამბობს, რამდენჯერაც საჯაროდ ვილაპარაკე პირადზე, იმდენჯერ ყველაფერი დამენგრაო.

ნინის ცხოვრებაში კიდევ ერთი სიახლეა — მამამისი, თეკუჩა ქარსელაძე, პატიმრობიდან გათავისუფლდა. რვაწლიანი განშორების შემდეგ მამა-შვილი თავიდან ეცნობიან ერთმანეთს.

**— ნინი, სიმღერას საბოლოოდ უბრუნდებით?**

— კი, სიმღერას უკვე სერიოზულად ვუბრუნდები. დავდივარ ფორტეპიანოზე, მყავს არაჩვეულებრივი მასწავლებელი ნინო გულიაშვილი. მუსიკალური ათწლედი ისე დავამთავრე, რომ ნოტების გარჩევა არ ვიცოდი. მასწავლებელი ნაწარმოებს რომ დამიკრავდა, სმენით ვაწყობდი და არა — ნოტებით. ასე რომ, ახლა საფუძვლიანად ვსწავლობ ამ ყოველივეს. 100 პროცენტით სიმღერისკენ ვარ გადახრილი. ბოლო ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს დათუნა მგელაძესთან დუეტი. სხვათა შორის, არ ველოდებოდი, ჩვენი დუეტი ამხელა მოწონებას თუ დაიმსახურებდა. თვენახევარია, რაც ჩვენი კლიპი გამოჩნდა და ინტერნეტსივრცეში იმდენი ნახვა აქვს, გაოცებულები ვართ. „რუსთავი 2“-მა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი კლიპის პრომოუშენში, ამისთვის მადლობა გეგა ფალავანდიშვილს.

რამდენიმე ახალ სიმღერას ვწერ. რეპერტუარზე ასეთი ტემპით არასოდეს მიმუშავია. მგონია, რომ ჩემს ცხოვრებაში სხვა ეტაპი დაიწყო. ალარ ვარ ის პატარა გოგო, რომელიც მსმენელმა შეიყვარა, უკვე 21 წლის ვარ და ჩემს საქმეს მეტი პასუხისმგებლობით ვუყურებ, ჩემს დამახასიათებელ ხმის ტემბრს პროფესიონალიზმი უნდა შევმატო.

წელს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე. ძალიან კარგი სტუდენტობა მქონდა. მინდა, ყველა ლექტორს მადლობა გადავუხადო ხელშეწყობისთვის. ჩემი პროფილით ვაპირებ სამსახურის მოძებნას, ჯერ სტაჟირებას გავივლი, შემდეგ მაგისტრატურაში ჩავაბარებ. ძალიან მინდა, ინგლისში გავიარო მაგისტრატურა.

**„რეპერტუარში ბევრი ფრანგული სიმღერა მაქვს. ყველა ინგლისურ ან რუსულენოვან სიმღერებს მღერის, მე ფრანგული ვარჩიე".**

**— როგორი იყო ნინი წლების წინ და როგორია ახლა?**

— მას მერე ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა ჩემში. წლების წინ სულ სხვა ჟანრის მუსიკას ვუსმენდი, ახლა გემოვნება შემეცვალა. რეპერტუარში ბევრი ფრანგული სიმღერა მაქვს. ეს მათი დამსახურებაა, ვინც ფრანგული კარგად მასწავლა — მერაბ ფიფიას და ლერი სახაროვის. ყველა ინგლისურ ან რუსულენოვან სიმღერებს მღერის, მე ფრანგული ვარჩიე.

მეტი ინტერესი გამიჩნდა, ვიდრე აქამდე მქონდა. გატაცებული ვარ ფსიქოლოგიით, ბევრს ვკითხულობ. მყავს ფსიქოლოგი, თეა გოგოტიშვილი, რომელიც ბევრ რამეში მეხმარება.

**— ამ ბოლო დროს მოგზაურობა ხშირად გიწევთ. ეს თქვენთვის დამღლელია თუ პირიქით, ახალი ენერგიით გავსებთ?**

— მართლაც, სულ ცაში ვარ გამოკიდებული ჰოლანდიასა და საქართველოს შორის. ბოლო დროს ბევრს ვმოგზაურობ, ისრაელში ვიყავი ჩემი ახლობლების ქორწილში, წმინდა ადგილები მოვილოცე. მგონია, რომ მადლით ავსებული წამოვედი იქიდან. წავალ, წამოვალ და აქაურობას მაინც ვერ ველევი. ვფიქრობ ჩემს საყვარელ ადამიანებზე, მეგობრებზე, ვის გარეშეც ცხოვრება მიჭირს. საზღვარგარეთ ვისვენებ, მშვიდი ცხოვრების რეჟიმი მაქვს, საქართველოში კი აქტიური ვარ.

**— ცნობილი ოჯახის შვილი და პოპულარული სახე ხართ, ალბათ ბევრი შემოგნატრით.**

— ამაზე მეც ხშირად მიფიქრია. ჩემი ოჯახის დამსახურებით, ბევრი საინტერესო ეტაპი გავიარე, მათ ამაგს ვაფასებ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოჯახი ერთ-ერთი მისაბაძია ჩვენს რეალობაში. ყველასგან მაგალითს ვიღებ. ვამაყობ, რომ მათი ნაწილი ვარ.

**„მამამ კარგად არ იცის ჩემი ხასიათი, მე კი — მისი. ის აღმოჩენებს აკეთებს, რა მომწონს, რა — არა, რაში ვგავარ მას, რაში — არა... წინ დიდი დრო გვაქვს".**

**— მაგრამ ალბათ გქონდათ რთული პერიოდებიც.**

— რასაკვირველია, გვქონია. არ მეგულება ოჯახი, რომელსაც რთული ეტაპები არ გაუვლია. მგონია, რომ ეს უფრო აძლიერებს ადამიანს. უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას მოუვლენს. ამ მხრივ, რჩეული ოჯახი ვართ, რომელმაც ბევრი განსაცდელი გაიარა. ერთსულოვნებით ბევრ სიძნელეს გავუმკლავდით.

**— თქვენს ასაკში გოგონებს უყვარდებათ, თხოვდებიან, შვილებს აჩენენ... ეს ყველაფერი თქვენგან ჯერ ისევ შორსაა?**

— წლები გადის და ვხვდები, რაც უფრო დიდხანს არ იქნება სერიოზული ურთიერთობა, მით უკეთესია ჩემთვის. ამჟამად მხოლოდ კარიერაზე და სწავლაზე ვფიქრობ.

**— არც სიყვარულით გატაცებული ხართ?**

— არ მინდა ამ თემაზე საუბარი, რადგან რამდენჯერაც საჯაროდ ვთქვი რაღაც, იმდენჯერ დამენგრა ყველაფერი.

**— ოჯახის შექნის დროს რა პრიორიტეტები გექნებათ, რას მიაქცევთ ყურადღებას — ხასიათს, მატერიალურ მდგომარეობას, გარეგნობას, ოჯახიშვილობას, განათლებას...**

— რასაკვირველია, ვიზუალური მხარე მნიშვნელოვანია და ვერც უვიც ადამიანთან ვიცხოვრებ. მე ისეთი მერაბი და ზურა (ბიძა, მერაბ ჟორდანია და დედის ქმარი, ზურა ხაჩიძე. ავტ.) მყავს ოჯახში, რომ მათ შემხედვარეს გამიჭირდება ოჯახის შექმნა. ისინი სამაგალითო მამაკაცები არიან. რა თვისებებსაც მათში ვხედავ, მგონია, რომ სხვაში ამ ყოველივეს ვერ დავინახავ. სწორედ მათნაირი უნდა იყოს ის პიროვნება, რომელსაც ცხოვრებას დავუკავშირებ.

**— როცა გათხოვებას გადაწყვეტთ, პირველს ვის ეტყვით?**

— პირველად ზურას ვეტყვი და ბოლოს — მერაბს. ზურა ჩემი მეგობარია, მერაბს კი ჩემს ცხოვრებაში აღმზრდელობითი ფუნქცია ჰქონდა, თან მანებივრებდა, რადგან ოჯახში პირველი გოგო ვიყავი. მისი დიდი რიდი მაქვს და ამიტომაც ამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ ყველაზე ბოლოს მას ვეტყვი. მამასთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს და ამ თემაზე საუბარი არ მომერიდება.

აი, დედაჩემი ხათუნა კი სულ სხვა საქმეა. ჩემით ის მუდმივად უკმაყოფილოა. მისი შეფასება და რჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის. არ ვარ იმ კატეგორიის გოგო, რომელიც მაინც იმას გააკეთებს, რაც უნდა. ხათუნას გარეშე ნაბიჯსაც არ გადავდგამ. მე და ხათუნა დები უფრო ვართ, ვიდრე დედაშვილი. ვმეგობრობთ და მინდა, ჩემს შვილთანაც იგივენაირი ურთიერთობა მქონდეს. მან შვილებისთვის გადადო თავისი ცხოვრება. ჩემთვის ყველაფერი გააკეთა და მინდა, ეს ამაგი დავუფასო. მის გარეშე ერთი წუთიც არ შემიძლია ვიცხოვრო. როცა გავთხოვდები, დედასაც თან წავიყვან.

**— დიდიხნით განშორებულ მამასთან ურთიერთობა როგორ ააწყვეთ? ციხიდან გამოსულს უკვე გაზრდილი შვილი დახვდით.**

— მშვენივრად. 21 წელი ისე ვიცხოვრე, რომ მამას კარგად არ ვიცნობდი. ციხიდან რაც გამოვიდა, ურთიერთობა უფრო დაგვითბა. 8 წლის განმავლობაში თვეში ერთხელ მივდიოდი მასთან პაემანზე. 8 თვეა, რაც გარეთ არის, მაგრამ ჩვენ შორის მაინც არის გაუცხოება. პაემანზე სიარულმა დიდი როლი არ ითამაშა. მამამ კარგად არ იცის ჩემი ხასიათი, მე კი — მისი. ის აღმოჩენებს აკეთებს, რა მომწონს, რა — არა, რაში ვგავარ მას და რაში — არა. მაგრამ მგონია, რომ ვიზუალურადაც და ხასიათითაც ერთმანეთს ვგავართ. წინ დიდი დრო გვაქვს და ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black



# „მეგობრების ნამდვილი სახე მაშინ დავინახე, როცა გამიჭირდა“

ერთ დროს ჩემზე კარგი დიასახლისი არ არსებობდა, ჩემზე კარგი ოჯახი არავის ჰყავდა, ჩემი შვილებიც ყველაზე ნიჭიერები და ლამაზები იყვნენ. ასე ის ხალხი ლაპარაკობდა, ვინც ჩემი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. მაშინ მათ გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარებოდა. მჯეროდა, რომ ჩემი ოჯახის ერთგულები იყვნენ. ამას საქციელითაც ამჟღავნებდნენ. როცა რამე პრობლემა მქონდა, გვერდით მედგნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ პრობლემა ფინანსებთან არასოდეს იყო დაკავშირებული, რადგან მატერიალურად ყოველთვის ძლიერი ვიყავით, ჩემს ქმარს თანამდებობაც ჰქონდა და ფულიც.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ცხოვრებამ იცის ხოლმე. ანუ ჩვენ რომ გვგონია, რაღაც სამუდამოა, უცებ ისე გაგიქრება ხელიდან, როგორც მუჭში მომწყვდეული სილა. ჩვენი მატერიალური კეთილდღეობაც ერთ დღეს გაქრა. ჩემმა ქმარმა ჯერ თანამდებობა დაკარგა, მერე რაღაც ისეთი შეემთხვა, რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი გავიღეთ, რომ ციხეში არ ჩამჯდარიყო. იყო თუ არა დამნაშავე, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ახლა ამაზე არ მინდა ყურადღების გადატანა.

ადამიანების ნამდვილი სახე მაშინ დავინახე, როცა ყველაზე ძალიან გამიჭირდა. თურმე სულ ტყუილი ყოფილა მათი სიტყვები, თურმე ჩვენი ურთიერთობა ილუზია ყოფილა. ჩემთვის ძალიან ახლობელი ხალხი უცებ ძალიან უცხო მასად გადაიქცა. ყველამ გულგრილობა აიფარა ნიღბად. ზოგმა კი მხოლოდ შეგვიბრალა, ისიც სიტყვიერად, მიმიკით და მეტი არაფერი. იმ ხალხმა, ვისაც ჩემი ქმარი მთელი ცხოვრება ეხმარებოდა და ტკიპებივით ჰყავდა აწეპებული, ზურგი გვაქცია. ჩვენი სიკეთე ყველამ დაივიწყა.

ძალიან რომ გამიჭირდა და ქმარიც გვერდით არ მყავდა, მის მეგობარს მივაკითხე. სახლ-კარი, სამსახური თუ ჰქონდა, მხოლოდ ჩვენი წყალობით. ჩვენი ოჯახის სადღეგრძელოს დიდი ყანწით სვამდა. ამბობდა, ახლა მათხოვარი ვიქნებოდი, თქვენ რომ არ მყოლოდითო. ძმობას გვეფიცებოდა და ჩვენც გვჯეროდა. ერთხელ ფინანსურად გამიმართა ხელი, მეორედ ერთ ადგილზე მიმყვა. მესამედაც რომ მივედი მათ ოჯახში, თვითონ დამემალა და მის ნაცვლად ცოლი გამოენთო. მითხრა, რა პატივი გვეცი ამისთანა, რომ ახლა გინდა, ყელში ამოგვადინო, ხომ დაგეხმარეთ, მეტი აღარ შეგვიძლია, ჩვენც ოჯახი გვაქვსო. ყურებს არ ვუჯერებდი. მეგონა, ვიღაც სხვას ეუბნებოდა. ქალი, რომელიც სულ რაღაც ორი თვის წინ მზად იყო, ჩემ წინაშე ეხოხა, ასეთ სიტყვებს მეუბნებოდა...

ის რთული პერიოდი დავძლიეთ. მე და ჩემი ქმარ-შვილი ახლა ერთად ვართ. იმ თვეებში კი ყველამ თავისი სახე გამოაჩინა. მივხვდი, სინამდვილეში ვინ იყვნენ ისინი, რომლებიც კარს მიტალახებდნენ სტუმრობით. ჩემი ქმარი ისევ გაიმართა წელში და, ჩემდა გასაკვირად, იმ ადამიანებს ისევ გაუჩნდათ ჩვენთან მოსვლის სურვილი.

თვალებს არ ვუჯერებდი, ჩემი შვილის დაბადების დღეზე ის ცოლ-ქმარი რომ მომადგნენ, რომლებმაც მაშინ ასე გამამწარეს. ზღურბლს გადმოაბიჯეს თუ არა, საჩუქარი ამოიღეს — ოქროს ჯაჭვი და ჩემს გოგონას გაუწოდეს. ალბათ იფიქრეს, რომ ამ ძვირფასი საჩუქრით ჩვენი სახლის კარს გავუღებდით. თავი ვერ შევიკავე და ვიწივლე, ახლავე მაგ თქვენი ძღვენით უკან გაბრუნდით-მეთქი. სახეშეცვლილები წავიდნენ, სხვათა შორის, არაფერი უთქვამთ. ქმარმა კი მისაყვედურა, ასე არ უნდა მოქცეულიყავიო, მაგრამ მათსავით თვალთმაქცი ვერ ვიქნებოდი. აუცილებლად უნდა მეთქვა, რასაც ვფიქრობდი.

გაჭირვებამ ერთი კარგი რამ გამიკეთა — „მეგობრების“ ნამდვილი სახე დამანახვა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

# „უცხოეთში სამუშაოდ წასულ ქართველ ქალებს გული რკინასავით გვიხდება“

რაც უცხოეთში გადმოხვეწილს ძალიან მიკვირდა, ახლა ის ჩვეულებრივ ამბად მეჩვენება. იტალიაში რამდენიმე წლის წინ ჩამოვედი. ჩემთვის პირველი დიდი შოკი იყო, როცა მოხუც კაცთან მარტო დავრჩი, არც ენა ვიცოდი და არც ის, რა უნდა გამეკეთებინა. მეორე სერიოზული დარტყმა კი იმ ქალებთან საუბრის დროს მივიღე, ვინც იქ დამხვდნენ. დასვენების დღეს მათთან რომ მივდიოდი, ვფიქრობდი, ახლა დავჯდები და ჩემს გულისტკივილს მოვუყვები, ამ ყველაფრის გადატანაში დამეხმარებიან-მეთქი, მაგრამ მათ დიალოგს გაოგნებული ვუსმენდი.

წარმოდგენა, რომ ქართველი ქალები თბილები, მოსიყვარულეები და ბუნებით დედები არიან, ერთბაშად გაქრა. ვუყურებდი გრძნობებისგან დაცლილ, გაყინულ ქალებს და არ მჯეროდა, რომ ისინი ჩემი თბილი ქვეყნის შვილები იყვნენ. საკუთარ ოჯახის წევრებზეც კი გულგრილად საუბრობდნენ. თავიანთ იტალიელ პატრონებზე ისეთ რაღაცეებს ამბობდნენ... ერთმანეთში კინკლაობდნენ, ჩხუბობდნენ. მოკლედ, იქიდან დათრგუნული წამოვედი, ვფიქრობდი, ეტყობა, ესენი საქართველოშიც ასეთები იყვნენ, თორემ რამდენიმე წელი სახეს როგორ დააკარგვინებდათ-მეთქი. მერე სხვებსაც შევხვდი და უფრო მეტი იმედგაცრუება ვიგრძენი.



იტალიური ენა თანდათან ვისწავლე, იმასაც ავუღე ალღო, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა. ყოფითი პრობლემები დავძლიე, მაგრამ სულს ვერაფერი მოვუხერხე. თითქოს ნაწილებად დაშლილი გული მედო მკერდში, არც რომ კვდებოდა და არც სიცოცხლე შეეძლო. ყოველ ღამე სიზმრებით ჩემებთან ვიყავი. ტირილით ვიღვიძებდი, სიმწრით ხშირად დამიკბენია ჩემი სხეული, რომ ფიზიკურ ტკივილს სულიერი ჩაეხშო, მაგრამ არაფერი მშველოდა. მხოლოდ იმაზე ფიქრით ვსულდგმულობდი, რომ ამ ყველაფერს იმ ადამიანებისთვის ვაკეთებდი, ვინც სიცოცხლეს მერჩივნა. ასე გადიოდა დღეები, თვეები, მერე წლებიც.

ერთ დღეს კი აღმოვაჩინე, რომ მეც ზუსტად იმ ქალების მსგავსად ვლაპარაკობდი, ემიგრაციაში ყოფნის პირველ დღეებში რომ გამაოცეს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ყინულად ვიქეცი. არ ვიცი, ეს როგორ ხდება. შეიძლება ამდენი ტანჯვით გული რკინა ხდება. საქართველოდან რაღაც ცუდ ამბავს თუ გავიგებდი, ისე ვნერვიულობდი, ღამეები არ მეძინა. მერე კი ამასაც შევეჩვიე. ჩემს ტკივილთან შედარებით ყველას ტკივილი გაუბრალოვდა. მეც გულქვა ადამიანად ვიქეცი. თვიდან თვემდე ფულს ვაგროვებ, რომ შვილებს, შვილიშვილებს რამე ვუყიდო, ეს უკვე ინსტინქტების დონეზე ხდება. მარტო ამაზე ფიქრობ. შეიძლება ესეც თავდაცვითი მექანიზმია, რომ სხვა აღარაფერზე იდარდო, მეტი საფიქრალი არ გაიჩინო.

ამას წინათ კომპიუტერით თბილისის ხედებს ვათვალიერებდი. ქართლის დედა რომ დავინახე, მწარედ გამეცინა. ემიგრაციაში მყოფი ქალები დამიდგა თვალწინ. ჩვენც ქართლის დედას დავემსგავსეთ — რკინასავით გავხდით. ამ ფიქრმა შემზარა, მაგრამ მწარე რეალობას სად წაუხვალ! გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ ეს ჩვენი არჩევანი არ ყოფილა. ცხოვრებამ, გაჭირვებულმა ყოფამ გაგვხადა ასეთები. ხმლით — არა, მაგრამ ჩვენი რკინის გულებით ბევრი ოჯახი დავიცავით შიმშილისგან, გაჭირვებისგან... რკინის ვართ, აბა, რა! სხვანაირად როგორ გავუძლებდით ემიგრანტობას?

**„სარკის“ ერთგული მკითხველი იტალიიდან**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჯადოების მკეთებლის შვილი ჩემს ოჯახში რძლად შემოდის!“



ყველა მამტყუნებს, შენი შვილის ცხოვრებაში ცუდად ერევიო, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცევი. აბა, ჩემს ადგილზე ყოფილიყვნენ და მერე როგორ ილაპარაკებდნენ, იმასაც ვნახავდი! ჩემს შვილს მკითხავის შვილი უყვარს და ამის გამო გული მისკდება. ამას არ დავუშვებ და ყველანაირად შევეწინააღმდეგები.

არც კი ვიცი, ჩემს შვილს რა სჭირს. ისე საღად აზროვნებდა, ისეთი კარგი გოგონები მოსწონდა. სკოლიდან მოყოლებული, ერთმანეთზე უკეთესი შეყვარებულები ჰყავდა, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ცოლად კარგ გოგოს მოიყვანდა. სამი თვის წინ კი სახლში ერთ გოგოსთან ერთად მომადგა. გამაცნო, ჩემი შეყვარებულიაო. წელამდე სწვდება ჩემს შვილს, სახეც ისეთი აქვს, არ ვიცი, მასში რა მოეწონა. რომ დავინახე, ლამის ცუდად გავხდი, მაგრამ მაშინვე თავი გავიმხნევე, დროებითი გატაცება იქნება და ასეთებს კიდევ ბევრს გამოიცვლის-მეთქი. რამდენიმე ხნის წინ კი გამომიცხადა, ცოლად მომყავსო.

ნათესავებმა დამამშვიდეს, შვილს ხომ არ დაკარგავ, თუ გარეგნობა არ მოგწონს, იქნებ მისი ხასიათი მოგეწონოსო. ჩვენი ახლობლის რძალი მომიყვანეს მაგალითად, რომელიც შეუხედავი კი არის, მაგრამ მთელი სანათესაოს თვალია, ისეთი ბუნება აქვს. მეც ვთქვი, ჩემი შვილი თუ იქნება ბედნიერი, ყველაფერს შევეგუები-მეთქი. მერე კი მისი ოჯახი გავიკითხე და, აღმოჩნდა, რომ დედა მკითხავი ჰყავს, თანაც ისეთი, ჯადოებს რომ აკეთებს. ახლა მითხარით, ასეთ რძალს შეეგუებოდით?

ჩემს შვილს კატეგორიულად გამოვუცხადე, რომ იმ გოგოს ცოლად ვერ მოიყვანდა. ის კი დამიპირისპირდა, სახლიდან წავიდა და რამდენიმე დღე არ გამოჩენილა. მითხრა, დამკარგავო. ვიცი, თუ მას მოიყვანს ცოლად, მაინც დამკარგავს, ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ ცოლად არ მოიყვანოს. რძლად არ მივიღებ, რადგან დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემი შვილი არ მოაჯადოვეს. სხვანაირად ვერაფრით ამიხსნია, რომ ასე დაბრმავდა და ვერაფერს ამჩნევს. მეზობელმა მითხრა, თავი დაანებე, შენს ოჯახს არ ავნონ, რამე არ გაუკეთონო. ამისი არ შემეშინდება, მით უმეტეს, რომ წლებია ეკლესიურად ვცხოვრობ, ვმარხულობ, ვეზიარები და დარწმუნებული ვარ, ღმერთი შემეწევა.

შევუთვალე, გახდნენ ეკლესიურები, თავი დაანებოს იმ ქალმა კლიენტების მიღებას და კი, ბატონო, მივიღებ ოჯახის წევრად.

**„სარკის“ მკითხველი**

გამოხმაურება

## „დათაფლული კაცის უკან ანგარება ვერ შევნიშნე“

ჟურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ქმარი ჩემს მშობლებს მანქანას სთხოვს“. როგორც ჩანს, მსგავსი ტკივილი არამხოლოდ ჩემთვის არის ნაცნობი. 25 წლის ვარ. სამი თვე ვიყავი შეყვარებული და სამი თვე — გათხოვილი. უცნაურია, არა? მოგიყვებით, რაც მოხდა.

შეძლებული ბიძა მყავს, მას ძალიან ვუყვარვარ. მოსკოვში ცხოვრობს და იქიდან ყოველთვის მიგზავნის საჩუქრებს. მანქანის ფულიც მან მაჩუქა და უკვე ერთი წელია ჩემი ავტომობილით დავდივარ. კარგი სამსახურიც მაქვს და არაფერი მაკლდა იმისთვის, რომ თავი ბედნიერად მეგრძნო.

ერთხელ, მეგობრის დაბადების დღეზე, გავიცანი ბიჭი, რომელიც გარეგნობით ძალიან მომეწონა. იმ საღამოს ჩემი მანქანით რამდენიმე ნასვამი ბიჭის მიყვანა დამჭირდა სახლამდე, მათ შორის — მისიც. ჩვენი ურთიერთობა ამის შემდეგ დაიწყო. ყოველდღე მირეკავდა, ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა... ერთ თვეში უკვე იმაზე ვლაპარაკობდი, რომ ძალიან მიყვარდა. სამ თვეში კი გადავწყვიტე, ცოლად გავყოლოდი. ერთ დღეს უბრალოდ მივედი მის ოჯახში და იქიდან აღარ გამომიშვეს. ოჯახებში ყოველგვარი მისვლა-მოსვლის, ნიშნობის თუ ქორწილის გარეშე მისი ცოლი გავხდი.

მალე მიხვდნენ, რომ ჩემი ოჯახი სულაც არ იყო მდიდარი და ყველაფერი ბიძის წყალობით მქონდა. დედამთილს წამოსცდა, ჩემი შვილი ამბობდა, რომ ბინა გქონდა, თურმე არაფერი გაბადიაო. მერე ქმარმა ირონიულად მითხრა, ისე „ბლატაობდი“, მეგონა, მილიონერი იყავიო.

ერთ დღეს ნათესავის ქორწილში ჩემი ქმარი ჩემ თვალწინ ვიღაც გოგოს ეფლირტავებოდა. ამის გამო ძალიან ვიჩხუბეთ. მან კი ისეთი რაღაცეები წამომაძახა... მოკლედ, პირდაპირ მითხრა, რომ მდიდარი ვეგონე და ჩემში მხოლოდ ეს მოსწონდა. მისგან წამოვედი. თავს ვერ ვპატიობ, რომ დათაფლული კაცის უკან ანგარებიანი ადამიანი ვერ შევნიშნე.

**„სარკის“ მკითხველი**

## „ღარიბი რომ ვარ, ქმრის ნათესავები არ მკადრულობენ“

ჟურნალ „სარკის“ 23-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სათაურით „ღარიბი რომ ვარ, თურმე პომადაც არ უნდა მქონდეს“. ამ ქალის ძალიან კარგად მესმის. ჩემთვის ნაცნობია, რას გრძნობ, როცა სიღარიბის გამო არ გკადრულობენ, სრულფასოვან ადამიანად არ გთვლიან.

ვერავის ვერაფერს დავაბრალებ. რომ ვთხოვდებოდი, კარგად ვიცოდი ჩემი ქმრის ოჯახის შესაძლებლობები. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მიყვარდა და ჩემთვის ეს იყო მთავარი. არც ახლა ვნანობ რამეს. ძალიან კარგი შვილები მყავს და ქმარიც პატივისცემით მექცევა. სიმდიდრე თუ არა, ჩვენს ოჯახში სიყვარული ხომ მაინც არის და ამით ვამაყობ.

ჩემი მაზლის ცოლი შეძლებული მამის შვილია, უფრო სწორად, იმ კაცმა ერთბაშად იშოვა ფული. რაღაც საქმე წამოიწყო და გაუმართლა. ბუნებრივია, შვილსაც მიხედა, ხელი მოუმართა. ჩემი მაზლი სიმამრთან მუშაობს და არაფერი აკლიათ. მდიდარი მეგობრებიც გაიჩინა. ახლახან მათთან ერთად საზღვარგარეთ იყო დასასვენებლად წასული.

ხშირად შემიმჩნევია, რომ მაზლს ჩემი და ჩემი ქმრის გვერდით ყოფნა ესირცხვილება. ამას პირდაპირ არ გვეუბნება, მაგრამ მისი საქციელით ვგრძნობ. როცა სტუმრები ჰყავთ, კი გვეპატიჟებიან, მაგრამ სუფრასთან არასოდეს გვსვამენ. რძალი ხან ხაჭაპურის ცხობას დამავალებს ხოლმე, ხან — სტუმრების მომსახურებას. ჩემს ქმარსაც აქეთ-იქით არბენინებენ. ძმა ეუბნება, არ დალიო, ფხიზელი უნდა იყო, რომ სტუმრებს ყურადღება მიაქციოო. ზუსტად ვიცი, ამას იმიტომ ეუბნება, მის მდიდარ ძმაკაცებთან არ დაჯდეს სუფრასთან.

არა უშავს, ყველაფერს კი ვამჩნევ, მაგრამ არ ვიმჩნევ. დედამ მიმაჩვია ეკლესიაში სიარულს, კარგა ხანია მოძღვარი მყავს და ვიცი, რომ უფლისთვის ყველა თანასწორნი ვართ. ის მდიდარს და ღარიბს ერთმანეთისგან არ ასხვავებს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

## „ვინც ქალს სცემს, არც ცოლის ღირსია და არც — შვილის“

თქვენს ჟურნალში ერთი ახალგაზრდა ქალი წერდა, იძულებული ვარ, ექვსი თვის ორსულმა ქმარი მივატოვოო. მინდა, ამ ადამიანს გამოვეხმაურო და ვუთხრა, რომ მისი ქმარი არც შვილის ღირსია და არც — ცოლის. ვინც ცოლს სცემს, ეგეთები მხოლოდ ქალთან არიან მაგრები, გარეთ კი ლანდებივით დაიპარებიან.

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



Cyan Magenta Yellow Black

მადლი

# მართლმადიდებლური ფილმები, რომლებზეც არაქრისტიანებიც ტირიან

## რას უყვება პატრიარქი სტუმრად მისულ რეჟისორებს


ილია II

რამდენიმე ხნის წინ, აღდგომამდე, მარტის თვეში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სტუდია „გუთანის“ წევრები ესტუმრნენ და დოკუმენტური ფილმი „მიწის სჯული“ აჩვენეს. პატრიარქი აქვითინდა, მერე კი კურთხევა გასცა, ეს ფილმი ყველა ქართველმა ნახოს.

სტუდია „გუთანი“ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დააფუძნეს ლექსო გელაშვილმა და ზვიად სეხნიაშვილმა. ადრე ფილმებს, რომლებსაც იღებდნენ, არ ახმაურებდნენ, ხალხს ჩუმად აჩვენებდნენ, რადგან კარგად უწყოდნენ წინა ხელისუფლების არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული და ხალხის მიერ ნდობაგამოცხადებული ისეთი ინსტიტუტის მიმართ, როგორიც ეკლესიაა. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად საფრთხეც გაქრა და პატრიარქის კურთხევასაც — ფილმები ყველა ქართველმა ნახოს, წინ ვერაფერი დაუდგება.

სტუდიას სამხატვრო საბჭო ჰყავს. სამხატვრო ხელმძღვანელი რეზო ჩხეიძეა, გია ჭუბაბრია კი — მთავარი კონსულტანტი. სამხატვრო საბჭოს წევრები არიან აგრეთვე მამა თეოდორე კიკნაძე და პროფესორი ივანე ჯაფარიძე. ლექსო გელაშვილი და ზვიად სეხნიაშვილი რუსთავში ცხოვრობენ. ხშირად სტუმრობენ პატრიარქს და ბევრ საჭირბოროტო საქმეზეც საუბრობენ.

**ლექსო გელაშვილი**: მეუფე სტეფანეს მიწვევით მოვხვდით პატრიარქთან. უწმინდესმა გვითხრა მაშინ, მთავარია ქართველის გაქართველება, გაეროვნულებაო. ქვეყანაში ამ იდეის სრული უმოძრაობა იყო კინოში. 2008 წელს უწმინდესის კურთხევით შევქმენით კინოპროექტი „საქართველოს ხერხემალი“. გავაკეთეთ ფილმი „ქართული იდეა“. მოვიწვიეთ სკოლის დირექტორები, სპეციალისტები, ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობა, მოძღვრები და ფილმი მივიყვანეთ გარკვეულ კონდიციამდე. სკოლებში ვაჩვენეთ ბავშვებს და უნდა გენახათ, ცრემლებს როგორ იწმენდდნენ. ემოციური მომენტები — სასწაულები გვქონდა ჩართული. მაგალითად, ღვთისმშობლის ხატია შუშაზე გადასული და ამით იწყება ფილმი. მოძღვარი შუშის ორივე მხარეს წმენდს, მაგრამ შუშაში ღვთისმშობელია. ხატზე, რომლის ჩარჩოზეც ეს მინა იყო მიმაგრებული, სულ სხვანაირი ღვთისმშობელია გამოსახული და შუშაზე — სხვა. ერთად ფილმში ფარულად ჩავდეთ საგანმანათლებლო, შემეცნებითი გაკვეთილები, უწმინდესისა და ეპისკოპოსების ქადაგებები.

მეორე პროექტი იყო „დაჭრილი მზე“, რომლის თემაც დედაეკლესია გახლავთ და ამ ფილმის პრეზენტაციაზე მოვიწვიეთ მეუფე იოანე გამრეკელი. გაკურთხებთ, რომ სასწრაფოდ ჩაიტანოთ თბილისის სკოლებში და ყველას აჩვენოთო. პედაგოგებმა თავად შემოგვთავაზეს, მცირე თანხა გადმოერიცხათ ჩვენს ანგარიშზე, რომ ეს საქმე არ შეგვეწყვიტა. ზოგიერთმა სკოლამ გადაწყვიტა, მოსწავლეებს ჩვენთვის 33 თეთრი შემოეწირათ. მანამდე ჩვენს ფილმებს ყველა სკოლას უფასოდ ვურიგებდით. გადავედით რეგიონებზე. მერე კი ამ საქმეში ჩაება სტუდიის მთავარი რედაქტორი, ზვიად სეხნიაშვილი და მან ააწყო ეს საქმე.

**ზვიად სეხნიაშვილი**: რეგიონებში ბევრად მაღალია ქართული სული და ბევრად ფესვიანია, ვიდრე დედაქალაქი. ხალხი იქ უფრო მგრძნობიარეა ამ თემების მიმართ. პირველად დასავლეთ საქართველოში წავედი. ბინა ვიქირავე. რომ გაიგეს, რას ვაკეთებდი, ზოგმა გამათბობელი მომიტანა, ზოგმა — საკვები. ერთი თვის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონი მოვიარე. ძირითადად პედაგოგებზე ვმუშაობდით. თუ ქართველი ხარ, შეუძლებელია ამ ფილმებს ცრემლების გარეშე უყურო. სიმბოლური შესაწირებით იქმნებოდა მომდევნო ფილმები. ბოლოს კი იქამდე მივედით, რომ ყველა სკოლაში შევაღწიეთ და შევქმენით ქართული სკოლების მართლმადიდებლური ვიდეოთეკა. საქართველოში არ არის სკოლა, სადაც ჩვენი ფილმი არ არის შეტანილი. ისტორიისა და ქართულის მასწავლებლები აჩვენებენ მოსწავლეებს.

წელიწადში ორი ფილმით ვამარაგებთ სკოლებს. ვერ გადმოგცემთ, ბავშვები რა ემოციებით გვხვდებიან. ერთმა მშობელმა, რომელიც თავადაც სექტანტი იყო და მისი ორი შვილიც იმავე სექტაში იყო გაერთიანებული, გვითხრა, მე გწირავთ ჩემს ერთ შვილს, თქვენ ისეთი ფილმი ჩამოიტანეთ, სულზე

**„პატრიარქთან რომ მივიტანეთ ფილმი, რომელიც ემიგრაციაში მყოფ ქართველებზეა, უწმინდესი ბავშვივით აქვითინდა. გვითხრა, მსგავსი რამ ბევრი უნდა გადავიღოთ, რომ არავის გაუჩნდეს საზღვარგარეთ წასვლის სურვილიო. წუხს იქ მყოფ ქართველებზე და ამბობს, ცოტა ხნის მერე იმათ ქართველები აღარ ერქმევათო“.**

შეეხეთ მას, აღარ მემორჩილება, ტაძარში გაიქცა და სტიქარი ჩაიცვაო. ქიზიყში, ერთ სოფელში იყო პედაგოგი, რომელმაც პირჯვრის გადაწერაც კი არ იცოდა. დღეს კი, ჩვენი ფილმების გავლენით, ტაძარში დადის.

გარდაბანში, ყარაჯალაში, ერთ-ერთი სკოლის აზერბაიჯანელი დირექტორი ჩვენი ფილმების ყურებისას ტიროდა. ასპინძის რაიონის ერთ სოფელში სკოლის დირექტორმა, რომელიც წარმოშობით სომეხი გახლდათ, 100 ლარი შემოგვწირა. ვუთხარი, თქვენ ხომ სხვა კონფესიის წარმომადგენელი ხართ-მეთქი და მიპასუხა, რას მეუბნებით, ჩემი სამშობლო ეს არის და ვალდებული ვარ, აქაურ კულტურას პატივი ვცეო.

**— თქვენი ნამუშევრებიდან გამორჩეული ფილმია „მიწის სჯული“, რომლის ყველგან გავრცელების კურთხევაც, როგორც ვიცი, თავად პატრიარქისგან მიიღეთ.**

**ზვიადი**: პატრიარქთან რომ მივიტანეთ ეს ფილმი, რომელიც ემიგრაციაში მყოფ ქართველებზეა გადაღებული, უწმინდესი ბავშვივით აქვითინდა. გვითხრა, ამ ფილმით დიდი საქმე გაკეთდება, მსგავსი რამ ბევრი უნდა გადავიღოთ, რომ არავის გაუჩნდეს საზღვარგარეთ წასვლის სურვილიო. პატრიარქი წუხს იქ მყოფ ქართველებზე და ამბობს, თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხნის მერე იმათ ქართველები უკვე აღარ ერქმევათო. გვაკურთხა, რომ ყველა ქართულ ოჯახში შევიტანოთ ეს ფილმი. თითქმის ყველა რეგიონი მოვიარეთ, დიდ აჭარაშიც ვიყავით.

**ლექსო**: ჩვენი მთავარი მიზანია ქართველებს გავუღვივოთ სამშობლოს, მიწის სიყვარული, რომ ქართველს სურვილი გაუჩნდეს არა უცხოეთში წასვლის, არამედ — თბილისიდან სოფელში დაბრუნების. ვინც საქართველოს ტოვებს, საზღვარგარეთ ეტაპებს გადის. პირველი ეტაპი მონური ფსიქოლოგიაა — ნებისმიერ სამუშაოზე თანახმაა. მეორე ეტაპზე ეცნობა ადგილობრივ კულტურას. მესამე ეტაპზე აღმოაჩენს, რომ თურმე თავისი კულტურა არაფრით ჩამოუვარდება მათსას და უკვირს, რატომ გრძნობს თავს უხერხულად. მეოთხე ეპატზე კი გადალახა კრიზისი, ფულიც დააგროვა, თითქოს მოეხსნა ყველა პრობლემა, მაგრამ მერე იწყება სხვა — ენატრება მშობლიური მიწა. მსგავსი, პრობლემა ქართველის გარდა, არავის აქვს. ნიუ იორკში სასაფლაო არ არის, სადაც ქართველი არ არის დაკრძალული. ზოგს ფული არ აქვს, რომ გადმოასვენოს აქ, მაგრამ რეკავს და ითხოვს, ქართული მიწა გაუგზავნონ, რათა მიცვალებულს დააყარონ.

ცნობილ ფოლკლორისტს, ნიკო ნადირაშვილს, იქ დედა გარდაეცვალა. ჩაიტანა ქართული მიწა და დედის დაკრძალვის დროს პირობა დადო, სანამ ცოცხალი ვარ, ფულს შევაგროვებ, აქედან წაგასვენებ და ქართულ მიწას ჩაგახუტებო.

ყველა ემიგრანტი, ვინც ბრუნდება, თბილისში ყიდულობს ბინას. ჩვენს ფილმში ვაყენებთ საკითხს, რომ სოფლადაც შეიძინონ სახლები და მიწები. თუ მიწა არ დაბარე, არ გათოხნე, ისე სამშობლოს ვერ იგრძნობ. მათ საშუალება აქვთ, ტრაქტორი იყიდონ, მიწა მოხნან. ჩვენ, ყველა, უნდა ჩავებათ ამ საყოველთაო საქმეში. იმიტომ მიდიან, რომ საქართველოში ცხოვრება არაფერს მისცემთ, მწვერვალებს ვერ მიაღწევენ. ჩვენ ვაყენებთ განწყობის თეორიას ასე — იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, რას მომცემს მე საქართველო, არამედ იმაზე, თუ რას მივცემ მე მას. ყველამ უნდა ავიღოთ თოხები და ბარები და ქართული საქმის კეთება დავიწყოთ.

მე და ზვიადი ამერიკიდან ტირილით ჩამოვედით. იქ დაბადებული ქართველი ბავშვები ქართულს ვერ ფლობენ და რომ ეკითხები ეროვნებას, ამერიკელი ვარო, გპასუხობენ. მშობლები ამერიკელებად, ესპანელებად, გერმანელებად ზრდიან, რომ როგორმე მოარგონ იქაურობას. საგანგაშო სიტუაციაა. ვიტირეთ, რომ ვერაფრის გაკეთება შევძელით და გვინდოდა, სხვებსაც, ჩვენ მსგავსად, სინანულის ცრემლებით ეტირათ. ყველა სკოლაში, სადაც ვაჩვენეთ, მართლაც არ მახსოვს შემთხვევა, ვინმეს არ ეტიროს. პარტიარქმა სამჯერ იქვითინა ამ ფილმის გამო. ემიგრანტებმა კი პირობა დაგვიდეს, რომ პატრიარქის ცრემლების გამოძახილი იქნება მათი სამშობლოში დაბრუნება.

**— ამ გლობალიზაციის პერიოდში ბევრისთვის თქვენი სულისკვეთება ალბათ გაუგებარია, ბევრი ალბათ გაიცინებს კიდეც ამ ყველაფერზე.**

**ლექსო**: გორის ერთ-ერთ სკოლაში ერთმა გოგომ გვითხრა, ჩემი მშობელი საზღვარგარეთ იმიტომ მუშაობს, ფულს მიგზავნის, რომ



Cyan Magenta Yellow Black

კარგად ვისწავლოო. შენიშვნა მოგვცა, არასწორად გაქვთ დანახული ეს საკითხიო. მეც უნდა წავიდე, რადგან აქ არ მაქვს შანსი, რამეს მივაღწიოო. სხვა ყველა ამბობდა, მე აღარ წავალ უცხოეთში, ჩემს სოფელში დავრჩები და ჩემს მიწას მივხედავო. მხოლოდ მცირე პროცენტია, ვინც ჩვენი ფილმების ნახვის შემდეგ სხვაგვარად ფიქრობს. ცენტრალურ ტელეარხებზე, კინოთეატრებში ჩვენი ფილმების გაშვება აქამდე არც გვიფიქრია, რადგან პოლიტიკურად განვსაზღვრეთ, რომ მალე გაგვაჩერებდნენ. ამიტომ ჩუმად, სკოლებში ვაკეთებდით ჩვენს საქმეს.

**„იმ ადამიანმა, ვისაც მამა გაბრიელი გამოეცხადა, მამა გაბრიელის კარნახით რაღაც დაწერა. ეს ნაწერი მამა არჩილ მინდიაშვილმა პატრიარქს მიუტანა. გაბრიელ ბერი მეორე დღეს წმინდანად შერაცხეს".**

**ზვიადი**: სააკაშვილის მთავრობის დროს ყველა გვებრძოდა, მაგრამ, ღვთის მადლით, სკოლებში მაინც შევდიოდით, უფალი თავად გვეხმარებოდა. მცდელობა, რომ წინ აღგვდგომოდნენ, ჰქონდათ, მაგრამ არ გამოსდიოდათ. ზოგი პირდაპირ გვეუბნებოდა, მეშინია, ვერ შეგიშვებთო. ქუთაისის ერთ სკოლაში იელოველმა დირექტორმა თქვა, ვერ შეგიშვებთო და, სხვათა შორის, ერთ კვირაში მოხსნეს ის ადამიანი. ღმერთი თავად სჯის.

**— ახლა როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ ხელისუფლებისგან?**

**ზვიადი**: უკვე სხვა სიტუაციაა. დემოგრაფიულ პრობლემებზე ზრუნავენ, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებას შეგვპირდნენ... უკვე არის ნება ქართული საქმის კეთებისა. ადრე კი რა ბრძოლების გადატანა გვიწევდა, ვერც კი წარმოიდგენთ.

**ლექსო**: ადრე ვფიქრობდით, რომ რაც უფრო მალე გაიგებდნენ მაღალ ეშელონებში ჩვენ შესახებ, უფრო მალე გაგვაჩერებდნენ. მაგალითად, საგადასახადოს შემოუშვებდნენ, რაღაცეები არასწორად გვექნებოდა... ერთი სიტყვით, როგორც ხდებოდა. ნაწილობრივ იცოდნენ კიდეც ჩვენ შესახებ, მაგრამ იმიტომ არ გვაჩერებდნენ, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში არასოდეს ჩავრეულვართ და ჩვენი შეხედულება არ გამოგვითქვამს. ახლაც ასე ვართ, მაგრამ აღარ გვეშინია ჩვენი საქმის კეთების. გამგეობები შეგვპირდნენ, რომ დაგვეხმარებიან. ესწრებიან ჩვენს პრეზენტაციებს და ისინიც ტირიან. დიასპორის სამინისტრო ჩაება ჩვენს საქმეში და დიდ პრეზენტაციებს გეგმავენ. რაც შეეხება ტელევიზიას, „რუსთავი 2"-თან თვითონ არ ვიჭერთ კავშირს, რადგან მთლიანად ანტიქართულ პოლიტიკას ეწევიან. „პირველ არხს" ვთხოვეთ, მაგრამ თვითონ თქვეს უარი. „მეცხრე არხმაც" არ გვაღირსა პასუხი. ერთადერთი, „აჭარამ" და „ერთსულოვნებამ" გაგვიწიეს თანამშრომლობა.

**— პატრიარქი მუდმივად აღნიშნავს, რომ აწუხებს ემიგრანტების საკითხი. კიდევ რა პრობლემებს ეხება თქვენთან პირად საუბრებში?**

**ზვიადი**: დემოგრაფიული პრობლემა აწუხებს ძალიან. აბორტი, ნარკომანია, მიგრაციის საშინელი მასშტაბები უშლის ამას ხელს, მთელი საჯიშე თაობაა გასული. დემოგრაფიის მხრივ, იცით, როგორ ვართ? აზერბაიჯანი უკვე 5 მილიონით გვისწრებს, სომხებმაც გაგვასწრეს. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში უმცირესობაში ვიქნებით. ამ თემაზე სცენარი უკვე მზად გვაქვს. 15 ათასი ბავშვი დაიბადა მას შემდეგ, რაც პატრიარქმა საყოველთაო ნათლობა გამოაცხადა. საქართველოში მხოლოდ საჩხერეში იყო მატება ცნობილი მიზეზების გამო. ნაციონალები თავს გვაწონებდნენ, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლშია მატებაო. ხომ იცით, ვის ხარჯზეცაა მატება?! ქვემო ქართლში — აზერბაიჯანელების, ხოლო სამცხე-ჯავახეთში — სომხების ხარჯზე. ღმერთმა თავიანთ გზაზე გაუმარჯოთ, არავისი გვშურს, მაგრამ...

**— როგორც აღნიშნეთ, ფილმს სასწაულის ჩვენებით იწყებთ. ხშირად ხვდებით მსგავს სასწაულებს?**

**ლექსო**: მინაზე გამოსახულ ღვთისმშობელზე რომ მოგახსენეთ, ეს ერთ-ერთ ოჯახში მოხდა. წყლის წვეთები შენიშნა ხატზე და შუშა მოხსნა. მინაზე კი ხელთუქმნელი ღვთისმშობელი იყო გამოსახული. გაწმინდა, მაგრამ არ გაეცალა. მოძღვარს წაუღო, მამა ზურაბ გრიგალაშვილს, რომელმაც ჩვენთან ჩამოიტანა. სამი წელი ამ კადრებს არ ვაჩენდი. მართლმადიდებლობა არ ასწავლის ასეთი რამეების აჟიტირებას, მაგრამ მაინც გამოვიყენე ფილმში, რომ მაყურებელი ეკრანს მიჯაჭვოდა.

**— როგორც აღნიშნეთ, თქვენი მიზანია ქართველებს მიწის სიყვარული დაუბრუნოთ, მიწაზე მუშაობა გაახსენოთ. თავად თუ გეხერხებათ ბარვა და თოხნა?**

**ზვიადი**: საგურამოსკენ, სოფელ ჯილაურაში, დიდი მიწაა გამოყოფილი და ამ ვაზის ჯიშებია გამოყვანილი. ჩავედი და წამოვიღე უნიკალური ქართული ჯიშები. გავახარე 3 ჯიში — კახური მცვივანი, ხიხვი და დანახარული. ბოდბისხეველი ვარ და ერთი სული მაქვს, ჩემს ეზოში როდის გავახარებ ჩიტისთვალა ბოდბურის ჯიშს. შემპირდნენ, რომ მის ნერგს მომცემენ. უდიდესი და ულამაზესი მტევნები აქვს.



■ ზვიად სეხნიაშვილი და ლექსო გელაშვილი

უწმინდესის კურთხევაა, რომ ქართული მიწები ქართველებმა შევისყიდოთ. ყიდვის შესაძლებლობის რა გითხრათ, მაგრამ იჯარით გვინდოდა და აღმოჩნდა, რომ შირაქში მიწას ინდოელები აქირავებდნენ, ჰექტრობით აქვთ ნაყიდი. მერე ქართველებისგან ავიღეთ იჯარით მიწა და მზესუმზირა, ხორბალი დავთესეთ. მიწის მადლი კარგად ვიცით. ნანახი მაქვს, როგორ ტიროდა პაპაჩემი, მუხლებზე დაჩოქილი, სეტყვის დროს.

**ლექსო**: ჩვენს სტუდიას „გუთანი" შემთხვევით არ ჰქვია. მიწასთან გვაქვს საქმე და გვინდა, სხვებსაც შევაყვაროთ მშობლიური მიწა. ჩვენი დევიზი ილია მართლის სიტყვებია — „წინაპართა ნაფეხურები ღმერთამდე აღმართული კიბის საფეხურებია".

პატრიარქმა გვითხრა, თქვენი ფილმები არამხოლოდ საქართველოში მცხოვრებთა, არამედ ემიგრანტებშიც ოჯახებშიც უნდა შევიდესო. 200 დიასპორა ყოფილა და გვინდა, ქსელივით შევქმნათ რაღაც, რითიც ამ ფილმების მიწოდებას მოვახერხებთ.

**— გვიამბეთ, როცა საქართველოს პატრიარქს სტუმრობთ, როგორ გმასპინძლობთ, რას გიყვებათ.**

**ზვიადი**: ჩვენს პატრიარქზე გულიანი მასპინძელი ჯერ არ შემხვედრია. საოცარი ადამიანია. მე და ლექსო ვიყავით მასთან სტუმრად. ღვინო დაგვალევინა, გვეფერებოდა...

**ლექსო**: მაშინ ჯერ კიდევ სააკაშვილის დრო იყო. ნათელი არსაიდან ჩანდა, მზიანი ღამე იყო. ზვიადმა უთხრა, მთავარია ღმერთმა თქვენი თავი გვიმყოფოს კარგადო. უპასუხა, მე კი ვარ კარგად, მაგრამ გული თუ გაუძლებსო... მაშინ გვითხრა, ჩემი ახალგარდაცვლილი ძმა გამომეცხადა და ვუთხარი, რატომ არ ლოცულობ ჩემზე, ხომ ხედავ, როგორ მიჭირს, რა დღეში ვარო. გამახედა და დიდი ხატი დამანახა, სადაც უამრავი წმინდანი იყო გამოსახული და მითხრა, მხოლოდ მე კი არა, ყველა ესენი შენზე ლოცულობენ, ნუ გეშინიაო. გვითხრა, რაც იქ დავინახე, მინდა, ხატად იქცესო. ასე შეიქმნა „საქართველოს დიდების" ხატი, რომელიც სამებაშია დაბრძანებული. ესკიზი თვითონ შექმნა. თქვა, ეს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ხატი უნდა იყოსო. ეს ხატი 3 მილიონი დოლარი დაჯდა. როცა ამ ხატის შექმნის შესახებ პატრიარქმა პირველად თქვა, ჰკითხეს, კი, მაგრამ ვინ ჩაუდგება სათავეშიო. უპასუხა, ამას უკვე ჩაუდგნენ სათავეში და ეს მე ვარო. ესკიზი სად არისო, რომ ჰკითხეს, თქვა, ესკიზი აქ არისო და თავზე მიიდო ხელი.

ჩვენ გვქონდა კურთხევა — პატარა ესკიზი რომ შეიქმნებოდა, ვიღებდით. არქიმანდრიტი სერაფიმე ხელმძღვანელობდა ამ პროცესს. სულ მინანქარსა და ოქროშია ფირფიტები გაკეთებული. ბოლოს თანხა აღარ ჰყოფნიდათ. საჭამიასერში რომ ტაძარს აშენებს ნინო ახობაძე, ის ჩაუყენა სათავეში თანხების მოგროვებას. ამ ქალბატონს შვილი ავად ჰყავდა და უფალს შეჰპირდა, ოღონდ გადამირჩინე, ტაძარს აგიშენებო და აშენებს, უკვე სახურავიც დააფარეს. ნინომ ტირილი დაიწყო, მე რა თანხის შემგროვებელი ვარ, ჩემი ტაძარი ვერ დამიმთავრებიაო. პატრიარქმა უთხრა, ღმერთი მოგცემს, შენ ხომ გყავს ერთგული ხალხი, იმათაც ხომ ჰყავთ და ეს შესაწირი შენთან მოიყრის თავს, შენ კი ჩემთან მოიტანეო. მართლაც, ზოგი ოქრო-ბრილიანტს სწირავდა, ზოგი — ფულს. მერე ბიზნესმენებიც დაეხმარნენ.

**„ერთმა მშობელმა, რომელიც თავადაც სექტანტი იყო და მისი ორი შვილიც იმავე სექტაში იყო გაერთიანებული, გვითხრა, მე გწირავთ ჩემს ერთ შვილს, თქვენ ისეთი ფილმი ჩამოიტანეთ, სულზე შეეხეთ მას, აღარ მემორჩილება, ტაძარში გაიქცა და სტიქარი ჩაიცვაო".**

პატარკაციშვილის დამ გაიღო დიდი შესაწირი. პატრიარქმა თქვა, ეს ხატი რომ შეიქმნება, ივერიის გაბრწყინებას ჩაუდგება სათავეშიო. ჩვენთვის მცირე ტრაპეზზე აქვს ნათქვამი, ნუ გეშინიათ, სანამ საქართველოს სულ არ გავაერთიანებ, არ წავალ ამ ქვეყნიდანო.

**ზვიადი**: აფხაზეთის უნივერსიტეტში ჰქონდა შეხვედრა და იქაც გაიმეორა, ნუ გეშინიათ, ისე არ გავალ ამქვეყნიდან, საქართველო რომ არ გავაერთიანოო.

**ლექსო**: ერთ მრევლთაგანს მამა გაბრიელი გამოეცხადა და უთხრა, რომ დიდი წინსვლა უნდა დაიწყოს ყველა სფეროში, ეს ისეთ მასშტაბებს მიიღებს, ხალხი გაოცდებაო. იმ ადამიანმა, ვისაც მამა გაბრიელი გამოეცხადა, მამა გაბრიელის კარნახით რაღაც დაწერა. ეს ნაწერი მამა არჩილ მინდიაშვილმა პატრიარქს მიუტანა. გაბრიელ ბერი მეორე დღეს წმინდანად შერაცხეს.

✓ რუსუდან ადვაძე





Cyan Magenta Yellow Black

პოლიტიკა

# ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა ბაზაში უდისციპლინობის ბრალია?

## გიორგი თავდგირიძე:

## «ეს იყო მეთაურის შეცდომა, რომელმაც ვერ ამოიცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი»



სამი კვირის თავზე უკვე მეორედ გლოვობს საქართველო ავღანეთში დაღუპულ საჯიშე ვაჟკაცებს. 7 მკვდარი და 15 დაჭრილი — ეს მხოლოდ 6 ივნისის შედეგია, მანამდე იყო 3 დაღუპული და 27 დაჭრილი. ამას წინ უძღოდა ერთი ჯარისკაცის გაუჩინარება, რომელიც 3 დღის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს... ოფიციალური მონაცემებით, აისაფის მისიის შესრულებისას სულ 29 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, მაგრამ ყველაზე მასშტაბური ბოლო — 6 ივნისის ტერაქტი გამოდგა.

ელექტრონულ ჟურნალ „ჯიჰადის ხმის“ ინფორმაციით, ტერორისტმა აბდულ ღაფარმა ანგრაკ კარეზის ტერიტორიაზე მდებარე აისაფ-ის დიდი სამხედრო ბაზის შიგნით ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე სატვირთო მანქანა ააფეთქა. განადგურდა რამდენიმე ტანკი და სატრანსპორტო საშუალება.

ერთი დღით ადრე, 5 ივნისს, „იუთუბ“-ზე შოკისმომგვრელი ვიდეო აიტვირთა, სახელწოდებით „ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ“, სადაც თალიბანი იმუქრება, რომ მსგავსი ბედი მოელის თითოეულ ქართველს ავღანეთში და მათაც, ვინც ავღანეთის მიწაზე ისინი გაგზავნა. ვიდეო შეიცავს მუქარას საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ და ხაზგასმულია, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება.

კლიპში გამოყენებული კადრები და ატვირთვის ადგილი — თბილისი, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სააკაშვილის მომხრეებს ამ კადრების უკან „ოცნება“ დაენახათ,

> „სამხედრო ექსპერტებმა დავაყენეთ ალასანიას და გენშტაბის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, როცა ბაზიდან გავიდა ქართველი ჯარისკაცი და სამი დღის შემდეგ იპოვეს მოკლული. ეს ჩვენთვის უკვე იყო სიგნალი, რომ საქირო იყო რეაგირება".

„ოცნებას“ კი — ნაციონალების ხელწერა, საზოგადოების მცირე ნაწილს — რუსები, მაგრამ ყველა მხარემ გამორიცხა თალიბანის ხელი ამ საქმეში. ამიტომაც იმის გასარკვევად, ვინ იმუქრება, გამოძიება დაიწყო. გამოძიებაში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

სიტუაციის გაანალიზება „სარკემ“ სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძეს სთხოვა.

**გიორგი თავდგირიძე,** თადარიგის პოლკოვნიკი:

— პირველ რიგში, რაც შემაშფოთებელია, ეს არის დაღუპულთა რაოდენობა. ზოგი ამ ფაქტს დივერსიას ეძახის, ზოგი — თავდასხმას, მაგრამ შედეგი ერთია — აფეთქება მოხდა დაცულ პუნქტებზე. როცა ასეთი პუნქტები შენდება, ყურადღება ექცევა მდებარეობას, შემდეგ აღჭურვას სამხედრო თვალსაზრისით, ეს იქნება თავდაცვითი ზღუდეები, სანგრები, დამცავი ბარიერები... ამის შემდეგ კი ადგილმდებარეობის და სიტუაციის სირთულის გათვალისწინებით დგება წესებისა და ნორმატივების ერთობლიობა, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს ბაზის უსაფრთხოება. ეს შეიძლება იყოს საყარაულო სამსახური ან სათვალთვალო ტექნიკა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მოულოდნელი თავდასხმების ეფექტს არც განიხილავენ, რადგან ბაზა ისეა მოწყობილი, რომ ის მზად არის, ნებისმიერ დროს გაუმკლავდეს მოწინააღმდეგეს. კარგად დააკვირდით, ეს არის ადგილი, სადაც ჯარისკაცი ისვენებს, უიარაღოა, ანუ ბაზის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. სწორედ ამის გათვალიწინებით, შემაშფოთებელია ის შედეგი, რაც დადგა — ერთ შემთხვევაში 3 დაღუპული და 27 დაჭრილი და მეორე შემთხვევაში 7 დაღუპული და 9 დაჭრილი.

> „ჩემთვის გაუგებარი იყო გენშტაბის უფროსის მოადგილის პოზიცია, რომ ეს იყო მოულოდნელობის ეფექტი. მოულოდნელობა — ეს არის ისტორიკოსების მიერ მოგონილი სიტყვა, მაგრამ სამხედროებისთვის ეს არის მეთაურის შეცდომა, რომელმაც ვერ ამოიცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი".

იმასაც ვიტყვი, რომ პატრულირების დროსაც კი დაჭრილი ან დაღუპული ჯარისკაცი არის უსაფრთხოების ზომების უხეში დარღვევის შედეგი და ეს ფასდება ასე — ან ოპერაცია იყო არასწორად დაგეგმილი, ან სწორად კი დაიგეგმა, მაგრამ შესრულების დროს არ იქნა დაცული უსაფრთხოების ზომა. თუ რატომ იქნა დაშვებული შეცდომა, აქ არის კიდევ ორი პასუხი — ან იყო ფატალური მოვლენების დამთხვევები, რის მიმართაც ადამიანი უძლური აღმოჩნდა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ან დაშვებულ იქნა შეცდომა.

— **ვატყობ, მეორე ვერსიისკენ იხრებით.**

— ასეა, ჩვენ, სამხედრო ექსპერტებმა, დავაყენეთ ალასანიას და გენშტაბის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, როცა ბაზიდან გავიდა ქართველი ჯარისკაცი და სამი დღის შემდეგ იპოვეს მოკლული. ეს ჩვენთვის უკვე იყო სიგნალი, რომ საჭირო იყო რეაგირება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბაზიდან ამ დროს გასვლა წესების უხეში დარღვევაა. ეს კი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბაზაზე დისციპლინის პრობლემაა. თავდაცვის მინისტრს აქვს ორი მოვალეობა — ერთი, განახორციელოს თავდაცვის პოლიტიკა და მეორე, ის არის საზოგადოების წარმომადგენელი თავდაცვის უწყებაში და უნდა შეაფასოს მუდმივად, რა ხდება შეიარაღებულ ძალებში. ის არის ჩვენი თვალი. იმ ერთი ფაქტით ჩვენთვის, ექსპერტებისთვის, შედეგი ლოგიკური იყო.

— **იქნებ დაგვიკონკრეტოთ.**

— აგიხსნით. ბაზა ოთხივე მხრიდან არის დაცული ორმეტრიანი ქვიშიანი ტომრებით, ანუ თავდასხმის ყველაზე მეტი საფრთხე მოდის კომუნიკაციის ხაზზე, ანუ საიდანაც შედის და გამოდის ადამიანი. ესეც იდეაში ორგანიზებულია ისე, რომ საფრთხე მინიმუმამდე დავიდეს. უნდა ყოფილიყო პირველი პუნქტი, სადაც ვიზუალურად ხედავ, ვინ მოდის. ვინც უნდა იყოს ის, უნდა გაჩერდეს და კონტაქტი დაამყაროს პირველ პუნქტთან. ამის შემდეგ არის მეორე ზღუდე, ანუ ბარიერები — ზიგზაგი ან სხვა რამე. ანუ თუ პირველი კონტაქტი არ იქნა, თავდამსხმელი მაინც იძულებულია, სვლა შეანელოს. მისი დაბალი სიჩქარე აძლევს პირველ პუნქტს შესაძლებლობას, მეორე პუნქტს აცნობოს. მან კი, ერთი მხრივ, გადაკეტოს შესვლის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, იქ მყოფები ჩააყენოს საბრძოლო მდგომარეობაში. ამ ბარიერის გადალახვის შემდეგ მეორე პუნქტზე ხდება საბუთების, ადამიანების და მანქანის შემოწმება, ხომ არ გადააქვს რაიმე საეჭვო ნივთი. აქ ასევე დგება აქტი, რომ ის შეამოწმეს და დადგინდა, რომ უსაფრთხოა. მხოლოდ ამის შემდეგ შედის პირი ტერიტორიაზე და იქაც მას უნდა ჰყავდეს გამყოლი, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს.

ეს ყველაფერი ქმნის უსაფრთხოების სისტემას, მაგრამ ამის შემდეგ არის თავდაცვის სისტემაც. ანუ შეიძლება ვიღაცამ შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და იწყებს ბაზაზე შეღწევას. ამ დროს არის დანაყოფი, რომელიც სპეციალურ შენობაში იმყოფება და, როცა ხედავს, რომ ვიღაც იწყებს თვითნებურად გადაადგილებას, ანადგურებს. პარალელურ რეჟიმში კი არსებობს ქვედანაყოფი, რომელსაც საბრძოლო აღჭურვილობა თან არ აქვს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში წამებში ხდება მათი მობილიზება. ეს ყველაფერი არის მარტივი, მაგრამ ამავე დროს ეფექტური უსაფრთხოების თვალსაზრისით და თუ ეს ყველაფერი კარგად მუშაობს, წარმოუდგენელია ის შედეგი, რაც დადგა.

გეტყვით, ამ ყველაფერს რატომ გიხსნით. როგორც გაცხადებული ვერსიიდან ჩანს, სატვირთო მანქანამ მიაღწია გამშვებ პუნქტამდე და აფეთქდა. დაიბნენ ჯარისკაცები. ამის შემდეგ თავდამსხმელები შევიდნენ ბაზაზე და დაიწყეს სროლა (გულისხმობს მაისში მომხდარ ტერაქტს. ავტ.). ასეთია თავდაცვის უწყების ვერსია. კარგი, გარღვევა მოხდა უსაფრთხოების ზოლის, მაგრამ სად იყო თავდაცვის ზღუდე?

— **ამ ტერაქტის გამოძიება არ მოხდა?**

— ჩვენ გვითხრეს, რომ იქ ექსპერტები იძიებენ, აქაც მიდის გამოძიება, მაგრამ გადის სამი კვირა და იგივე განმეორდა, უფრო სავალალო შედეგით. ამას თვითმკვლელის გაკეთებულს დაარქმევ თუ სხვა რამეს, ფაქტი ერთია, კარგად შეიარაღებულ ბაზას ერთ

> „ჯარისკაცი მიდრეკილია, რომ რაღაც დაარღვიოს, თუნდაც ტყეში რომ მიდის და კენკრას ჭამს, ჰგონია, რომ ეს უსაფრთხოა, მაგრამ, ნორმატივით, ეს აკრძალულია. ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდი ჯარისკაცია, უბრალოდ მას მუდმივად სჭირდება ყურადღება".

შემთხვევაში — ხუთმა კაცმა, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთმა კაცმა უდიდესი ზიანი მიაყენა. ამას არანაირი გამართლება არ აქვს. ჩემთვის გაუგებარი იყო გენშტაბის უფროსის მოადგილის პოზიცია, რომ ეს იყო მოულოდნელობის ეფექტი. მოულოდნელობა — ეს არის ისტორიკოსების მიერ მოგონილი სიტყვა, მაგრამ სამხედროებისთვის ეს არის მეთაურის შეცდომა, რომელმაც ვერ ამოიცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი. აქვე იმასაც დავამატებ, რომ მცდელობა ჰქონდა გენშტაბს,



Cyan Magenta Yellow Black

ეს ამერიკელებისთვის მიეტმასნათ, მაგრამ ამერიკელები პასუხს აგებენ თავიანთ ბაზებზე, ჩვენები კი — ჩვენსაზე. ამერიკელებს ევალებათ სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემა, მაგრამ არა ის, მანქანა მოგადგა და, აბა, შენ იციო.

**— ალასანიას პოლიტიკური პასუხისმგებლობას ისევ აყენებთ?**

— რა თქმა უნდა. როცა სამხედრო საქმეში ასეთი რამ ხდება და არ ხდება დასჯა, შესაბამისად ის ვერ ახორციელებს პარტიის თუ ალიანსის თავდაცვის პოლიტიკას და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დგება. თუ ალასანიას არ ჰყოფნის პოლიტიკური ნება, რომ პასუხი აგოს და გადადგეს, მაშინ ალიანსმა უნდა დააყენოს საკითხი. თუ ალიანსი აიღებს პასუხისმგებლობას და იტყვის, ვიცით, შეცდომა იყო, მაგრამ ეს კადრი ამ თანამდებობაზე გვჭირდებაო და ამის შემდეგ კიდევ მსგავსი განმეორდება, პასუხისმგებელი ალიანსი იქნება.

**— თქვენი აზრით, რა ვერ გააკეთა ალასანიამ, რა არის მისი სუსტი წერტილი?**

— როცა მოვიდა, უნდა გაეკეთებინა შეფასება, რა დახვდა. მერე კი დაედგინა, რანაირი არმია უნდოდა და ამის მერე უნდა გაკეთებულიყო გეგმა, როგორ გადასულიყო დღევანდელიდან სასურველზე. ჯარი ისევ ისე მუშაობს, როგორც ადრე, უბრალოდ დისციპლინა შემცირებულია. ალასანია საზოგადოებას ესვრის რაღაც იდეებს, რომლებიც პოპულარულია და რაც არსებითია, ისე რჩება. ვინ მისცა ალასანიას უფლება, ჩვენი შვილების სიცოცხლე და უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დააყენოს?! ჯარში დისციპლინა — ეს არის უმთავრესი!

**— რატომ შეიძლებოდა გასულიყო ბაზიდან ჯარისკაცი, რა ვერსია გაქვთ?**

— შეიძლება ადგილობრივ მოსახლეობასთან იმაზე ახლო ურთიეთობა ჰქონდა, ვიდრე საჭირო იყო.

**— ცხელ წერტილებში მყოფებიდან მართლაც ხშირად მსმენია, რომ ადგილობრივებთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ეს დარღვევაა?**

— ჯარისკაცი მიდრეკილია, რომ რაღაც დაარღვიოს, თუნდაც ტყეში რომ მიდის და კენკრას ჭამს, ჰგონია, რომ ეს უსაფრთხოა, მაგრამ, ნორმატივით, ეს აკრძალულია. ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდი ჯარისკაცია, უბრალოდ მას მუდმივად სჭირდება ყურადღება.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გახშირდა ავღანეთში ქართველების მიმართ აგრესია?**

— ქართველების მიმართ — არა, ბაზის მიმართ, სადაც იპოვეს სუსტი წერტილი. მათ არ აინტერესებთ, ქართველი იქნება თუ ბრიტანელი.

**— მუქარის შემცველ კლიპებზე რა აზრი შეგექმნათ?**

— ალბათ უფრო ქართული რომელიღაც დაჯგუფების გაკეთებულია, რათა გაალვივოს ნატო-ს საწინააღმდეგო განწყობა. სამწუხაროდ, ჩვენთან არიან ძალები, რომელთაც არ აქვთ იდეოლოგია ჩამოყალიბებული და ახლა ცდილობენ, საზოგადოების განწყობაზე თამაშს. ზოგი ამერიკაში მასონს ხედავს და რუსეთია მისთვის სიკეთის წყარო. ასეთი ჯგუფები არსებობს და რას ვიზამთ, მთავარია, მათ რაიმე ქმედებები არ დაიწყონ. მსჯელობის დონეზე კი აქვთ აზრის გამოხატვის უფლება.

**— კლიპში ჯვაროსნებთან პარალელის გავლება თვალშისაცემი იყო, რაც თალიბანის მიერ გავრცელებულ მუქარებში საერთოდ არ ფიგურირებს.**

**„ამბობენ, ტერიტორია რუსებმა კი წაგვართვეს, მაგრამ ცუდად რომ მოვიქეცით, იმიტომო. ასეთი ბავშვური მსჯელობები სირცხვილია. ნატო არის ერთადერთი, მაგრამ არა ისე, ოღონდ მიგვიღე და ყველაფერს ვიზამთო. უნდა იყოს ვალდებულებების განაწილება".**

— სწორედ ამიტომ ვერ ვიჭერ ამ კლიპების რაიმე კავშირს თალიბანთან, მათ ჯვაროსნები არც შეხებიათ. თალიბანისთვის მთავარია მშრალი ტექსტი და დეკლარირება თავისი მიზნის.

**— 26 მაისს სააკაშვილის ვიზიტი ავღანეთში ქართულ ბაზაზე შეიძლებოდა ყოფილიყო აგრესიის ერთ-ერთი საბაბი?**

— შეიძლება ცალკეული ადამიანებისთვის ყოფილიყო, მაგრამ მთავარია, მის აგრესიას შენ როგორ ხვდები. ყოველთვის მზად უნდა იყო, რომ მოიგერიო.

**— პრობლემა ჯარისკაცების მომზადებაშიც გვაქვს?**

— დიახ, ასეა, ხარისხი დაეცა.

**— მაგრამ ხომ ასწავლიან, ამაში უცხოელებიც არიან ჩართული.**

— უცხოელები უხსნიან, მაგრამ რას იგებენ, სხვა საკითხია. თარჯიმნების პრობლემაც არის. აქ დგას ხელმძღვანელობის კომპეტენცია!

**— ამ ეტაპზე შესაძლებელია ავღანეთში ქართული მისიის კონტინგენტის შემცირება?**

— რადგან ამხელა ტვირთი ავიღეთ, უნდა გავაკეთოთ. დღეს წონიანი ფიგურა ივანიშვილია. მან უნდა უთხრას საზოგადოებას, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენი უსაფრთხოება შესაძლებელია ორი გზით: პირველი, გყავდეს შეიარაღებული ძალები მზად, მოიგერიო გამოწვევები და მეორე, უსაფრთხოების საგარეო დახმარება. ავღანეთში 600-700 კაცი ალბათ საკმარისი უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა პატიოსანი დამოკიდებულება, მაგრამ... ავღანეთში ჩვენი ყოფნით ამერიკა და ნატო-ს სხვა წევრი ქვეყანა ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში ჩვენც დაგვეხმაროს, მაგრამ რას იზამს, ეს უკვე სხვა საქმეა.

**— რატომ ნატო?**

— ჩემთვის ნატო-ს ალტერნატივა არ გააჩნია. ვილაცეები მას განიხილავენ რუსეთისგან თავდაცის საშუალებად, რაც არასწორია. რუსეთი ხვალ შეიძლება თვითონ გახდეს ნატო-ს წევრი. საფრთხეები არსებობს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, ხვალ რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე მოხდეს დემოგრაფიული ნახტომი, არავინ იცის, ეს ნაკადი საითკენ დაიძვრება. ეს საფრთხე ჯერ არ არის, მაგრამ მაგალითად, გერმანიაში ამაზეც ფიქრობენ, მარტო დაპყრობა კი არ არის საფრთხე.

კატაკლიზმები რომ მოხდეს და გამოიწვიოს მეზობელი ქვეყნების გალატაკება, არ ვიცით, ისინი რას იზამენ, რომ თავი გადაირჩინონ. ასეთ შემთხვევაში ნატო არის იდეალური საშუალება, რადგან ის არ არის მხოლოდ სამხედრო ბლოკი, ის ასევე არის სამხედრო-პოლიტიკური და ამიტომ ეკონომიკური ბმებიც სხვანაირი აქვს.

საუბარი, ნატო არ მიგვიღებს და იქ ბოროტებააო, არ ეკადრება პოლიტიკოსს. მან უნდა დამაჯეროს მისი ალტერნატივის უკეთესობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსები მოსახლეობას უარყოფით ემოციებს გადასცემენ. ხალხს ახსოვს ნატაშა და არ ახსოვს ნატო. ამბობენ, ტერიტორია რუსებმა კი წაგვართვეს, მაგრამ ცუდად რომ მოვიქეცით, იმიტომო. ასეთი ბავშვური მსჯელობები სირცხვილია. ნატო არის ერთადერთი, მაგრამ არა ისე, ოღონდ მიგვიღე და ყველაფერს ვიზამთო. უნდა იყოს ვალდებულებების განაწილება და საზოგადოება ამაზე უნდა მსჯელობდეს და არა იმაზე — შევიდეთ თუ არა. უფრო სიღრმეებში უნდა შევიდეთ.

# ზურაბ აბაშიძე: „ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების ყოფნა არის ვიზა ნატო-ში“

„ავღანეთში ჯარების შეყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება — ეს იყო დანაშაული მთელი ერის წინაშე. ჩვენ ავღანეთში არავითარი ინტერესი არ გვაქვს. არც სამხედრო და არც ტერიტორიული. ის მოსაზრება, რომ ნატო-ში ავღანეთის მისიის გარეშე არ მიგვიღებენ, ტყუილია“; „ავღანეთში მყოფი ქართველი სამხედროები ოკუპანტები არიან“; „სააკაშვილის მთავრობამ ჩვენი ბიჭები საზარბაზნე ხორცად აქცია“... — მსგავსი მოსაზრებები სოციალურ ქსელებში მას შემდეგ მომრავლდა, რაც სამშვიდობო მისიას ავღანეთში კიდევ 7 ქართველი შეეწირა. თანამოქალაქეების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ საკითხი — გვჭირდება თუ არა ნატო-სკენ ასეთი დანაკარგით სვლა, საზოგადოებაში ეჭვქვეშ დადგა.

აისაფ-ის მისიის პოლიტიკურ ასპექტებზე „სარკესთან“ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ვიცესპიკერი **ზურაბ აბაშიძე** საუბრობს:

— პირველ რიგში, მინდა, მივუსამძიმრო ყველა დაღუპულის ოჯახს. ემოციურად ყველას ძალიან გვიჭირს, მაგრამ ის, რომ ჩვენი საბრძოლო შენაერთები იქ არიან, არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. ეს ბიჭები შეეწირნენ სახელწიფოს, საქართველოს მომავალს. სწორედ ეს დეტალია მნიშვნელოვანი, რომ ყველამ კარგად გავიაზროთ ეს საკითხი. ნატო-ში ჩვენი გაწევრება — სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის. ნატო-ზე უკეთესი მსოფლიოს ჯერ არაფერი გამოუგონებია. ამიტომ მათთვის, ვინც კარგად ვხედავთ, საით უნდა წავიდეს სახელმწიფო, ეს არის მთავარი გზა და მისკენ სწრაფვა არის ჩვენი პოლიტიკური მიზანი. გასაგებია, რომ ამას ბევრი სკეპტიკურად უყურებს, ემოციაც დიდია, →18

ჩემს მეგობარს, შოთა აბრამაშვილს
დაუდგინდა ლეიკემიის მწვავე ფორმა, მკურნალობისთვის აუცილებელია დიდი თანხა
გთხოვთ, დაეხმაროთ!



დარეკეთ 0901900908
(ზარის ღირებულება 1 ლარი)
საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
მიმღები პირი: ABRAMASHVILI SHOTA
ანგარიშის
ნომერი: GE44BG0000000257652000

მესმის ეს ყველაფერი, მაგრამ ამაში ჩვენი მონაწილეობა, ვიმეორებ, არის ძალიან მნიშვნელოვანი. იმას, იქ იქნება 500-ით მეტი ან ნაკლები ჯარისკაცი, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ იქ არიან ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც მოქმედებენ წინა ხაზზე.

**— იმ სკეპტიკოსებს შორის პოლიტიკოსებიც არიან, ვინც ფიქრობენ, რომ ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან იქ, სადაც მათი ადგილი არ არის.**

— ვინც ამაზე ასე საუბრობს, ან არ ესმის საკითხი, ან უნდა, სხვანაირად წარმოაჩინოს თემა, ან უბრალოდ ელექტორატზე ფიქრობს. ჰგონია, რომ ამის წინააღმდეგ თუ წავა, ეს რაღაცას მიანიჭებს. პირდაპირ გეტყვით, ჩვენი იქ მონაწილეობა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ სახელმწიფო იყოს უსაფრთხო. ნატო-ს არაწევრი ქვეყნებიდან ამ მასშტაბით ამ მისიაში ჩართული არავინ არის, ამიტომ ეს არის ჩვენთვის სწორედ ის ვიზა, რომ ძალიან მალე გავხდებით ევროატლანტიკური ალიანსის ნაწილი და შემდგომ ჩვენი მონაწილეობა ასეთ მისიებში უფრო სავალდებულო იქნება. ვიმეორებ, მძიმეა ემოციურად, რომ ჩვენი ჯარისკაცები დაიღუპნენ, მაგრამ ეს არის ის, რაც აუცილებელია და ამას ცოტა სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ისიც ვაღიაროთ, რომ გეოპოლიტიკურად ჩვენ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია.



**„ნატო-ზე უკეთესი მსოფლიოს ჯერ არაფერი გამოუგონებია. ამიტომ მათთვის, ვინც კარგად ვხედავთ, საით უნდა წავიდეს სახელმწიფო, ეს არის მთავარი გზა და მისკენ სწრაფვა არის ჩვენი პოლიტიკური მიზანი".**

**— პოლიტიკოსთა ნაწილი და ექსპერტები ქართული სამხედრო კონტინგენტის კორექტირების აუცილებლობაზე საუბრობენ.**

— საუბრები ძალების კორექტირებაზე ან იმაზე, რომ შეიძლება არ იყვნენ წინა ხაზზე, ანუ სადაც მეტი საფრთხეა და ა.შ., შეიძლება. კამათიც დასაშვებია, მაგრამ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და მის მომავალს იქ ყოფნა რომ სჭირდება, ეს უდავოა.

**— ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია კორექტირებაზე საუბარი?**

— შეფარდებით, ვისაც ჰყავთ პატარა კონტინგენტი წარმოდგენილი ამ მისიაში, მათაც სერიოზული დანაკლისები აქვთ. ავღანეთში ჯარის რაოდენობით ჩვენ მეოთხე ადგილზე ვართ — ამერიკის, ბრიტანეთის, გერმანიის შემდეგ. სხვა სახელმწიფოებს, მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს, შედარებით ნაკლები ჯარი ჰყავთ წარმოდგენილი, მაგრამ დანაკლისი არ აქვთ ნაკლები. 2014 წლამდე ისედაც დაგეგმილია ამ კონტინგენტის შემცირება და გამოყვანა. ხვალვე რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, გამოგვყავს ჯარიო, ასე მარტივად ვერ მოხდება. როცა პოლიტიკოსი ხარ, უნდა გესმოდეს, რომ ასეთი საკითხები არ კეთდება ერთი ხელისმოსმით. წინა ხელისუფლებამ კი აიღო ვალდებულებები, მაგრამ ჩვენ ამაში სოლიდარულები ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს სწორია სახელმწიფოსთვის. ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები იღებენ, მაგრამ, სამხედრო თვალსაზრისით, იქ უკვე სპეციალისტები მუშაობენ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სამხედროები გამოირჩევიან სიმამაცით, ბრძოლისუნარიანობით და მაღალი პროფესიონალიზმით.

**— 2014 წელს, ანუ სულ რამდენიმე თვეში, ისედაც მცირდება და გამოდის ჯარი ავღანეთიდან. რატომ დაიწყო ამ მისიის საწინააღმდეგო კამპანია ახლა და ასე ღიად?**

— ისიც ვთქვათ, რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების პირობებში. როცა ჩვენი ჯარისკაცები იღუპებოდნენ (მართალია, მაშინ ასეთი მასშტაბური არ იყო, მაგრამ მაინც ხდებოდა), ეს ძალიან გასაიდუმლოებული იყო. არ ცხადდებოდა გლოვის დღეები, ამ საკითხს მალავდნენ, ფუთავდნენ, რომ საზოგადოებაში ვნებათაღელვა არ გამოეწვია. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში. სწორედ ეს არის დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი, რომ არ ვმალავთ არაფერს.

ადამიანურად, ემოციურად, ყველასთვის მძიმეა, ყველას გვიჭირს, როცა ასეთ პრობლემებს ვაწყდებით, მაგრამ სახელმწიფოები ასეა მოწყობილი. ჩვენ ამის ნაწილი უნდა ვიყოთ, სხვა არჩევანი არ გვაქვს, უფრო სწორად, სხვა არჩევანი უფრო მძიმე იქნება, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენი ვექტორი ჩრდილოეთისკენ უნდა წავიდეს. ამაზე საუბარი არ მინდა, რადგან არ მესმის, ვერ ვხედავ და ვერც დავინახავ ვერასოდეს.

**— საზოგადოებასა და ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების გარკვეულ ნაწილში დარწმუნებული არიან, რომ ეს ახალი მსხვერპლი 26 მაისს ავღანეთში სააკაშვილის ვიზიტთან არის დაკავშირებული, რომლის კადრებიც ტელევიზიით გავრცელდა. იქ სააკაშვილი ჯარისკაცს ესაუბრება, რამდენი კაცი მოკალიო. თქვენ თუ ხედავთ ამ ორ ფაქტს შორის კავშირს?**

— საზოგადოებას ლეგიტიმური უფლება აქვს, ასე იფიქროს, რადგან მისი საუბრები, რაც იყო ღია ეთერში გადმოცემული და არ იყო დამონტაჟებული, არ იყო სწორი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ მომწონს სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, როგორც პრეზიდენტი და იცით კიდეც ჩვენი მკაფიო დამოკიდებულება მისი და მისი გუნდისადმი, არ იქნება სწორი ეს ერთმანეთთან კონსპირაციულად დავაკავშიროთ. ვერ ვხედავ კავშირს, რომ ასე პირდაპირ, ხელაღებით ვთქვა, მაგრამ ზოგადად ყველაფერი ერთმანეთთან რაღაც მიზეზობრივ კავშირში არის და შეიძლება იყოს კიდეც. ახლა რა ვიდეოებიც გავრცელდა (გულისხმობს ჯიჰადის მუქარას საქართველოს მიმართ. ავტ.), შემიძლია წამოვწიო ეს თემა და ვთქვა, რომ ეს საერთოდ სააკაშვილმა დაამზადა და გაავრცელა-მეთქი, მაგრამ ხომ არ შეიძლება ასეთ კონსპირაციებსა და შეთქმულებებზე გადავიდეთ?

**„ავღანეთში ჯარის რაოდენობით ჩვენ მეოთხე ადგილზე ვართ — ამერიკის, ბრიტანეთის, გერმანიის შემდეგ".**

კიდევ ერთხელ ვამბობ, საზოგადოებას აქვს უფლება, არ მოსწონდეს სააკაშვილი. ითქვა, რომ სიძულვილია მის მიმართ. მართალია, არის და ეს სიძულვილი თვითონ მოიმკა, ეს ყველაფერი სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ თვითონ შექმნეს, რადგან თვითონვე დაუპირისპირდნენ საზოგადოებას. ის, რაც ახლა ხდება, ეს არის მათი ნამოქმედარის უკუქცევა.

**— თქვენ როგორ აფასებთ საქართველოსა და სააკაშვილის მიმართ ინტერნეტით გავრცელებულ მუქარას?**

— არ შეიძლება ასეთ საკითხებზე კატეგორიული ვიყოთ. საუბრობენ ჩვენი ოპონენტები, გინდა თუ არა, ეს კლიპები საქართველოში დამზადდაო. მე ვერ ვიქნები ასეთი კატეგორიული, რადგან ამაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება, ამაში ჩართული არიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომელთაც ამ მიმართულებით ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. მხოლოდ გამოძიების შედეგების დადების შემდეგ შეიძლება პოლიტიკური დასკვნების გაკეთება. მანამდე კი უნდა დაველოდით გამოძიებას.

**„როცა ჩვენი ჯარისკაცები იღუპებოდნენ, ეს ძალიან გასაიდუმლოებული იყო. არ ცხადდებოდა გლოვის დღეები, ამ საკითხს მალავდნენ, ფუთავდნენ, რომ საზოგადოებაში ვნებათაღელვა არ გამოეწვია. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში".**

**— ბატონო ზურაბ, გავრცელდა მოსაზრებაც, რომ სამ კვირაში ზედიზედ ორი ტერორისტული აქტი ქართულ ჯარში არსებული უდისციპლინობისა და დაუდევრობის შედეგია. ამ მოსაზრებას საფუძველი აქვს?**

— ექსპერტთა ის ნაწილი, რომელიც დღეს ამაზე საუბრობს, პირდაპირ გეტყვით, რომ არიან ის ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ სურვილი, ყოფილიყვნენ რაღაცეების მონაწილეები, წარმოდგენილი სამხედრო ნაწილში და ხელმძღვანელობას მათთვის ეკითხა რაღაცეები. ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ამიტომ ვიღაცა პირადი წყენებისა და პირადი ამბიციებიდან გამომდინარე საუბრობს, რაც, მე ვფიქრობ, არ არის სწორი.

**— ანუ გამორიცხავთ, რომ ჯარში მართლაც რაღაც პრობლემები იყოს ამ კუთხით? ერთ-ერთმა ისიც კი მითხრა, ირაკლი ალასანიას ორგანიზატორული ნიჭი აკლიაო.**

— ალასანია არის ერთ-ერთი გამოცდილი ადამიანი, ვინც მე მინახავს ცხოვრებაში, როგორც სამხედრო კუთხით, ისე სპეცსამსახურების მიმართულებით და დიპლომატიაში. ვინც მასზე ასე საუბრობს, ეტყობა, თვითონ აკლია რაღაც გამოცდილება და მე ვერ გავაკეთებ კომენტარს მათ გამონათქვამებზე. რა თქმა უნდა, ექსპერტებს აქვთ უფლება, ილაპარაკონ, მაგრამ მეორეა შედეგები, საით მიდის ქვეყანა და როგორ ვითარდება ჩვენი შეიარაღებული ძალები. ის, რაც ადრე ხდებოდა, იყო უმსგავსობა და დღეს გვაქვს სახელმწიფო, სადაც გვყავს ღირსეული თავდაცვის მინისტრი და გვყავნან ღირსეული ჯარისკაცები, რომელთა საქმიანობაც არის დაფასებული. სოციალური საკითხებიდან დაწყებული სხვა დეტალებით დამთავრებული, ყველაფერი კეთდება. სამხედროების ხელფასები იზრდება, ვეტერანი სამხედროების პენსიები გაზრდილია და თუ ვინმე ექსპერტს, ეგრეთ წოდებულს, უნდა, რომ უფრო ღრმად გაერკვეს ამ საკითხში, მოვუწოდებ, რომ ამითაც დაინტერესდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# სოზარ სუბარი: „სასჯელაღსრულების სისტემა გაადამიანურდა და ახლა შეიძლება წავიდე“

## „პრეზიდენტის შეწყალებით გათავისუფლებულებიდან 7 პროცენტი უკვე შემობრუნებულია ციხეში, უდო–ს კომისიიდან — მხოლოდ 1,5 პროცენტი“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი თანამდებობიდან წასვლაზე ფიქრობს. ამის შესახებ პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილთანაც უსაუბრია, მაგრამ პრემიერი მის გათავისუფლებას, უფრო სწორად, სხვა თანამდებობაზე გადაყვანას არ ჩქარობს. რატომ აღარ უნდა ამ სისტემაში დარჩენა ყოფილ სახალხო დამცველს და საით მიუწევს გული? „სარკე“ სოზარ სუბარს ამ და სხვა თემებზე ესაუბრა.

— **ბატონო სოზარ, 8 თვეა, ამ თანამდებობაზე ხართ. რომ შეაჯამოთ განვლილი პერიოდი, რისი გაკეთება მოასწარით?**

— მთავარი გაკეთდა — სისტემა გაადამიანურდა. მოიშალა სისტემა, რომელიც პატიმარს ადამიანად არ მიიჩნევდა და სისასტიკეს და პატიმართა წამებას აღიარებდა მართვის ერთადერთ მეთოდად. პარალელურად, სულ რაღაც 7 თვის განმავლობაში უამრავი რამ გაუმჯობესდა. მაგალითად, 2011 წელს 144 კაცი გარდაიცვალა ციხეში, ანუ ყოველ 2-3 დღეში ერთი კაცი კვდებოდა. ბოლო წლების განმავლობაში ყოველწლიურად ყოველ 10.000 კაცზე 65-დან 72-მდე პატიმარი კვდებოდა. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ და სამჯერაც კი აღემატებოდა საშუალო ევროპულ ან ამერიკულ მაჩვენებელს, სადაც ყოველი 10.000 პატიმრიდან წელიწადში დაახლოებით 24-დან 30-მდე კაცი კვდება.

ჩვენ წელს ერთი პატიმრის მკურნალობაზე დანახარჯი დაახლოებით 4-ჯერ გავზარდეთ — წელიწადში 160 დოლარიდან თითქმის 700 დოლარამდე და ამით შევძელით უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. შედეგად, წელს 5 თვეში ციხეებში სულ 11 ადამიანი გარდაიცვალა, ანუ დაახლოებით იმდენი, რაც მანამდე თვეში კვდებოდა. ეს მაჩვენებელი ზუსტად ჯდება საშუალო ევროპულ და ამერიკულ მაჩვენებელში (26 კაცი წელიწადში) და ორჯერ ნაკლებია, ვიდრე სიკვდილიანობა სამოქალაქო სექტორში, სადაც, იმავე ასაკობრივ კატეგორიაში, ყოველ 10.000 კაცზე წელიწადში დაახლოებით 51 კაცი კვდება.

— **რას უკავშირებთ ასეთ ცვლილებებს?**

— იმას, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა პატიმრის მკურნალობას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ამას დაემატა ისიც, რომ 60-მდე ადამიანი გავიდა აქტირებით, ესენი არიან პატიმრები, რომელთა მკურნალობა ციხეში შეუძლებელია. ბოლო 4 წელიწადში აქტირებით არც ერთი ადამიანი გაუშვიათ, ჩვენ კი 60-მდე ადამიანი უკვე გავუშვით, ზოგი — ავადმყოფობის და ზოგიც ხანდაზმულობის გამო. და კიდევ ერთი, რაც იწვევდა სიკვდილიანობას, იყო წამება და ძალადობრივი სიკვდილი. ყოფილი სახალხო დამცველის მოხსენებაში დაფიქსირებულია, რომ სააკაშვილის დროს, მინიმუმი, 8 პროცენტი იყო ძალადობრივი სიკვდილი. ეს 8 პროცენტი 144-დან 12 კაცია, რომლებიც მოკლულ იქნენ ან ადმინისტრაციის, ან პატიმრების მიერ და არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის. ამას ემატებოდა ისიც, რომ არ მკურნალობდნენ ისეთ გადამდებ დაავადებას, როგორიცაა ცე ჰეპატიტი. პრაქტიკულად რევოლუციაა, რომ ვიწყებთ ცე ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამას. შემდეგი ეტაპი იქნება ამ პროგრამის გავრცელება სამოქალაქო სექტორზე.

ტუბერკულოზის მკურნალობაც სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობდა. დაავადებულებს ხშირად ჯანმრთელებთან ათავსებდნენ საკანში, რაც ზრდიდა მისი გავრცელების რისკს. დღეს ამ მიმართულებითაც სერიოზული გარღვევა გვაქვს. ასევე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაგვხვდა ცარიელი კედლები და თანამშრომლები ყოველგვარი აპარატურის გარეშე. შევიძინეთ ახალი აპარატურა, გვაქვს მოლაპარაკება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან და საავადმყოფო მალე აღიჭურვება საუკეთესო ტექნიკით.



მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საბოლოოდ დაიხურა მე-19 საუკუნის გადმონაშთი — ორთაჭალის №1 საპყრობილე, რემონტდება ბათუმის ციხე. №16 დაწესებულება მალე გადაიქცევა რეაბილიტაციის, სწავლებისა და დასაქმების ზონად. რეალურად ამოქმედდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, ამუშავდა ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების რეაბილიტაციის, გადამზადებისა და დასაქმების პროგრამები...

— **ცვლილებები კვებასაც შეეხო? ციხეებში საშინელი საკვები იყო.**

— კვება ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. ადრე პატიმართა უმრავლესობა ციხის საკვებს ვერ ჭამდა და სურსათს ციხის მაღაზიებში ყიდულობდა. არადა ერთი პატიმრის კვებაზე 90 ლარი იყო გამოყოფილი თვეში. ამ თანხის ნახევარზე მეტს უბრალოდ იპარავდნენ. წარმოგიდგენიათ კორუფციის მასშტაბი? წელიწადში დაახლოებით 26 მილიონი ლარიდან ნახევარს იპარავდნენ. ამას დაუმატეთ ციხის მაღაზიები, სადაც ყველაფერი ძვირი იყო, არადა საჭმელს, თეთრეულს, სიგარეტს, ხილს, ყველანაირ პირველადი მოხმარების საქონელს, მათ შორის, ჰიგიენის საშუალებებსაც, მხოლოდ იქ ყიდულობდნენ. ესეც კორუფციისა და პატიმართა ოჯახების გაფცქვნის დაკანონებული გზა იყო. ჩვენ კვება გავაუმჯობესეთ და ფასი იგივე დავტოვეთ. მაღაზიებზეც ტენდერი გამოვაცხადეთ და მოიგო ერთ-ერთმა სუპერმარკეტების ქსელმა.წინასწარ გვაქვს დადებული ხელშეკრულება, რომ ის ვერ დაადებს იმაზე მეტ ფასს, რა საცალო ფასებიც აქვს გარეთ.

**„როცა დავინიშნე, პირველი სწორედ ე.წ. „მაყურებლებთან" დავიწყე ბრძოლა. ამას მოჰყვა არეულობები რუსთავსა და ქსანში. 5 თანამშრომელი გავათავისუფლე ქსნის მე-15 დაწესებულებიდან იმიტომ, რომ ისინი თანამშრომლობდნენ „მაყურებლებთან".**

— **ამ ცვლილებებს რამდენი კადრი „შეეწირა“?**

— 600-მდე ადამიანია გათავისუფლებული, ისინი, ვინც იყვნენ გარეული პატიმართა წამებაში ან უბრალოდ ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს. ეს იყო პირველი ეტაპი. ახლა გამოვაცხადეთ კონკურსი და მიმდინარეობს ჯერ სამედიცინო პერსონალის განახლება, მერე კი ეტაპობრივად მოხდება სხვა პერსონალის სრული განახლება.

— **კარგია, როცა ასეთ დადებით ინფორმაციებს ვისმენთ, მაგრამ, სამწუხაროდ, პარალელურად ვრცელდება ინფორმაციები ციხის ისევ „გაშავებაზე“, ძველი კანონების დაბრუნებაზე.**

— და როდის არ იყო „შავი“? როცა დავინიშნე, პირველად სწორედ ე.წ. „მაყურებლებთან“ დავიწყე ბრძოლა. ამას მოჰყვა არეულობები რუსთავსა და ქსანში. საქართველოს პარლამენტმა ახალი მთავრობა 25 ოქტომბერს დაამტკიცა და ეს არის (მაჩვენებს დოკუმენტს. ავტ.) 14 ნოემბრით დათარიღებული ჩემი დასკვნა, როდესაც 5 თანამშრომელი გავათავისუფლე ქსნის მე-15 დაწესებულებიდან, იმიტომ რომ ისინი თანამშრომლობდნენ „მაყურებლებთან“, ჩხრეკის დროს აფრთხილებდნენ მათ, „ობშიაკი“ გადამალეთო.

— **ამბობენ, რომ აზარტული თამაშები და ფულის შეგზავნაც გაათამაგდა.**

— საფუძველი?

— **ამაზე პატიმართა მშობლები, მოსახლეობა საუბრობს. გასაკვირი იყო პატიმრის მიერ პრემიერისთვის პირდაპირ ეთერში დარეკვაც.**

— მან დარეკა ციხის ტელეფონიდან იმ პერიოდში, როცა ჰქონდა დარეკვის უფლება და რადგან გაბედა დარეკვა, უკვე ნიშნავს, რომ არ ეშინია კანონიერი ქმედებების. ადრე კი ვინმეს გაებედა მსგავსი რამ!.. იმ პატიმარს აინტერესებდა, უდო-ს კომისია, სანამ საქმეს განიხილავს, პატიმრებს რატომ არ ხვდებაო. სწორი კითხვაა და მართლაც ამ გზით ვაპირებთ სიარულს, მაგრამ ასე უცებ გაკეთება შეუძლებელია. ეს მეთოდი უკვე დაინერგა არასრულწლოვნებში, ამ თვეში ვიწყებთ მის დანერგვას ქალთა დაწესებულებაში, მაგრამ მთლიანად ამ რეჟიმზე ჯერ ვერ გადავალთ.

ერთ ისტორიასაც მოგიყვებით: როდესაც სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, მე, როგორც ჟურნალისტმა, რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში სააკაშვილი პირდაპირ ეთერში დავაკავშირე რამდენიმე პატიმარს და მათ კითხვებს გასცა პასუხი. მაშინ ეს არავის მიუჩნევია რაღაც წარმოუდგენელ ამბად.

— **საინტერესოა სტატისტიკა — დროზე ადრე გათავისუფლებულებიდან რამდენი პროცენტი შებრუნდა უკან.**

— პრეზიდენტის შეწყალებით გათავისუფლებულებიდან 7 პროცენტი უკვე შემობრუნებულია ციხეში, ხოლო უდო-ს კომისიიდან — მხოლოდ 1,5 პროცენტი. ასეთი თვალსაჩინო განსხვავებაა. ლაპარაკია ერთსა და იმავე პერიოდზე.

— **როგორ ვთქვა და, პატიმარს სულ არ სჭირდება დღეს სპეციალური ნება, რომ დარეკოს. როგორც ამბობენ, მობილურები თავისუფლად იშოვება ზონაში.**

— კი, ტელეფონები არის და ვებრძვით ამას. წელს უკვე 34 ტელეფონი ამოვიღეთ. ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა — აქამდეც წელიწადში დაახლოებით 100-120 ტელეფონის ამოღება ხდებოდა. ეს პრობლემაა ყველგან, მთელ მსოფლიოში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 2010 წელს ამოიღეს 4.461 მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით და 4.325 სიმბარათი — მობილურის გარეშე. ირლანდიაში კი ტელეფონებმა ეპიდემიის ხასიათი მიიღო, ყოველ 3 პატიმარზე 2 ტელეფონია, ხოლო სომხეთში, სადაც არის 5.000-მდე პატიმარი, წელიწადში 3.000-მდე ტელეფონის ამოღება ხდება. →20

რასაც ვერ პოულობენ, ის კიდევ სხვაა.

სააკაშვილის ხელისუფლების მტკიცება, თითქოს მაშინ არც ტელეფონი იყო ციხეში, არც ნარკოტიკი შედიოდა და არც პატიმრებს შორის ჩხუბი ხდებოდა, საბჭოთა მოქალაქის ცნობილ განცხადებას ჰგავს, საბჭოთა კავშირში სექსი არ არისო, რომ ამტკიცებდა. მთელ მსოფლიოში, ყველა ციხეში არიან ლიდერები, რომელთაც პოსტსაბჭოთა ტიპის ქვეყნებში „მაყურებელსა“ და „კანონიერ ქურდს“ ეძახიან, სხვაგან — სხვა რამეს. მთავარია, ასეთ მანკიერებებთან ბრძოლა არ შეწყვიტო, თორემ დანაშაული ყველგან ხდება. მაგალითად, 2013 წლის აპრილში აშშ-ში ქალაქ ბალტიმორის სასჯელაღსრულების დაწესებულების 13 თანამშრომელი ქალი „შავ პარტიზანთა“ კლანის ლიდერთან, 36 წლის ტევონ ვაითთან კავშირში დაადანაშაულეს. მათ ბრალი ედებათ ფულის გათეთრებაში, კორუფციულ გარიგებებში, ციხეში ნარკოტიკული ნივთიერებებისა და მობილური ტელეფონების შეტანაში. მათგან 4 ოფიცერი ქალი ვაითისგან დაორსულდა, მათ შორის ერთ-ერთი — ორჯერ. გამოძიების მიხედვით, კლანის ლიდერი ოფიცერ ქალებს ფულით, ძვირფასი სამკაულებითა და ავტომანქანებით ასაჩუქრებდა. ორმა მათგანმა ტევონის სახელი საკუთარ სხეულზეც კი ამოისვირინგა. ტევონ ვაითმა სატელეფონო ინტერვიუში ისიც კი განაცხადა, რომ ბალტიმორის ციხე მას ეკუთვნის, სადაც მისი ყოველი სიტყვა კანონია, იგი თვითონ არის კანონი და ყველას მას ემორჩილება. და ეს ხდებოდა ბალტიმორში, ვაშინგტონიდან 30 წუთის სავალზე!

**— მოდით, თვალი არც იმ ვერსიებზე დავხუჭოთ, რაც ამ ბოლო დროს პრესაში აქტიურად ვრცელდება. პირველი, რაც უშუალოდ ციხეს უკავშირდება, ეს არის მირზა სუბელიანის თემა. ამბობენ, რომ იმაში, რაც ხდება ციხეში, დიდ როლს სწორედ ის თამაშობს.**

— გენინსპექციის ხელმძღვანელი რომ გარკვეულ როლს არ თამაშობდეს, დღესვე გავუშვებ სამსახურიდან.

**— უარყოფით როლზეა საუბარი, ბატონო სოზარ.**

— ეს არის კადრი, რომელმაც აღმოაჩინა არაერთი დამნაშავე და პატიმრების მწამებელი. დღეს რომ სისტემა ასეთი კადრებისგან ძირითადად გაწმენდილია, ამაში დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის.

**— მაგრამ ამბობენ, რომ ისიც ანალოგიურს ჩადიოდა ერთ დროს, ანუ სანამ „ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში.**

— თქვენზე რომ თქვას ვინმემ, ქვეყნის მთავარი ტრეფიკიორიაო, იქნება ეს სერიოზული ბრალდება? ფაქტების გარეშე არ შეიძლება ადამიანს დანაშაული დააბრალო.

**— კადრებად სულ ნათესავები მოიყვანაო...**

— ეს არის ტყუილი!

**— არც ჯგუფელი დაუნიშნავს?**

— დანიშვნით თანამდებობებზე მე ვნიშნავ და არა — სხვა ვინმე. ლამის ნახევარი საქართველო, ვინც კი თანამდებობაზე იყვნენ — ირაკლი ოქრუაშვილი, ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი და სხვები, ერთმანეთის ჯგუფელები არიან და რა ვქნათ, ავუკრძალოთ მუშაობა საჯარო სამსახურში? მათგან დღეს ზოგი ოპოზიციაშია და ზოგიც — ხელისუფლებაში.

**— ბრაზდებით, მაგრამ მაინც გკითხავთ. დაიწერა, რომ სუბელიანი ერთ ღამეში გაათავისუფლეთ და აღადგინეთ.**

— ჰოდა, მოითხოვეთ შესაბამისი ბრძანებები, ეს საჯარო ინფორმაციაა.

**— ანუ კონფლიქტი მასთან არ გაქვთ?**

— დავუძახო? ასე ირაკლიზეც თქვეს (ირაკლი კორძაია, პრესცენტრის ხელმძღვანელი. ავტ. ), მაგრამ აგერ არის.

**— მაშინ ვინ გიყრით ასეთ ხმებს?**

— ეს თქვენ გაარკვიეთ, ჩაატარეთ ჟურნალისტური გამოძიება.

**— არც პრემიერთანაც დაგეძაბათ ურთიერთობა?**

— ესეც მორიგი ჭორია.

**— გავრცელებული ხმებით, რომელიც თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუს ეყრდნობა, პოსტიდან წასვლა გინდათ და ამაზე პრემიერთანაც გისაუბრიათ.**

— მიმაჩნია, რომ ამ სისტემაში ბევრი რამ გავაკეთე და რაღაც დონეზე მისია შევასრულე.

**— გინდათ თქვათ, რომ თავი ამოწურეთ ამ თანამდებობაზე?**

— არა, რა თქმა უნდა, უბრალოდ მთავარი გამოწვევა, სისტემის გაადამიანურება, გაკეთებულია, მაგრამ გასაკეთებელი ამ სისტემაში ყოველთვის ძალიან ბევრი იქნება.

**— ანუ სხვაგან გადასვლაზე მართლა ფიქრობთ.**

— არა, უბრალოდ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ არ მიმაჩნია სწორად ის დამოკიდებულება, რაც საქართველოში ლამის ტრადიციად იქცა — კაცი რომ დაინიშნებოდა თანამდებობაზე,

**„წელს ერთი პატიმრის მკურნალობაზე დანახარჯი დაახლოებით 4-ჯერ გავზარდეთ — წელიწადში 160 ლარიდან თითქმის 700 ლარამდე და ამით შევძელით უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა".**

იმავე დღიდან მას ეუფლებოდა განცდა, რომ ის იმ სკამისთვის დაიბადა და იმ სკამზე უნდა მომკვდარიყო. ჩვენი გუნდის წევრებს ნამდვილად არ გვაქვს ამგვარი განცდა. ჩვენ საქმეს ვუყურებთ, როგორც მოვალეობას, როგორც სამსახურს ხალხის წინაშე. ამის ხაზგასმა მინდოდა, როცა ვთქვი, რომ მთავარი მისია შევასრულე და ამას მოჰყვა ეს მითქმამოთქმა.

**— სხვა რომელ სფეროში ხედავთ საკუთარ თავს?**

— ძნელი სათქმელია, მაგრამ სხვა მხრიდან შევხედოთ საკითხს. გუშინ სახლში რომ მივედი, მეუღლემ წამაკითხა ბავშვის ნაწერები. მეორე კლასშია. მშობლებზე დაუწერია სკოლაში რაღაც თემა და მამაზე მხოლოდ ერთი წინადადება ეწერა — ძალიან ბრაზიანიაო. აქამდეც მქონდა ეს განცდა, მაგრამ ახლა უფრო გამიორმაგდა, რომ საჭიროა მეტი დრო გავატარო ოჯახთან.

**— ციხემ გაგაბრაზათ ასე? რომ არ გკითხოთ დაღუპულ პატიმარ კორტავაზე, არ იქნება სწორი. ოჯახი ისევ ჩივის, რომ 24 წლის ახალგაზრდა წამებით მოკლეს.**

— მე რაც უნდა ვთქვა, ტენდენციური მოეჩვენებათ, რადგან შემთხვევა ჩვენს სისტემაში მოხდა. ამიტომაც იყო ჩვენი სურვილი, რომ გამოძიება წაეღო პროკურატურას, გარე უწყებაა და მის მიმართ მეტი ნდობაა. პროკურატურა გამოაქვეყნებს ფაქტზე სრულ ინფორმაციას. ძალიან მტკივნეულია, როცა 24 წლის ახალგაზრდა გარდაიცვლება, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მსგავსი ტრაგედიებისგან დაზღვეული ვიქნებით სადმე, იქნება სამოქალაქო სექტორი, ციხე, ჯარი თუ სხვა.

**— ექვს გარდაცვალების ორი ვერსიის გავრცელება ამძაფრებს.**

— გეთანხმებით, ეს იყო დიდი შეცდომა. ვერსია, რომ გარდაცვალება კიბეზე დაგორებამ გამოიწვია, პრესცენტრში დაწესებულებიდან გამოგზავნილია 23 მაისს, მაშინ, როცა 13 მაისს ჩვენ უკვე ვიცოდით მეორე, უფრო რეალური ვერსიის შესახებ. პრესსამსახურის თანამშრომელმა ეს არ იცოდა და, რადგანაც მე ადგილზე არ ვიყავი, გაავრცელა არასწორი ინფორმაცია. როგორც კი ვნახე, სასწრაფოდ შევაცვლევინე განცხადება, მაგრამ უკვე გვიანი იყო. დაწესებულების დირექტორიც და მოადგილეებიც უკვე გათავისუფლებული არიან. მეტს ამ ეტაპზე, გამოძიების დასრულებამდე, ვერაფერს ვიზამთ.

**— სანამ მოვიდოდი, რადიოთი მოვისმინე, რომ ქუთაისში პატიმრებმა თავი მიიჭედეს პროტესტის ნიშნად, ზუგდიდში დაგვაბრუნეთო.**

— ეს ადამიანები თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევენ, პრეტენზიები აქვთ გამოძიებასთან. სად გადავიყვანთ და როგორ, ეს უკვე ადმინისტრაციის გადასაწყვეტია. თუ ჩავთვლით, ზუგდიდში გადაყვანა ჯობია, გადავიყვანთ, მით უმეტეს, რომ ძიება იქ მიდის. რაც შეეხება თვითდაზიანებებს, ეს ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია ყველგან, მთელ მსოფლიოში. მაგალითად, 2012 წელს თვითდაზიანების 23.153 ფაქტი დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში. ეს ნიშნავს, რომ დღეში 70-მდე ასეთი ფაქტი ხდება. იქაც რომ ისე მოიქცნენ, როგორც ჩვენი ჟურნალისტები იქცევიან, „ბიბისი“-ზე, ამის გარდა, სხვა სიუჟეტი ვერ გავა.

**— ანუ არ გაგაშუქოთ?**

— თავისთავად თვითდაზიანების ფაქტი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ამის მიზეზი. შეისწავლეთ და, თუ სერიოზული თემაა, კი, ბატონო, გააშუქეთ. ზოგადად, ძალიან რთული სისტემაა და უამრავი წყალქვეშა დინებაა, რაც ასევე უნდა გაითვალისწინოთ გაშუქების დროს. მაგალითად, ამას წინათ სამი ბავშვის სიცოცხლე ძლივს გადავარჩინეთ. თვითდაზიანებები მიიყენეს, რაღაც ნივთებიც გადაყლაპეს. ძალიან მარტივი მოთხოვნა ჰქონდათ და, თუ დავუკმაყოფილებდით, ამ ფაქტს თავიდან ავირიდებდით — ისინი ითხოვდნენ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას, სადაც იმ პერიოდისთვის ორი კანონიერი ქურდი იყო. უნდოდათ, მათ შეხვედროდნენ. არჩევანი რთულია — ამჯერად კი გადავარჩინეთ სამი ახალგაზრდის სიცოცხლე, მაგრამ ყოველთვის შევძლებთ? ოჯახის წევრები, პრესა, უფლებადამცველები — ყველა ჩვენ დაგვიპირისპირდება. მაგრამ, მიუხედავად ასეთი საფრთხეებისა, არ დავაკმაყოფილებთ მსგავს მოთხოვნებს, რადგან ეს იქნება აღიარება, რომ სისტემას ჩვენ კი არა, სხვა მართავს.

**— ამიტომ გაიხსენეთ ბაჩო ახალაიას მართვის მეთოდები? (ბატონმა მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ შეიძლება ამხელა ციხეები მართო, თუ ბაჩოს მეთოდებს არ გამოიყენებო. ავტ.)**

— ფრაზები კონტექსტიდან მოწყვეტით არ უნდა განვიხილოთ. სააკაშვილი აშენებდა ქვეყანას, სადაც არ იყო სასამართლო, არ იყო სიტყვის თავისუფლება; პროკურატურა იყო პოლიტიკური ნების განმახორციელებელი; სკოლებში მანდატური უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, ვიდრე მასწავლებელი და დირექტორი, ერთად აღებული; საკუთრების უფლება შელახული იყო... ასეთ ქვეყანას კი გულაგის სტილის ციხე სჭირდებოდა, სხვანაირად ვერ მართავდნენ. ჩვენ მივდივართ ევროპული გზით და არც ასეთი ციხეები გვჭირდება და არც ამ სისტემით მართვას ვაპირებთ. ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, წელიწადნახევარში გვექნება აბსოლუტურად გამართული ევროპული დონის ციხეების სისტემა.

**— ასეთ ევროპულ ციხეში მერაბიშვილი ისევ ტელევიზორის გარეშე იქნება? როგორც ვიცი, ამის უფლება აქვს.**

— კანონი ტელევიზორის მიცემას არც გვავალდებულებს და არც გვიკრძალავს. დანარჩენი ადმინისტრაციამ უნდა გადაწყვიტოს. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, ამაში არ ვერევი. არჩევნებამდეც ბევრი პატიმარი ითხოვდა ტელევიზორს სრულიად კანონიერად, მაგრამ მაშინ ასეთი მოთხოვნაც კი სასტიკად ისჯებოდა.

**— ტელევიზორი ბაჩო ახალაიასაც არ ჰქონდა თავიდან. რამდენ ხანში დაუდგით?**

— არ მახსოვს. ასეთი დეტალები არ არის მინისტრის საქმე. გადაწყვეტს დაწესებულების დირექტორი. თუ დისკრიმინაციას ექნება ადგილი, მაშინ ჩავერევი.

**✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**



Cyan Magenta Yellow Black

# 20 წლის ბიჭის მკვლელობა, რომელსაც გამოძიება თვითმკვლელობად ასაღებდა

## 5 წლის წინ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის დეტალები

რამდენიმე ხნის წინ „სარკეს" შვილმკვდარი დედა, ნანა ადამაშვილი დაუკავშირდა, რომელმაც გვთხოვა, მისი ვაჟის მკვლელობის გაუხსნელი საქმე გაგვეშუქებინა. საუბარია 5 წლის წინანდელ ტრაგედიაზე, რომელიც თბილისში იმ დროს გახმაურებული ისტორია იყო.

2008 წლის 26 დეკემბერს ვაკის პარკში 20 წლის მიხეილ ქობლიანიძე საკუთარ ავტომობილში მოკლული იპოვეს. ახალგაზრდა კაცი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით იყო გარდაცვლილი. საქმე თავიდანვე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა, რასაც გარდაცვლილის ოჯახის წევრები არ ეთანხმებოდნენ და საკუთარი ძალებით ცდილობდნენ სიმართლის დადგენას, მაგრამ ბევრ წინააღმდეგობას წააწყდნენ. როგორც ქობლიანიძეების ოჯახი ყვება, შემთხვევის ადგილას არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერი გამოძიებამ დანაშაულის დაფარვის მიზნით გაანადგურა. ოჯახს ეჭვი აქვს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი რომელიღაც მაღალჩინოსნის შვილი იყო და სწორედ ამის გამო საქმის ძიება სწორი მიმართულებით არ მიმდინარეობდა.

მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ ოჯახის დიდი ბრძოლის შედეგად და საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, თვითმკვლელობა გადაკვალიფიცირდა და მისი გამოძიება მკვლელობის მუხლით წარიმართა, თუმცა საქმე დღემდე გახსნილი არ არის, არც მოწმეები არიან დაკითხული და არც ეჭვმიტანილები.

მკვლელობას წინ შემდეგი ფაქტები უძღოდა: მიხეილ ქობლიანიძე თავის ნათესავს, ვაკო გაგნიძეს, რომელსაც, სავარაუდოდ, ვიღაც ბიჭებთან პრობლემა ჰქონდა, საქმის გასარკვევად თავისი ავტომობილით ვაკის პარკში გაჰყვა. იქ კი მათ მეორე მანქანით რამდენიმე ბიჭი დახვდა. ამის შემდეგ მიხეილი მანქანაში მკვდარი იპოვეს.

მიხეილის მამა, დავით ქობლიანიძე, 1995 წლიდან 2003 წლამდე ჯერ გორის გამგებლად, შემდეგ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილედ მუშაობდა. ვარდების რევოლუციის ის უკვე გუბერნატორი იყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თანამდებობა თავისი სურვილით დატოვა და მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად რუსეთში წავიდა. საქართველოში გათხოვილი ქალიშვილი და ვაჟი დატოვა. მკვლელობის დროს ცოლ-ქმარი საქართველოში არ იმყოფებოდნენ. ვერსიას, რომ მკვლელობა შესაძლებელია მამის იმჟამინდელ საქმიანობას უკავშირდებოდეს, ოჯახის წევრები გამორიცხავენ. „სარკეს" მიხეილ ქობლიანიძის დედა, **ნანა ადამაშვილი** ესაუბრა.

**— ქალბატონო ნანა, გაიხსენეთ, რა მოვლენები ხდებოდა თქვენი შვილის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე?**

— ჩემი შვილი თბილისში 10 თვის მოყვანილ ცოლთან, დასთან და სიძესთან ერთად ცხოვრობდა. იმ დღეს სიძის, გოგას და ჩემი შვილის გარდა, ყველანი დაბადების დღეზე იყვნენ წასული. მიშას საღამოს 8-ის ნახევარზე ვესაუბრე, სახლში იყო და არსად გასვლას აპირებდა. მასთან მეორეჯერ დაახლოებით 10 საათზე დავრეკე, ზარი გადიოდა, მაგრამ არ მპასუხობდა. პანიკაში ჩავვარდი. სიძემ მითხრა, მიშა ვაკო გეგიძეს გაჰყვაო. ვაკო ჩემი დეიდაშვილის შვილია. ეს ბიჭი იმ დროისთვის 18 წლის იყო, მიშა კი — 20-ის. ჩემი შვილი ვაკოს გამო გაუგებრობებში სხვა დროსაც მოხვედრილა. ვაკოს გაჰყვაო, რომ გავიგე, ძალიან შემეშინდა. მივხვდი, რომ რაღაც მოხდა. ამის შემდეგ მიშას ძებნა ყველგან დავიწყეთ.



■ მიხეილ ქობლიანიძე

როგორც ვიცი, ვაკო ჩემს შვილს მკვლელობამდე 5 დღით ადრეც ეძებდა. იმ დონეზე შეაწუხა, რომ მიშა მას ტელეფონზე აღარ პასუხობდა, ამ ამბავს მამაჩემიც შეესწრო. პაპამისს უთხრა, აღარ შემიძლია, ამ ვაკო გეგიძემ თავი მომაბეზრაო. მკვლელობის წინა დღესაც ვაკო თავის მეგობართან ერთად მიშას ეძებდა, მაგრამ ის სახლში არ იყო და ვერ ნახა. ტრაგედიის დღეს ვაკო ჩვენს სახლთან თავის მეგობართან ერთად მოვიდა. მიშა მათ სანახავად ქვემოთ ჩავიდა. კორპუსის წინ მდებარე ერთ-ერთი კომპანიის ვიდეოკამერამ დააფიქსირა, რომ მიშა ვაკოს და მის მეგობარს შეხვდა და მანქანაში ჩასხდნენ. ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, რომ ისინი არსად წასვლას აპირებდნენ, რადგან მიშა საჭის მხარეს არ დამჯდარა. ავტომობილში დაახლოებით ნახევარი საათი საუბრობდნენ, შემდეგ გადმოვიდნენ. ვაკო და მისი მეგობარი ფეხით არაყიშვილის ქუჩისკენ წავიდნენ, მიშა კი — სახლის სადარბაზოსკენ. ამ დროს მან თავის სიძესთან რამდენჯერმე დარეკა, თუმცა მან ვერ უპასუხა, რადგან ტელეფონზე საუბრობდა. როგორც ჩანს, მიშას სიძისთვის უნდოდა, ეთქვა, რომ ცოტა ხნით გადიოდა.

**„სადაც მკვლელობა მოხდა, საკმაოდ ბევრი კამერა იყო, მაგრამ ვიდეოჩანაწერები მოსპეს. საქმეში ჩვენი, ანუ მშობლების, როგორც დაზარალებულების, განცხადებაც კი არ არის. თითქოს არ ვჩიოდით, საქმის დახურვასაც კი აპირებდნენ".**

ჩანაწერში ჩანს, ის უკან ბრუნდება, მანქანაში ჯდება და ვაკის პარკისკენ მიდის. როგორც ჩანს, გზაში მან ვაკო და მისი მეგობარი ჩაისვა. ფალიაშვილზე არსებულმა კამერამ მიშას მანქანა დააფიქსირა, რომელიც ძალიან სწრაფად მიდის ვაკის პარკის მიმართულებით. კადრში ასევე სხვა ავტომობილიც ჩანს, რომელიც პარკში მიშას მისვლამდე 5 წუთით ადრე მიდის ვაკის პარკისკენ. მოწმე არსებობს, რომელმაც დააფიქსირა, რომ ჩემი შვილის იქ მისვლამდე ის მანქანა იქ იდგა, რომელშიც რამდენიმე ბიჭი იჯდა. შესაძლებელია, როცა ვაკო ჩემს შვილს სახლთან შეხვდა, ინფორმაცია მიუტანა, რომ ვაკის პარკში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

**— გაქვთ ინფორმაცია, რა მოხდა შემდეგ?**

— იქ რა მოხდა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩემი შვილი დაახლოებით ღამის 4-ის ნახევარზე პოლიციამ ვაკის პარკში თავის მანქანაში გარდაცვლილი იპოვა. იარაღი ფეხებთან ეგდო, კარი ღია იყო, თუმცა არა — გაღებული. პოლიციამ, ვინც იქ ეს ვითარება ნახა, თავიდანვე თქვა, რომ ეს თვითმკვლელობას არ ჰგავდა, თუმცა საქმის ძიება ასე არ წარმართეს. როგორც გავარკვიეთ, პროკურატურიდან იყო ნათქვამი, რომ ეს საქმე თვითმკვლელობის მუხლით წაეყვანათ... შემთხვევის ადგილზე არც კინოლოგები მიუყვანიათ და არც რაიმე საგამოძიებო მოქმედება ჩაუტარებიათ. მანქანა ევაკუატორმა კი არ წაიყვანა, საჭესთან პოლიციელი დაჯდა. ასეთი არაფერი გამიგია! თუმცა უბედურების დროს ადამიანი ალბათ ასეთ რაღაცეებზე კი არა, ვერაფერზე ფიქრობ. მიკვირს კიდეც, ამ ამბის შემდეგ ცოცხალი როგორ ვარ.

**— რის საფუძველზეა თქვენთვის კატეგორიულად მიუღებელი თვითმკვლელობის ვერსია, რაიმე მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნა გაქვთ?**

— მიშას ამისთვის არანაირი წინაპირობა არ ჰქონია, აბსოლუტურად ჯანმრთელი, გაწონასწორებული პიროვნება იყო. არც ლოთი ყოფილა და არც — ნარკომანი. მატერიალურად ყველანაირად უზრუნველყოფილი იყო, არანაირი პრობლემა არ ჰქონია, რომ თავი მოეკლა. მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ექსპერტიზის პასუხიც მოვიდა, რომ ჩემს შვილს ხელზე დენთის კვალი არ ჰქონდა. მანამდე პატრიარქის კურთხევა დაგვჭირდა წესის აგებაზე. უწმინდესმა თქვა, რომ მიშას თავი არ მოუკლავს. მიუხედავად ექსპერტიზის პასუხისა, საქმე მაინც თვითმკვლელობით წაიყვანეს და ერთი წელი გვატყუეს. ყველანაირი წვრილმანის გარკვევაზე დაბრკოლებებს ვხვდებოდით.

პროკურორი, ია ყიფიანი, ყველაფერს გვიბლოკავდა. არადა თავიდან ამბობდა, ხელზე დენთის კვალი რომც აღმოჩნდეს, იქ სხვა ისეთი ნიშნებია, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს თვითმკვლელობა არისო. შემდეგ ამ ქალმა შეცვალა მიმართულება, ბოლოს ამბობდა, გამოსაძიებელი რა არის, ბეჭდით არის ნასროლიო. გაირკვა, რომ ბეჭდით კი არა, 10 სანტიმეტრის მანძილიდან იყო ნასროლი. მას შუბლზე არც ნამწვის კვალი ჰქონია. როგორც ჩანს, ეს საქმე თავიდანვე ყურადღების ქვეშ იყო, რომ ჩვენ სიმართლე არ ➔22

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



Cyan Magenta Yellow Black

გაგვეგო.

— **როგორ ფიქრობთ, ეს ვისი ინტერესი იყო?**

— როგორც ჩანს, იქ მოსული ბიჭებიდან რომელიღაცა წინა მთავრობის წარმომადგენლის ან პოლიციელის ახლობელი იყო. ამ საქმის მიჩუმათება ამიტომაც მოხდა. იარაღი მიშას ფეხებთან ეგდო, რაც თვითმკვლელობას გამორიცხავდა. ბევრი ისეთი დეტალი აღმოვაჩინეთ, რის გამოც გამოძიება იძულებული გახდა, ეთქვა, ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო. იმ ერთი წლის განმავლობაში რა მტკიცებულებები და კვალიც იყო, როგორც ჩანს, გააქრეს, ყოველ შემთხვევაში, არაყიშვილის ქუჩაზე და ვაკის პარკთან არსებული კამერების ვიდეოჩანაწერები. რაღაც ჩანაწერი იყო დარჩენილი, სადაც ეგონათ, რომ არაფერი ჩანდა, მაგრამ მისი საშუალებით ის მანქანა ვიპოვე, რომლითაც ის ბიჭები მოძრაობდნენ. სხვათა შორის, ის ავტომობილი მალევე ინტერნეტში გასაყიდად დაიდო. მითითებულ ნომერზე ვრეკავდით და არავინ გვპასუხობდა.

**„ჩემს შვილს ხელზე დენთის კვალი არ ჰქონდა. მანამდე პატრიარქის კურთხევა დაგვჭირდა წესის აგებაზე. უწმინდესმა თქვა, რომ მიშას თავი არ მოუკლავს. მიუხედავად ექსპერტიზის პასუხისა, საქმე მაინც თვითმკვლელობით წაიყვანეს და ერთი წელი გვატყუეს".**

— **იმ მანქანაში მსხდომი ადამიანები არ დაკითხეს?**

— მძღოლი გამოძიებამ დაიბარა, მან აღიარებითი ჩვენება მისცა, რომ იმ საღამოს ვაკის პარკში იყო, თუმცა, მისივე თქმით, არ ახსოვდა, რის გამო იყო იქ. ჩვენი ადვოკატი ამ დაკითხვას ესწრებოდა. მან მითხრა, ამ ბიჭმა ისეთი ჩვენება მისცა, არაფერი ეშველებაო, მაგრამ ძალიან მალე გაუშვეს. უთხრეს, შვილო, წადი სახლში, იქნებ რამე გაგახსენდესო. „შვილო"-თი სამმართველოში ეჭვმიტანილებს ვინ ესაუბრება?! ამ ბავშვებს რას ერჩით, კალათბურთელები, მათემატიკოსები არიანო, გვეუბნებოდნენ. არადა ეს ვითომ კალათბურთელები და მათემატიკოსები, გავარკვიეთ, ვინც აღმოჩნდნენ, მაგრამ ამაზე ახლა საუბარი არ მინდა, გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

— **თქვენ რა ვერსიები გაქვთ, რის გამო მოკლეს თქვენი ვაჟი?**

— როცა ვაკოს რაიმე პრობლემა ჰქონდა, ფული სჭირდებოდა ან რაიმე დახმარება, მიშასთან მაშინ მოდიოდა, თორემ ძალიან ახლო ნათესაური კავშირი არასდროს ჰქონია. როგორც ჩანს, მას პრობლემა ჰქონდა, მიშა გაიყოლა და იქ ეს საშინელება მოხდა. ვაკო და მასთან ერთად მისული ბიჭი მიშას მანქანაში ისხდნენ, მეორე მანქანაში კი, სავარაუდოდ, სამი ადამიანი იჯდა. როგორც ჩანს, მათ შორის რაღაც დაპირისპირება იყო. ალბათ ესენიც სწორედ იმ გაუგებრობის გასარკვევად მივიდნენ იქ.

— **თქვენი შვილი რატომ უნდა მოეკლათ, რა შუაში იყო?**

— ჩემი შვილის წინააღმდეგ კი არ ჰქონდათ რაიმე ინტერესი, იქ რაღაც მოხდა, რაც გამოსაძიებელია. ძიების პროცესში 10 გამომძიებელი გამოიცვალა. ერთმა ბიჭმა ერთ-ერთ გამომძიებელს პიჯაკი შემოახია, რის გამოც 48 საათით დააკავეს. ამ დროს დეიდაჩემმა, რომლის შვილიშვილიც ვაკოა, მეორე დეიდას დაურეკა, ის ბიჭი დაუჭერიათ, ახლა ალბათ ვაკოსაც დაიჭერენო. თუ ადამიანი უდანაშაულოა, ასეთი ტექსტით არ უნდა ილაპარაკოს! ვაკო დაკითხვაზე ადვოკატის გარეშე არ მივიდა.

— **სასამართლო არ გამართულა?**

— არა, რადგან არც აღიარებითი ჩვენება არსებობდა, არც — მოწმეები და, როგორც გითხარით, არც — ვიდეოჩანაწერები. სასამართლო კი არა, დაკითხვაც ნორმალურად არ უწარმოებიათ. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს საქმე მიაჩუმათეს. აღმოვაჩინეთ, რომ საქმეში ჩვენი, ანუ მშობლების, როგორც დაზარალებულების, განცხადებაც კი არ არის. თითქოს არ ვჩიოდით, საქმის დახურვასაც კი აპირებდნენ. რა ინფორმაციაც ახლა გვაქვს, ყველაფერი ჩვენი მოპოვებული და გამოძიებულია.

— **ვაკო გეგიძემ გამოძიებას რა ჩვენება მისცა ან თქვენ თუ გქონდათ მასთან საუბარი?**

— ვაკო არაადეკვატურად იქცეოდა, გამოძიებასთან და ოჯახთან თანამშრომლობას თავს არიდებდა, ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევდა და გამომძიებელი შეცდომაში შეჰყავდა. გამოძიებას თავიდანვე შეეძლო, მისგან გაერკვია სიმართლე. ვაკო, რომელიც თურმე ჩემი შვილის გარეშე ვერ ძლებდა, პანაშვიდზე მესამე დღეს ძლივს მოვიდა. დაკრძალვას არც დასწრებია, ახლოს არ გაგვკარებია, რომ ის მაინც ეთქვა, დაგეხმარებით, სიმართლე ერთად გავარკვიოთო. მართალი კაცის პოზიცია ასეთი უნდა ყოფილიყო. პირიქით, ნაწყენი იყო, რომ მას რაღაცას ვაბრალებდით. ის ოჯახი დღემდე არ გველაპარაკება.

ვაკო პანაშვიდიდან რომ გავიდა, პანიკა ატყდა, პოლიციამ წაიყვანაო. საქმეში კი მისი ჩვენება არ არსებობდა. გამომძიებელს მოვთხოვეთ, ენახვებინათ მისი ჩვენება. ამის შემდეგ გამომძიებელი ვაკოსთან სახლში მივიდა და ჩვენება დააწერინა, რომ თითქოს მან ტყუილი თქვა და პოლიციას დაკითხვაზე არ წაუყვანია. არადა ის პოლიციამ ნამდვილად წაიყვანა, ეს ჩემმა ნათესავმა დაინახა. ეჭვი მიჩნდება, შესაშინებლად წაიყვანეს, რომ არაფერი ეთქვა.

**„პროკურორი, ია ყიფიანი, ყველაფერს გვიბლოკავდა. არადა თავიდან ამბობდა, ხელზე დენთის კვალი რომც აღმოჩნდეს, იქ სხვა ისეთი ნიშნებია, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს თვითმკვლელობა არისო. შემდეგ ამ ქალმა შეცვალა მიმართულება, ბოლოს ამბობდა, გამოსაძიებელი რა არის, ბჯენით არის ნასროლიო. გაირკვა, რომ ბჯენით კი არა, 10 სანტიმეტრის მანძილიდან იყო ნასროლი".**

— **ახლა რას აპირებთ?**

— იმდროინდელ გამომძიებელზე, გოგი მელქაძესა და პროკურორ ია ყიფიანზე საჩივარი დავწერეთ.

— **აქამდე რატომ არ ამბობდით არაფერს?**

— მთავრობის შეცვლის შემდეგ გაგვიჩნდა იმედი, რომ ახლანდელი ხელისუფლება ამ საქმეს სწორად გამოიძიებს. გამომძიებელი გვარწმუნებდა, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე კეთდებოდა და რომ ადვოკატიც საჭირო არ იყო. პოლიციის უფროსმა, ვინმე ჭაიამ, პროკურორებმა ია ყიფიანმა და თემურ მიქაბერიძემ გამოძიება უსამართლოდ წაიყვანეს. როცა მივხვდით, საქმე დახურვისკენ მიჰყავდათ, ძიება ჩვენივე შესაძლებლობებით დავიწყეთ, ამაში ხელს გვიშლიდნენ. გამოდის, რომ გამომძიებელი მელქაძე მეორე მხარის ადვოკატად მუშაობდა, რაზეც გეგიძესთან სახლში ასვლის ფაქტიც მოწმობს. ხელმეორედ მოვითხოვეთ ექსპერტიზა, რაშიც ხელს პროკურორი ყიფიანი და გამომძიებელი მელქაძე გვიშლიდნენ. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ გარდაცვლილს ხელზე დენთის კვალი არ ჰქონდა, შეშინებულმა მელქაძემ საქმის გამოსწორება დაიწყო. ხან საკადრო ცვლილებების გამო, ხანაც სხვა მიზეზების, ამ საქმის ხელიდან ხელში გადასვლა ხდებოდა, რაც საქმის გაჭიანურებას იწვევდა.

— **თქვენი მეუღლე 2003 წლამდე შიდა ქართლის გუბერნატორი იყო. მის საქმიანობას ხომ არ უკავშირებთ ამ ტრაგედიას?**

— სხვათა შორის, თავიდან ვიფიქრეთ კიდეც, რომ შესაძლებელი იყო, მკვლელობა პოლიტიკური მიზეზით მომხდარიყო, მაგრამ ისეთი სურათი იკვეთება, ეს ვერსია გამოვრიცხეთ. დედაჩემი შიდა ქართლში ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი იყო და სააკაშვილის ხელისუფლებამ ის დააყაჩაღა, ქარხანა წაართვა. დედაჩემი ერთი წლის წინ გარდაიცვალა, ყველანაირად გადაგვიარეს... ამიტომ თავიდან ეს ვერსიაც გვქონდა, თუმცა ჩვენ არავინ გვყავს მტერი, რომ ასე გავემწარებინეთ. რაც მოგვთხოვეს, რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი მივეცით.

— **რას საქმიანობდა თქვენი შვილი ამ მკვლელობამდე?**

— ინფორმატიკა-ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ჭკვიანი ბიჭი იყო, სახლიდან გვიან გარეთ არ გადიოდა, ქუჩა-ქუჩა არ დაწანწალებდა. მინდოდა, მაგისტრატურაშიც საქართველოს ფარგლებგარეთ ესწავლა, მაგრამ ეს ტრაგედია დაგვატყდა თავს.

■

„სარკე" ოჯახის მაშინდელ ადვოკატსა და ახლა უკვე მცხეთის რაიონის პროკურორს, **რევაზ სისაურსაც** დაუკავშირდა, რომელმაც საქმის დეტალები პირველივე დღიდან იცის.

რევაზ სისაური: ამ საქმეში თვითმკვლელობა გამორიცხულია. იარაღის გასროლისას მანქანაში კიდევ სხვა პირიც იჯდა. გარდაცვლილის მანქანა „მერსედესის" მარკის იყო. გაჩერებული ავტომობილი თუ ვინმემ შიგნიდან არ გააღო, გარეთ მყოფი ადამიანი ვერ გააღებს. როცა პოლიცია შემთხვევის ადგილას მივიდა, გარედან კარი ჩვეულებრივად გააღეს, შიგნით კი გარდაცვლილი დახვდათ. ამას გარდა, იარაღიდან, საიდანაც გასროლა მოხდა და გარდაცვლილის ფეხებთან ეგდო, მჭიდი ამოღებული იყო და მარცხენა გულისჯიბეში ედო. სროლის დროს იარაღში იყო მეცხრე ტყვია, რომელიც ლულაში იდო. როცა ასეთ მდგომარეობაში არსებული იარაღიდან ხდება გასროლა, ის გაშლილ მდგომარეობაში უნდა დარჩეს, ის კი დაშვებულ მდგომარეობაში იყო. როგორც ჩანს, ვიღაცამ ასეთ მდგომარეობაში მოიყვანა.

გამოძიებას უნდა დაედგინა, ეს ვინ გააკეთა, პოლიციელმა თუ სხვა ვინმემ, ვინც მანქანაში მასთან ერთად იჯდა. საქმეში დაახლოებით ათი დღით დაგვიანების შემდეგ ჩავერთე. მანქანის სავარძლიდან, მჭიდიდან ანაწმენდები აღებული არ არის. თუ გარდაცვლილმა თავი მოიკლა, მარჯვენა ხელის მტევანზე დენთის კვალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. დენთის კვალი კი მხარზე აღმოჩნდა. სანამ დენთი მხარზე ჩამოვა და დაიშლება, ჯერ ხელებზე უნდა ჰქონდეს. გარდაცვლილის ტანსაცმელი თვენახევრის შემდეგ იქნა ამოღებული და თანაც, ღმერთმა იცის, რა ტანსაცმელი. ამას გარდა, პოლიციას ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირე-



Cyan Magenta Yellow Black

ბული ჩანაწერი დაუყოვნებლივ არ ამოუღია და დათვალიერება არ მოუხდენია. ამბობდნენ, თითქოს ის მანქანა არსად ფიქსირდებოდა. ჩემი შუამდგომლობით ექსპერტიზა დაინიშნა და გაირკვა, რომ მიხეილის მანქანას, სავარაუდოდ, იმ ბიჭების ავტომობილი მისდევდა, რომლებიც მას შეხვდნენ. ეს ნიუანსები, რაც გამოძიების პირველივე დღეებში სასწრაფოდ უნდა დადგენილიყო, არ დადგინდა. გამოძიებამ მიიჩნია, რომ ეს თვითმკვლელობა იყო და საქმის ძიებაც ინერტულად აწარმოა.

— **ვისი ბრალეულობა იკვეთება ამ საქმეში?**

— პირველ რიგში, დეტექტივების გამოუცდელობა, უყურადღებობა და არაკვალიფიციურობა იკვეთება. ვერ ვიტყვი, რომ ვიღაცამ ამ საქმეს რამე ძალით დააკლო.

— **ოჯახს ეჭვი აქვს, რომ მკვლელობის ჩამდენი შესაძლოა ვინმე მაღალჩინოსნის შვილი იყოს, რის გამოც ამ საქმის გამოძიება ვერ ხერხდება.**

— ეს უკვე ვარაუდია. ამის თქმის საფუძველი შეიძლება ჰქონდეთ, რადგან დაზარალებულები არიან. როცა ოჯახმა დაინახა, რომ გამომძიებლებმა რაღაცეები არ გააკეთეს, თან ეს დროში გაიწელა, თავისთავად ეჭვი გაუჩნდათ. მე თვითონ ვაწარმოე სათითაოდ გამოკითხვები, რაც გამოძიებას წარვუდგინე. მათ შეეძლოთ ჩემი გამოკითხული ხალხი ხელახლა გადაემოწმებინათ, რადგან ის ადამიანები დაკითხვისას ურთიერთსაპირისპირო ჩვენებებს იძლეოდნენ. ესეც კი არ გააკეთეს. სასწრაფო, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებული არ არის.

— **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ძალიან ძნელია ვინმე პასუხისგებაში მიეცეს, მაგრამ აშკარაა, რომ იქ თვითმკვლელობას ადგილი არ ჰქონდა.

■

თუ როგორ მიდის გამოძიება, ამაზე „სარკეს“ მიხეილ ქობლიანიძის ოჯახის ამჟამინდელი ადვოკატი **დავით ალავიძე** ესაუბრა:

— ძიება გრძელდება. მას თბილისის მთავარი სამმართველოს მკვლელობების განყოფილება იძიებს. ის დაზარალებულის მხრიდან რამდენიმე საჩივრის და განცხადების საფუძველზე უფრო გააქტიურებულ ფაზაშია. გარკვეული მოწმეები, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით იყვნენ დაკითხულები, განმეორებით დაკითხეს. ოქმებს რომ გავეცნო, ამის სამართლებრივი უფლება არ მაქვს.

— **რა დარღვევებია ამ საქმეში?**

— ეს არის იმ პირის არასწორი ქმედების შედეგი, ვინც ამ საქმის კვალიფიკაციასთან მიმართებაში გადაწყვეტილებასიღებდა, გამოძიება თუ რა მუხლით უნდა დაწყებულიყო ან ზედამხედველი პროკურორის. საგამოძიებო სამუშაო ცხელ კვალზე არ ჩატარდა, რადგან საქმეს თავიდანვე თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მიეცა.

— **რატომ აღიძრა საქმე თავიდანვე არასწორად, ვისი ინტერესები იყო ამაში?**

— ამის თქმა არ შემიძლია, მაშინ ეს დადასტურებულად უნდა ვიცოდე. პროკურატურამ ფაქტს თავიდანვე არასწორი შეფასება მისცა. გამომძიებელი მოწმეს 4-5 წლის წინ მომხდარ საქმეზე რომ დაუსვამს შეკითხვას, სად იყო, ვისთან ერთად იყო, ეს უფრო შედეგის მომცემია თუ გამოძიებას მაშინვე რომ აწარმოებ? დღეს მოწმემ შეიძლება თქვას, რომ რაღაც დეტალი არ ახსოვს და ეს ლოგიკურიც იქნება.

ყველაზე მეტი კითხვა პროკურორის, ია ყიფიანის მისამართით მიჩნდება... ის ავტომანქანა, სადაც მკვლელობა მოხდა, ღია დახვდათ. იმ მარკის მანქანის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ იქიდან არავინ გადმოვიდოდა, მისი კარი ღია მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. ავტომანქანა ისეთ ბნელ და საეჭვო ადგილას იპოვეს, სადაც თავის მოკვლის გადაწყვეტილების მქონე ადამიანი არ წავიდოდა. თანაც, იარაღი, რომლითაც ეს მკვლელობა მოხდა, გარდაცვლილის იყო. შესაბამისად, მას ამის ჩადენაში ხელს ვერავინ შეუშლიდა, იგივე თუნდაც სახლში რომ გაეკეთებინა.

— **ამდენი წლის შემდეგ რა შედეგის მომცემია გამოძიება და რამდენად არის შესაძლებელი ვინმეს ბრალეულობის გამოკვეთა?**

— პრაქტიკაში უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა წლების მერე გულმოდგინე მუშაობის შედეგად გახსნილა. შესაძლებელია, მკვლელი საქართველოში არც იყოს, მაგრამ გამოძიება სიმართლის კვალზე გავა, იმ პირთა წრეს ან კონკრეტულ ადამიანს გამოავლენს, რომლის მიერაც შეიძლება ეს მკვლელობა იყოს ჩადენილი.

— **დაბოლოს, თუ ეს მკვლელობა არის, როგორ აღმოჩნდა გარდაცვლილის საკუთრებაში არსებული იარაღი მკვლელის ხელში?**

— სწორედ ეს კითხვა არის ამ საქმის არსი. ეს კითხვა პასუხგაუცემელია. გამოდის, რომ იარაღი მკვლელის ხელში აღმოჩნდა, მაგრამ — როგორ? ეს ხომ არ შეიძლება ისეთი გარეშე პირი იყოს, რომელიც მას იარაღს წაართმევდა და შემდეგ მოკლავდა? ისეთი ადამიანი იყო, ვისაც ის იარაღს მისცემდა.

✓ ეკა ლემონჯავა

# თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა – მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი გოგონა ადგილზე დაიღუპა

7 ივნისს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ტროტუარზე, მაღალი სართულიდან გადმოვარდნილი გოგონა, 20 წლის ნ.ჩ., იპოვეს. როგორც აღმოჩნდა, ის საცხოვრებელი სახლის მე-5 სართულიდან იყო გადმოვარდნილი. შემთხვევა ჭავჭავაძის №24-ში მოხდა. გოგონა მიღებული ტრავმების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. ფაქტზე საქმე სისხლის სამართლის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლითაა აღძრული.



■ კორპუსი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა

მომხდართან დაკავშირებით თავიდანვე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. დაუზუსტებელია, გოგონა საკუთარი საძინებლის ფანჯრიდან გადმოვარდა თუ თვითმკვლელობის მიზნით გადახტა. ექსპერტიზის დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ოჯახის წევრები თვითმკვლელობას არ ვარაუდობენ.

გოგონამ თბილისის 42-ე საჯარო სკოლა დაამთავრა და „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტი გახლდათ. ამავე უნივერსიტეტში სწავლობს გარდაცვლილის ძმა, გ.ჩ.

გარდაცვლილის**კლასელმა** გვიამბო:

— ორი ვერსიაა, ან გადმოხტა, ან გადმოვარდა. ყური მოვკარი, გარდაცვლილის დედა ამბობდა, ეს თვითმკვლელობა რომ ყოფილიყო და გადმომხტარიყო, სხვანაირად იქნებოდა დაზიანებულიო. სიმართლე ოჯახის წევრებმაც არ იციან და ექსპერტიზის დასკვნებს ელოდებიან. შემთხვევის დროს ნ-ს დედა იყო სახლში. მამამისი გარეთ ყოფილა, იქვე, ჭავჭავაძეზე ჩამოდიოდა, როცა რაღაც ძლიერი ხმა გაიგონა. ცოლისთვის დაურეკავს, ბავშვი სად არისო. იმას უთქვამს, სახლშიაო. საწყალმა მამამ კი ის ძირს დაგდებული იპოვა. შემთხვევის ადგილზე ერთი წვეთი სისხლიც არ იყო, ალბათ შიდა ორგანოებში ჩაექცა. სახეზე დაზიანებები არ აქვს. როგორც ჩანს, ფეხებით არის დავარდნილი, ფეხები აქვს დამტვრეული.

ჩემი ვარაუდით, თუ ეს თვითმკვლელობა არ არის, გარდმოვარდნის შემთხვევაში, ფეხებით ვერ დაეცემოდა, ალბათ თავს დაარტყამდა. ძალიან ჭკვიანი, მშვიდი გოგო იყო, კარგად სწავლობდა. სასწავლებელშიც ასპროცენტიანი დაფინანსებით იყო მოხვედრილი. ოჯახში ფინანსური პრობლემები არ ჰქონიათ, რამდენადაც ვიცი, შეძლებული ოჯახის შვილია.

ბავშვობიდან თავისებური, უცნაური იყო, მაგრამ ისეთი არა, რომ ასეთ ნაბიჯამდე რამეს მიეყვანა. თუმცა რაღაც ისეთ ადამიანებთან მეგობრობდა... თურმე ბოლო პერიოდში ძმას ეუბნებოდა, სიცოცხლე აღარ მინდაო. დედასთანაც კარგი ურთიერთობა არ ჰქონია. ჩაკეტილი ბავშვი იყო, ბევრთან არ მეგობრობდა.

გარდაცვლილის **მეზობელს** კი თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა:

— გადახტაო, რომ ამბობენ, საიდან იციან?! არავინ არაფერი იცის, თვითმხილველიც არავინაა. როგორც კი ქვემოთ ჩავედი, იქ მამამისი დამხვდა, დედა მერე ჩამოვიდა. მამა მათემატიკოსია, გარდაცვლილის ბაბუა კი ცნობილი მეცნიერი იყო.

✓ ეკა ლემონჯავა

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
● ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
● სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
● ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
● სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



Cyan Magenta Yellow Black





# ნატო ნიჟარაძე: „როცა ქმარს გავშორდი, „რუსთავი 2“-დან წასვლა მაშინ გადავწყვიტე“

ტელემაყურებლებისთვის ნაცნობი სახე, ჟურნალისტი ნატო ნიჟარაძე, რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ ტელეეკრანს ისევ დილის ეთერში დაუბრუნდა. ამჯერად მისი სამუშაო ადგილი ტელეკომპანია „იმედია“. წარსულში ნატო წლების განმავლობაში „რუსთავი 2“-ის სახე იყო. იქიდან საკუთარი სურვილით წავიდა, რადგან სიახლე სურდა. ეგონა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში იპოვიდა იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მალე ამ არხის დატოვებაც მოუწია. პარალელურად მის პირად ცხოვრებაშიც რთული პერიოდი იყო დაწყებული, ქმართან უკვე აღარ ცხოვრობდა, რასაც დიდხანს უმალავდა შვილებს... თავისი ახლო წარსულის შავ-თეთრ ზოლებზე ნატო „სარკესთან“ გულახდილად საუბრობს.

**— ნატო, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ ტელეეკრანს დაუბრუნდით. მანამდე კი თითქოს ძიების პერიოდი გქონდათ. ასე იყო?**

— სხვათა შორის, ამ თემასთან დაკავშირებით არასოდეს მილაპარაკია. არის რაღაცეები, რაც, ვფიქრობ, რომ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. „რუსთავი 2“-დან საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა „სამოთხის ვაშლებში“ რომ გადავედი, ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი მედგა. სამუშაო გრაფიკით ძალიან გადაღლილი ვიყავი და თან ქმარსაც იმ დროს გავშორდი. მახსოვს ბოლო საუბარი „რუსთავი 2“-ის დირექტორ გოგი გეგეშიძესთან. ბატონი გოგის მადლიერი ვარ. მთხოვდა, არხიდან არ წავსულიყავი, მაგრამ მე სიახლე მინდოდა. საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მქონდა შემოთავაზება და უარი არ ვთქვი. ადამიანს სხვა გარემო სჭირდება, სხვაგანაც ხომ უნდა სცადო ძალები.

**— მაგრამ არც „პირველ არხზე“ დარჩენილხართ დიდხანს.**

— ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც მინდოდა. ერთი წლის შემდეგ, „პირველი არხის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, უსიტყვოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადამიყვანეს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოში. გავოცდი და დღემდე არ ვიცი, ამის მიზეზი რა იყო. ისე კი, რადიოში მუშაობა ყოველთვის მინდოდა. უკვე სამი წელია ვაკეთებ ყოველკვირეულ გადაცემას „ინტერვიუ პირად საკითხებზე“.

**— „რუსთავი 2“-დან წასვლა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ სიახლეს ეძებდით? იქნებ თქვენს ადგილს ვეღარ ხედავდით იქ.**

— ჩემი ადგილი როგორ არ მქონდა, დილის გადაცემაში ვმუშაობდი. მაშინ ქმარს გავშორდი, კრიზისული პერიოდი მქონდა და სამსახურის რეჟიმი ჩემთვის დამღლელი იყო. ვეძებდი გამოსავალს და ჩავთვალე, რომ ამაში სხვა არხზე გადასვლა დამეხმარებოდა. დღეს ვფიქრობ, რომ „რუსთავი 2“-დან წამოსვლა შეცდომა იყო. ეს არხი ძალიან მიყვარს და დღემდე ყველა ამ ტელეკომპანიის სახედ აღმიქვამს.

**— მაყურებელი ტელეეკრანზე თქვენს დაბრუნებას როგორ შეხვდა?**

— ამას წინათ ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი შემხვდა და მითხრა, გამიხარდა შენი ეკრანზე გამოჩენა, მაგრამ რატომ ისევ დილის ეთერი, ვეღარ გაიზარდეო. ჩემნაირი ენერგიული ადამიანისთვის ეს არის ყველაზე სწორი ნიშა. ყოველ დილას ადრიანად და თან შემართებით ვიღვიძებ. რაც შეეხება „იმედს“, იქ ჩემთვის უცხო გარემო არ არის, ყველას ვიცნობ, კარგი კოლექტივია. ასე რომ, მათთან მუშაობა მიადვილდება. კვირაში ერთხელ, მხოლოდ 10 წუთით, მაყურებელს ვაძლევ სამედიცინო რჩევებს, ვთავაზობ გამოსავალს მანამ, სანამ ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები დაიწყება. მე ეს ნიშა მომწონს და, იმედია, მაყურებელსაც. მართალია, დედაჩემს გული სწყდება, რომ ყოველდღიურად სახალისო ჩართვებს არ ვაკეთებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა ასეა საჭირო. ვგიჟდები სიახლეებზე და იმათ რიცხვს მივეკუთვნები, რომლებსაც ახალ რაღაცეებთან შეჭიდება უყვართ.

**— ძალიან აქტიური და ენერგიული ქალი ხართ, რადიოსა და ტელევიზიის გარდა, ფოლკლორის ცენტრშიც მუშაობთ, რაც მთავარია, ორ შვილს ზრდით. როგორ ასწრებთ ამ ყველაფერს?**

— მესამე წელია ფოლკლორის ცენტრის პიარმენეჯერი ვარ. ამ მხრივ დიდი გამოცდილება მაქვს, სამედიცინო დაწესებულების პიარშიც მიმუშავია. ფოლკლორის ცენტრი სახელმწიფო დაწესებულებაა. აქ მუშაობა ძალიან საინტერესოა. ყველაფერს ვასწრებ, ჩემთვის ერთი სამუშაო ადგილი არაფერია,

**„სამი წელია მე და ჩემი ყოფილი ქმარი ერთად აღარ ვართ. მას ჰყავს სხვა ოჯახი, ცოლი და შვილები... ჩემს ცხოვრებაში თუ გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც მეც და ჩემი შვილებიც საოცრად ვეყვარებით, რატომაც არა? ამ ეტაპზე კი მე ვარ დედა და დამთავრდა!“.**

საყვარელ საქმესაც ვაკეთებ და დედის როლსაც მშვენივრად ვართმევ თავს. ჩემი შვილები ჩემთვის უპირველესია და მერე სხვა ყველაფერი. მყავს 11 წლის ქალიშვილი და 9 წლის ვაჟი. რაც ისინი წამოიზარდნენ, უფრო მიადვილდება მუშაობა.

**— ძნელია ოჯახის დანგრევის მიზეზებზე საუბარი, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია გასული და ტკივილი ალბათ უკვე განელებულია. შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენი ლამაზი სიყვარული, რომელზეც „სარკეშიც“ არაერთხელ გწერდით, რატომ დასრულდა?**

— პირად თემებზე ასე საჯაროდ არ ვსაუბრობ, თუმცა არ ვმალავ, რომ ქმარს გავშორდი. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ახლა ჩვენთვის მთავარი შვილების სიყვარულია. ეს არ შეცვლილა, უბრალოდ ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ერთად და აღარ ვართ ცოლ-ქმარი. ჩემი მაზლი ხუმრობდა, ყოფილი მაზლები, დედამთილები და მულები არ არსებობენ, მხოლოდ ქმრები არიან ყოფილებიო. გამიმართლა, რომ ჩემს ყოფილ ქმარს არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს, მათთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. ჩვენთვის პრიორიტეტული ბავშვები არიან. ვისაც როგორ შეგვიძლია, ყველა ერთმანეთს ვუდგავართ გვერდში.

**— შერიგების შანსი არ იყო?**

— სამი წელია მე და ჩემი ყოფილი ქმარი ერთად აღარ ვართ. მას ჰყავს სხვა ოჯახი, ცოლი და შვილები.

**— თქვენს პირად ცხოვრებაში არის სიახლე ან ელოდებით მას?**

— არანაირი სიახლე არ არის. კარგი მაგალითი მყავს დედამთილის სახით. ჩემი ყოფილი ქმარი 13 წლის იყო, მამა რომ დაეღუპა და დედამ მარტომ გაზარდა. ერთხელ ჩემს დედამთილს ვკითხე, ხელმეორედ ოჯახი რატომ არ შექმენით-მეთქი.

**„ვგიჟდები სიახლეებზე და იმათ რიცხვს მივეკუთვნები, რომლებსაც ახალ რაღაცეებთან შეჭიდება უყვართ“.**

მიპასუხა, არ ვიცოდი, ეს ყოველივე ჩემს შვილზე როგორ აისახებოდაო. მეც იგივე განცდა მაქვს — შვილები როგორ მიიღებენ სხვა ადამიანს ჩემ გვერდით? რა ვიცი, ჩემს ცხოვრებაში თუ გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც მეც და ჩემი შვილებიც საოცრად ვეყვარებით, რატომაც არა? ამ ეტაპზე კი მე ვარ დედა და დამთავრდა! შვილები ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე და ბედნიერებაა, რაც გამაჩნია. ჯობია, ოჯახი არ დაინგრეს, მაგრამ თუ მსგავსი რამ ხდება, ჩემნაირი ადამიანისთვის ასეთი გადაწყვეტილების ხელმეორედ მიღება რთულია.

**— ანუ როგორი ადამიანისთვის?**

— ჩემი შვილებისთვის ვცხოვრობ.

**— როგორი იყო ეს სამი წელი თქვენთვის, როგორც მარტოხელა ქალისთვის?**

— ჩვეულებრივი, ისევ ისეთი ენერგიული ვარ, როგორიც უწინ. არანაირი დეპრესია არ მქონია. მოდუნებისთვის არ მცალია. იმდენი საქმე მაქვს, არ ვიცი, რომელი ერთი ვაკეთო. ცხოვრებაში ერთადერთხელ ჩავვარდი დეპრესიაში, მაშინ, როცა ბაბუა გარდამეცვალა. ის ჩემთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

**— შვილებს როგორ აუხსენით მშობლების დაშორების ამბავი?**

— მე და ჩემს ყოფილ ქმარს კარგი ურთიერთობა გვაქვს, ბავშვების სანახავად მოდის. ასე რომ, ჩვენი დაშორება მტკივნეულად არ გადაუტანიათ. ჩემი შვილებით ვცხოვრობ, მინდა, ვიპოვო, მათთვის რა არის მნიშვნელოვანი, რა ნიჭი აქვთ და რა ინტერესები. ჩემს ვაჟს, დიმიტრის, ცხოველები უყვარს, ანასტასიას მოსწონს „ნიკოლოდეონის“ სერიალები, რუსული ენა კარგად იცის. ვაჟი უფრო მგავს, ვიდრე ქალიშვილი, თუმცა ორივე შვილი ჩემნაირი ემოციურია. ისინი მეგობრებივით მყავს. ჩემზე ზედმეტად მოწებებულები არიან. მეგობრები მაფრთხილებენ, მათთან ნაკლებად აქტიური ვიყო, რომ უფრო დამოუკიდებლები გახდნენ, მაგრამ მე ასეთი ვარ და ვერაფერს შევცვლი.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

# ფონდმა „ქართულმა გალობამ“ საუკეთესო ლოტბარები და რეგენტები დააჯილდოვა

## „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“



ანზორ ერქომაიშვილი და ლექსო თორაძე

**11** ივნისს რუსთაველის თეატრში ქართული საგანძურის დღესასწაული იყო. ფონდ „ქართული გალობის“ საპრეზენტაციო კონცერტზე, სახელწოდებით „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“, საქართველოს საუკეთესო ლოტბარებმა და ანსამბლებმა შეასრულეს ქართული საგალობლები. კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ლექსო თორაძე, ანსამბლები „რუსთავი“, „სახიობა“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „იმერი“, „ბასიანი“, „ელესა“ და ბავშვთა გაერთიანებული გუნდი. ამ საღამოს ბევრი ღვაწლმოსილი მუსიკოსი და მომღერალი დაჯილდოვდა.

ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც წლებია ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით 2006 წელს დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. გაიხსნა სკოლები ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში, ტიხრული მინანქრის სახელოსნო სნოში, სამრევლო სკოლა ლონდონში, აიგო ტაძარი ოზურგეთში. ასევე დაფინანსდა არაერთი კონცერტი და ფესტივალი, გამოიცა არაერთი წიგნი და აუდიო პროდუქცია ტრადიციული მუსიკის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე.

ფონდის საბჭოს წევრები არიან ლექსო თორაძე და ანზორ ერქომაიშვილი, საპატიო პრეზიდენტი არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II. ფონდი „ქართული გალობა“ ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას ემსახურება.

„ფონდის საქმიანობით ხელს შევუწყობთ ჩვენი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციას. ეს იუნესკო-მ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად აღიარა“, — მიაჩნიათ ფონდის საბჭოს წევრებს.

ფონდის მიზანია ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა და ტრადიციული ქართული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაცია. ფონდის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ტრადიციული გალობისა და სიმღერის მეცნიერული კვლევა, უძველესი ნიმუშებისა და ჩანაწერების მოძიება-აღდგენა, შესაბამისი აუდიო, ვიდეო და ელექტრონული ვერსიების გამოცემა. ფონდი ხელს შეუწყობს ტრადიციული მუსიკის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს ამ მიმართულებით და ნაშრომთა გამოცემას, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების გამართვას. დიდი ყურადღება დაეთმობა ტრადიციული მუსიკის სწავლებას, ლოტბართა და რეგენტთა დასაქმებისათვის ხელშეწყობას, განსაკუთრებით სამრევლო სკოლებისა და გალობის ცენტრების შექმნას საზღვარგარეთის ქართულ ეკლესიებთან. ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის პოპულარიზაციისათვის ფონდი საქართველოსა და უცხოეთში კონცერტების, საღამოებისა და ფესტივალების ორგანიზებას შეუწყობს ხელს; ასევე მართლმადიდებელი სამყაროს ტრადიციული გალობის და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში ქართული გუნდების მონაწილეობას და ანალოგიური ფესტივალების გამართვას საქართველოში. ფონდის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება რეგიონებში ტრადიციული მუსიკის აღორძინებისათვის ხელშეწყობა. ითანამშრომლებს ტრადიციული მუსიკით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან და პირთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**ანზორ ერქომაიშვილი:**

— საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა ფონდი „ქართული გალობა“, რომლის მიზანია ქართული შემოქმედების მხარდაჭერა, ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული საგალობლების აღდგენა და პოპულარიზაცია. ფესტივალებისა და კონცერტების ორგანიზება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, საქართველოს რეგიონებში საგალობლების კულტურა აღორძინდეს, მეცნიერული კვლევა, მივიწყებული საგალობლების აღდგენა, ძველი ჩანაწერების მოძიება და აღდგენა. ასევე ამ პროექტის ფარგლებში შევძლებთ ინტენსიურად ვიმუშაოთ რეგენტებისა და ლოტბარების აღზრდაზე, მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე, გარდა ამისა, სამრევლო სკოლებისა და საგალობელი ცენტრების შექმნაზე საზღვარგარეთ, სადაც ქართული დიასპორა დიდია. ამ ყველა კეთილშობილური საქმის ფუძემდებელი, სულისჩამდგმელი და დამფუძნებელი ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი ბატონი ვანო ჩხარტიშვილია. მის სახელთან ბევრი მნიშვნელოვანი მამულიშვილური საქმეა დაკავშირებული. ოზურგეთში მისი თანადგომით გაიხსნა წმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია. 2006 წელს თბილისში დაფუძნდა ტრადიციული ქართული გალობისა და სიმღერის შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებელი. ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში გაიხსნა გალობის შემსწავლელი სკოლები. სოფელ სნოში გაიხსნა ტიხრული მინანქრის საამქრო. ლონდონში გაიხსნა სამრევლო სკოლა. უამრავი მამულიშვილური საქმე აქვს გაკეთებული და ფონდი „ქართული გალობის“ ფარგლებში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას მოახერხებს.

ჩვენი ფონდის პირველი ღონისძიება რუსთაველის თეატრში შედგა, სახელწოდებით „გაუზიარე თაობებს“. საქართველოს კუთხეებიდან მოწვეულმა ანსამბლებმა და შემსრულებლებმა ქართული სულის საგანძური გვაჩვენეს და დაუვიწყარი საღამო გამოვიდა.



ანსამბლი „ბასიანი“

**ლექსო თორაძე, მუსიკოსი:**

— ძალიან დიდი და საპატიო მოვლენაა ფონდი „ქართული გალობის“ შექმნა. ინიციატივა ვანო ჩხარტიშვილისგან მოდიოდა, რომ ქართული საგალობლების საგანძური გადავარჩინოთ და პოპულარიზაცია მოვახდინოთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ამბობენ, რომ ქართული ისტორიული არქიტექტურა, ანუ ეკლესია-მონასტრები არის განყენებული მუსიკა, მუსიკა, რომელიც გარდაისახა არქიტექტურასა და ძეგლებში. ქართული მუსიკა და საგალობლები აჟღერებული სვეტიცხოველი და სამებაა. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა ამ ფონდის შექმნით. ჩვენს ოქროს საუნჯეს დაკარგვა აღარ უწერია. ბევრი მუსიკოსი და მგალობელი ეზიარება ქართულ საგალობლებს. ეს კონცერტი, რომელიც ფონდის პრეზენტაცია იყო, ამის ნათელი დასტურია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართულ კულტურას დაკარგვა არ უწერია.

**არქიმანდრიტი იოანე:**

— ამ ფონდის საქმიანობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ძალიან კომპლექსური მიდგომა აქვთ საკითხის მიმართ. ეს ეხება როგორც ფოლკლორს, ასევე სასულიერო ფასეულობებს. ქართული გალობა ფენომენური მოვლენაა მსოფლიო მუსიკის სამყაროში. ფონდი დიდ სამსახურს გაგვიწევს, რომ მოვიძიოთ და აღვადგინოთ დაკარგვის პირას მისული საგალობლები. საქართველოში რამდენიმე ძლიერი საგალობელი სკოლა არსებობდა გელათში, იყალთოში, შემოქმედში, მარტვილში. იმედი გვაქვს, რომ ამ სკოლების მიღწევებს მოვიძიებთ და აღვადგენთ.



Cyan Magenta Yellow Black



# ვინ და როგორ ყიდის ქართველ ბავშვებს უცხოელ გეებზე

## მარიამ კუკუნაშვილი: «ჰომოსექსუალ წყვილებს სიამოვნებით ვემსახურებით»

„საქართველოდან საზღვარგარეთ მცხოვრები ჰომოსექსუალი წყვილებისათვის თოთო ბავშვები გაჰყავთ“ — ამ განცხადებას სუროგატული დედობისა და დონაციის ცენტრის ხელმძღვანელი, თამარ ხაჭაპურიძე აკეთებს. ის განმარტავს, რომ ეს ბავშვები სუროგაციის მეთოდით იბადებიან. შემდეგ ყალბი დოკუმენტები დგება და ბავშვი საზღვარგარეთ გაჰყავთ.

თამარ ხაჭაპურიძე ასახელებს იმ ორგანიზაციასაც, რომელიც ამ სქემით მუშაობს — ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“. მისი ხელმძღვანელი, მარიამ კუკუნაშვილი, „სარკესთან“ ინტერვიუში არ მალავს, რომ 4 წლიანი მუშაობის შემდეგ მილიონერი გახდა. ქალბატონი მარიამი ღიად აცხადებს, რომ ჰომოსექსუალებს სიამოვნებით ემსახურება, მაგრამ ამას საქართველოში კი არა, სხვა ქვეყნებში აკეთებს.

შეგახსენებთ, რომ სუროგატი დედა ბავშვის ბიოლოგიური დედა არ არის. სუროგატი ქალის საშვილოსნოში გადააქვთ სხვა ქალის, ბიოლოგიური დედის კვერცხუჯრედიდან მიღებული ემბრიონი, რომელიც უნდა გამოზარდოს თავის საშვილოსნოში.

საქართველოს პროკურატურამ თამარ ხაჭაპურიძის საჩივარი შეისწავლა და „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ თანამშრომლები პასუხისგებაში მისცა დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით, თუმცა მათ ამნისტიამ მოუსწრო. სუროგატი დედების მიერ გაჩენილი ბავშვების „ექსპორტი“ კი გრძელდება. ამ დაუსრულებელი ისტორიის შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

თამარ ხაჭაპურიძე: სუროგატ დედებს ბავშვებს აჩენინებდნენ და შემდეგ ამ ქალებს დედებად აფორმებდნენ. საქართველოს კანონით, სუროგატი ქალის დედად დარეგისტრირება აკრძალულია. თუ სუროგატს დედად დაარეგისტრირებ, იქმნება საშიშროება, ბავშვი გააშვილოს. პროკურატურას მივმართე, რომელმაც დაადგინა, რომ რეალურად ყალბდებოდა დაბადების მოწმობები და ამ გზით ბავშვები საზღვარგარეთ გაჰყავდათ. შემდეგ კი, სავარაუდოდ, ჰომოსექსუალ წყვილებზე აფორმებდნენ. სუროგატ დედას აორსულებდნენ დონორული ემბრიონით. დასადგენია, სპერმა ერთ-ერთი ჰომოსექსუალის იყო და კვერცხუჯრედი — დონორის თუ ორივე გამეტას დონორისას იყენებდნენ. ვიცი შემთხვევები, როცა სუროგატ დედას ფულს სთავაზობდნენ, რომ სამშობიაროში შესვლისას მას არ გაემხილა, რომ ის თავის შვილს არ აჩენდა. სამშობიაროში ისე შედიოდნენ, როგოროც ჩვეულებრივი მშობიარეები. შემდეგ ამ სუროგატს ეუბნებოდნენ, რომ ეთქვა, თუ ვინ იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა, მაგალითად, ბრიტანეთის მოქალაქე ვინმე დავითი. იქმნებოდა დაბადების მოწმობა, რომელშიც დედად ეწერა ქალი, რომელსაც დედობის უფლება არ ჰქონდა და არც იყო. მამებად ჰომოსექსუალები ეწერებოდნენ. უცხოეთიდან ჩამოდიოდა ვიღაც მამაკაცი და ამბობდა, მე ვარ მამაო. შემდეგ ეს ქალები მიჰყავდათ ნოტარიუსთან და დედობაზე უარს აწერინებდნენ. ვინმე დაინტერესდეს, ბოლო წლებში რამდენ ქართველ ქალს აქვს ნათქვამი უარი დედობაზე და ეს ბავშვები გაყვანილები არიან თუ არა საზღვარგარეთ!

სამწუხაროდ, ჩემი მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, პროკურატურაში არავინ დაინტერესებულა, ვინ იყვნენ ის კაცები — ჰომოსექსუალები, ბავშვებით მოვაჭრეები თუ ნამდვილი მამები, რომლებმაც ქართველ ქალებს შვილზე უარი ათქმევინეს. ბავშვები სხვადასხვა ქვეყნებში არიან გაყვანილი, მათ შორის — გერმანიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში...

— **დაახლოებით რამდენ ბავშვზეა ლაპარაკი?**

— ზუსტი რაოდენობა ჯერ არ დამიდგენია, მალე გავიგებ, მაგრამ მარტო ბრიტანეთში რომ 8 ბავშვია გაყვანილი, ზუსტად ვიცი. 8 ქალმა რომ უარი თქვა დედობაზე, ეს საბუთები დევს ბრიტანეთის საკონსულოში, მაგრამ პროკურატურამ მათ ამ საბუთების წარმოდგენა არ მოსთხოვა.

— **„ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ თქვენ მას, როგორც კონკურენტს, შავ პიარს უკეთებთ და ამ გზით ებრძვით.**

— საქართველოში სუროგაციული დედობის პირველი ცენტრი მე დავაფუძნე. ახლა, კუკუნაშვილის ცენტრის გარდა, კიდევ 3 ასეთი ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ რატომ არ ვებრძვი?! ვინც აშავებს, იმას ვებრძვი და ამაზე თვალებს ვერასოდეს დავხუჭავ.

ბრიტანელებზე, იცით, როგორ გავიგე? ჩემს ცენტრში ბრიტანელ წყვილს შეეძინა ბავშვი. როცა ისინი მივიდნენ ბრიტანეთის საკონსულოში, რომ ოფიციალურად გაეკეთებინათ ბავშვის საბუთები, იქ შეიტყვეს საკონსულოს თანამშრომლის, ლიკა კალანდარიშვილისგან, რომ 8 ბავშვი იყო გაყვანილი საქართველოდან ისე, რომ მათმა დედებმა საკონსულოში დედობაზე უარის თქმის საბუთი წარადგინეს. ეს რომ გავიგე, დავუკავშირდი ლიკა კალანდარიშვილს, რომელმაც ეს ინფორმაცია დამიდასტურა. მას ვუთხარი, იცით თუ არა, ჯერ სუროგატი რომ რეგისტრირდება და მერე დედობაზე უარს აწერინებთ, ეს უკანონობაა-მეთქი. ვერ ხვდებოდა, რას ამბობდა, მიამიტურად მითხრა. ეს უკანონო გაშვილებაა, რადგან, როგორც კი ამაზე ყვირილი ავტეხე, ველარც ჟურნალისტები და ველარც მე ამ ადამიანს ველარ დავუკავშირდით. ყველას ეუბნებოდნენ, ასეთი ვინმე აქ არ მუშაობსო. ბრიტანეთის საკონსულომ კი გაავრცელა ზოგადი წერილი, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. 2009-10 წლებში არც ერთი ბავშვი არ არის ბრიტანეთში გაყვანილი. 2011 წელს კი უცბათ 5 თოთო ბავშვია გაყვანილი. 2012 წელს კიდევ 3 გაიყვანეს. ივლისში უკვე საქმე აღიძრა და მერე ალბათ ველარ გაბედეს.

— **პროკურატურამ ბრიტანელების ამბავი გამოიძია?**

— არა, გერმანელის. კონკრეტულ პიროვნებაზე მივაწოდე პროკურატურას ინფორმაცია, რომ ამა და ამ სუროგატმა იმშობიარა აქა და აქ, ამა და ამ რიცხვში და შემდეგ დაწერა დედობაზე უარი ამ ნოტარიუსთან, მისი ბავშვი გაიყვანეს გერმანიაში-მეთქი. ამ ინფორმაციას ველარსად წაუვიდნენ და ამაზე აწარმოეს გამოძიება. რა იყო გამოსაძიებელი, ყველაფერი გამოძიებული დავუდე. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, საქართველოს პარლამენტში ყველა დეპუტატის სახელზე შევიტანე ეს ინფორმაცია, რომ ვიღაც მაინც დაინტერესებულიყო. უამრავი პასუხი დამიბრუნდა, მაგრამ არც ერთი ნაციონალი დეპუტატი არ გამომხმაურებია. პროკურატურა კი იძულებული გახდა, ეს საქმე დაესრულებინა. ოღონდ მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა გამოიძია და ამის მიხედვით ბრალი წაუყენა „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ 5 თანამშრომელს დაბადების მოწმობის გაყალბებაზე სისხლის სამართლის 362-ე მუხლით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მუხლი ამნისტირებულია, ანუ ვინც ეს დანაშაული 2012 წლის ოქტომბრამდე ჩაიდინა, თავისუფალია პასუხისმგებლობისგან.

პროკურორს და გამომძიებელს დავუსვი კითხვა, თუ რატომ გამოიძიეს მხოლოდ ერთი ფაქტი და არა ის მრავალი შემთხვევა, რომელთა შესახებაც მე ვაცნობე. თან მხოლოდ დოკუმენტის გაყალბებაზე აღძრეს საქმე და არ დაინტერესდნენ, რისთვის შეიქმნა ეს გაყალბებული დოკუმენტი, ვინ წაიყვანა და ახლა რა დღეშია ის ბავშვი. მხოლოდ დოკუმენტის გაყალბებით მთავრდება დანაშაული?! ეს არის არასრულწლოვანთან დადებული უკანონო გარიგება და ეს არის ტრეფიკინგი! იმ სუროგატმა, ვინც მე ამ გერმანელის ამბავი მომიყვა, მითხრა და დაასახელა სხვა სუროგატები, რომლებსაც ანალოგიური რამ გააკეთებინეს და ფული გადაუხადეს. პროკურორთანაც ხომ იტყოდა ამ ამბავს?! პროკურატურამ კი ეს ჩვენებები ალბათ გააქრო. სამჯერ შეიცვალა ამ საქმეზე პროკურორი და გამომძიებელი. ის სუროგატი, ვინც მე ეს ამბები მითხრა, უკვე თვეებია თურქეთში გადახვეწეს. ამ ამბების მერე ერთხელ მიპასუხა ტელეფონზე და მითხრა, შენთან დალაპარაკება პროკურატურამ ამიკრძალაო. ამის მერე კი საერთოდ გაქრა. ადვოკატებიც ჩავრთე ამ საქმეში.

მოკალი თუ გინდა, არ ინტერესდებიან ამ პრობლემით. ყველა ქალს აქვს უფლება, უარი თქვას შვილზე, მაგრამ როცა მასობრივად დედობაზე უარს წერენ ის ქალები, რომელთა „მამებსაც“ ბავშვი საზღვარგარეთ გაჰყავთ, რა, საბავშვო ბაღია?! რატომ არ აინტერესებს სახელმწიფოს თავისი ქვეყნიდან ყალბი დაბადების მოწმობით გაყვანილი ჩვილი ბავშვების ბედი?!

— **კლინიკებში, სადაც სუროგატ დედებს აფუძმიმებენ, ხომ არსებობს აღრიცხვა?**

— რა თქმა უნდა, აღრიცხვა არსებობს, მაგრამ ამის გაყალბებაც ძალიან ადვილია. კანონის თანახმად, ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უშვილო ცოლ-ქმრის შემთხვევაში უნაყოფობის მკურნალობის მიზნით და არა — მარტოხელა მამაკაცის თუ ჰომოსექსუალისთვის შვილი ყოლის მიზნით. კლინიკას არ აქვს უფლება, მოახდინოს ხელოვნური განაყოფიერება ან ემბრიონის გადანერგვა სუროგატი დედის საშვილოსნოში, თუ ეს ემბრიონი არ არის წყვილის კუთვნილება იურიდიულად მაინც. ვფიქრობ, ბევრ კლინიკაში გამოიყენება ეს უკანონო ტექნოლოგიები. ბრიტანეთში გასაყვანი ბავშვი, რომელზეც მითხრეს, ნამდვილად ჰომოსექსუალმა წაიყვანა.

იცით, მეც ხშირად მიკავშირდებიან უცხოელი ჰომოსექსუალები და მთავაზობენ, რომ სუროგაციის მეთოდით ბავშვი გავუჩინოთ, რაზეც სასტიკ უარს ვეუბნები. როგორც ჩანს, სხვები ამას კადრულობენ. ახლა კი უამრავი ხელოვნური განაყოფიერების კლინიკაა საქართველოში და ვინ რას აკეთებს, რას გაიგებ. კლინიკა არ აღიარებს, რას აკეთებს. პაციენტს, რომელსაც უკანონოდ ემსახურება, საერთოდ არ დაარეგისტრირებს და ისე მოემსახურება. დაინტერესდეს პროკურატურა და ყველაფერს ჩავაბარებ, რაც მე გამოვიძიე.

— **უცხოელი ცოლ-ქმარი, რომლებიც თქვენ მოგმართავენ, ქართველი დონორების კვერცხუჯრედსა და სპერმას იყენებენ?**

— საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, რომ თუ არც ქალს უვარგა გამეტები და არც — კაცს, დონორის იქნეს გამოყენებული, მაგრამ როცა უცხოელებთან



Cyan Magenta Yellow Black

მაქვს საქმე, არ ვილებ მათ წყვილს, თუ რომელიმე, ცოლი ან ქმარი, თავის გამეტას არ იყენებს. მე უნდა ვიცოდე, რომ ბავშვი წაიყვანა გენეტიკურმა მშობელმა და არა — ვინმე უცხომ. იმ ბრიტანელ ჰომოსექსუალს თავისი სპერმაც რომ გამოეყენებინა, საქართველოს კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, ხელოვნური განაყოფიერების და სუროგაციის მეთოდით ესარგებლა.

**— თქვენი აზრით, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? ამბობენ, რომ მარიამ კუკუნაშვილს სანდრა რულოვსი მფარველობს.**

— ამ სფეროში მომუშავე ყველა ადამიანმა იცის, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, მაგრამ მე თუ დოკუმენტი არ მიჭირავს ხელში, არ ვლაპარაკობ. კუკუნაშვილს და სანდრა რულოვსს რომ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ეს ყოველთვის ვიცოდი კუკუნაშვილის ჩემდამი მოწერილი წერილებიდან და ჩვენი საერთო ნაცნობი ექიმებისგანაც. იმასაც მწერდა კუკუნაშვილი, დიახაც, არ მიჭერენ და რატომაც არ დამიჭერენ, მეც კარგად ვიცი და შენცო. სხვებიც მეუბნებოდნენ, შეეშვი, მაგას მაინც არ დაიჭერენო. ერთხელ ჩემმა ქმარმა მითხრა, ეგ ალბათ სანდრა რულოვსის ფონდს აფინანსებსო და ცოტა ხანში ტელევიზიით პირველი ლედის ერთ-ერთ საქველმოქმედო აქციაზე სანდრას გვერდით ვიხილე.

კუკუნაშვილს აქვს ფილიალები სხვადასხვა ქვეყნებში და დიდი მასშტაბით ეწევა ამ საქმიანობას. თვითონ გამოდიოდა გადაცემა „ბიზნეს-კურიერში“ და ღიად აცხადებდა, ჰომოსექსუალ წყვილებს ვემსახურებიო. სუროგატიც კი გამოიყვანა გადაცემაში, რომელმაც ინტერვიუ მისცა — მე ამერიკელი ჰომოსექსუალის სუროგატი ვარ და მერე რა, მასაც ხომ უნდა შვილიო. მერე პრესკონფერენციაზე თქვა, მე ვარ ადამიანი, რომელმაც საქართველოში პირველმა უნდა დაიწყოს ჰომოსექსუალების მომსახურებაო. ამაზე ერთი ამბავი ავტეხე. წარმოვადგინე დოკუმენტები, რომ საქართველოს კანონით, ჰომოსექსუალების მომსახურება ნებადართული არ არის. ამის შემდეგ ამ საქმის გახმაურებას თავი დაანება. ამბობდა, რომ ამას მხოლოდ სხვა ქვეყნებში, ინდოეთსა და ტაილანდში აკეთებდა. სხვათა შორის, ინდოეთში, მას მერე, რაც ეს პიროვნება ჩავიდა და იქ გახსნა სააგენტო და კლინიკა, აკრძალეს ჰომოსექსუალების მომსახურება. მანამდე დაშვებული იყო და კანონი შეცვალეს.

ქართველი სუროგატები კვიპროსზე მიჰყავს. ერთ-ერთმა მოყვა, მე და ერთი გოგო ორჯერ წაგვიყვანა, მაგრამ ვერ დავორსულდითო. კვიპროსზე საერთოდ აკრძალულია სუროგაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც ამ სქემით მუშაობს. კლინიკებს ატყუებს, ეს სუროგატი კი არ არის, უშვილოა და დაორსულება უნდაო. დედებად აფორმებს და დედობაზე უარს აწერინებს. ამ ქალს ისეთი სქემა აქვს, სულ არ აინტერესებს, რომელიმე ქვეყანაში სუროგაცია ნებადართულია თუ აკრძალული. გამოსავალს მუდმივად პოულობს. მაგალითად, ტაილანდში სააგენტო აქვს. ტაილანდიდან დონორის საზღვარგარეთ გაყვანა აკრძალულია. ტაილანდიდან დონორები გაჰყავს ინდოეთში და აფორმებს, როგორც ტურისტებს. აკრძალე, რამდენიც გინდა!

ამ ადამიანს სააკაშვილის დროში რომ მფარველი ჰყავდა, ფაქტია, სხვანაირად ვერ გამოძვრებოდა. ახლა რაშია საქმე, ყურს რომ არავინ იბერტყავს? ეჭვია ბავშვებით ვაჭრობაზე. ხომ შეიძლება ბავშვის გაყიდვა უნდათ და იმიტომ გაყალბდა საბუთები?!

**— სუროგაციაში ჰომოსექსუალები უფრო მეტ თანხას იხდიან?**

— ვერ გეტყვით. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ კუკუნაშვილი ამბობს 4 წელიწადში მილიონერი გავხდიო. მე შედარებით ადრე დავიწყე სეროგატული მეთოდით ადამიანების მომსახურება და ერთ ჩვეულებრივ, კორპუსის ბინაში ვცხოვრობ. ეს ადამიანი კი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ერთ ღამეში ვიხდი 1.200 ევროსო. თუ კანონიერად მუშაობ ხელოვნური განაყოფიერების სფეროში, თავიც რომ მოიკლა მუშაობით, მილიონერი ვერ გახდები. ამ საქმეში თუ გვერდზე გაუხვევ, ნამდვილად იშოვი მილიონებს.

მე თვითონ ორი შვილის დედა ვარ და, პირველ რიგში, მაწუხებს იმ ბავშვების ბედი. გინდათ ჰომოფობი დამიძახეთ და გინდათ სხვა რამ. მიმაჩნია, რომ ჰომოსექსუალების ხელში ბავშვი ცოდოა. ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა და არ უნდა იზრდებოდეს ორი ავადმყოფი მამაკაცის ხელში! მე, ამ სფეროში მომუშავე ადამიანმა, თუ არ ვამხილე ამ სფეროში არსებული დანაშაული, რა იცის პროკურორმა, რა ხდება სუროგაციასა თუ ემბრიოლოგიურ ლაბორატორიაში?! ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიები ქართველ უშვილო წყვილებს მართლა სჭირდებათ. ეს ტექნოლოგიები ასეთი ადამიანებისთვის არის გამოგონილი. ბოროტად რომ გამოიყენებს ვინმე, ის მკაცრად უნდა დაისაჯოს!

საქართველოს პარლამენტში მქონდა შეტანილი ინიციატივა, კანონში ჩაწერილიყო, რომ უცხოელ წყვილს უფლება არ ჰქონდეთ ორივე მხრიდან დონორული გამეტის გამოყენების. ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს გენეტიკური მშობელი. ბევრი ვიყვირე და ვიბრძოლე, სანამ კანონში არ ჩავაწერინე, რომ სუროგატსა და წყვილს შორის ხელშეკრულება მანამდე გაფორმებულიყო, სანამ ბავშვი ჩაისახებოდა, რათა ბავშვები ველარ გაეყიდათ. აქედანაც იპოვეს გამოსავალი. სუროგატებს დედებად გაფორმება დაუწყეს და სულაც აღარ ამბობენ, რომ საქმე სუროგაციასთან აქვთ.

■

მარიამ კუკუნაშვილი ამჟამად ტაილანდში იმყოფება. მასთან დაკავშირება „ფეისბუქით“ მოვახერხეთ. კითხვებზე პასუხი წერილობით

## თამარ ხაჭაპურიძე: „ვინმე დაინტერესდეს, ბოლო წლებში რამდენ ქართველ ქალს აქვს ნათქვამი უარი დედობაზე და ეს ბავშვები გაყვანილები არიან თუ არა საზღვარგარეთ!".

გაგვცა, სადაც თამარ ხაჭაპურიძეს ფსიქიკურად შეშლილს უწოდებს, თუმცა დაადასტურა, რომ ჰომოსექსუალ წყვილებს სიამოვნებით ემსახურება.

**— მარიამ, ცოტა ხნის წინ საჯაროდ აცხადებდით, რომ ემსახურებოდით ჰომოსექსუალ წყვილებს — სუროგატი დედების მიერ მათთვის შვილების გაჩენით. რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს ემსახურებოდით, იქნებ კონკრეტული მაგალითი გვითხრათ.**

— მე ახლაც ვემსახურები ჰომოსექსუალ წყვილებს, მაგრამ ეს ხდება და ხდებოდა ყოველთვის არა საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებში, სადაც ეს კანონით არის დაშვებული, მაგალითად, ტაილანდსა და ინდოეთში.

**— ფიქრობთ, რომ ჰომოსექსუალ წყვილს ნორმალური შვილის გაზრდა შეუძლია?**

— დიახ, ჰომოსექსუალ წყვილებს აქვთ შესანიშნავი ოჯახები და ზრდიან შესანიშნავ შვილებს. ასე მარტო მე არ ვფიქრობ, არამედ მთელი მსოფლიო და ყველა მეცნიერული კვლევა ამას ადასტურებს.

გვიკავშირდებიან ჰომოსექსუალი წყვილები და მათ დიდი სიამოვნებით ვეხმარებით ჩვენს უცხოურ ფილიალებში და არა — საქართველოში.

**— თამარ ხაჭაპურიძე ღიად გადანაშაულებთ ქართველი დონორებისგან სუროგატი დედების მიერ გაჩენილი ბავშვების საზღვარგარეთ, ჰომოსექსუალ წყვილებისთვის მიყიდვაში.**

— თამარ ხაჭაპურიძე უკვე 4 წელიწადია მადანაშაულებს ხან რაში და ხან — რაში. თუმცა არც ერთი მისი ბრალდება საქმის არასერიოზულობის გამო სასამართლომდე არ მისულა. რატომ გავაკეთებდით სუროგაციას საქართველოში ჰომოსექსუალი წყვილებისთვის, როდესაც ამის კეთება სრულიად კანონიერად შეგვეძლო ინდოეთსა და ტაილანდში?

**— პროკურატურას თქვენი 5 თანამშრომელი დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დაუდანაშაულებია. პროკურატურის წერილი, რომლითაც თამარ ხაჭაპურიძეს ამის შესახებ აცნობეს, ხელთ მეც მაქვს. შეგიძლიათ მითხრათ, კონკრეტულად რა დოკუმენტების გაყალბებაზეა საუბარი და ამ თანამშრომლების გვარებიც ჩამოთვალოთ?**

— პროკურატურაში მის მორიგ საჩივართან დაკავშირებით ვიყავი დაკითხვაზე. თუმცა არც მე და არც ჩემი თანამშრომლები არავის დავუდანაშაულებივართ რამეში და არც არავინ დაუჭერიათ. რამდენადაც ვიცი, მთავრობის შეცვლის შემდეგ ბევრი აღძრული საქმე დაიხურა ამნისტიით.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ მილიონერი გახდით. ამბობენ, რომ სანდრა რულოვსთან მეგობრობთ და თქვენს ბიზნესსაც ის მფარველობს.**

— როგორც მოგახსენეთ, 9 ქვეყანაში მაქვს კლინიკები და ბიზნესი. ყოველწლიურად ვფართოვდებით და ვაპირებ, კიდევ გავხსნა კლინიკები ჩემს ესტონელ ბიზნესპარტნიორთან ერთად, რომელიც გახლავთ მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში და ესტონეთის ყოფილი ვიცეპრეზიდენტია. მარტო სუროგაცია რომ იყოს საკმარისი მილიონერობისთვის, მაშინ თამარხაჭაპურიძეც მილიონერი იქნებოდა. მე ფული ჩემს ქვეყანაში არ მიშოვია და ასევე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის მფარველების გარეშე არ იშოვება. ქალბატონ სანდრასთან ერთად ვმონაწილეობდი პროექტში, რომელიც ჩატარდა ბათუმში და რომელიც ემსახურებოდა გაჭირვებული უშვილო წყვილების დახმარებას უფასო ხელოვნური განაყოფიერებით. ჩვენ უფასოდ დავეხმარეთ უშვილო წყვილებს და მათი მადლიერების გამომხატველ წერილებსაც ვიღებ.

გარდა ამისა, მოგახსენებთ, რომ ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი 11 წელი მუშაობდა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. თამარ ხაჭაპურიძემ მას ელექტრონული ფოსტით წერილი მისწერა, სადაც ატყობინებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მე მის გამო მაფარებდა ხელს.

ძალიან სასაცილოა და ბოდვაზე უარესი ქალბატონ სანდრასთან და ბატონ ბიძინასთან ჩემი რაიმე სახით დაკავშირება. იგი ახლაც მწერს წერილებს, სადაც პირდაპირ მეკითხება, თუ „რა დოსტუპები მაქვს“ ბიძინა ივანიშვილთან.

თქვენი ჟურნალით ვისარგებლებ და გეტყვით, რომ მე ძალიან დიდი წვლილი მიმიძღვის იმაში, რომ საქართველო მსოფლიოს გავაცანი. ღირსეულად და წარმატებით ვემსახურებოდი მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენელს და ვმონაწილეობდი და დღემდე ვმონაწილეობ სხვადასხვა ცნობილი არხების გადაცემებში. ინტერვიუებს ვაძლევ უამრავი ქვეყნის ჟურნალისტს. აქვე დავძენ, რომ ნებისმიერი ის ქვეყანა, სადაც მე ინვესტიცია მაქვს ჩადებული, მეც და ჩემს ოჯახსაც მოქალაქეობას უყოყმანოდ მოგვცემს. იმედს დავიტოვებ, რომ ქართველი სამართალდამცავები მიხვდებიან იმას, თუ რამხელა ტერორისა და ცილისწამებების ქვეშ ვყავართ თამარ ხაჭაპურიძეს ამდენი წელი მე და ჩემი ოჯახი და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ. თუ ასე არ მოხდება, გულდასაწყვეტი იქნება და ადრე თუ გვიან საერთოდ წავალ ამ ქვეყნიდან.

**— მარიამ, კითხვა უნდა გაგიმეოროთ. პროკურატურის განცხადებაში წერია, რომ თქვენმა კომპანიამ დოკუმენტები გააყალბა და ეს საქმე ამნისტიის საფუძველზე შეწყდა. იქნებ დამიკონკრეტოთ, რა სახის დოკუმენტების გაყალბებაზეა საუბარი?**

— 4 წელია დავდივარ სხვადასხვა უწყებაში სხვადასხვა სახის ბრალდებებზე ხაჭაპურიძის საჩივრების საფუძველზე. ჩემს საკუთარ შვილებზეც ჩიოდა, რომ გასაყიდად მინდოდა. მოკლედ, ფსიქიკურად ვერაა ეგ ქალი.

✓ რუსუდან ადვაძე



Cyan Magenta Yellow Black

# „მეგობარმა გაიგო, რომ მისი ნაოპერაციევი ცხვირი არ მომწონდა“



დაქალის ცუდი არასოდეს მდომებია, მისი არასოდეს შემშურებია, მაგრამ ახლა ამაში ვერავის ვარწმუნებ. ყველა მეუბნება, რომ ცუდი გოგო ვარ. მართლა არ გამომივიდა კარგად, მაგრამ ყველაფერს მოვყვები, რა და როგორ იყო.

ჩემი მეგობარი 19 წლის არის. ცუდი ცხვირი არ ჰქონდა, მაგრამ წლებია, ამოჩემებული აქვს, რომ ოპერაცია სჭირდება. ოჯახიც ეწინააღმდეგებოდა, მეც ვეუბნებოდი, რომ არაფრის შეცვლა სჭირდებოდა, მაგრამ ვერ დავარწმუნე. ოპერაციის დღესაც მის გვერდით ვიყავი და შეხვევებზეც დავყვებოდი. როცა სახვევი პირველად მოხსნეს და მისი შეცვლილი სახე დავინახე, საშინლად არ მომეწონა. გულწრფელად ვინერვიულე. ვიფიქრე, რომ ოპერაცია შეცდომა იყო. ბუნებრივია, მისთვის არაფერი მიგრძნობინებია, ვუთხარი, რომ კარგად გამოიყურებოდა.

ჩვენი საერთო მეგობრებიც გარს ეხვივნენ. მათ ვუთხარი, ვნერვიულობ, რად უნდოდა ოპერაცია, გალამაზების ნაცვლად დაუშნოვდა-მეთქი. ეს სიტყვები ერთ-ერთმა მათგანმა ჩემს დაქალს მიუტანა. ის კი გადაირია, ისტერიკაში ჩავარდა. ყვიროდა, თავის მოკვლა მინდა, ეს ცხვირი აღარ მინდა, ძველი მერჩივნაო. დედამისმა დამირეკა და წყევლა დამიწყო, ჩემს შვილს ეს რა გაუკეთეო. მერე სხვებმაც დამირეკეს და გამომლანძღეს. არც ჩემებმა დამაყარეს კარგი დღე. არადა გულისტკივილით ვთქვი, დაქალზე ვნერვიულობდი და მისი ცუდი ნამდვილად არასოდეს გამახარებდა.

ჩემს დაქალს სახე ჩაუცხრა და მშვენიერი ცხვირი გამოუჩნდა. ნამდვილად ძალიან ლამაზია და ძველთან შედარებით არაჩვეულებრივად გამოიყურება. ჩემკენ კი გული არ მოუბრუნდა. სხვების ნათქვამს იმეორებს, რომ თურმე მისი შემშურდა. ეს ისეთი სიცრუეა... ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ემოცია ვერ შევიკავე და ის ვთქვი, რაც მაწუხებდა. სხვებიც აქეზებენ, რომ ცუდი მეგობარი ვარ, მძიმე წუთებში გვერდით არ დავუდექი და დავცინე. ღვთის წინაშე, მართალი ვარ! მე მართლა გული შემტკიოდა. თუ დამიჯერებენ, სიმართლე ეს არის. არ მინდა, ჩემზე ასე რომ ფიქრობდნენ. მეგობარს კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს იმისთვის, რომ გული ვატკინე.

**„სარკის“ მკითხველი**

# „ბიცოლა ჩემი ნამდვილი დედა აღმოჩნდა, ბიძა — მამა“

ჩემი დაბადების ისტორია სულ ცოტა ხნის წინ გავიგე. თავიდანვე მქონდა ეჭვი, რომ ნაშვილები ვიყავი, მაგრამ ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. მე დედისერთა ვარ. დედაჩემი 60 წლის არის.

ერთი წლის წინ გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი. ჩემი ნამდვილი დედა ჩემი ბიცოლაა, მამა კი — ბიძა. მყავს სამი და და ერთი ძმა. ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ისინი ჩემი ბიძაშვილები მეგონა, მაგრამ რაც გავიგე, რომ ჩემი და-ძმები არიან, უფრო შემიყვარდნენ. მათ, ვისაც მსგავსი ისტორია გადახდათ თავს, ვურჩევ, რომ ცხოვრება განაგრძონ და იმაზე არ იდარდონ, ვინ არის მათი ბიოლოგიური დედ-მამა.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი, 16 წლის**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru** **ანონიმურობა დაცულია**

## გამოხმაურება

# „დაქალმა ჩემ გამო დასვენებაზე უარი თქვა“

ჟურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „დაქალმა ერთი ზომით დიდი კაბა იყიდა, რომ მეც მომრგებოდა“. ნამდვილი მეგობრობის მეც მჯერა. ჩემი დაქალიც არაჩვეულებრივი ადამიანია. შარშან ზაფხულში ძალიან ცუდი პერიოდი მქონდა. მამაჩემს, რომელიც სრულიად ახალგაზრდაა, ინფარქტი დაემართა. უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. არ ვიცოდი, ცუდი რამ თუ მოხდებოდა, ცხოვრებას გავაგრძელებდით თუ არა. ისეთი სასოწარკვეთილი არასოდეს ვყოფილვარ.

დაქალი ჩემთვის უმძიმეს დღეებში გვერდიდან არ მომშორებია. მამხნევებდა, მარტო არ მტოვებდა. მისი ოჯახი დასასვენებლად ბათუმში წავიდა, ის კი არ გაჰყვა. მშობლებს გამოუცხადა, მე თბილისში ვრჩებიო. მისი ოჯახი დასვენებას ვერ გადადებდა, რადგან მამამისს შვებულება იმ პერიოდში ჰქონდა. მათაც დატოვეს, არ წაიყვანეს. შეიძლება ბევრ მშობელს შვილი იძულებით წაეყვანა, ისინი კი სხვანაირად მოიქცნენ. მამამისმა უთხრა, თუ შენ ასე თვლი საჭიროდ, დარჩიო. მეც შემომთავაზა, თუ გინდა, ჩვენც დავრჩებით, არ წავალთო. ამას როგორ ვეტყოდი. მეგობარსაც ვეხვეწე, დაესვენა, მაგრამ არაფრით დამიჯერა. არადა მე ხომ ვიცოდი, ზღვისთვის როგორ ემზადებოდა. ორი თვით ადრე იყიდა რაღაცეები.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. მეგობრის ასეთი საქციელი კი არასოდეს დამავიწყდება. ყოველთვის მემახსოვნება, ჩემთვის რაც გააკეთა. ბედნიერებაა, ასეთი მეგობარი რომ გყავს.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

# „მშობლები საჭიროდ არ თვლიან, ექსკურსიაზე გამიშვან“

ჟურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „ოჯახის წევრებმა მეგობრები არდამაპატიჟებინეს“. მე 15 წლის ბიჭი ვარ და ჩემებიც ვერასოდეს მიგებენ, ჩემი არ ესმით. რაც უნდა ვთხოვო, ყურადღებას არ მაქცევენ, პასუხად მარტო ეს აქვთ — რად გინდაო.

კლასელებთან ერთად ექსკურსიაზე მინდოდა წასვლა, მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს. დედამ მითხრა, ცოტა ხანში სოფელში მიდიხარ და შენი ექსკურსია ის იქნებაო. მამამაც დაუდასტურა, მთელი ზაფხული უნდა დაისვენო, რაღა ექსკურსია გინდაო.

მშობლებს არ ესმით, რომ კლასელებთან ერთად წასვლა სხვა რამეა და სოფელში დასვენება — სხვა. ჩემ გარდა, ყველა ბავშვი იქ იყო, მე კი ტყუილი მოვიგონე, თითქოს ჩემი დეიდაშვილის ნიშნობა იყო და ამიტომ ვერ წავიდოდი. ჩემს შვილებს ასე არასოდეს მოვექცევი.

**მკითხველი**

# „ენაჭარტალა მეზობლის გაძლება აღარ შემიძლია“

ჟურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მეზობლის გოგო ჩემი ოჯახის ამბებს სკოლაში ყვება“. ამ წერილზე გამეცინა, რადგან ჩემი მეზობლის გოგო პირიქით იქცევა, ჩვენი სკოლის ამბებს უყვება ჩემს მშობლებს. ჩვენ ერთ კლასში ვსწვლობთ, დაქალები ვართ. უამრავჯერ გავაფრთხილე, რომ საჭირო არ არის, ყველაფერი ჩემს მშობლებს უამბოს, მაგრამ თავისას არ იშლის. კლასში რამე რომ მოხდება, ჩემებმა იმ დღესვე იციან.

ენაჭარტალა მეზობლის გაძლება უკვე აღარ შემიძლია. იქნებ არ მინდა, მშობლებს ყველაფერი ვუთხრა? მას კი ეს ვერაფრით შევასმენინე.

**მკითხველი**

# „ჯობია, საქმე აკეთო, ვიდრე აქეთ-იქით იარო“

ჟურნალ „სარკის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ერთი პატარა გოგონას წერილი, რომ სახლში ყველაფერს მას აკეთებინებენ. მინდა, ჩემ შესახებაც დავწერო და ვუთხრა, რომ მე უარეს დღეში ვარ.

როცა ჩემი მშობლები ერთად ცხოვრობდნენ, საოჯახო საქმეების კეთება ჩემზე იყო. დაახლოებით 8-9 წლის ვიყავი, როცა თეთრეულსაც ვრეცხავდი. რაც დედა და მამა გაშორდნენ, უფრო მეტის გაკეთება მიწევს. ჩემი ძმაც ძალიან უმადურია, მაგრამ ამის გამო პანიკაში არ ვვარდები. ვფიქრობ, დრო მოვა და ჩვენც დაგვიფასდება ამაგი.

ისე, ჯობია, შენს ძმას რამე გაუკეთო, ვიდრე აქეთ-იქით იარო და საქმე თავიდან აიცილო.

**ერთგული მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black

# გზავნილი პაპების თაობას: „როგორ დაახვრეტინეთ თვითმფრინავის ბიჭები?!“

„თინა იჯდა ლოგინზე ფეხშიშველი და არაფერს ამბობდა, მხოლოდ უსმენდა გეგას, რომელიც თინას გვერდით იჯდა ახლა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ეფერებოდა თინას თითებს:

— მაგაზე არ იფიქრო... ბაბუაჩემსაც დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ გადარჩა. მე ვისი სახელიც მქვია, ის ბაბუაც ოცდასამი წლის იყო, როცა დახვრეტა მიუსაჯეს და ბერიას მეგრულად უთხრა, სიკვდილის არ მეშინია, შენც იქ მოხვალ და მერე ვილაპარაკოთო... არც მე დამხვრეტენ, ნუ გეშინია, ბოლოს მაინც რაღაც მოხდება და მაინც არ დამხვრეტენ...

თინამ მონატრებულ თითებს მაგრად, ძალიან მაგრად მოუჭირა მარჯვენა ხელი და ატირდა, ისე, როგორც ერთხელ ბავშვობაში, როცა მკვდარი ჩიტი იპოვა ეზოში, სახლის უკან.

მერე, საკნიდან გამოსვლისას, სანამ ბადრაგი კარს დაკეტავდა, გეგამ კიდევ ერთხელ გაიხედა თინასკენ, რომელიც ისევ ლოგინზე იჯდა ძალიან ნათელი სახით და გეგას სწორედ ასეთი დაამახსოვრდა თინა სამუდამოდ — საკნის საწოლზე ჩამომჯდარი, სველი თვალებით და ფეხშიშველი...“.

ეს სიტყვები ამონარიდია დათო ტურაშვილის წიგნიდან „ჯინსების თაობა“. ბევრჯერ მომისმენია ამბები თვითმფრინავის ბიჭებზე, მაგრამ მათი ისტორია ლეგენდასავით ჟღერდა, რომელიც თითქოს არც იყო სინამდვილე. ამას წინათ ჩემმა დამ ეს წიგნი მაჩუქა და... ამ ადამიანების ტრაგედიამ შემძრა. ჯერ ვიტირე, მერე კი ძალიან გავბრაზდი, გავბრაზდი ბაბუაჩემის თაობაზე, რომ მათი დაცვა ვერ შეძლეს. მასაც მივმართე ამ შეკითხვებით და ახლა მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველას, ვინც ამ ამბავს გულგრილად უყურებდა ან უბრალოდ ფიქრობდა, რომ ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა, იგივე კითხვები დავუსვა: როგორ მიეცით საშუალება, ეს ადამიანები დაეხვრიტათ? როგორ არ ამოიღეთ ხმა? ან საერთოდ როგორ ცხოვრობდით იმ სიცრუეში? თქვენც რატომ არ გაფრინდით? რატომ არასოდეს გაგიჩნდათ შავი ზღვის გადაცურვის სურვილი?

ისევ გეგა კობახიძის და თინა ფეტვიაშვილს ტრაგიკულ სიყვარულზე ვფიქრობ...

„მზე კი ნელა, ტაატით ამოცურდა თბილისის ცაზე და გეგას მადლობის თქმა მოუნდა თინასთვის, რომ ამ დროს აქ მოიყვანა, მაგრამ თინას ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა ამ სიმშვიდის გამო, რომ გეგა მიხვდა — ახლა სიტყვებზე ფასეული დუმილი იყო და ეს დუმილი გეგამ მხოლოდ უკანა გზაზე, მთაწმინდიდან ჩამოსვლისას დაარღვია:

— მზის ჩასვლასაც აქედან უნდა ვუყუროთ?

— მზის ჩასვლა აქედან არ ჩანს.

— აბა რა უნდა ვქნათ?

— ზღვაზე უნდა წავიდეთ.

— ახლა ზღვაზე?

— ახლა ყველაზე კარგია ზღვა, შემოდგომის ზღვა.

— არავინ იქნება?

— მხოლოდ მე და შენ და ზღვა, გინდა?

— მინდა, — თქვა გეგამ და თინას თითებს გაუბედავად შეეხო მარჯვენა ხელით.

უკვე დილა იყო და ქუჩაში ადამიანები უკვე მოძრაობდნენ. სკოლისაკენ მიმავალმა რამდენიმე ფორმიანმა გოგონამაც თვალი ულამაზეს წყვილს გააყოლა. თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ თინა და გეგა იყვნენ ყველაზე ლამაზები სამყაროში სწორედ იმიტომ, რომ ამ დილით მათი თითები პირველად შეეხნენ ერთმანეთს...“.

ეს ლამაზი სიყვარულის ამბავი 1983 წელს შეწყდა, არადა შეიძლებოდა ასევე ლამაზად გაგრძელებულიყო... თუ ჩვენი ბაბუების თაობა ვერ იხდის ბოდიშს იმისთვის, რომ ეს ტრაგედია დაუშვეს, მაშინ შვილიშვილების თაობამ მაინც მოვუხადოთ ბოდიში მათ სულებს და მათ ახლობლებსაც. მე ამ საშინელი ამბიდან 13 წლის შემდეგ დავიბადე, მაგრამ მაინც ბოდიში ჩემი თაობის სახელით!..

**მარიამ ტყემალაძე, „სარკის“**
**ერთგული მკითხველი**

# „დედა ჩემს ბიძაშვილებს ვერ იტანს“



ძალიან ცუდია, როცა უფროსები ბავშვების ცხოვრებაში ერევიან. მათ არ იციან, ამით რამხელა პრობლემებს გვიქმნიან. არის რაღაცეები, რაც ვიცი, რომ უნდა გავითვალისწინო, უფროსებს დავუჯერო, მაგრამ ყველაფერზე არ შეიძლება თავი დავუქნიო. ზოგჯერ მათ ნამდვილად არ იციან, ჩვენთვის რა ჯობს.

დედას ბოლო პერიოდში ბიცოლაჩემთან, მამაჩემის ძმის ცოლთან, ურთიერთობა გაუფუჭდა. ამის გამო ბავშვები ვიჩაგრებით. მე და ჩემი უფროსი ბიძაშვილი ერთად გავიზარდეთ. ის ძმასავით მიყვარს. მასაც ხშირად უთქვამს, ჩემი და ხარო. თანატოლები ვართ, ერთ სკოლაში დავდივართ, პარალელურ კლასებში ვსწავლობთ. დედას კი უნდა, მასთან ხშირი კონტაქტი არ მქონდეს და ეს იმიტომ, რომ დედამისთან ცუდი ურთიერთობა აქვს. ამას წინათ ჩემი ბიძაშვილები გვესტუმრნენ. დედაჩემს მიესალმნენ, მან კი ზურგი აქცია და წავიდა. ბავშვები გაწითლდნენ, ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდით.

დედის გადამკიდე, მართლა აღარ მინდა მათთან ურთიერთობა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ მიყვარს, უბრალოდ არ მინდა, ისევ მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. კარგი, ვთქვათ, მათმა დედამ რაღაც დააშავა, შვილებმა რა დააშავეს, მათ რატომ ვერ უნდა იტანდეს?

მამა დედას სულ ეკამათება, ეუბნება, რომ ცუდად იქცევა, მაგრამ ვერაფერს აგებინებს. სრულიად უცხო ადამიანებთან ჯდება და ბიძაჩემის ოჯახს ლანძღავს. ცუდებიც რომ იყვნენ, უცხო ხალხთან რატომ უნდა იჭორაოს? დედასი არ მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ.

**თქვენი მკითხველი, 15 წლის**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



# სანდრო კაკულია: „ვამაყობ, რომ დოდო აბაშიძის სიძე ვარ!“

## როგორ ჩაიგდო ხელში სანდრო კაკულია ნუცა აბაშიძემ



■ სანდრო და ნუცა

### ნუცა: „სანდრომ ცოლად, მგონი, ჩემი ოჯახის გამო მომიყვანა“

სანდრო კაკულია ფილმმა „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“ ჯერ მსახიობად აქცია, მერე კი პოპულარობაც მოუტანა, განსაკუთრებით თინეიჯერ გოგონებში. მათგან უამრავ წერილს იღებს, მაგრამ თითქმის 10 წელია, რაც მისი გული მხოლოდ ერთ ქალს, ნუცა აბაშიძეს ეკუთვნის. მათი სიყვარულის ისტორია ცოტა უცნაურად დაიწყო, სანდროზე შეყვარებულმა ნუცამ რა არ ილონა, რომ სიმპათიური ბიჭის ყურადღება მიექცია და ბოლოს მიზანს მაინც მიაღწია. 6 წლის წინ დაქორწინდნენ. მათი შვილი, ელენე, 3 წლის არის. ნუცა მხოლოდ ერთი რამის გამო საყვედურობს ქმარს — მამას შვილისთვის ცოტა დრო რჩება.

**— ნუცა, სანდრო „სარკესთან“ ყვებოდა, რომ პირველად სიყვარულში თქვენ გამოუტყდით. ბევრი გოგო ვერ გაბედავს, ბიჭთან მივიდეს და უთხრას, დიდი ხანია გაკვირდები და ძალიან მომწონხარო.**

**ნუცა**: ჩემთვის ეს ძალიან ბუნებრივი იყო. ასეთი ხასიათი მაქვს. თუ რაღაც ძალიან მინდა, არასოდეს ვიკავებ თავს და რისკიან ნაბიჯებს არ ვერიდები. ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქეცი. პატარაც ვიყავი, სხვანაირად მიქროდა თავში. შეიძლება ამ ასაკში იგივენაირად არ მოვქცეულიყავი, მაგრამ მაშინ უფრო გამბედავი ვიყავი. სანდრო შორიდან მომწონდა, მეგობრებისგან მასზე ძალიან მცირე ინფორმაცია მქონდა. შეიძლება ვიზუალურად ბევრი მოგეწონოს, მაგრამ სანდროსთან რაღაც სხვა კავშირი ვიგრძენი. ეს ბიჭი ვერაფრით ამოვიგდე თავიდან. ერთი თვის შემდეგ მისი კურსელი გოგონები სპეციალურად გავიცანი, დავუმეგობრდი, რომ სანდრომდე მივსულიყავი.

**სანდრო: „როცა მივხვდი, რომ მოვწონდი, დაველოდე, როდის გამომიტყდებოდა სიყვარულში“.**

**— ასე ძირითადად ბიჭები იქცევიან.**

**ნუცა**: მართალი ხართ. ამ გოგონებთან ერთად კიბეზე რომ მხვდებოდა, იძულებული იყო, მომსალმებოდა, რადგან მათი მეგობარი ვიყავი. არადა სინამდვილეში ჩემი მიზანი სანდრო იყო. მისალმების მეტი ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. ბოლოს უკვე ჭკუიდან გადავედი. ერთხელაც გავეკიდე, მოვაბრუნე და ვუთხარი, რომ ძალიან მომწონდა. მერე აღმოჩნდა, რომ შორიდან თვითონაც მოვწონდი, თუმცა ეს წლების შემდეგ გამიმხილა. ახსოვს, როცა მხედავდა, რა მეცვა, თმა როგორ მქონდა. ეტყობა, გრძნობდა კიდეც, რომ მომწონდა.

**სანდრო**: მაშინვე „მოვწვი“, რას ვერ ვხვდებოდი!

**— ნუცა, სიყვარულში რომ გამოუტყდით, ალბათ ყველანაირი პასუხისთვის მზად იყავით.**

**ნუცა**: წარმოდგენა არ მქონდა, რას მეტყოდა. პიროვნულად არც კი ვიცნობდი, ვხედავდი, რომ ძალიან კონტაქტური იყო, ყველას ესალმებოდა, ელაპარაკებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ უჟმურად არ შემომხედავდა, მაგრამ რას მეტყოდა, ეგ ნამდვილად არ ვიცოდი. როცა ჩემკენ შემოტრიალდა, მივხვდი, რომ ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, მისი სახე გაკვირვებასაც გამოხატავდა და გაოცებასაც.

**ნუცა: „ჩემი მიზანი სანდრო იყო. მისალმების მეტი ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. ბოლოს უკვე ჭკუიდან გადავედი. ერთხელაც გავეკიდე, მოვაბრუნე და ვუთხარი, რომ ძალიან მომწონდა“.**

**— სანდრო, რა შეგრძნებაა, როცა გოგო პირველი გიხსნით სიყვარულს?**

**სანდრო**: რა შეგრძნებაა, გოგო რომ გამომეკიდა? ვიცოდი, რომ რაღაცას მეტყოდა და ველოდებოდი, როდის დამელაპარაკებოდა. როცა მივხვდი, რომ მოვწონდი, დაველოდე, როდის გამომიტყდებოდა სიყვარულში. მანამდე ხომ დამირეკე კიდეც?

**ნუცა**: კი, ერთხელ დაგირეკე და ძალიან ბევრი ვიცინეთ, ოღონდ არ ვუთხარი, ვინ ვიყავი. თქმას ნამდვილად ვაპირებდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, ტელეფონით როგორ ვუთხრა, რომ მომწონს-მეთქი.

**სანდრო**: ვკითხე, ასეთი შარფი რომ გეკეთა, ის გოგო ხომ არ ხარ-მეთქი. მაშინვე მივხვდი, ვინ იყო.

**ნუცა**: სანდრო ძალიან ეშმაკია, მე ალალი და გულწრფელი ვარ. არაფერს ვმალავდი. ამას რაღაც გათვლები ჰქონდა და ჩემში უფრო იწვევდა ინტერესს.

**— ამ სიყვარულის ახსნიდან რამდენ ხანში დაქორწინდით?**

**სანდრო**: ძალიან დიდი ხანი შეყვარებულები ვიყავით და იმ პერიოდშიც ერთი წელი ერთმანეთთან დაშორებულები გახლდით.

**ნუცა**: სანდრომ არ იცოდა, რა უნდოდა, ვუნდოდი თუ არა. ბოლოს ვუთხარი, სანამ მოიფიქრებ, რა გინდა, დავშორდეთ-მეთქი. 5 თვის შემდეგ ჩვენი გზები ერთი წლით გაიყარა.

**სანდრო**: მერე გავიგე, რომ პრაღაში წავიდა. არ ვიცი, უცებ რა დამემართა, მაგრამ ვიფიქრე, რომ ჩვენ ისევ ერთად უნდა ვყოფილიყავით. მივხვდი, რომ მომენატრა, გავიგე, როდის ჩამოდიოდა, შევხვდი და მას შემდეგ ერთად ვართ.

პრაღიდან რომ ჩამოვიდა, მისი მეგობრის დახმარებით დავგეგმე, რომ კლუბში შევხვედროდი. იქ რომ მოვიდა, მას შემდეგ თავიდან დავიწყეთ ურთიერთობა. გაცნობიდან 4 წლის თავზე დავქორწინდით.

**— განსხვავდება თქვენი ოჯახური ცხოვრება შეყვარებულობის პერიოდისგან?**

**ნუცა**: ბევრად ტკბილი აღმოჩნდა ჩემთვის ოჯახური ცხოვრება, ვიდრე შეყვარებულობის პერიოდი იყო. ყველა ოჯახშია ეტაპები, როცა რაღაცეები ერთფეროვნად გეჩვენება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, ასე არ ვიცხოვროთ.

**— სანდრო, როგორი მეუღლეა ნუცა?**

**სანდრო**: ძალიან მაგარი მეუღლეა. თავიდანვე ვიცოდი, რომ კარგი ცოლი იქნებოდა და ამიტომაც მომინდა მის გვერდით ცხოვრება. რაც შეეხება მის დიასახლისობას, სახლს კარგად ალაგებს, მაგრამ სხვა საქმეები არ ეხერხება. ჩვენი ტრაგედია სადილების კეთებაა.

**ნუცა**: რატომაა ტრაგედია?

**სანდრო**: მჭადს აცხობს, ყველს ჭრის და კარტოფილს თუ შეწვავს.

**ნუცა**: სუპიც გამიკეთებია, სოუსიც, ლობიოც. სანდროს ორი დღე ერთი და იმავე კერძის ჭამა არ შეუძლია, რაც ჩემთვის ძალიან რთულია. ვმუშაობ, დიასახლისი არ ვარ, ამიტომ ყოველდღე ახალ-ახალ კერძს ვერ შევთავაზებ.

**სანდრო**: საღამოს ხშირად მინდება ჩაისთან გემრიელი ხაჭაპური. ძალიან მიყვარს ნამცხვრები და მინდა, ნუცა კექსს აცხობდეს, რომ კარაქთან ერთად ვჭამო, მაგრამ არ აკეთებს.

**ნუცა**: ჩემი მინუსი ის არის, რომ ფანტაზია არ მაქვს. არ ვარ გურმანი და ალბათ ამიტომ არ შემიძლია ნაირ-ნაირი კერძების კეთება.

**სანდრო: „ჩვენი ტრაგედია სადილების კეთებაა“.**

**— შვილის გაჩენამ როგორ შეცვალა თქვენი ურთიერთობა, თქვენს თავს რა ცვლილებებს ატყობთ?**

**სანდრო**: ნუცას ცხოვრება განსაკუთრებით შეცვალა. მე შვილის დაბადება ვერ აღვიქვი და ნუცას მარტოს მოუწია მისი გაზრდა.

**ნუცა**: სანდროსთვის ელენეს დაბადებას არაფერი შეუცვლია. ძალიან დიდი ხანი დასჭირდა, რომ აღექვა, რა ხდებოდა.

**სანდრო**: მეგონა, სახლში პატარა ლეკვი გვყავდა. პატარა ძაღლი რომ გყავს და სახლში მისვლა გიხარია, რათა ცოტა ხანს ეთამაშო, ასეთი შეგრძნება მქონდა. სანამ ელენემ მამა არ დამიძახა, ვერ აღვიქვი, რომ მშობელი ვიყავი. გამიმართლა, რომ ჩვენმა შვილმა პირველად მამა თქვა.

**ნუცა**: ნუ იგონებ, პირველად, „კაი რაა“-ო, თქვა.

**სანდრო**: დედაზე წინ რომ მამა თქვა, ეგ კარგად მახსოვს!

**ნუცა**: მოკლედ, ძალიან რთულ დღეში აღმოვჩნდი, რადგან იმ პერიოდში ფაქტობრივად სანდრო გვერდით არ მყავდა. ჩემ გარშემო ყველა მუშაობს და გამოვიდა, რომ ბავშვის მოვლაში ვერავინ მეხმარებოდა. ამიტომ პირველი წელი ჩემთვის ძნელი იყო. სულ სახლში ვიჯექი და ელენეს ვუვლიდი. მერე ნელ-ნელა სანდრომაც დაიწყო ბავშვთან კონტაქტი. ელენე ძალიან ჭირვეული იყო, არასოდეს ეძინა, დაჭყეტილი თვალებით მიყურებდა და ძალიან გამიჭირდა.

**სანდრო**: ელენეს ძალიან ბევრი ენერგია, დრო, ყურადღება მიაქვს. სულ რაღაცის ახსნა სჭირდება.

**— მეორე შვილის გაჩენას აღარ ჩქარობთ?**

**სანდრო**: მე ძალიან მინდა!

**ნუცა**: კი უნდა, მაგრამ მე ახლა ვამთავრებ მაგისტრატურას, პლუს დამხმარე არ მყავს. სანდროს ბევრი სამუშაო აქვს, სახლში იშვიათადაა. ვიცი, ორ ბავშვთან მარტო მომიწევს ყოფნა, ამისთვის კი მზად არ ვარ. მირჩევნია, ცოტა დავისვენო, უკეთესი სამსახური ვიშოვო და მერე დავფიქრდები. სანდროს რომ ვეკითხები, ბავშვის დაბადე-



Cyan Magenta Yellow Black



■ ელენე მშობლებთან ერთად

სანდრო: „მეგონა, სახლში პატარა ლეკვი გვყავდა. პატარა ძაღლი რომ გყავს და სახლში მისვლა გიხარია, რათა ცოტა ხანს ეთამაშო, ასეთი შეგრძნება მქონდა. სანამ ელენემ მამა არ დამიძახა, ვერ აღვიქვი, რომ მშობელი ვიყავი".

ბის შემდეგ პირველი ექვსი თვე იქნება თუ არა სულ ჩემ გვერდით, ცოტა იბნევა და არ იცის, რა მიპასუხოს. ამიტომ მეც თავს ვიკავებ. როცა გადაწყვეტს, რომ თანახმაა, რამდენიმე თვე ჩემთან იყოს და ბავშვის გაზრდაში დამეხმაროს, მეორეს მერე გავაჩენ. უნდა, რომ ბიჭი გვყავდეს.

**სანდრო**: ნუცამ ახლახან წითელა გადაიტანა და მე სახლში არ ვიყავი. ისეთი პერიოდი მქონდა, სამსახურიდან ერთი საათიც კი ვერ გამოვდიოდი. ჩემი წარმომადგენელი დედაჩემი იყო.

**ნუცა**: სანდროს გარეშე წითელაც გადავიტანეთ და მის გარეშე ალბათ კიდევ ბევრი რამის გადატანა მომიწევს. თუმცა ჩემი მთავარი პრობლემა ისაა, რომ მინდა, ელენესთან მეტი ურთიერთობა ჰქონდეს. ორივე ზუსტად ერთნაირია და ერთმანეთი სჭირდებათ.

**— ნუცა, როცა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ უყურებთ, სადაც თქვენი ქმარი თამაშობს, სანდროსა და მის პერსონაჟ სანდრიკას შორის რაიმე საერთოს ამჩნევთ?**

**ნუცა**: ორივე გულწრფელი, გულუბრყვილოა. სანდროც მასავით ლიდერია. ყოველთვის ბევრი საქმე აქვს და მაინც ყველაფერს ასწრებს.

**— ძალიან ბევრ გოგოს რომ მოსწონს, ამაზე რა რეაქცია გაქვთ?**

**ნუცა**: არანაირი. მახსოვს, თქვენს ჟურნალში თქვა, ჩემი ცოლი პროფესიონალი ეჭვიანია, მაგრამ არ გამოხატავსო. იყო ეტაპები, როცა ძალიან ვეჭვიანობდი, მაგრამ ერთად გავიზარდეთ, ამდენი წელია ვიცნობ და ჩვენს ცხოვრებაში ახლა სულ სხვა პერიოდია. შვილი გვყავს და ამიტომ საეჭვიანო არაფერი მაქვს. ისეთი გოგოები სწერენ, რომ არ უნდა ვიეჭვიანო, ძირითადად თინეიჯერები არიან. მათზე რომ რამე ვიფიქრო, არანორმალური საქციელი იქნება.

**სანდრო**: რამდენიმე დიდიც არის მათ შორის.

**ნუცა**: არც მათზე ვეჭვიანობ. თუ ამისი მიზეზი მექნება, რა თქმა უნდა, სხვანაირად დაველაპარაკები. მაღაზიებში ერთად რომ დავდივართ, გოგოები უკან მოგვყვებიან და სანდროზე ლაპარაკობენ. მათზე როგორ უნდა ვიეჭვიანო, პირიქით, ძალიან მსიამოვნებს. მგონია, რომ ქმარს რაც უფრო უბურღავ ტვინს, მით უფრო გშორდება. ბევრი ქაქანი არ მიყვარს. თუ რამე პრობლემაა, ზუსტად ორი სიტყვით ვეუბნები. არ ვარ ის ტიპი, ყოველ წუთში რაღაცაზე ვეწუწუნო.

**სანდრო**: სულ ჩუმადაა, მაგრამ შეიძლება ერთი ისეთი რაღაც მითხრას, საერთოდ წავიშალო.

**— ნუცა, თქვენი პაპა, დოდო აბაშიძე, ლეგენდარული მსახიობია. მოასწარით მასთან კონტაქტი, როგორი გახსოვთ?**

**ნუცა**: 5 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა, ამიტომ ძალიან ფრაგმენტულად მახსოვს. მეხსიერებაში ჩამრჩა, ცუდად რომ გახდა და სახლში ჩოჩქოლი იყო. ოთახში ვიღაცეების ფეხების ქვეშ გავძვერი და შევიპარე, მაგრამ დოდომდე ვერ მივაღწიე. ვიღაცამ ხელი მომკიდა, შენ აქ არ უნდა იყოო, მითხრა და გამომიყვანა. კიდევ, საწოლზე იწვა, მე ზემოდან მუცელზე ვეჯექი და ვთამაშობდით. კადრივით მახსოვს, როცა ილია II მოვიდა, დაიხარა და ბაბუას მიეალერსა. მე რომ 2 წლის გავხდი, დოდო ლოგინად ჩავარდა და ბოლო სამი წელი სულ ცუდად იყო, ამიტომ მე მხოლოდ მწოლიარე დამამახსოვრდა.

**— დოდო აბაშიძის შვილიშვილობა გარკვეული პასუხისმგებლობაც იქნება თქვენთვის.**

**ნუცა**: აბა, რა! თანაც ძალიან დიდი!

**სანდრო**: ვამაყობ, რომ მისი შვილიშვილი მყავს ცოლად.

**ნუცა**: სანდრომ რომ ცოლად მომიყვანა, მგონი, ჩემი ოჯახის დამსახურება იყო, ისე უხარია და სიამოვნებს ეს ფაქტი. სანდროსთან ერთად რომ ვარ, ხმამაღლა აცხადებს, იცით, ეს დოდო აბაშიძის შვილიშვილიაო.

**სანდრო**: იმიტომ ვამბობ, რომ ეს უცხო ადამიანებთან კომუნიკაციაში ხელს მიწყობს, უფრო კეთილგანწყობით მხვდებიან. რა დასამალი ამბავიც ესაა?! დოდოს და ზაზას (სანდროს სიმამრი — ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე) სიძეობა ჩემთვის ძალიან საამაყოა.

✓ ქეთი დინოშვილი

# როგორ ჩაუფრინა ნიკა გრიგოლიამ დიმა ობოლაძის აივანს

იუმორისტ ნიკა გრიგოლიას თავისმა მოტოციკლეტმა ფრენა ასწავლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არაერთხელ ჰქონდა შემთხვევა, როცა ძლიერი შეჯახების შედეგად ჰაერში რამდენიმე მეტრი უფრენია და ბეწვზე გადარჩენილა, მაგრამ ამ სახიფათო ტრანსპორტს მაინც არ ანებებს თავს. თუმცა სტაჟიანმა ექსტრემალმა ისიც კარგად გააცნობიერა, რომ ყოველთვის იღბლის იმედზე ვერ იქნება და ერთხელაც გარისკვა შეიძლება სავალალოდ დასრულდეს. ამიტომ უფრო ფრთხილი გახდა.



„როცა ასფალტზე დავეცი, შლემი ისე ამოიგლიჯა, იგივე დარტყმა თავზე რომ მიმეღო, ნამდვილად ვერაფერი მიშველიდა. მოტო მთლიანად დაიფშვნა".

**ნიკა გრიგოლია:**

— ზუსტად არ მახსოვს, ეს შემთხვევა რომელ წელს მოხდა, მაგრამ სიკვდილს ნამდვილად გადავურჩი. მაშინ რა მოტოციკლეტიც მყავდა, ძალიან სწრაფი იყო. ღამე, დაახლოებით 2 საათზე, პეკინიდან ვაჟაზე ავუხვიე. გზა მთლიანად ცარიელი იყო, ერთი მანქანაც კი არ მოძრაობდა და მეც გადავწყვიტე, ცოტა სწრაფად წავსულიყავი. დაახლოებით 120-ით მივდიოდი. ეს კატასტროფული სიჩქარე არ არის, მაგრამ მოტოსთვის ავარიის შემთხვევაში ძალიან ბევრია. იმ დროს, როცა მე ასეთი სისწრაფით ვმოძრაობდი, მანქანამ, რომელიც ვაჟა-ფშაველას კვეთდა გზა გადამიჭრა. დამუხრუჭების არანაირი შანსი არ არსებობდა და პირდაპირ შევასკდი. შეჯახების ადგილიდან დაახლოებით 20-25 მეტრი ვიფრინე. ამ შემთხვევის შემდეგ დიმა ობოლაძე სულ ხუმრობს, აივანზე ვიდექი და გრიგოლიამ ჩამიქროლაო. მართლა ჩავიფრინე, საშინელი შეჯახება იყო.

**— მძიმედ დაშავდით?**

— პირდაპირ ასფალტზე დავეცი თავით, ლავიწის ძვალი გავიტეხე, დაბეჟილობები მივიღე. თავზე ჩაფხუტი მეხურა, რამაც გადამარჩინა. ერთ-ერთი მოტოკლუბის პრეზიდენტი, ლევან როინიშვილი, სულ ბიჭების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ვიღაცას ჩაფხუტი თუ არ ჰქონდა, იყიდდა და მისცემდა. მოტო როცა შევიძინე, ძალიან უხარისხო, ჩინური ჩაფხუტი მქონდა, რომლის დაფარებას სჯობდა, საერთოდ არ დაგეფარებინა. ლევანმა ძალიან კარგი ჩაფხუტი მომცა, იმ დღეს ის მეხურა და სწორედ ამან გადამარჩინა. საავადმყოფოში როცა მიმიყვანეს, ექიმებმაც მითხრეს, ჩაფხუტი რომ არ გხურებოდა, შენი გადარჩენის შანსი არ იყოო. როცა ასფალტზე დავეცი, ჩაფხუტი ისე ამოიგლიჯა, იგივე დარტყმა თავზე რომ მიმეღო, ნამდვილად ვერაფერი მიშველიდა. მოტო მთლიანად დაიფშვნა. ჩაფხუტის დამსახურებით ტვინის შერყევაც კი არ მიმიღია. ის რომ არ მფარებოდა, შერყევა ალბათ უკვე მკვდარს დამემართებოდა.

**— ვინ მიგიყვანათ საავადმყოფოში, თქვენ გვერდით ვინ იყო იმ წუთებში?**

— იმ მანქანის მძღოლი ახალგაზრდა, კარგი ადამიანი აღმოჩნდა. თვითონაც ექიმი იყო, საავადმყოფოშიც მან წამიყვანა.

**— გონება დაკარგეთ?**

— გონება საა-

➔32

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

ვადმყოფოში მიყვანის შემდეგ დავკარგე. რთულია, როცა იაზრებ, თუ რა შეგემთხვა.

კიდევ მომივიდა რამდენიმე ავარია. ყოველი შემთხვევა ნიშნავს, რომ ადამიანი სიკვდილს გადაურჩა, რადგან ავარია ყოველთვის რეალური საფრთხეა სიცოცხლისათვის, მაგრამ ასეთი რთული შემთხვევა არასოდეს მქონია. წარმოიდგინეთ, 120 კილომეტრ საათი სიჩქარით მანქანას ეჯახები. კიდევ ერთხელ ვამბობ, ლევანს ჩაფხუტი რომ არ მოეცა, დედას ვფიცავარ, ჩემი შლემით იქ ტვინს დავასხამდი! ამ შემთხვევის შემდეგ, ვინც მოტოთი დადის, ყველას ვეუბნები, ძალიან დიდი ყურადღება მიაქციონ უსაფრთხოებას.

**— თქვენ მოძრაობის წესებიც დაარღვიეთ...**

— დავარღვიე, აბა, რა ვქენი?! ქალაქში 120-ით მივდიოდი, იმ მძღოლმა კი საერთოდ ისეთ ადგილზე გადაკვეთა ქუჩა, სადაც არ შეიძლებოდა. მაშინ ის მოტო ახალი ნაყიდი მქონდა, შესაძლებლობები და სიჩქარეც მეტი ჰქონდა.

**— როცა ეჯახებოდით, იმ წუთებში თავში რა აზრმა გაგიელვათ, გაიფიქრეთ, რომ ყველაფერი დამთავრდა?**

— მივხვდი, რომ ამ შეჯახებას ვერ ავიცილებდი. მახსოვს, მანქანა ისე გადმოდიოდა, ფარებიც კი არ ჰქონდა ანთებული. მას რომ დაემუხრუჭებინა, ისე გავივლიდი, არაფერი მოხდებოდა, მაგრამ იმ ბიჭმა ვერ დამინახა, ცდილობდა, გზა ჩქარა გადაეჭრა. მივხვდი, რომ აღარაფერი მეშველებოდა. საშინელი ხმა იყო, სადღაც გადავფრინდი.

სხვათა შორის, მაშინ იმ მოტოზე მარტო არ ვიჯექი. ჩემ უკან გოგონა იჯდა, რომელიც შემდეგ ჩემი პირველი ცოლი გახდა. შეჯახების მომენტში მასზე ვფიქრობდი, რამე ხომ არ დაემართა-მეთქი, მაგრამ გადავრჩით. კატას ვეძახდი და მართლა კატასავით დაეცა, არაფერი მოსვლია. მასაც შლემმა უშველა, თორემ ცუდად წაუვიდოდა საქმე, თავი დაარტყა. ამ ფრენის შემდეგ ფეხზე თვითონ წამოვდექი. ლავიწის ძვალი გატეხილი მქონდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი. როცა დავინახე, რომ ის კარგად იყო, მერე ვიგრძენი ტკივილი.

**— სხვა შემთხვევებშიც თქვენ იყავით დამნაშავე?**

— ავარიაში, რომელზედაც ახლა მოგიყვებით, საერთოდ დამნაშავე არ ვყოფილვარ. წესების დაცვით ვმოძრაობდი, ჩაფხუტიც მეხურა, ქალაქში დასაშვები, 50-60 სიჩქარით მივდიოდი. ამ შემთხვევაშიც მანქანის მძღოლმა ისე მოუხვია, რომ არც გაუხედავს, ვინმე მოდიოდა თუ არა. მანქანას წინა მარჯვენა ფრთაზე დავეჯახე. მთელი მარჯვენა მხარე, წინა კარი, უკანა კარი, შუშები, ყველაფერი დაიმსხვრა. მოტო რომ შეასკდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს მანქანა აფეთქდა. როცა ხვდები, რომ შეჯახება გარდაუვალია, ისიც უნდა იცოდე, როგორ მოიქცე. რომ მივხვდი, უეჭველი ავტომობილს ვასკდებოდი, მოტოდან წამოვდექი, რომ პირდაპირი შეჯახება არ ყოფილიყო. ასე რომ მომხდარიყო, ალბათ მოვკვდებოდი. მოკლედ, მოტოდან ავხტი, მოტო მანქანას შეასკდა, მე კი სახურავზე დავეცი.

სხვათა შორის, ეს მძღოლიც ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. თურმე ისეთი ჩაფიქრებული მოდიოდა და ისე შემოუხვია, ვერც მიხვდა, რა მოხდა. ეგონა, რომ რაღაც აფეთქდა. მითხრა, ჩამტვრევის და შეჯახების დიდი ხმა იყო, სახეში შუშები შემომეყარა, მაგრამ რომ გავიხედე, არც მანქანა იყო და არც ადამიანი, ვიფიქრე, აფეთქება მოხდა და ამ აფეთქებამ მანქანის შუშები ჩალეწაო.



„შეჯახების შემდეგ მე უცებ სახურავიდან „კაპოტზე" დავეცი, იქიდან კი — ძირს. მახსოვს ამ ადამიანის გაოცებული სახე, ვერაფერი გაიგო, მის თავს რა ხდებოდა".



„ჩემ უკან გოგონა იჯდა, რომელიც შემდეგ ჩემი პირველი ცოლი გახდა. შეჯახების მომენტში მასზე ვფიქრობდი, რამე ხომ არ დაემართა-მეთქი, მაგრამ გადავრჩით. კატას ვეძახდი და მართლა კატასავით დაეცა, არაფერი მოსვლია".

შეჯახების შემდეგ მე უცებ სახურავიდან „კაპოტზე“ დავეცი, იქიდან კი — ძირს. მახსოვს ამ ადამიანის გაოცებული სახე, ვერაფერი გაიგო, მის თავს რა ხდებოდა. ეს მესამე თუ მეოთხე შემთხვევა იყო, როცა სხვის გამო დავიმტვერი და რომ ვკითხე, რას მერჩით-მეთქი, ეს კაცი სულ გაგიჟდა.

ვერ ვიტყვი, ამ შემთხვევას იმიტომ გადავურჩი, რომ ჩაფხუტი მეფარა-მეთქი. ამ ავარიის დროს სწრაფად რეაგირებამ მიშველა, რომ მოტოდან ავდექი და მანქანის სახურავზე დავეცი. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი გამოცდილებით გავაკეთე. ასეთ დროს შენ კი არ ფიქრობ, ტვინი გკარნახობს, როგორ მოიქცე.

**— ამდენი შემთხვევის შემდეგ არ დაფიქრდით იმაზე, რომ ძალიან სახიფათო გატაცება გაქვთ? მთელ მსოფლიოში ცნობილია, რომ მოტოციკლეტით დაღუპვის მაჩვენებელი ძალიან მაღალია.**

— ნებისმიერი, ვინც მოტოთი მოძრაობს, უფრო სახიფათოდ გადაადგილდება, ვიდრე ადამიანი, რომელიც ავტომობილის საჭეს უზის. ბუნებრივია, ასეთ დროს უფრო დაუცველი ხარ, ვიდრე თუნდაც ნებისმიერ ნაკლებად დაცულ ავტომობილში. მოტოციკლეტი ის ტრანსპორტია, რომელიც ძალიან დიდ თავშეკავებას მოითხოვს.

**— თქვენ გამოგდით ეს?**

— მე მაშინ ვრისკავდი, როცა დამწყები ვიყავი. ახლა თუ მოტო ერთ ბორბალზე მიმყავს, დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი მომივა, მაგრამ იმისთვისაც მზად ვარ, დავარდნის შემთხვევაში ტრავმა არ მივიღო. როცა ქალაქში რაღაც მანევრს აკეთებ, შეიძლება უკნიდან მომავალმა მანქანამ გადაგიაროს. ასეთი შემთხვევაც ბევრი ყოფილა. ქალაქში მოძრაობისას აღარ ვრისკავ, რადგან ამ დროს სხვის სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებ. ყველა ექსტრემალი ამბობს, რომ ადრენალინის შეგრძნება მოსწონს. ჩემთვის კი ეს ყველაფერი თავისუფლებასთან ასოცირდება. ამ ბოლო დროს ისეთ მოტოს ვანიჭებ უპირატესობას, რომლითაც ტყეში, ტალახში, მთებში ვივლი. ქალაქში მოძრაობა ყველაზე სახიფათოა. როცა ტყეში ხარ, შეიძლება მხოლოდ შენ დაშავდე.

**— ამ ავარიებმა სიცოცხლისადმი თქვენი დამოკიდებულება შეცვალა ან დაგაფიქრათ მაინც მასზე?**

— უფრო დაკვირვებული გავხდი. 54 წლის მეგობარი მყავდა, რომელიც გარდაიცვალა. ის მთელი ცხოვრება მოტოზე იჯდა, მაგრამ სერიოზული ავარია არასოდეს მოსვლია. თუ რამე ექსტრემალური ყოფილა, ყველაფერი გამოუცდია. სულ მეუბნებოდა, როცა მოტოთი ქალაქში მოძრაობ, მთავარი ის კი არ არის, რომ შეცდომას შენ არ დაუშვებ, რისკი ის არის, რომ შენთან ერთად სხვებიც მოძრაობენ, რომლებმაც შეიძლება შენს სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნანო.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ავარიების შემდეგ სიცოცხლეს სხვანაირად ვაფასებ, ვერ ვიტყვი, რომ იმ შემთხვევების შემდეგ რადიკალურად შევიცვალე. არიან ადამიანები, რომლებიც ავარიის შემდეგ მოტოზე აღარ სხდებიან. არიან ადამიანები, რომლებიც ავტოსპორტით იყვნენ დაკავებული, სიკვდილს გადაურჩნენ და მას შემდეგ ამ სპორტს თავი დაანებეს. ვიღაც პარაშუტით გადმოხტა, არ გაიხსნა, ხეზე ჩამოეკიდა და მას შემდეგ პარაშუტით არ ხტება. მე ასე არ ვარ. დედამიწის ზურგზე ადამიანი არ მეგულება, რომელიც თავის სიცოცხლეს არ უფრთხილდება. რა თქმა უნდა, მეც პატივს ვცემ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიცოცხლე იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე ამ შემთხვევებამდე. უბრალოდ ამ ავარიების შემდეგ უფრო გონივრულად ვმოქმედებ. ვისწავლე, რომ ასეთი სისულელეები არ უნდა გავაკეთო.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ნაზარიშვილის მანქანას ნაწილები სცვივა



მსახიობი გიორგი ნაზარიშვილი სრულიად ახალბედა მძღოლია — საჭეს ოთხი თვის წინ მიუჯდა, სამაგიეროდ მისი მანქანაა ნამდვილი რეტრო — 20 წლის გახლავთ. ვეტერანი „ჰონდა სივიკი" არცთუ იოლად „დასაყოლიებელია" ახალგაზრდა მძღოლისთვის. საბარგული საერთოდ არ ეხდება, ხოლო საჭე ისე ძნელად სამართავი აქვს, ტრენაჟერის ფუნქციას ასრულებს — გიორგის მის მიტრიალება-მოტრიალებაზე სერიოზული ვარჯიშები გამოსდის.

ეს „განძი" გიორგიმ თანამშრომლისგან სიმბოლურ ფასად შეიძინა. მას ინტერვიუზე სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" გადასაღებ მოედანზე ვესტუმრეთ, სადაც მისი მეგობარი მსახიობებიც იმყოფებოდნენ. როცა გაიგეს, რა თემაზე უნდა გვესაუბრა, ბევრი იცინეს.

**— გიორგი, ინტერვიუზე რომ დაგირეკეთ და რუბრიკა „ავტომოყვარულში" ჩაწერა შემოგთავაზეთ, გაგეცინათ. თქვენი ასეთი რეაქცია რას ნიშნავდა?**

— ხომ ნახეთ, ჩემი მანქანა რა მდგომარეობაშია. მართვის მოწმობა 1 თებერვალს ავიღე. მანამდე ავტომობილთან შეხებაც არ მქონია, ალბათ არც მჭირდებოდა და იმიტომ. ბოლო დროს კი მივხვდი, რომ ძალიან დამჭირდა. 1993 წელს გამოშვებული „ჰონდა სივიკი" თანამშრომელმა სიმბოლურ ფასად მომყიდა, ფაქტობრივად მაჩუქა. ისეთ მდგომარეობაშია, მხოლოდ „გლუშიტელით" თუ მიხვდებით, რომ სპორტულია.

> „წარმოიდგინეთ, როგორი შეგრძნებაა, როცა რამდენიმე წუთის განმავლობაში ორი პატრული გაგაჩერებს. მანაც იგივე შენიშვნა მომცა და თან სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" ახსენა. მითხრეს, ადრე უფრო კარგი იყო, ახლა „ისე რა" მოგვწონს ან შეიძლება ჩვენ ვერ ვადევნებთ თვალსო, გამომელაპარაკნენ და გამომიშვეს".

**— რატომ არის ასეთ დღეში?**

— ეს მანქანა ჩემს თანამშრომელს 2007 წლიდან ჰყავს და „ფორმულა კრეატივის" მთელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა მასზე გადაიარა. მის პატრონს ეს უნდა გაეყიდა და ახალი შეეძინა, მაგრამ წითელი „ჰონდა" ისევ ჩვენს კომპანიაში დარჩა. „ფორმულა კრეატივის" ნიშანიც კი აქვს.

**— კიდევ რა პრობლემა აქვს მანქანას?**

— „პერედოკი" და „შარავოი" აქვს გამოსაცვლელი.

**— ნაწილებში უკვე კარგად გარკვეულხართ.**

— სხვა რა გზა მაქვს, ამ მანქანამ გამარკვია. ერთხელ საყრდენი დისკი გაუტყდა და ელიავაზე, ხელოსნებთან იმდენი ვიარე, ყველაფერში გავერკვიე. რაღაც-რაღაცეები მეც შემიძლია, მაგალითად, საბურავს თავისუფლად ვცვლი.

**— არ ცდილობთ, რომ შეალამაზოთ მაინც?**

— არა, აზრი არ აქვს, აღარაფერი ეშველება. მთავარია, იაროს, მეტს აღარ ვჩივი. არც სალონშია კარგი მდგომარეობა, მაგრამ, რაც მთავარია, ჯერჯერობით შიგნით არაფერი ცხოვრობს, თუმცა შეიძლება მალე მცენარეებიც გაჩნდეს. სალონში მაქვს გადაღებისთვის საჭირო აქსესუარები, სცენარები, რეკვიზიტები. შეძლებისდაგვარად ვუვლი, სალონში სისუფთავეა. საერთოდ, წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ. როგორც ნახეთ, ჩემს მანქანას არც განსაკუთრებული სერია აქვს. როცა ვინმეს სერიით „ნატ 100", „ზუკ 100" და ა.შ. დავინახავ, მეცინება. ასეთი რაღაცეები ძალიან მეგოიმება. მგონია, რომ კრეატიული ჯგუფი სპეციალურად ზის და ასეთ სერიებს იგონებს.

**— სალონის საბარგულში რა ხდება?**

— არ ვიცი, რადგან არ იღება. რომ ვიყიდე, უკვე ასეთ მდგომარეობაში იყო. სიმართლე გითხრათ, მისი გახსნა არც მიცდია და ვინ იცის, შიგნით რა დევს, იქნებ განძიც ინახება.

**— როგორც მივხვდი, ავტომობილი თქვენთვის მხოლოდ და მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა და არა — ფუფუნების ან თავმოწონების.**

— ამ ეტაპზე იძულებული ვარ, ამით შემოვიფარგლო. ამ მანქანას მხოლოდ ერთი დატვირთვა ჰქონდა — ტარება უნდა მესწავლა კარგად. მართვა ვისწავლე და ახლა უკვე ახალი მანქანა მინდა, მაგრამ ისიც არ ვიცი, რას ვიყიდი, ალბათ ისევ მუშა ავტომობილს, გადაღებებზე რომ გამომადგეს.

**— ახალბედა მძღოლი ხართ. თავიდან რა სირთულეებს წააწყდით საჭესთან?**

— ჩემი მანქანა მექანიკაა და წარმოიდგინეთ, ახალბედა მძღოლისთვის რა რთულია მისი მართვა. თავიდან სიჩქარეების გადამყვან კოლოფს ვუყურებდი და ციმციმას ჩართვა სულ მავიწყდებოდა. არადა ეს ყველაფერი ისევე მექანიკურად უნდა გააკეთო, როგორც თვალებს აფახულებ. ჩემი მთავარი პრობლემა სიგნალები და გინება იყო.

**— თქვენ იგინებოდით?**

— არა, შუა გზაზე რომ მიჩერდებოდა მანქანა, სხვა მძღოლები მაგინებდნენ.

**— ამ დროს თქვენ როგორ იქცეოდით?**

— ამ დროს მათ ყურადღებას კი არ ვაქცევდი, საქმით ვიყავი გართული, ნეტა, რომელ სიჩქარეში უნდა გადავიყვანო-მეთქი. მადლობა ღმერთს, ცუდი არაფერი დამმართნია!

**— უხერხულ სიტუაციაში უიტყუნია თქვენთვის მანქანას?**

— ნუცუბიძეზე ერთი იმხელა აღმართია, ჯერ ავტომობილის ცხვირი უნდა გადაყო და მერე გადახვიდე. მე კიდევ ცხვირის გადაყოფა არ გამომივიდა და დამიგორდა. უკან გავიხედე და ლამის ცუდად გავხდი, ძალიან მაგარი მანქანა იდგა. მე კი აღარც ხელის მუხრუჭი მიჭერდა და აღარც — ფეხის. ბოლოს იმან მიშველა, რომ იმ მძღოლმა გასწია მანქანა, თორემ დავამტვრევდი.



> „საბარგული არ მუშაობს. მისი გახსნა არც მიცდია და ვინ იცის, შიგნით რა დევს, იქნებ განძიც ინახება".

**— ახალბედა მძღოლის კვალობაზე როგორ შეაფასებთ თავს?**

— სტაბილური მძღოლი ვარ. როგორც მეგობრები მეუბნებიან, მძღოლად გამოვდექი. ამ →34



Cyan Magenta Yellow Black

მოდელს ჰიდრავლიკა არ აქვს, საჭეს უნდა ეჩალიჩო, გამოდის, რომ თან ვვარჯიშობ. სისწრაფე ჯერ ვერ დავამუღამე, ამ ეტაპამდე ვერ მივედი და ამის საშუალებას არც ეს მანქანა მაძლევს. სულ ვფრთხილობ, მოძრაობის წესები არ დავარღვიო. პრაქტიკაში უკვე ბევრი რამ ვისწავლე. მივხვდი, რომ ჩვენს ქალაქს მოძრაობის საერთო წესი აქვს, თუ აჰყევი, ჩვეულებრივად მოძრაობ, თუ ვერა, გისიგნალებენ და გაგინებენ.

— **პოპულარული სახე ხართ. როცა ასეთ მანქანაში გხედავენ, რა რეაქცია აქვთ?**

— ისინი დანგრეულ მანქანას სულაც არ უყურებენ, მე მაქცევენ ყურადღებას. ისე, სიმართლე გითხრათ, მათ რეაქციებს არ დავკვირვებივარ.

— **არსებობს რომელიმე ქუჩა, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეეგუეთ მოძრაობას?**

— კი, როგორ არა. სააკაძის მოედანზე მოძრაობა ჩემთვის ჯერჯერობით რთულია. ხილიანზე ვცხოვრობ და სამსახურამდე გმირთა მოედანზე გაკეთებული ახალი ესტაკადებით ვსარგებლობ, ამას უკვე მივეჩვიე. ვერაზე ერთი მონაკვეთია, სადაც აღმართზე ასვლა მიჭირს.

— **მიკროავტობუსები და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გიქმნით დისკომფორტს?**

— მხოლოდ ესენი? ესენიც და ქალი მძღოლებიც!

— **თქვენც ქალ მძღოლებზე ლაპარაკობთ?! ახალბედა მძღოლის გაოცება რითი მოახერხეს?**

— გზას არ უყურებენ. მაშინ, როცა უნდა მოძრაობდეს, ქალი სარკეში იხედება, მაგრამ არა იმიტომ, რომ მოძრაობას აკონტროლებს, ან თმას ისწორებს, ან მაკიაჟს, ან ტელეფონზე ლაპარაკობს. ან კიდევ, ერთი საათის განმავლობაში მანქანას ავტოსადგომზე ვერ აყენებს, რის გამოც დიდი საცობი იქმნება, მაგრამ თავს დამნაშავედ სულაც არ გრძნობენ.

— **ავარიული სიტუაციაც ხომ არ შეუქმნიათ თქვენთვის?**

— კი, როგორ არა, მაგრამ მოვასწარი თავის დაღწევა. როცა ვხედავ, რომ ჩემ წინ ან უკან ქალი მოდის, უკვე მობილიზებული ვარ, ვიცი, რაღაცას ჩაიდენს და მისგან ყველაფერს ველოდები. ამას წინათ ჩემ წინ ქალი მოძრაობდა და მოულოდნელად ისე დამიმუხრუჭა, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ დამერტყა. თუ დავეჯახებოდი, ჩემი ბრალი იქნებოდა. ამიტომ, როცა ვხედავ, რომ მანქანა არაადეკვატურად მოძრაობს, ვხვდები, რომ საჭესთან ქალი მძღოლია და ვერიდები, მაგრამ ყველას ერთ ქვაბში ნამდვილად ვერ მოვხარშავ, ბევრი მაგარი ქალი მძღოლი ვიცი, რომლებიც მანქანებს მართლა კაცებივით მართავენ.

— **პატრული ხშირად გაჩერებთ?**

— არც ისე. მართვის მოწმობა ერთი კვირის აღებული მქონდა, ღამის 3 საათზე სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი. მაშინ ეს მანქანა უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო, ვიდრე ახლაა. პატრულმა გამაჩერა. ცოტა არ იყოს, დავიბენი, რადგან მათთან ჩემი პირველი შეხება იყო. გაბარიტები არ ანთებსო, მითხრეს. მე კი არც შემიმჩნევია, ალბათ სადმე ცუდად ჩავარტყი, კონტაქტი გაწყდა და ნათურა აღარ ანათებდა. ავუხსენი, ახალი გაფუჭებული იქნება, ამ დრომდე მუშაობდა-მეთქი. სიმთვრალეზე შემამოწმეს და გამომიშვეს. ალბათ ჯარიმაც მეკუთვნოდა, მაგრამ ერთმანეთში რაღაცას ლაპარაკობდნენ და შეიძლება მიცნეს კიდეც. 500 მეტრი გავიარე და სხვა პატრულმა გამაჩერა. წარმოიდგინეთ, როგორი შეგრძნებაა, როცა რამდენიმე წუთის განმავლობაში ორი პატრული გაგაჩერებს. მანაც იგივე შენიშვნა მომცა და თან სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ახსენა. მითხრეს, ადრე უფრო კარგი იყო, ახლა „ისე რა“ მოგვწონს ან შეიძლება ჩვენ ვერ ვადევნებთ თვალსო, გამომელაპარაკნენ და გამომიშვეს.

— **ნასვამი საჭესთან დაჯდომას გარისკავთ?**

— არასოდეს. ისეთი გრაფიკი მაქვს, ვერ დავლევ. თითქმის 24 საათი ვმუშაობთ და არც მანქანის მართვა ვიცი ისე კარგად, რომ ნასვამმა ვიარო. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ოთხი თვე ისე გავიდა, არანაირი სახის ჯარიმა არ გადამიხდია. საერთოდ, ვინც გვიან იწყებს მანქანის მართვას, ის უფრო მოწესრიგებული მძღოლია და ვინც ბავშვობიდან ატარებს, უფრო მაიმუნობს.

— **ყველაზე შორს სად წასულხართ?**

— მუხრანში და კიდევ სხვა ადგილებში, სადაც გადაღებები გვიწევს. ჩემი მანქანა ძალიან დაბალი გამავლობისაა, ნებისმიერ გზაზე ვერ დადის, მაგრამ ესეც „დავამუღამე“, ვიცი, სად როგორ უნდა გადავიდე.

— **რა მარკის მანქანას ისურვებდით?**

— „იაგუარი“ ძალიან მომწონს, მაგრამ არც მასზე ვოცნებობ და არც წითელ „ფერარიზე“, უბრალოდ სიამოვნებით მეყოლებოდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# ელენე კალანდაძე: „ჩემსა და ნოდარს შორის ვიღაც მესამე ჩადგა“

## რატომ დასრულდა პოპულარული ახალგაზრდა წყვილის ქორწინება ორ თვეში



**„ალბათ გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ჩემს გულს დაიმსახურებს, ისეთი პიროვნება იქნება, ვინც დამაფასებს".**

ახალგაზრდა მომღერალ ელენე კალანდაძის და ცნობილი მომღერლის გიო ხუციშვილის ვაჟის, ნოდარ ხუციშვილის ოჯახური ბედნიერება მხოლოდ ორ თვეს გაგრძელდა. არადა ქორწინებამდე სამწლიანი რომანი ჰქონდათ. იმ პერიოდში „სარკესთან“ თავიანთი სიყვარულის ბედნიერ პერიოდზე ლაპარაკობდნენ. ელენე ამბობდა, რომ ნოდარმა რომანტიკულობით, გრძნობის ორიგინალურად გამოხატვით მოხიბლა. ერთხელ გულისსწორისთვის შეყვარებულ ბიჭს საკუთარი კარდიოგრამაც კი გაუგზავნია ფოსტით...

ქორწილი ერთი წლის წინ, 9 ივნისს ჰქონდათ. აგვისტოში კი უკვე ერთად აღარ იყვნენ. გაბზარულ გულსა და დანგრეულ ურთიერთობაზე, რომელიც ელენემ წარსულში დატოვა, „სარკეს“ უამბობს და წლებს, რომლებიც ნოდარის სიყვარულით გაატარა, უკვე განვლილ ეტაპად მოიხსენიებს. ახლა მთლიანად მუსიკალურ კარიერაზე ზრუნვით არის დაკავებული და დიდი გეგმებიც აქვს.

— **ელენე, თქვენს შემოქმედებაში რა სიახლეებია?**

— ბენდთან ერთად ვმუშაობ, კორპორატიულ საღამოებში ვმონაწილეობ. მე და დიჯეი ბენეს ერთობლივი პროგრამა გვაქვს და აქტიურად ვმუშაობთ. ზაფხულია და ახლა ზღვისპირეთიდან ველოდები შემოთავაზებებს. გარდა ამისა, მეგობრებთან ერთად დავაარსე მუსიკალური სკოლა-სტუდია. ახალგაზრდებს ვასწავლით სიმღერას, ცეკვას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას. უკვე 100 მოწაფე გვყავს. ჩვენ კი გამოვედით თინეიჯერული ასაკიდან, მაგრამ მათთან ურთიერთობით ვიხანგრძლივებთ ბავშვობას.

— **როგორი პედაგოგი ხართ?**

— ისეთი, როგორიც წარმომედგინა — მეგობრული. ვცდილობ, ურთიერთობით, საუბრით ბავშვები გავათავისუფლო იმ კომპლექსებისგან, რომლებიც აქვთ. ასე რომ, საქმის თვალსაზრისით, აქტიური ვარ.

— **თქვენს პირად ცხოვრებაში კი ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი კარგად არის. თქვენი და ნოდარ ხუციშვილის ქორწინება დასრულდა. როგორ გადალახეთ ეს სიძნელე?**

— მე და ნოდარი 3 წელი შეყვარებულები ვიყავით. ზუსტად ერთი წლის წინ, 9 ივნისს ვიქორწინეთ. ჩვენმა თანაცხოვრებამ დიდხანს არ გასტანა — ორ თვეში დავიშალეთ. ამ მოკლე ხანში უამრავი უსიამოვნება მოხდა... აღარაფერი მიკვირს, ცხოვრება სავსეა სიურპრიზებით, კარგითაც და ცუდითაც. ამ წარუმატებლობამ დიდი გამოცდილება შემმატა. სამომავლოდ ყველაფერს გავითვალისწინებ.

— **დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ ფიქრობთ, თქვენი**



Cyan Magenta Yellow Black

**ურთიერთობა შეცდომა იყო?**

— ნამდვილად, ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. შეიძლებოდა ეს ყოველივე არ მომხდარიყო, მაგრამ, რადგან მოხდა, რას ვიზამთ. ღმერთს მადლობა, რაც მოხდა, რადგან შეიძლება უარესიც ყოფილიყო.

**— რამდენიმეწლიანი სიყვარულის ისტორია ასე მალე როგორ დასრულდა?**

— ეს ის შემთხვევა არ იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდით, ერთმანეთი აღარ გვიყვარდა. მიზეზებზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს. სიმართლე გითხრათ, არც მახსოვს, ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში თუ არსებობდა. ცუდ რაღაცეებს ადვილად ვივიწყებ. ძალიან დიდი ხანია, ეს თემა დავმარხე. ახლა ახალი ელენე ვარ, სხვა შემართებით და ენერგიით.

**„შეიძლება ჩემს ადგილზე სხვა ქალი სხვაგვარად მოქცეულიყო, მაგრამ მე ასე არ შემეძლო".**

**— თქვენ შორის ვიღაც მესამე ჩადგა?**

— დიახ, მესამე იყო.

**— რა სიტყვებით დასრულდა ურთიერთობა?**

— მშვიდად დავილაპარაკეთ და განქორწინებით დავასრულეთ ყველაფერი.

**— შერიგება აღარ გიცდიათ? ინიციატივა არც ერთს გამოგიჩენიათ?**

— არა, მასთან არანაირი შეხება არ მქონია. მას მერე თვალითაც არ მინახავს. არ არის საჭირო და მორჩა!

**— თქვენი აზრით, ღალატი არის შეცდომა, რომელიც ქალმა კაცს არ უნდა აპატიოს?**

— ეს ინდივიდუალურია. არიან ადამიანები, რომლებიც პატიობენ, შეიძლება ჩემს ადგილას სხვა ქალი სხვაგვარად მოქცეულიყო, მაგრამ მე ასე არ შემეძლო. პატივს ვცემ საკუთარ თავს, ოჯახს და მეგობრებს. ქალიც და კაციც უნდა ეცადონ, კბილებით გადაარჩინონ ოჯახი, მაგრამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, რა უნდა ქნა? თან საოცრად რთულია, როცა შანსს აძლევ, მხოლოდ ცალმხრივად ცდილობ და მაინც არაფერი გამოდის. ამ მცდელობას ერთადერთი დადებითი მხარე ის აქვს, რომ საკუთარ თავთან ხარ მართალი. ფიქრობ, რომ ურთიერთობის შენარჩუნებას არაფერი დააკელი, მაგრამ...

**— მშობლებისთვის ძალიან მტკივნეული იქნებოდა თქვენი დაშორება ქორწინებიდან ორი თვის თავზე.**

— რასაკვირველია, ჩემი ოჯახი გაოგნებული იყო. როგორც თქვენ გაგიკვირდათ ჩვენი დაშორების ამბავი და გულწრფელად მკითხეთ, ორ თვეში როგორ დასრულდაო, მათაც ანალოგიური რეაქცია ჰქონდათ. გაკვირვებულები იყვნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები. მე უკვე აღარაფერი მიკვირს, ჩემ გარშემო ისეთი რაღაცეები მესმის, ორ თვეში კი არა, ქორწინების ღამესვე ფიქრობენ განქორწინებაზე.

**„ჩემს ცხოვრებაში ამ ეტაპის დასრულებამ მიმახვედრა, რომ ძლიერი პიროვნება ვარ, მიზანდასახული და უშიშარი".**

ეს პერიოდი ყველამ ერთად გადავლახეთ. ცხოვრება ახალი დღით მითენდება, ჩემს წარსულში არ ჩავრჩენილვარ, არც არაფერს მივტირი, რას ან ვის უნდა მივტიროდე? განა ღირს ვინმე გვემად და ცრემლად? არა! დიახ, ჩემი მშობლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც გვერდში დამიდგნენ, თუმცა სანამ ვინმეს რამეს ვეტყოდი, საკუთარ თავს შემოვუძახე და გავძლიერდი. მარტომ გავიარე ყველაზე რთული დღეები. რაღაც პერიოდი არავისთან მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი.



ნოდარი და ელენე

**— ნოდარის მშობლებთან საუბარი გქონდათ?**

— ძალიან ცივილიზებულად ვილაპარაკეთ და ამით დამთავრდა ყველაფერი. მას მერე ჩვენ-ჩვენი ცხოვრება განვაგრძეთ.

**— ახლა თქვენ გვერდით არავინ არის?**

— ჩემს ცხოვრებაში თაყვანისმცემლები ყოველთვის იყვნენ და ახლაც არიან, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს.

**— რატომ, ახალი ურთიერთობის წამოწყების ხომ არ გეშინიათ?**

— ნდობა დავკარგე, თუმცა ამ ყველაფერს დრო უნდა. ალბათ გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ჩემს გულს დაიმსახურებს, ისეთი პიროვნება იქნება, ვინც დამაფასებს. ამ ეტაპზე კი ახალი ურთიერთობის წამოწყება, შეიძლება ითქვას, მეზარება. 23 წლის ვარ, ახლა უკვე სულ სხვა პრიორიტეტები მაქვს. მინდა, სასიმღერო კარიერას ბოლომდე მივყვე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საზღვარგარეთ წავიდე. მინდა, ყველანაირი შანსი გამოვიყენო, რასაც ცხოვრება მაძლევს.

**— სიყვარულისგან კი ისვენებთ.**

— ახალ სიყვარულს ნამდვილად არ ვეძებ. ჩემთვის ვცხოვრობ — მშვიდად და წყნარად. ეს ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო, ბევრ რამეზე დამაფიქრა. ამიერიდან ყველაფერს დიდი ყურადღებით დავუკვირდები. დაზუსტებით ვიცი, რომ ჩემზე წინ არავის დავაყენებ. როცა ადამიანი მიყვარდება, არ აქვს მნიშვნელობა სქესს და ურთიერთობას,

**„მე უკვე აღარაფერი მიკვირს, ჩემ გარშემო ისეთი რაღაცეები მესმის, ორ თვეში კი არა, ქორწინების ღამესვე ფიქრობენ განქორწინებაზე".**

იმდენად ჩემიანად ვთვლი, რომ დისტანციას არ ვიჭერ, გულს ვიგლეჯ და მას ვჩუქნი. ასე არ უნდა მოიქცე, რადგან არ იცი, გულს რა წამს დაგიფხრეწს და გადაგიგდებს. ამიერიდან კი ამ ზღვარს დავიცავ. ახალ ურთიერთობას გამადიდებელი შუშით დავაკვირდები. ჩემს ცხოვრებაში ამ ეტაპის დასრულებამ მიმახვედრა, რომ ძლიერი პიროვნება ვარ, მიზანდასახული და უშიშარი.

**— ზემოთ ახსენეთ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ წავალო. რომელ ქვეყანაში აპირებთ წასვლას?**

— რამდენიმე ხნის წინ ჰოლანდიაში ვიმოგზაურე. ამ ქვეყანამ ჩემზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, სავარაუდოდ, სწავლას სწორედ იქ გავაგრძელებ. პროფესიით მარკეტოლოგი ვარ, არაერთხელ მიმუშავია ამ განხრით, მაგრამ ჩემი ინტერესის წყარო იმდენად უშრეტია, ალბათ სულ სხვა განხრით წავალ მაგისტრატურაში. ახლა ფიქრის პროცესში ვარ. ვფიქრობ მუსიკალურ კარიერაზე. საქართველოში მომღერლები ჩაკეტილები ვართ, დიდი არეალი არ არის. სამწუხაროდ, მუსიკალური განათლება არ მაქვს, მაგრამ არც ახლაა გვიანი. ადრე სიმღერა ჩემთვის ჰობი იყო, ახლა უპირველესი საქმეა.

**— საზღვარგარეთ ცხოვრებას მიჩვეული ხართ. როგორც ვიცი, ბავშვობაში მშობლებთან ერთად დიდხანს იყავით უცხოეთში.**

— დიახ, ისრაელში 9 წელი ვიცხოვრე, ბელგიაში — 5. ჩვენს ქვეყანაში არის რაღაცეები, რასაც არ ვემხრობი, ბევრი რამ კი მისაღებია, თუმცა დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

✓ **ლანა კიკნაძე**


დარეგისტრირდი
2013 წლის 17 ივნისამდე
"TLC" Tbilisi Language Centre-ში
და მიიღე 30%-იანი ფასდაკლება
ინგლისური ენის
საზაფხულო ინტენსიურ კურსზე.
კურსს უძღვებიან ქართველი და უცხოელი პედაგოგები.
მისამართი: კოსტავას 63 (გმირთა მოედანთან).
☎ 214-77-51, 555-36-35-78. www.TLCentre.ge E-mail: info@tlcentre.ge

# ზუზუ ქალის გამო ცემას გადაურჩა

მსახიობები ზაზა ბეჟაშვილი, ანუ ზუზუ და ია ვახანია ერთმანეთს ფილმ „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილის“ გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ. მათმა ეკრანულმა წყვილმა მაყურებელს საკმაოდ თამამი ინტიმური სცენით დაამახსოვრა თავი. ამ პერსონაჟების ისტორია სერიალშიც გაგრძელდა, მერე კი მსახიობები რეალურ ცხოვრებაშიც დაახლოვდნენ.

ია თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ზუზუ სამომავლო გეგმებს არ ამხელს, მაგრამ დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს. თავისუფალ დროს ერთმანეთის მოკითხვა არ ავიწყდებათ და არ გამორიცხავენ, რომ მათი ურთიერთობა სხვა ფაზაშიც გადავიდეს.

**— როგორ დაგამახსოვრდათ თქვენი პირველი შეხვედრა?**

**ია**: ზუზუსთან ერთად მანამდე არ მიმუშავია. შორიდან კი ვიცნობდი. კინოგადაღებაზე პირველად მიმიწვიეს და ვღელავდი.

**ზაზა**: როგორც წესი, მსახიობს, რომელიც ჩემი პარტნიორი უნდა იყოს, ფილმის გადაღებამდე მაცნობენ. ის კი პირდაპირ გადასაღებ მოედანზე შევხვდი. მეუბნებოდნენ, არ იცი, რა კარგ გოგოსთან უნდა ითამაშოო. მართლებიც აღმოჩნდნენ.

**— სერიალში თქვენი გმირების სასიყვარულო ურთიერთობა განვითარდება?**

**ია**: წინასწარ არასდროს ვიცით, რა მოხდება.

**ზაზა**: საინტერესო ის არის, რომ ფილმში ჩვენი ურთიერთობა დაიწყო და დასრულდა, სერიალში კი — აღდგა.

**— ეკრანულ წყვილს რეალურ ცხოვრებაშიც უყვარდებათ ხოლმე ერთმანეთი და ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ზაზა, არსებობს ალბათობა, რომ ასეთი კარგი გოგოთი მოიხიბლოთ?**

**ზაზა**: ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჯერჯერობით ჩვენ შორის შესაძლებელია კარგი მეგობრობა ჩამოყალიბდეს.

**ია**: ორივეს ძალიან დატვირთული რეჟიმი გვაქვს, მაგრამ, თუ თავისუფალ დროს ვპოულობთ, ვურეკავთ და ერთმანეთის ამბებს ვკითხულობთ.

> **ია: „ამ როლის მერე სხვებმაც დამირეკეს და კვლავ თამამი როლის შესასრულებლად მიმიწვიეს. ყველას უარი ვუთხარი“.**

**— ზაზა, თქვენი ეკრანული გმირი ნიკა, მიუხედავად თავისი ქარაფშუტობისა, საკმაოდ პოპულარულია, ალბათ იმიტომ, რომ ტიპური სახეა, თითქმის ყველას გვყავს ცხოვრებაში ასეთი ნაცნობი, ახლობელი ან თანამშრომელი. პირადად თქვენ რას ფიქრობთ, ამ პერსონაჟზე, როგორ დაახასიათებდით მას?**

**ზაზა**: ჩემი პერსონაჟი დეგენერატი და არაადეკვატურია. არავინ იცის, ეს გმირი როგორ განვითარდება. შეიძლება დადებითი გმირი გახდეს და ყველა გააოცოს ან პირიქით — უარყოფითი. ისე, ჩემს გმირს ვამართლებ, მაგარი ტიპია.

**— თქვენი თვისებებიც ხომ არ აღმოაჩინეთ მასში?**

**ზაზა**: არანაირი საერთო არ გვაქვს. უბრალოდ ჩემ მიერ შექმნლ გმირებს ყოველთვის ვამართლებ. ვფიქრობ, რომ არ



## „გამორიცხული არ არის, ერთმანეთი შეგვიყვარდეს“

არსებობს, ადამიანის რომელიმე საქციელს გამართლება არ მოეძებნოს.

**— თქვენს გმირს ყოფილი ცოლის დასთან აქვს ფლირტი. ესეც გამართლებულია?**

**ზაზა**: სხვათა შორის, აი, ამ ფაქტსაც არ გამოუწვევია უარყოფითი დამოკიდებულება მაყურებლის მხრიდან. არადა, წესით, საქართველო ფეხზე უნდა ამდგარიყო. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში არაფერი მაკვირვებს.

> **ზაზა: „გრძნობის გარეშე არასდროს ვარ“.**

**ია**: ვფიქრობ, უარყოფითი რეაქცია იმიტომ არ მოჰყოლია ამ ფაქტს, რომ ჩემი გმირი ეროვნებით რუსია. ქართული მენტალიტეტის თანახმად კი, აბა, რა, რუს გოგოსთან ფლირტი უნდა დაწყებულიყო.

**— ია, რეალურ ცხოვრებაში ნიკასნაირი მამაკაცი მოგხიბლავდათ?**

**ია**: რატომაც არა? ვფიქრობ, რომ სიყვარულს არც ასაკი და არც არანაირი სტერეოტიპი არ გააჩნია.

**ზაზა**: იას ვეთანხმები. შეიძლება ისეთი იდიოტი შეგიყვარდეს, ვერასდროს რომ წარმოიდგენდი და სწორედ იმიტომ, რომ იმ მომენტში ეს იდიოტიზმი გაკლდა.

**— ია, თქვენ რა პარალელებს გაავლებდით საკუთარ თავსა და თქვენს პერსონაჟს შორის?**

**ია**: მასთან არანაირი საერთო არ მაქვს. ერთადერთი, როგორც სერიალში, ცხოვრებაშიც ჩემი დები, მამის მხრიდან, საკმაოდ დიდ ასაკში გავიცანი. ისინი ამჟამად ლონდონსა და ნიუ იორკში ცხოვრობენ.

**— სცენარისტმა იცოდა თქვენი ამბის შესახებ?**

**ია**: არა და სცენარი რომ წავიკითხე, გავგიჟდი! სცენაზე კარგად გამოვიყენე ცხოვრებაში მიღებული ემოცია.

**— უყურებენ თქვენი დები სერიალს?**

**ია**: ის ეპიზოდი ნახეს, ჩემს დებს რომ ვეცნობი სერიალში და ძალიან ემოციურად აღიქვეს. ერთმანეთს მუდმივად ვეკონტაქტებით ინტერნეტის საშუალებით.

**ზაზა**: ჩემთან ერთად ია რომ გამოჩნდა სერიალში, მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, ძალიან კარგი გოგოაო. ეს იას გადავეცი. მეც მომწონს, როცა ჩემზე კარგს ამბობენ. იამ ამ კომპლიმენტებზე მითხრა, რა მოსწონთ ჩემს თამაშში, არაფერს ვაკეთებო. ჰოდა, ეგ არის მაგარი, არაფერს რომ აკეთებ, ანუ ბუნებრივად თამაშობ-მეთქი.

**— ზაზა, კრიტიკის მიღება ხომ არ გიჭირთ?**

**ზაზა**: პირდაპირ ვიტყვი, არ მიყვარს კრიტიკა! ეს იმიტომ, რომ ჩვენთან კრიტიკა არ არსებობს. თან არ ვარ ისეთი ადამიანი, ვისაც შენიშვნას მისცემ და მეორე დღეს კარგად მოიქცევა. შეცდომას, პირველ რიგში, მე ვხვდები. როცა სწორად და დადებითად აღნიშნავენ იმას, რასაც ვაკეთებ, უფრო კარგად ვმუშაობ.

**— ია, ზაზასთან ერთად საკმაოდ თამამი როლი შეასრულეთ ფილმში. ქართველი მსახიობები ამგვარ სცენებში მონაწილეობას ნაკლებად თანხმდებიან. თქვენ როგორ დაგითანხმეს?**

**ია**: უნდა ვთქვათ, რომ არამარტო საქართველოშია ასე, სხვაგანაც ძნელად თანხმდებიან. ეკა მჟავანაძემ დამირეკა და მითხრა, თუ როლზე დავთანმხდებოდი, ინტიმური სცენის თამაში მომიწევდა. თეატრალურში რომ ვაბარებდი, ვიცოდი, რომ ოდესმე ამგვარი როლის მორგებაც მომიწევდა. ზუზუ რომ გავიცანი, ამ როლის თამაში უფრო გამიადვილდა.

**ზაზა**: ამგვარი სცენის გადაღება დიდ ესთეტიკას მოითხოვს. ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშეთ, სცენა კარგად იყო გადაღებული და ამიტომაც მაყურებლისგან არანაირი უარყოფითი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ეს კი იას დამსახურებაა. სანამ გადაღებებს დავიწყებდით, ძალიან ნერვიულობდა, ცოტა მეჩხუბა კიდეც რაღაცაზე, მაგრამ გადაღების დაწყებიდან კარგად მიჰყვა როლს.

**ია**: სხვისი აზრით ყოველთვის ვინტერესდები, მაგრამ არც მე გამიგია, რომ ჩვენს ამ როლებს უარყოფითი რეაქცია მოჰყოლოდა.

**— არც თქვენი ოჯახის წევრებისგან?**

**ია**: მათ იციან, რა პროფესია მაქვს და სწორად იგებენ, რომ ეს ჩემი საქმეა. ამ როლმა უარყოფითი ის მომიტანა, რომ ფილმის გამოსვლიდან მალევე სხვებმა დამირეკეს და კვლავ თამამი როლის შესასრულებლად მიმიწვიეს. ყველას უარი ვუთხარი.

> **ზაზა: „ჩემი პერსონაჟი დეგენერატი და არაადეკვატურია. არავინ იცის, ეს გმირი როგორ განვითარდება“.**

**ზაზა**: კარგია, უარი რომ თქვა, რადგან შტამპი არ უნდა დაედოს, თითქოს მხოლოდ ამგვარი როლების შესრულება შეუძლია. ახლა იას გმირი სერიალში უკვე სხვა სახითაც ჩანს და თანდათან ვითარდება.



Cyan Magenta Yellow Black

**— ია, სერიალში თქვენს გმირს საშიში თაყვანისმცემელი ჰყავს. რეალურ ცხოვრებაში გქონიათ ურთიერთობა ამგვარ მამაკაცთან?**

**ია**: ამგვარ შეუგნებელ ადამიანთან ურთიერთობა ნამდვილად არ მქონია.

**— სერიალის მიმდინარეობის მიხედვით ჩანს, რომ ზაზას გმირი შეიძლება ამ საშიშმა თაყვანისმცემელმა სცემოს კიდეც.**

**ზაზა**: გამორიცხული არ არის, ჩემმა გმირმა თავი ისე დაიძვრინოს, არაფერი მოუვიდეს, თუნდაც დაიმალოს ან იმ ტიპთან დაძმაკაცდეს. იმდენად არაადეკვატური პერსონაჟია, რომ არაფერია გამორიცხული.

**— ზაზა, რეალურ ცხოვრებაში გოგოს გამო გიჩხუბიათ?**

**ზაზა**: მე არ მიჩხუბია, მაგრამ ამის გამო ჩემთან ჰქონიათ კონფლიქტი. მახსოვს, ერთხელ სახლში მომივარდა ტიპი ძმაკაცთან ერთად. დღემდე არ ვიცი, რა უნდოდა. ის გოგო ჰყვარებია, ვისთან ერთადაც დამინახა. წესით, უნდა შემშინებოდა, რადგან ის დრო იდგა, თითქმის ყველა იარაღით რომ დადიოდა, მაგრამ მე გამეცინა. ამ ყველაფრის დასასრული ის იყო, რომ იმის ძმაკაცი დამიძმაკაცდა და არც იმ გოგოსთვის დამინებებია თავი.

**— მაყურებელი ეკრანულ გმირს თავად მსახიობთან ხშირად აიგივებს, მით უმეტეს, ამ სერიალის მსახიობებისადმი ასეთი დამოკიდებულება აშკარაა. ეს თქვენც გიგრძვნიათ, მაგალითად, თქვენი პერსონაჟების სახელით მოუმართავთ?**

**ზაზა**: არასდროს. უბრალოდ, ხანდახან მგონია, რომ ამ სერიალში თამაშის გარდა არაფერი გამიკეთებია, რადგან ყველა მის გარშემო ტრიალებს. მაყურებლისგან ჩემ მიმართ დიდი პოზიტივი მოდის.



**ია**: არც მე მიგრძვნია, რომ მაყურებელი გმირთან მაიგივებდეს. მეგობრები ფილმის თამამი სცენის გამო მეხუმრებიან, მაგრამ სხვებისგან მხოლოდ დადებით ემოციებს ვიღებ.

**ზაზა: „ერთხელ სახლში მომივარდა ტიპი ძმაკაცთან ერთად. დღემდე არ ვიცი, რა უნდოდა. ის გოგო ჰყვარებია, ვისთან ერთადაც დამინახა. წესით, უნდა შემშინებოდა, რადგან ის დრო იდგა, თითქმის ყველა იარაღით რომ დადიოდა, მაგრამ მე გამეცინა".**

**— ზაზა, როგორ შეეგუეთ ცვლილებას, როცა კატოს როლის შემსრულებელი ნინო გაჩეჩილაძე სერიალიდან წავიდა და მის მაგივრად ლელა მებურიშვილი მოვიდა?**

**ზუზუ**: ლელა მებურიშვილს ვიცნობდი და ყოველთვის პატივს ვცემდი. რაც შეეხება გაჩკას (ნინო გაჩეჩილაძეს), ჩემი მეგობარია. რა თქმა უნდა, დასანანი იყო ეს ცვლილება ჩემთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორ მსახიობს ერთმანეთს ვადარებ. ლელას ძალიან კარგი აურა აქვს.

**— დაბოლოს, თქვენი გეგმები გაგვიმხილეთ, უახლოეს მომავალში რას აპირებთ ან თქვენს პირადში რა ხდება?**

**ია**: კიდევ ერთი სერიალიდან დამირეკეს და მონაწილეობაზე უარი ვთქვი, იმდენად დაკავებული ვარ სწავლით და ამ სერიალის გადაღებებით. პირადი ცხოვრებისთვისაც კი დრო არ მრჩება.

**ზაზა**: მაქვს სამომავლო გეგმები, რომელთა შესახებაც არ მსურს საუბარი, რადგან არ მიყვარს, წინასწარ რომ ვამბობ რამეს. რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, არასდროს ვარ გრძნობის გარეშე, ყოველთვის არსებობს რაიმე ურთიერთობა. არ დავკონკრეტდები, უბრალოდ ვიტყვი, რომ საინტერესო ცხოვრება მაქვს.

✓ **მანანა ნოდია**

# თათული დოლიძე: „სარკიდან ემოციური, მეოცნებე ადამიანი მიყურებს“



მსახიობი თათული დოლიძე ღმერთმა სილამაზითაც დააჯილდოვა და ამ სილამაზის დამფასებლებითაც. საქართველოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალს სახლიდან გასვლისას 81 წლის დედა „აკონტროლებს“, რომ ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს, მუდმივად ფორმაში იყოს. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ძირითადად კომპლიმენტების თქმით შემოიფარგლებიან.

და მაინც, მიუხედავად გენეტიკისა, მაინც გადაწყვიტა პლასტიკური ქირურგიის გამოყენება, თუმცა უმნიშვნელოდ. ეს ცვლილება ძლივს შესამჩნევია.

**— ქალბატონო თათული, გიყვართ სარკე?**

— ვგიჟდები სარკეზე! ინტერიერი სარკის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ამას მიჩვეული ვარ. ზოგიერთში ეს ნივთი შიშსაც იწვევს. ამბობენ, საძინებელში სარკე ისე არ უნდა დაიდგას, რომ მძინარე ადამიანი აირეკლოსო.

**— რას იტყვით ორეულზე, რომელსაც სარკეში უყურებთ?**

— სარკეში მხოლოდ გარეგნობის შესამოწმებლად ვიყურები. არ ღირს ჩაღრმავება, თუ ვინ იმზირება სარკიდან, რადგან სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანი შესაძლოა ცუდ შედეგებამდეც მივიდეს. ერთხელ რაღაც ამგვარი ვცადე — სარკეში ჩაღრმავება და არ მომეწონა. ამ თემას თუ მსუბუქად შევხედავთ, სარკიდან მეგობრული, კომუნიკაბელური, ემოციური, მეოცნებე, პრინციპული ადამიანი მიყურებს.

**„პლასტიკური ქირურგიისთვის მიმიმართავს, ოღონდ ნაკვთები არ შემიცვლია სახეზე. ყელის მიდამოებთან გავიკეთე კორექცია და ცხვირის ფორმა მაქვს ოდნავ შესწორებული".**

**— მოზარდობის ასაკში ვინ იყო თქვენთვის მისაბაძი ქალი, კერპი ან იდეალი?**

— მაშინ ბევრი მსახიობი მომწონდა, მედეა ჯაფარიძით დაწყებული და სოფი ლორენით დამთავრებული. საკუთარ თავზე კი დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც გარეგნობაზე აქცენტი არასდროს კეთდებოდა.

**— თქვენი ოჯახის უფროსი ქალბატონები გარეგნობაზე როგორ ზრუნავდნენ, რა საშუალებები იყო მაშინ მოდური და ხელმისაწვდომი?**

— დედაც და ბებიაც ძალიან მოწესრიგებული ქალები იყვნენ. უფრო მეტიც, დედა, ცისანა ესებუა, სახლიდან გასვლის წინ გარეგნობასთან დაკავშირებით დღესაც მაძლევს შენიშვნებს. 81 წლის არის და დღემდე მაქსიმალურად მოწესრიგებულია. ბებიას ყოველთვის მოდურად ეცვა.

იმ პერიოდში თავის მოვლის საშუალებები თითქმის →38



Cyan Magenta Yellow Black

არ არსებობდა. მომწონს, ახლა გოგონები ძალიან პატარა ასაკიდან რომ იწყებენ თავის მოვლას. ჩემი მშობლების თაობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ცხოვრობდა, როცა თავის მოვლაზე უფრო მნიშვნელოვანი კვება გახლდათ.

**— გარეგნობაში ექსპერიმენტების ჩატარების პერიოდსაც გაივლიდით.**

— თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ყველა ფერი მოვსინჯე თმაზე. მერე კი საერთოდ დავანებე თმის შეღებვას თავი, სანამ 45 წლის არ გავხდი და არ დამჭირდა. ახლა თმას ძირითადად ინით ვიღებავ.

> **„დედა სახლიდან გასვლის წინ გარეგნობასთან დაკავშირებით დღესაც მაძლევს შენიშვნებს. 81 წლის არის და დღემდე მაქსიმალურად მოწესრიგებულია".**

**— თქვენი არაჩვეულებრივი კანი გენეტიკის დამსახურება თუ გულმოდგინე მოვლის?**

— გენეტიკურადაც კარგი კანი მაქვს, მაგრამ ამავდროულად, რა თქმა უნდა, ვუვლი კიდეც. ვიყენებ ბოტოქსს, მეზოთერაპიას, კანის საცხებს და ა.შ. იმის მიხედვით, რისი საშუალებაც მაქვს. ძილის წინ აუცილებლად ვიშორებ მაკიაჟს.

**— როგორია თქვენი ჩაცმის სტილი და საერთოდ სამოსისადმი რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— თუ სამოსი არ მომწონს, მოდურობის მიუხედავად, ვერ ვიცვამ. მაგალითად, პლატფორმიან ფეხსაცმელს არასოდეს ვატარებ. ვერც ვიტყვი, რომ სამოსზე ბევრს ვფიქრობ და მასზე დიდ დროს ვხარჯავ. მთავარია, თავი კომფორტულად ვიგრძნო.



**— თვალების ფერიდან გამომდინარე, ალბათ ცისფერი ჭარბობს თქვენს გარდერობში, ისე როგორც მაკიაჟში.**

— სხვათა შორის, ცისფერზე მეტად შავი მიყვარს, მაგრამ თავს ვაიძულებ, რომ იშვიათად ჩავიცვა. უფრო პასტელის ფერები მომწონს. არ მიყვარს, როცა ფერი ყვირის. სამოსსა თუ მაკიაჟში ჩამქრალ, მშვიდ ტონებს ვანიჭებ უპირატესობას.

**— მაკიაჟის და სასცენო გრიმის თავად გაკეთება შეგიძლიათ?**

— რა თქმა უნდა. სასცენო გრიმს ყოველთვის თვითონ ვარჩევ და ვიკეთებ. ბატონ რობერტ სტურუას ვაჩვენებ შერჩეულ გრიმს და თუ მოეწონება, ვიტოვებ. ტელევიზიაში კი ვიზაჟისტს ვანდობ მაკიაჟის გაკეთებას, რადგან ეკრანს თავისი სპეციფიკა აქვს.

ყოველდღიურ მაკიაჟში თვალებზე ვაკეთებ აქცენტს. ტუჩსაცხს იშვიათად ვისვამ, ისიც აუცილებლად ღია ფერის უნდა იყოს. წითელ პომადას მხოლოდ სცენაზე ვიყენებ. მეუბნებიან, რომ მიხდება, მაგრამ ყოველდღიურად ამგვარ მაკიაჟს მაინც არ ვიკეთებ, ჩემი არ არის.

**— გქონიათ შემთხვევა, როცა როლზე უარი გითქვამთ იმიტომ, რომ გრიმით თავის „დაუშნოება" გჭირდებოდათ?**

— ამ მიზეზის გამო მსახიობი როლზე უარს არასოდეს იტყვის. მთავარია, გინდოდეს პერსონაჟის თამაში და როლი გაინტერესებდეს. გარეგნობა სცენაზე მეასეხარისხოვანია.

> **„საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც გარეგნობაზე აქცენტი არასდროს კეთდებოდა".**

**— როგორ უვლიდნენ თავს ცნობილი ქართველი მსახიობები, ხომ ვერ გაგვიმხელთ, რაც იცით?**

— ნამდვილად არ ვიცი. შემიძლია ვთქვა, რომ სოფიკო ჭიაურელს პლასტიკური ოპერაციის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ოპერაციების ძალიან ეშინოდა და ამიტომ არ გაიკეთა. მან ამ შიშის გამო მნიშვნელოვანი ოპერაციაც დააგვიანა...

**— თქვენ მიგიმართავთ პლასტიკური ქირურგიისთვის?**

— პლასტიკური ქირურგიისთვის მიმიმართავს, ოღონდ ნაკვთები არ შემიცვლია სახეზე. ყელის მიდამოებთან გავიკეთე კორექცია და ცხვირის ფორმა მაქვს ოდნავ შესწორებული. იმდენად შეუმჩნეველია ეს ცვლილება ცხვირზე, რომ თუ არ ვამბობ, ძველი ნაცნობებიც ვერ ხედავენ.

**— სცენაზე გრიმს რობერტ სტურუა გიფასებთ. თქვენი ოჯახის მამაკაცები — ქმარი ჟანრი ლოლაშვილი და ვაჟი გიორგი ლოლაშვილი, რას გეუბნებიან, რა რჩევებს გაძლევენ გარეგნობასთან დაკავშირებით?**

— ისინი მხოლოდ კომპლიმენტებით შემოიფარგლებიან. მაქვს ერთი ხალათი, რომელიც ნაცრისფერსა და ცისფერს შორის მერყეობს. როცა ის მაცვია, ჩემი მეუღლე და ვაჟი მეუბნებიან, რომ მიხდება. საერთოდ, ყველა მამაკაცს ქალი მაღალ, წვრილქუსლებიან ფეხსაცმელებში მოსწონს.

**— თავად რა ცოდნას, რჩევას აძლევთ თავის მოვლის შესახებ თქვენს ქალიშვილს, სალომე გოგიტიძეს და შვილიშვილ სოფო კარიჭაშვილს?**

— საერთოდ ჩემს შვილებს მაქსიმალურად ცოტა შენიშვნას ვაძლევ. ვიცი, როგორ აღიზიანებთ ახალგაზრდებს, როცა მათ ცხოვრებაში ერევიან. სულ ვფიქრობ, რომ თავად მიხვდებიან შეცდომას და გამოასწორებენ. მახსოვს, ჩემი ქალიშვილი ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გრძელი კაბებით დადიოდა. ამაზე დედაჩემი სულ მაძლევდა შენიშვნას, უთხარი, მოკლე კაბები ჩაიცვასო. ვპასუხობდი, რომ თავად მობეზრდებოდა ეს სტილი. მართლაც, მას პარიზში მოუწია წასვლა 7 თვით და მერე მეც გასტროლები დამემთხვა ამ ქალაქში. აეროპორტში ჩემი შვილი მინი კაბით დამხვდა. ასე რომ, ადამიანს როგორც მოსწონს, ისე უნდა ჩაიცვას.

**— პარიზული და თბილისური შარმის შესახებ ვისაუბროთ. რითი განსხვავდებიან ამ ორი ქალაქის ქალები ერთმანეთისგან?**

— ყველა ერი განსხვავდება ერთი რამით — თვალებით. მაგალითად, შეიძლება ფრანგს ქართული ნაკვთები ჰქონდეს, მაგრამ თვალებში რომ ჩახედავთ, მიხვდებით, ქართველია თუ არა.

> **„სოფიკო ჭიაურელს პლასტიკური ოპერაციის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ოპერაციების ძალიან ეშინოდა და ამიტომ არ გაიკეთა. მან ამ შიშის გამო მნიშვნელოვანი ოპერაციაც დააგვიანა...".**

**— გარკვეული პერიოდი კულინარიულ ტელეგადაცემაში მონაწილეობდით, დილის ეთერში მაყურებელს სხვადასხვა კერძის მომზადებას ასწავლიდით. თქვენი კვების პრინციპი როგორია, რას უწოდებთ სწორ კვებას?**

— სწორი კვებაა ის, რაც ექიმმა დამინიშნა ინდივიდუალურად და აღვნიშნავ, რომ რთული ნამდვილად არაა. დღეში ხუთჯერ უნდა ვიკვებო და ტკბილი და მძიმე საკვები ამოვიღო რაციონიდან. ორი კვირა მოვახერხე ამ რეჟიმის დაცვა, მაგრამ მერე ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდი. არის პერიოდი, როცა მეტისმეტად გურმანი ვხდები და არის პერიოდი, როცა თავად არ მსურს საკვებით გადატვირთვა.

**— ფორმას ამგვარად ინარჩუნებთ?**

— ფორმის შენარჩუნებაში, გენეტიკასთან ერთად, ვარჯიში და ფეხით სიარული მიწყობს ხელს. მამაჩემი ძალიან თხელი კაცი იყო. გვარში ჭარბწონიანი არავინ მყოლია.

**— დაბოლოს, რა პრინციპით ირჩევთ სუნამოს, თქვენი სურნელი როგორია?**

— ძალიან პრეტენზიული ვარ ამ მხრივ. თუ სუნამოს ვერ გრძნობ, ის მაშინაა შენი. სუნამოს მხოლოდ აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ ვისხამ.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black


BIOCODEX
“ძალიან დავიღალე”
“გამოფიტული ვარ”
“ძალა აღარ მაქვს”
“ყველა კუნთი მტკივა”
“ყველაფერი მავიწყდება”
სტიმოლი
ციტრულინის მალატი
ერთი პაკეტი (ფხვნილი ან ხსნარი) გახსენით 100 მლ წყალში ან წვენში, მიიღეთ საკვებთან ერთად 2-3-ჯერ დღეში.
სტიმოლი
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
დამატებითი ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27




# მოწევა კლავს

# მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

## ცხოვრება მშვენიერია
## ალერგიის გარეშე

# ალერტეკი

- ეფექტურია ალერგიის ნებისმიერი ფორმის დროს
- 1 ტაბლეტი დღეში ერთხელ
- არ იწვევს ძილიანობას

www.**alertek.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

*მოდა*

# დოლჩე და გაბანა – ფერებისა და ნახატების დღესასწაული











დოლჩე და გაბანას 2013 წლის ზაფხულის კოლექცია ისტორიის მუზეუმში მოგზაურობას ჰგავდა. ევროპული ბაროკოს ეპოქა დიზაინერებისათვის რამდენიმე წელია აქტუალურია, მაგრამ წელს კოლექციის მუზა სამეფო ოჯახები, რაინდები და რელიგიური მოვლენები გახდა. დიზაინერების ჩანაფიქრმა გაამართლა. პოდიუმზე ფერების, ნახატების, ქსოვილებისა და კარგი განწყობის დღესასწაული იყო. მოდელები ხან თეატრის მარიონეტებს ჰგავდნენ, ხანაც — რაინდების საყვარელ ქალებს. ყველა შემთხვევაში, კოლექციის ნახვა მზის, ქვიშისა და ზღვის განწყობაზე მაინც დაგაყენებდათ. მისი გარკვეული ნაწილი სიცილიის თემატიკასაც დაეთმო. ამით დიზაინერებმა მოდის მოყვარულებს მიანიშნეს, რომ ცხელი ზაფხული სიცილიის სანაპიროზე გაატარონ.






















# ზურა შევარდნაძე: „ლონდონში ძველმანების ბაზრობებზე ვცხოვრობ“

## „რაც ამ ზაფხულს მელოდება!.. აქამდე ასეთი ბედნიერება არ მქონია“

მცენარეებზე უზომოდ შეყვარებული ზურა შევარდნაძე — ცნობილი ბოტანიკოს-მებაღე — ხშირად მოგზაურობს, დადის ევროპის ქვეყნებში, საქართველოდან იშვიათი ველური ფლორა მიაქვს იქით, იქიდან კი ჩვენთვის უცხო მცენარეები ჩამოაქვს. ყოველი მოგზაურობა მისთვის რაიმე ახალი ყვავილის თუ ბალახის აღმოჩენაა.

საზღვარგარეთ მისი საყვარელი ადგილების ნუსხაში, ბაღების შემდეგ, ძველმანების ბაზრობა დგას, საიდანაც ხელცარიელი არასოდეს გამოდის. უცხო ქალაქებში არც მუზეუმებს ტოვებს უყურადღებოდ. მისი აზრით, მუზეუმების კულტურა ყველაზე განვითარებული გერმანიაშია. თავისი ცნობისმოყვარეობის გამო არც კულინარიულ ეგზოტიკაზე ამბობს უარს, თუმცა მიაჩნია, რომ ქართულ გემოს არაფერი სჯობია. წლევანდელ ზაფხულს მოუთმენლად ელოდება, უკვე იცის, რომ წინ დაუვიწყარი მოგზაურობა ელის, რადგან მსოფლიოში ცნობილ ბალთან მოუწევს „შეხვედრა“.

**— ბატონო ზურა, ბოტანიკოსი ხართ და ალბათ თქვენი მოგზაურობებიც პროფესიას უკავშირდება.**

— ბევრს ვმოგზაურობ და, რა თქმა უნდა, ეს მცენარეებთანაა დაკავშირებული. მცენარეების გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. ადამიანებიც მიყვარს, სულ ერთია, ქართველი იქნება თუ უცხოელი. უცხო ქვეყნის კულტურის გაცნობა ადამიანს ძალიან ამდიდრებს. სულ ვამბობ, რისი კეთებაც გულით გინდა, ის ყოველთვის გამოდის. საინტერესოდ ვცხოვრობ, თავს ბედნიერად ვგრძნობ და ყველამ კარგად იცის, რომ ბედნიერების რეცეპტებსაც ვარიგებ — აკეთეთ ის, რაც გინდათ, მაშინ იქნებით კარგად!

**— რითია თქვენთვის მოგზაურობა საინტერესო?**

— სხვა ადამიანები როგორ ცხოვრობენ, ამის ნახვა მართლაც საინტერესოა. როცა მოგზაურობ, მაშინ აფასებ, თუ რაოდენ საინტერესო ქვეყანაში გიწევს ცხოვრება. სხვა ქვეყნებსა და იქ მცხოვრებთა ყოფას ხედავ, ამ დროს სხვებთან მიმართებაში შენი უპირატესობა ყველაზე კარგად ჩანს. არ ვარ ისეთი, რომ იტყვის, ჩვენისთანა მთა-ბარი, კულტურა და ისტორია არსად მეგულებაო, მაგრამ ყოველთვის ვამბობ: რაც უფრო მეტი ქვეყნის კულტურას გაიცნობ, საქართველოს განსაკუთრებულობაში მით უფრო დარწმუნდები. ჩვენ დაუფასებლად მდიდარი ხალხი ვართ. იმდენ დროს, რასაც ჩვენი ხალხი ერთმანეთს უთმობს, არც ერთ ქვეყანაში უთმობენ.



**— ეს ალბათ დროის დეფიციტის გამოა, უცხოეთში უფრო დასაქმებულები არიან, ვიდრე ჩვენთან.**

— ყველაფერს აქვს უარყოფითი და დადებითი მხარე. ჩვენ რომ ერთმანეთისთვის დრო ჯერ კიდევ გვაქვს, ეს ერთი დიდი პლუსია. ბევრ ქვეყანაში არათუ მიმოგზაურია, მიცხოვრია კიდეც. ადამიანები ერთმანეთისთვის ველარ ცხოვრობენ, იმიტომ კი არა, რომ არ უნდათ ერთად ყოფნა, უბრალოდ ეს აღარ შეუძლიათ. გამოთქმა „დროის უქონლობა“ არ მიყვარს. თუ გინდა, დრო აუცილებლად გექნება. გააჩნია, შენს ცხოვრებას როგორ მიუდგები.

**— გვიამბეთ იმ ქვეყანაზე, სადაც გიცხოვრიათ.**

— გერმანიაში დისერტაციაზე ვმუშაობდი და იქ 3 თვე მომიხდა ცხოვრება. ამაზე დიდხანს ვერსად ვძლებ. თუ ამას გერმანიაში სწავლის პერიოდსაც დავუმატებთ, სულ 6 წელი გამოდის. იქ ძალიან კარგი, ჩემი უახლოესი ოჯახი ცხოვრობს, რომელიც ხშირად მმასპინძლობს. ამ ოჯახთან ერთად მოგზაურობა ჩემთვის ყველაზე კომფორტულია, ყველგან ერთად მივდივართ. ბოლო 15 წლის განმავლობაში თუ რამე მინახავს, მხოლოდ მათთან ერთად.

**— გერმანელებზე ამბობენ, ურთიერთობაში ცივი ხალხიაო.**

— ამას არ ვეთანხმები. ასე ჩვენსავით არ მოგაფრთქიალდებიან, მაგრამ მეგობრებთან გულწრფელები და გახსნილები არიან. ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. ჩემთვის ძალიან მისაღები ერია. უბრალოდ მეზობლობის კულტურა მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი.

**— თქვენი პროფესიისთვის ყველაზე საინტერესო მხარე რომელია?**

**„ისეთი არ ვარ, რომ იტყვის, ჩვენისთანა მთა-ბარი, კულტურა და ისტორია არსად მეგულებაო, მაგრამ ყოველთვის ვამბობ: რაც უფრო მეტი ქვეყნის კულტურას გაიცნობ, საქართველოს განსაკუთრებულობაში მით უფრო დარწმუნდები".**

— 3 წლის წინ გერმანელ მეგობრებთან ერთად კანარის კუნძულებზე ვიყავი. თბილისიდან რომ გავფრინდი, -14 გრადუსი იყო. მახსოვს, ისე ციოდა, თვითმფრინავი ძლივს აფრინდა. იქ რომ ჩავედით, 32 გრადუსი დაგვხვდა, ძალიან ცხელოდა. საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებებით დავიტვირთე, თავი პირდაპირ ტროპიკებში ამოვყავი. იქიდან ბევრი ეგზოტიკური მცენარე ჩამოვიტანე. ბოტანიკური ექსპედიციის ყველა წევრი მცენარეებითაა დაინტერესებული. ჩვენი პროგრამაც ისე იყო მოწყობილი, რომ მხოლოდ მცენარეებზე ვიყავით ორიენტირებული. უამრავი საინტერესო რამ ვნახეთ. ჩვენ, ბოტანიკოსები, ველურ ფლორას ვსწავლობთ და იქაურობამ საოცრად მოგვხიბლა. რაც ჩვენთან ოთახის პირობებშიც ვერ ხარობს, იქ ღია ცის ქვეშ იზრდებოდა. ჩემთვის ყველა მცენარე განსაკუთრებულია. ჩვენს საქმეს ყოველთვის ახლავს აზარტი. ისეთი აზარტული საქმე მაქვს, კოლექციონერობასაც კი ჰგავს. სულ მინდა, მცენარეს ხელოვნურად გამოყვანის პირობები შევუქმნა.

**— გიცდიათ საქართველოში ისეთი მცენარის ჩამოტანა, რომელიც ჩვენთან არ ხარობს?**

— ეს არის ჩემი საქმე. მცენარეების მოშენება ორნაირად შეიძლება. ერთი — მცენარე უნდა ჩამოიტანო და სცადო მისი გახარება; მეორე — მასზე ინფორმაცია წინასწარ უნდა მოიძიო და იცოდე, იხარებს თუ არა, მაგრამ ეს შეიძლება მოყვარულმა გააკეთოს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, უცხო და ეგზოტიკური ხე-მცენარეები გავახაროთ. ასეთი მცენარე ბევრი გამიხარებია, მათ შორისაა სტრელიცია, რომელიც ქართულად სამოთხის ჩიტს ნიშნავს და სიტყვებით ვერ გამოვხატავ, რა ლამაზად ყვავის. სხვათა შორის, საქართველოში ბევ-

→44



კანარის კუნძულებზე

რი მცენარის ჩამოტანა ჩემს სახელთანაა დაკავშირებული. ბევრი მცენარე ჩამომიტანია, რომლებიც ქართულ კოლექციაში აქამდე არ ყოფილა და ამით ძალიან ვამაყობ.

**— საქართველოდან თუ წაგიღიათ საზღვარგარეთ მცენარე?**

— რამდენიც გინდათ! უცხოელი ვიზიტორების ძირითადი მიზანი სწორედ რომ საქართველოდან კავკასიური ველური მცენარეების წაღებაა. მათ კოლექციებში ჩვენი მცენარეები ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. წლიდან წლამდე 200-მდე სტუმარს ვმასპინძლობთ. აქაურობა მხოლოდ ბარი და სანერგე არ გახლავთ. ჩვენი ველური ფლორა მდიდარია და ბევრი ევროპული საბაღო მცენარე საფუძველს ჩვენი ველური ფლორის მცენარეებიდან იღებს. ასე რომ, ამ მხრივ ძალიან წინ ვართ.

**— პროფესიული განვითარებისთვის კიდევ რომელი მოგზაურობა იყო საინტერესო?**

— 3 წლის წინ მაროკოში გახლდით. გერმანელ კოლეგებთან ერთად ექსპედიციაში მთელი თვე დავყავი. ვერ აგიწერთ, რა შთაბეჭდილებით დავბრუნდი. საჰარა თითქოს ძალიან ხრიოკია, მაგრამ ისეთი ოაზისებია, უნიკალური მცენარეები იზრდება. ფინიკის პალმების ტყეები, ზეთისხილის ბაღები... მაროკოში ატლასის მთებშიც ვიყავით. ასეთი მოგზაურობიდან რომ ვბრუნდები, ემოციები და შთაბეჭდილებები მთელი წელი მყოფნის.

**— უცხოეთში ყველაზე ხშირად სად დადიხართ?**

— ევროპის ქვეყნებში. მდინარე დუნაიზე გემითაც ვიმოგზაურე. პატარ-პატარა ქალაქებში ვჩერდებოდით... ძალიან ლამაზად მახსენდება. ბოლო დროს ბრიტანეთმა გამიტაცა. ბრიტანელებს ბაღებისადმი სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეული დამოკიდებულება აქვთ. ამ ზაფხულს ლონდონში მივემგზავრები, სადაც კიუს ბოტანიკური ბაღიდან სერიოზული მასპინძლები მეყოლებიან. ეს ბაღი მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ცენტრია. ლონდონში სამჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ რაც ამ ზაფხულს მელოდება!.. აქამდე ასეთი ბედნიერება არ მქონია.

**— უცხო ქვეყანაში მცენარეების გარდა არაფერი გაინტერესებთ?**

— კულტურა მაინტერესებს და მნიშვნელოვან მუზეუმებს უნახავად არასოდეს ვტოვებ. როგორ ცხოვრობს ჩვეულებრივი ოჯახი, ურთიერთობები მეზობლებსა და მეგობრებს შორის ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ბაზარი ჩვენს ქვეყანაშიც მიყვარს და სხვაგანაც. სადაც ჩავდივარ, თუ საშუალება მეძლევა, ბაზარში აუცილებლად მივდივარ. მიმაჩნია, რომ ბაზარში გადასარევად ჩანს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა, მდგომარეობა და ცხოვრების წესი. ძველმანების ბაზრობები იმდენად მიყვარს, ლონდონში რომ ჩავდივარ, ძველმანების ბაზრობებზე ვცხოვრობ.

**— რა ხდება ლონდონის ძველმანების ბაზრობაზე?**

— იქ ძალიან ბევრ საინტერესო ნივთს წააწყდებით. საერთოდ ინგლისელები განსაკუთრებულობით გამოირჩევიან, ექსტრავაგანტურები არიან. ჩვეულებრივად ყოფნა იქ არავის მოსწონს.

**— განსაკუთრებულობაში რას გულისხმობთ?**

— ინგლისელები ცხოვრების წესით იმდენად განსხვავებულები არიან, ერთმანეთს არაფრით ჰგვანან. ჩვენ კი ერთმანეთს ძალიან ვგავართ, ყველას გვიყვარს საცივი, გოჭის ხორცი და შავი ტანსაცმლის ჩაცმა. ლონდონის ძველმანების ბაზრობებზე არამხოლოდ დავდივარ, რაღაცეებს ვყიდულობ კიდეც.

**„იმდენად ცნობისმოყვარე ვარ, ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება მიყვარს. ბევრი უცნაური საჭმელიც გამისინჯავს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ქართულ გემოებს არაფერი შეედრება".**



■ შვედეთში

**„ბაზარი ჩვენს ქვეყანაშიც მიყვარს და სხვაგანაც. სადაც ჩავდივარ, თუ საშუალება მეძლევა, ბაზარში აუცილებლად მივდივარ. მიმაჩნია, რომ ბაზარში გადასარევად ჩანს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა, მდგომარეობა და ცხოვრების წესი".**

**— მაგალითად, რა შეგიძენიათ?**

— ყველაფერი. ჭურჭელიც მიყიდია, საფოსტო ბარათებიც, ქალების დეტალებიც, შარფებიც... სხვათა შორის, სამებაღეო ძველი სამუშაო იარაღებიც კი მიყიდია. იქ ისეთ რამეებს ვპოულობ, რაც ჩვენთან არ არის.

**— მაღაზიებშიც დადიხართ, მაგალითად, მეგობრებისთვის საჩუქრების საყიდლად?**

— საჩუქრები საშინლად არ მიყვარს. მიყვარს, როცა მჩუქნიან, გაჩუქება დიდად არ მხიბლავს, მით უმეტეს, სუვენირების. თანამედროვე მაღაზიებში სიარულიც არ მიზიდავს. ჩემთვის შარფებს ან შლაპებს ვყიდულობ ხოლმე, მაგრამ ამ საქმეს დიდ დროს არასოდეს ვუთმობ. მაღაზიებს ერთი კვირიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დღე დავუთმო.

**— სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებზე რას გვეტყვით?**

— სამუზეუმო კულტურა გერმანიაში განსაკუთრებულადაა განვითარებული. მსოფლიოში მუზეუმის მოწყობა, ექსპოზიციებისა და ექსპონატების წარმოჩენა ისე არავის შეუძლია, როგორც გერმანელებს. გერმანიის მუზეუმები ძალიან ინფორმაციულია. ინგლისშიც ბევრი მუზეუმია, სადაც ბევრ საინტერესოს ნახავთ, მაგრამ ამ ყოველივესგან ინფორმაცია რომ გამოიტანო და დათვალიერებას საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდეს, ამას გერმანელებზე უკეთ ვერავინ ახერხებს. მთელი დრეზდენი მუზეუმია! ბოლოს დრეზდენში მეგობრებთან ერთად ველოსიპედით ტურნეში გახლდით. ბაროკოს პერიოდის აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშები ვნახეთ. წარმოუდგენელი ძვირფასეულობა და შეუფასებელი ხელოვნებაა! ბაროკოს პერიოდის ხელოვნება არ მიზიდავს, მაგრამ რაც ვნახე, ძალიან დახვეწილი გამოფენა იყო.

**— უცხოეთში გზა არასოდეს აგრევიათ და არ დაკარგულხართ?**

— მარტო ბოდიალიც კი მიყვარს, მაგრამ ადგილებს ისე კარგად ვიმახსოვრებ, არ დავიკარგები. თუ დავიკარგები და სადღაც ხომ გამოვძვრები? ან დღეს სად უნდა დაიკარგოს ადამიანი? ტყეში, ტროპიკებში კიდევ შეიძლება, მაგრამ ქალაქში თანამედროვე ადამიანის დაკარგვა სად გაგონილა?!

**— ყველაზე ლამაზი ქალები სად ნახეთ?**

— უკრაინაში! პრაღაშიც ძალიან სასიამოვნო გარეგნობის ქალებს შევხვდი, მაგრამ ისინიც უკრაინელები აღმოჩნდნენ.

**— სხვადასხვა ქვეყნების სამზარეულოც გასინჯული გაქვთ?**

— იმდენად ცნობისმოყვარე ვარ, ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება მიყვარს. ბევრი უცნაური საჭმელიც გამისინჯავს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ქართულ გემოებს არაფერი შეედრება. ეგზოტიკურ კერძებსაც სიამოვნებით მივირთმევ, მაგრამ ქართული სულ სხვაა... ჭადს, ყველსა და ნიგვზიან კიტრი-პომიდვრის სალათს არაფერი მირჩევნია და რა ვქნა? ლობიოზე ვგიჟდები! წინა დღის ცივ აჯაფსანდალს რამე შეედრება? ან შემწვარი ბადრიჯანი პომიდვრის საწებელში, ამაზე უკეთესი სადმე რამე გეგულებათ? ხაშზე ხომ ვერ გეტყვით, რა მემართება! ჩვენს ხილს რომ გემო აქვს, ასეთი არსად არაფერი არსებობს!

**— თვითმფრინავით ფრენა სიამოვნებას განიჭებთ?**

— ვგიჟდები ფრენაზე! თვითმფრინავში ჩემი ერთადერთი დასალევი ჩაი გახლავთ. ტურბულენტურ ზონაშიც მოვყოლილვარ. ერთხელ თვითმფრინავიდან თბილისის სატელევიზიო ანძა რომ დავინახე და მას შემდეგ კიდევ საათნახევარი ვიტრიალეთ ჰაერში, მივხვდი, რომ საქმე მთლად კარგად ვერ იყო. ეს ის დღე იყო, როცა ჩვენს ახალაშენებულ აეროპორტს უამინდობის გამო სახურავი გადაეხადა. აეროპორტი რომ გამოჩნდა, მერე მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ ჩემი ფრენისადმი დამოკიდებულება ვერც ამ შემთხვევამ შეცვალა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# ბანდარ სერი ბეგავანი — ბრუნეის მწველი ეგზოტიკა

ბანდარ სერი ბეგავანი სამხრეთ აზიაში მდებარე სახელმწიფო ბრუნეის დედაქალაქია. ეგზოტიკური დასვენების მოყვარულთათვის შეუდარებელი ადგილი ყოველ წელიწადს 10 ათასობით ტურისტს მასპინძლობს, რომლებსაც იქ ძირითადად ულამაზესი პლაჟები და ბუნება იზიდავთ. ბანდარ სერი ბეგავანში გატარებული ერთი დღეც კი წარუშლელ შთაბეჭდილებას დაგიტოვებთ.



## კლიმატი

ბანდარ სერი ბეგავანში ტროპიკული კლიმატია გამეფებული. ქალაქში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მთელი წლის განმავლობაში გაუსაძლისად ცხელა. ტემპერატურა 37 გრადუსზე დაბლა თითქმის არასოდეს ჩამოდის. წვიმიანი სეზონი სექტემბრის ბოლოს იწყება და იანვრის შუა რიცხვებამდე გასტანს, მაგრამ ტემპერატურა მაშინაც 37 გრადუსია. აუტანელ სიცხეს ხშირად თან სდევს საშინელი ქარბუქები.

ბრუნეის დედაქალაქში ჩასვლას მაისში გირჩევთ, როცა შედარებით ასატანი ამინდია.

## ენა

დედაქალაქის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, ოფიციალური ენა მალაიურია. მას შემდეგ ყველაზე პოპულარულია ინგლისური. საგანმანათლებლო სისტემა ინგლისურზეა დაფუძნებული.

დედაქალაქში თავის გატანას ინდური და ჩინური ენებითაც შეძლებთ. მათ მოსახლეობის დიდი ნაწილი საფუძვლიანად ფლობს.

## რელიგია

ქვეყნის სახელმწიფო რელიგია ისლამია. მას მოსახლეობის თითქმის 67% მისდევს. ბანდარ სერი ბეგავანში მცხოვრებთა 13% ბუდისტია, ხოლო 10%-ს ქრისტიანები შეადგენენ. ალსანიშნავია, რომ რელიგიას ხალხის ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი უკავია.

## ფული

1967 წლიდან მოყოლებული ბრუნეის სასულთნოს ოფიციალური ვალუტა ბრუნეის დოლარია, რომელიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დოლარები, 100 ცენტად იყოფა. 1 ამერიკული დოლარი 1,54 ბრუნეული დოლარის ტოლია. ეროვნული ვალუტის გარდა მიმოქცევაშია მეზობელი ქვეყნის, მალაიზიის ვალუტა რინგიტიც, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკულ დოლარზე.

საკრედიტო ბარათებით სარგებლობა დედაქალაქში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მაღალი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში გადახდა ძირითადად საკრედიტო ბარათებით ხდება. რაც შეეხება ხელის ქირას, ის აუცილებელია, თორემ მეორედ შესვლისას სათანადოდ აღარ მოგემსახურებიან.

თურმე უხსოვარი დროიდან ბრუნეიში ფულის მოვალეობას ზღვის მოლუსკების ნიჟარები ასრულებდა. გაგიკვირდებათ და, ფულის ფუნქციის მატარებელი კიდევ ერთი ნივთი, არც მეტი და არც ნაკლები, ჩაიდანი გახლდათ. ბრუნეი ცნობილია ბრინჯაოს მომცრო ჩაიდნებით, რომლებიც თავისი მაღალი ღირებულების გამო ბარტერულ გაცვლებში გამოიყენებოდა.

## გადაადგილება

დედაქალაქში ჩასვლა მხოლოდ გემით ან თვითმფრინავით შეგიძლიათ. გამონაკლისს წარმოადგენს მეზობლად მდებარე მალაიზია, საიდანაც ბანდარ სერი ბეგავანის მიმართულებით ყოველ საათში გადის ავტობუსი, მაგრამ ტურისტების უმრავლესობა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, უპირატესობას თვითმფრინავს ანიჭებს, რომლის ფასი 35 დოლარს შეადგენს.

საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტი ქალაქის ცენტრიდან 20 წუთის სავალზე მდებარეობს. ევროპის ქვეყნებიდან ბანდარ სერი ბეგავანში თვითმფრინავით მგზავრობის ფასი 300 ამერიკული დოლარიდან იწყება.

დედაქალაქში ორი უდიდესი ნავსადგური ფუნქციონირებს. გემით მგზავრობა ერთგვარი კრუიზიცაა და ამავდროულად იაფიც დაგიჯდებათ.

შიდა გადაადგილებისათვის ყველაზე პოპულარულ ტრანსპორტს ავტობუსი წარმოადგენს. ქალაქში ყველანაირი სახის საწვავის ფასი თითქმის ყოველდღე იცვლება, რაც ტრანსპორტის ღირებულებაზეც მოქმედებს. დროში შეზღუდულ მგზავრებს ავტობუსი არ გამოადგებათ, რადგან ისინი ყოველგვარი გრაფიკის გარეშე დადიან.



■ კამპონგ აიერი

ქალაქის დასათვალიერებლად მანქანის დაქირავება ყველაზე კომფორტულ საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ შედარებით ძვირი სიამოვნებაა. მთელი დღის განმავლობაში მანქანის დაქირავებას, სულ მცირე, 100 ბრუნეის დოლარი დასჭირდება.

რაც შეეხება ტაქსს, მისი ფასი კილომეტრობით განისაზღვრება და ერთი კილომეტრის ღირებულება 2 ბრუნეის დოლარია.

## სამზარეულო

ბრუნეის სამზარეულო ბრუნეულისა და ჩინურის ნაზავს წარმოადგენს და მალაიზიურის მსგავსია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კერძების უმრავლესობა ბრინჯით მზადდება. ქალაქში მრავლადაა ინდური რესტორნებიც, რომლებიც ვეგეტარიანელებზეა გათვლილი.

დედაქალაქში ცდილობენ, ძირითადად მაღალი ხარისხის საჭმელი მოამზადონ, რომლის დაგემოვნებაც ძვირი არ დაგიჯდებათ. მაღალი დონის რესტორნებში 20-30 ბრუნეის დოლარად კარგად დანაყრდებით. ეროვნული კერძებიდან ალსანიშნავია ნასი კატოკი, რომელიც ზღვის პროდუქტებითა და ბრინჯით მზადდება. მას ნებისმიერ რესტორანში შემოგთავაზებენ. ბანდარ სერი ბეგავანი სწრაფი კვების ობიექტების სიმრავლითაც გამოირჩევა. სასმელებიდან ჩაი ყველაზე პოპულარულია. ისლამურ ქვეყანაში ალკოჰოლი საერთოდ არ იყიდება. ტურისტებს მხოლოდ ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელის შეტანა შეუძლიათ.

## ღირსშესანიშნაობები

ბანდარ სერი ბეგავანში ისტორიული და კულტურული ძეგლები ნაკლებადაა, აქ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები უფრო მნიშვნელოვანია. დედაქალაქში 30-მდე ეგზოტიკური პარკია. ისინი ძირითადად ოჯახური დასვენებისთვისაა განკუთვნილი. მათგან ტურისტების სიმრავლით გამოირჩევა ჯერუდონგ პარკი. იქ შესვლა სრულიად უფასოა.

შეუდარებელია დედაქალაქის მახლობლად წყალზე გაშენებული კურორტი კამპონგ აიერი, სადაც მხოლოდ წყლის ტაქსით თუ შეძლებთ მისვლას. მისი დამთვალიერებლები აღფრთოვანებას ვერ მალავენ და, მათი თქმით, ქვეყანაში ჩასვლა თუნდაც მხოლოდ კამპონგ აიერის გამო ღირს.

ბრუნეის არქიტექტურაზე გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ, თუ მოინახულებთ 1958 წელს აშენებულ სულთნის სასახლეს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ რეზიდენციას წარმოადგენს. მის მშენებლობაზე დაახლოებით 1,4 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. ის წარმოადგენს ოქროს გუმბათოვან ნაგებობას საერთო ფართით 200.000 კვ. მეტრი, მოიცავს 1788 ოთახსა და 257 სააბაზანოს, 5 საცურაო აუზს, 18 ლიფტს, ავტოფარეხს 110 ძვირადღირებული ავტომანქანით, საბანკეტო დარბაზს 4000 ადამიანისთვის და მეჩეთს 1500 ადამიანისთვის.

## უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, ბანდარ სერი ბეგავანი საშიშ ქალაქს ნამდვილად არ წარმოადგენს. იქ კრიმინალური ფაქტები მინიმუმამდეა დაყვანილი. ტურისტულ სეზონზე გზები საოცრად გადატვირთულია, ამიტომ ხშირია ავტოკატასტროფები. საგზაო ავარიების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოძრაობის წესების მკაცრი დაცვა.

გაითვალისწინეთ, ქვეყანაში ალკოჰოლის შეტანაზე მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული და წესების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა ციხეშიც მოხვდეთ.

## უბს წიგნაკი

**ქვეყანა — ბრუნეი;**
**დედაქალაქი — ბანდარ სერი ბეგავანი;**
**ეროვნული ვალუტა — ბრუნეის დოლარი;**
**ოფიციალური ენა — მალაიური;**
**ფართობი — 100,36 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 27.285.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანილის ძალა

მწვანილეული წარმოუდგენლად ბევრ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს, ამიტომ არავითარ შემთხვევაში დაუშვათ, რომ პატარას რაციონში არ იყოს ქორფა მწვანილი.

ვისაც მწვანლი უყვარს, დაცულია ჰიპოვიტამინოზისაგან. რაც უფრო ადრეულ ასაკში გაუსინჯავს ბავშვი მწვანილს გემოს, მით უკეთესი. ეს იმის წინაპირობა იქნება, რომ ჯანმრთელი გაიზრდება. გასათვალისწინებელია ერთი რამ: პატარას მწვანილი საკვებთან ერთად უნდა მისცეთ და არა ცალკე.



**ქინძი** — კავკასიელი ხალხისათვის შეუცვლელი და მეტად საყვარელი მწვანილია. შეიცავს ეთერზეთს, რომელიც დადებითად მოქმედებს საჭმლის მონელების პროცესზე, ხელს უშლის მუცლის შებერილობას, აღძრავს და უმატებს მადას. რაც ყველაზე მთავარია, ქინძი მდიდარია ცე ვიტამინით, რომელიც ორგანიზმს ხორცში არსებული რკინის შეთვისებაში ეხმარება.

**ისპანახი** — გამოირჩევა იმით, რომ მდიდარია ცილებით. მისი ღირსებებიდან აღსანიშნავია ბე ვიტამინების კომპლექსის არსებობა. ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, როგორც აღმოჩნდა, ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ვაშლი. შეიცავს კალიუმსაც. ისპანახის ფოთლები მდიდარია კალციუმით, ფთორითა და მაგნიუმით.

**ოხრახუში** — მდიდარია ცე ვიტამინით, კალიუმით, რომლის დახმარებითაც მცირდება ორგანიზმში სითხის შეკავების რისკი და გული უკეთ მუშაობს. ოხრახუშის ღერო მდიდარია ბე1, ბე2, პპ ვიტამინებით, ნიკოტინის მჟავით, რაც ზედა სასუნთქი გზების დაავადების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა.

**კამა** —გამორჩეულია ცე ვიტამინის მაღალი შემადგენლობით. მასში არსებული ვიტამინების მარაგი საკმაოდ მრავალფეროვანია — ბეტა-კაროტინი, ფოლიუმის მჟავა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორსულებისა და პატარებისათვის. კამა აძლიერებს მადას, აქვს მსუბუქი შარდმდენი თვისება, ორგანიზმს ეხმარება ჭარბი აირებისგან გათავისუფლებაში. პატარებში კამის წყალი უებარია მუცლის შებერილობის დროს.

**ტარხუნა**— თავისი არომატითა და გემოთი დანარჩენი მწვანილებისაგან გამორჩეულია. ძირითადად ხორციანი კერძების მომზადებისას გამოიყენება. მისი ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ეთერზეთებს, რომლებიც ხელს უწყობს მადის გაძლიერებას და კარგია მომნელებელი სისტემის ნორმალური მუშაობისათვის. ტარხუნა მდიდარია ასკორბინის მჟავით, ბეტა კაროტინით. ხალხურ მედიცინაში ტარახუნა ცნობილია, როგორც ორგანიზმის მატონიზირებელი და გამაძლიერებელი.

## დგომის მანერა თქვენს ხასიათს გვიმხელს

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანის დგომის პოზა მის ხასიათზე და ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე მეტყველებს. გირჩევენ, ეს საკუთარ თავზე გამოსცადოთ. მაშ ასე, დადექით სარკის წინ თქვენთვის ყველაზე მისაღებ პოზაში, კარგად დააკვირდით და ქვემოთ მოცემული დახასიათებები ყურადღებით წაიკითხეთ.



1. მთელი ძალით ერთ ფეხს აწვებით, მეორეს კი არანაირ ძალას ატანთ? ეს ნიშნავს, რომ ისეთ ადამიანებთან გიყვართ ურთიერთობა, რომლებიც მხიარულ წვეულებებს აღმერთებენ. ამასთანავე, საკმაოდ კატეგორიული და მომთხოვნი ბრძანდებით, თქვენს აზრს სხვებს ახვევთ თავზე, თუმცა ასეთი ქმედება მხოლოდ ნიღაბია, რომლის უკანაც საკუთარ სისუსტეებს მალავთ.

2. სარკის წინ ფეხიფეხგადაჯვარედინებული დგახართ? ესე იგი, საკუთარ თავში დარწმუნებული არ ბრძანდებით, რთულ სიტუაციებში გამოსავლის პოვნა გიჭირთ, ფრთხილი და ეჭვიანიც ხართ. ეს კი ურთიერთობებს გირთულებთ.

3. ფეხები მიტყუპებული გაქვთ და სწორად დგახართ — ასეთი პოზა ინფანტილური ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ხშირად ასეთ პოზას მოზარდები ანიჭებენ უპირატესობას.

4. ჯარისკაცივით გამართული დგახართ? ეს საქმიანი ადამიანის პოზაა, რომელიც ცხოვრებას რეალურად უყურებს და მისი ნდობა აბსოლუტურად ყველას შეუძლია. ის თავდაჯერებულია, საჭირო შემთხვევაში გადაწყვეტილებას სწრაფად იღებს. პასუხი თითქმის ყოველთვის ნებისმიერ კითხვაზე აქვს. ხანდახან ასეთი პოზის მოყვარულები ფათიფუთები არიან, რაც ცხოვრებას ურთულებთ.

5. სპორტულ ფორმაში დგახართ — ფეხები მხრების სიგანეზე? ასეთი პოზა მეტყველებს, რომ დაიღალეთ, აღარაფერი გაინტერესებთ და სტრესამდე ცოტა გიკლიათ. დროა, საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოთ და გუნება-განწყობასაც მიხედოთ.

## მეტი სინათლე ბინაში



არსებობს ასეთი იტალიური ანდაზა: „ბინაში, სადაც ცოტა მზეა, ექიმი ხშირად მიდის“. ნამდვილად სწორი მტკიცებაა. ჩვენი პირველი ექიმი მზის სხივებია. მათ გარეშე თავს უსიცოცხლოდ, უხალისოდ და დაღლილად ვგრძნობთ. მზის სხივი დამატებით ენერგიას იძლევა და ბევრი საჭირო ნივთიერებისა და ვიტამინის ათვისებას ეხმარება. ამდენად, ყოველდღიურად მზის სხივების „დაჭერა“ სასიცოცხლოდ აუცილებელია.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მარტიდან სექტემბრის ჩათვლით, ბინის თუნდაც ერთ ოთახს მზე არანაკლებ სამი საათი უნდა სტუმრობდეს. ბინის განათება ძნელია, მაგრამ — სავსებით შესაძლებელი. მთავარია, ისეთი მოსართავი მასალა გამოიყენოთ, რომელსაც მაღალი არეკვლადობა აქვს. ასეთია: პრიალა კერამიკული ფილა, მინა, სარკე, ლითონი ან სპეციალური საფარის მქონე პლასტიკატი. რაც უფრო ღია ფერისაა, მით უკეთესი. თეთრი ფერი მზის სხივებს ასი პროცენტით ირეკლავს, ე.ი. მოსაპირკეთებელი მასალა რაც უფრო ნათელია, მით უკეთესად ირეკლავს.

თუ ბინას ღია ტონში შეღებავთ, ეფექტს სარკეებით გააძლიერებთ. მათი კარგად მოფიქრებული განლაგება ბუნებრივი სინათლის ნაკადის უდანაკარგოდ მიმართვას ეხმარება. კარგად არეკლავს კერამიკაც. მოჭიქული ღია ფერის პრიალა ფილები ოთახს ვიზუალურად აფართოებს და უფრო ნათელს ხდის. შევცვალოთ გადასაკრავები, დავკიდოთ ღია ფერის ფარდები და სინათლის მთლიანი ანარეკლის სივრცეს მივიღებთ, რათა არც ერთი მაცოცხლებელი სხივი უმიზნოდ არ დაიკარგოს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

## სხეულისა და სულის ჰიგიენა

დღეში 2-ჯერ, დილა-საღამოს შხაპი მიიღეთ. ეს არამხოლოდ სხეულის ჰიგიენაა, არამედ გამოწრთობა და შინაგან ორგანოებზე ზრუნვა, ასევე იმუნური სისტემის დაცვა. კანიდან ტოქსიკური ნივთიერებების ჩამორეცხვით შინაგან ორგანოებში მათ შეღწევას თავიდან აიცილებთ.

საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი იმოძრაონ, რათა ისე არ მოხდეს, რომ ქუჩაში ვერ გავიდნენ და მოსაფხანად ხელის აწევა ვერ შეძლონ.

ხანდაზმულებში ხშირად ხასიათის არცთუ სასიამოვნო თვისებები ვლინდება. ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ესწრაფეთ, უფრო კეთილი იყოთ, ვინაიდან სიკეთე ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი ძირითადია.

თუ თაფლზე ალერგია არ გაქვთ, დღის განმავლობაში 2 ჩაის კოვზი თაფლი ჭამეთ. თაფლი შეიცავს მზის ენერგიას, რომელიც ადამიანის მდგომარეობის ჰარმონიზაციას ახდენს და მრავალი დაავადებისგან იცავს.

## ვარდი გულისთვის



ვარდი შესანიშნავი მკურნალია. მისი მოხმარება ყველას შეუძლია. სხვათა შორის, ავიცენამ ძველ ტრაქტატში ვარდის გამოყენების შესახებ ცნობებს რამდენიმე გვერდი მიუძღვნა. ვარდის ეთერზეთი სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის გულის მუშაობაზე — სისხლძარღვების სპაზმებს ხსნის და გულის კუნთს ამაგრებს.

**განსაკუთრებული თაფლი.** ვარდის ქორფა ფურცლები დააქუცმაცეთ და 2 სუფრის კოვზ ფურცელს 300 გრამი თაფლი დაასხით. 5-6 დღე დადგით. ამ დროის განმავლობაში ვარდის ფურცლებში არსებული სამკურნალო ნივთიერებები თაფლში გადავა. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ მიიღეთ (დილით აუცილებლად უზმოზე, ხოლო სადილსა და ვახშამზე — ჭამამდე ნახევარი საათით ადრე).

**ვარდის სასმელი.** ვარდის 20 ფურცელს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 12 საათი დადგით. 200 მლ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე მიიღეთ.

ადამიანებმა, რომლებსაც სტენოკარდია აქვთ, ვარდის არომატი ხშირად უნდა შეისუნთქონ. ვარდის ეთერზეთი გულის კუნთს ატონიზირებს. ასევე კარგია ყელზე კერამიკული მედალიონი ატაროთ, რომელშიც ვარდის ზეთით დანამული ბამბა იქნება მოთავსებული.

## შეინარჩუნეთ სიმშვიდე!

სიფიცხე და გაღიზიანებულობა ხასიათის ის თვისებებია, რომლებიც ნაცნობებთან, ახლობლებთან ურთიერთობას აფუჭებს და თავად მფლობელს ტანჯავს.

„ადუღებული" გაღიზიანების გამო ხშირად წნევა იმატებს, ადამიანი საჭმელს ეძალება, თავს არაკომფორტულად გრძნობს. სიმშვიდის შენარჩუნებაში აუტოტრენინგი დაგეხმარებათ. კარგად გაიაზრეთ, რაზეა საუბარი თვითშთაგონების ფორმულებში და ყველაფერი ცოცხლად წარმოიდგინეთ. თითოეული ფრაზა მიყოლებით 5-10-ჯერ გაიმეორეთ, სანამ შემდეგზე გადახვალთ.

ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება, აბსოლუტურად მშვიდად ვუდგები.

ყოველთვის და ყველგან თავს მსუბუქად და კომფორტულად ვგრძნობ.

შემიძლია სიმშვიდე და თავშეკავებულობა შევინარჩუნო.

ჩემ ირგვლივ ადამიანებს კეთილმოსურნეობით ვეპყრობი.

ნებისმიერ სიტუაციაში სულიერ წონასწორობას ვინარჩუნებ.

სიმშვიდე და კეთილმოსურნეობა ჩემი ხასიათის თვისებებია.

## სამკაული პირში — საშიშია თუ არა?

ძვირფასი ქვებით ან ოქროს ფირფიტებით კბილებს ჯერ კიდევ უძველეს დროში იმკობდნენ. ასეთი მოდა პერიოდულად ბრუნდება. ახლა ცოტა იხვრეტს კბილს, რათა მასში ნამდვილი ბრილიანტი ჩაიდგას. ეს ძვირადღირებულია. სამკაულები, რომლებსაც თანამედროვე ადამიანებში ვხედავთ, სპეციალური დაწახნაგებული ბროლი (სკაიზი) ან ძირითადად ოქროს ფიგურული ფირფიტაა (ტვინკლი).



რა თქმა უნდა, კბილებისთვის ისინი არცთუ ძალიან სასარგებლოა, ვინაიდან მინანქრის მთლიანობა ირღვევა. თუმცა არც განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს, თუ კბილები საღია და სამკაულს სტომატოლოგი დგამს და იღებს. სამშვენისები განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებენ — საკმარისია ჩვეულებრივი ჯაგრისით გასუფთავება. მცირე მოცულობისა და წონის გამო აღნიშნული სამკაულები პირში დისკომფორტს არ ქმნიან. არც კბილები იტვირთება ზედმეტად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება აღმოცენდეს ალერგია ბონდზე (სპეციალური მასალა, რომლითაც სამშვენისს ამაგრებენ). ასეთ დროს სამკაულს ხსნიან.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. კბილის სამკაულით მინანქარზე მცირე ზომის ლაქების დაფარვა შეიძლება. ასე რომ, ზოგჯერ სკაიზი და ტვინკლი სარგებლობის მომტანია, მაგრამ მაინც უმჯობესია, დეფექტი არ შეინიღბოს, არამედ მისი მიზეზი დადგინდეს და აღმოიფხვრას.

## მეხსიერება ციფრებსა და ფაქტებში

ჩასახვიდან 20 კვირის შემდეგ ემბრიონში მეხსიერება ფორმირდება. ეს უჩვენა თანამედროვე გამოკვლევებმა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში კი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი ქაღალდის ფურცელივით სუფთა ტვინით იბადებოდა.

25 წლამდე მეხსიერება აღმავალი მიმართულებით მიდის. შემდეგ სტაბილური პერიოდი დგება, ხოლო 50 წლიდან დაშრეტას იწყებს.

მოზრდილ ადამიანს შეუძლია 20 000-დან 100 000-მდე სიტყვა დაიმახსოვროს.

ასაკის მატებასთან ერთად მეხსიერება 20-40%-ით ქვეითდება,მაგრამ, თუ ტვინს მუდამ „ამუშავებთ" და ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას შეასრულებთ, კარგი მეხსიერება ღრმა სიბერემდე შენარჩუნდება.

იულიუს კეისარს და ალექსანდრე მაკედონელს ფენომენური მეხსიერება ჰქონდათ. თავიანთ 30 000 ჯარისკაცს სახეზე ცნობდნენ და მათი სახელები იცოდნენ.

სენეკას შეეძლო ერთი მოსმენით 2000 ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები გაემეორებინა.

უინსტონ ჩერჩილმა შექსპირის თითქმის ყველა ნაწარმოები ზეპირად იცოდა.

მეხსიერების განვითარებაზე გავლენას ახდენს პროფესია. ყველაზე მეტად მეხსიერება უნარჩუნდებათ მსახიობებს (ტექსტების დაზეპირების გამო), მეცნიერებს (ტვინის ყველა განყოფილება გაძლიერებით მუშაობს) და მეფუტკრეებს, რომლებიც ფუტკრის პროდუქტებს იყენებენ.

ტოროლა-ადამიანებში მეხსიერების პროდუქტიულობა მაქსიმალურია დილის 8-დან 12 საათამდე, ხოლო ბუ-ადამიანებში საღამოს 8-დან 12 საათამდე.

რაიმე ფაქტის საიმედოდ დამახსოვრების ერთ-ერთი საშუალება რომელიმე სხვა ფაქტთან მისი დაკავშირებაა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# სარძევე ჯირკვლების მტრები



მკერდი ქალის ორგანიზმში ჰორმონებით სავსე ორგანოა. ჰორმონულ სტატუსზე კი აბსოლუტურად ყველაფერი მოქმედებს — ცხოვრების წესი, ძილი, კვება, გუნება-განწყობა, ნერვიულობა, სტრესი... ყოველივე იმუნური სისტემის დასუსტებას იწვევს და მასტოპათიისა და მკერდის სხვა დაავადების განვითარების რისკს ამაღლებს.

### ინფექციები

ქალის სასქესო ორგანოების ნებისმიერი ანთებითი პროცესი საკვერცხეების ჰორმონების გამომუშავების ნორმალური პროცესის დარღვევას იწვევს. სარძევე ჯირკვალი კი საკმაოდ მგრძნობიარე ორგანოა და სწრაფად რეაგირებს საკვერცხეების დისბალანსზე. ჩნდება პატარა ზომის კვანძები, თავს იჩენს მკერდის ტკივილი და გაჯირჯვება მენსტრუაციული ციკლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე. სარძევე ჯირკვლები მგრძნობიარეა ინფექციური დაავადებების მიმართაც, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც სქესობრივი გზით გადაიცემა.

### მჭიდრო ლიფი

როგორც მამოლოგები გვაფრთხილებენ, ვიწრო ლიფი, რომელიც მეტისმეტად მოტმასნილია მკერდზე, ხელს გვიშლის მოძრაობაში, არავითარ შემთხვევაში უნდა ჩაიცვათ, რადგან სისხლის მიკროცირკულაცია ირღვევა. ამან კი შესაძლოა სარძევე ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის პროვოცირება მოახდინოს.

ყველაზე კარგი და უსაფრთხოა ნაჭრის ბიუსტჰალტერები ყოველგვარი დამატებითი დამჭერების (რკინების) გარეშე. და კიდევ, ლიფის ტარება დღე-ღამეში 12 საათზე დიდხანს არარეკომენდებულია.

### ულტრაიისფერი სხივები

მკერდის ნაზი და მგრძნობიარე კანი იოლად ტრავმირებადია. არაა რეკომენდებული ზაფხულის პერიოდში მზეზე დიდხანს გარუჯვა, რადგან ულტრაიისფერი სხივები სარძევე ჯირკვლის ქსოვილებში აღწევს და ავადმყოფობის გამომწვევ უჯრედებს ააქტიურებს. სავალდებულოა, მზეზე ყოფნის დროს მუდმივად გამოიყენოთ მზისგან დამცავი საშუალებები.

### ინტენსიური მოძრაობა

სირბილის, ვარჯიშისა და ცეკვისას ყურადღება მიაქციეთ მკერდის უსაფრთხოებას. არ დაუშვათ მკვეთრი და ინტენსიური მოძრაობები, რადგან დიდია მიკროტრავმების განვითარების ალბათობა. როგორც სპეციალისტები მოგვიწოდებენ, უპრიანი იქნება, თუ ვარჯიშის დროს სპეციალურ დამცავ ლიფს ჩაიცვამთ, რომელიც მკერდს საიმედოდ აფიქსირებს.

### ტრავმები

ყველაზე სახიფათო და სერიოზული დარღვევების გამოწვევა შეუძლია მკერდის ტრავმებს. აუცილებელია მიკროტრავმების თავიდან აცილება, მაგალითად, ტრანსპორტში სიმჭიდროვის დროს შესაძლოა მკერდზე შემთხვევით მიირტყით ჩანთა და სხვა. ასეთ დროს ტრავმირებულ ადგილზე შეიძლება ჰემატომა განვითარდეს — აღინიშნოს ჩალურჯება, შემდგომში კი კისტა გაჩნდეს.

### ჭარბი წონა

სტაბილური წონის შენარჩუნება საუკეთესო საშუალებაა მკერდის დაავადებებისგან თავის დასაცავად. ექიმები გვაფრთხილებენ, რომ 3-4 კგ-ით მომატების შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვნად მატულობს სარძევე ჯირკვლების სხვადასხვა პათოლოგიის ჩამოყალიბების საფრთხე. კიდევ უფრო ცუდად მოქმედებს ამ თვალსაზრისით წონაში სწრაფი კლება, რადგან ცხიმების სწრაფი გაწოვის დროს ორგანიზმის თავდაცვის მექანიზმი მნიშვნელოვნად ირღვევა.

### მეცნიერული მიდგომა

უარი თქვით მავნე ჩვევებზე, ნუ ავნებთ საკუთარ თავს. სარძევე ჯირკვლის ნომერი პირველი მტერი სიგარეტი და ალკოჰოლია, ამიტომ საჭიროა, თითოეულმა ქალმა ეს კარგად გაითავისოს. ეს მავნე ჩვევები მომაკვდინებლად მოქმედებს სისხლძარღვებზე და მათ ჯანმრთელობაზე. სისხლის ნორმალური მიმოქცევის პროცესის დარღვევის შემთხვევაში კი მკერდი სერიოზულად ზიანდება. ამას გარდა, მოწევა ასევე ნაგატიურად მოქმედებს კანის ჯანმრთელობაზეც!

გვერდს ვერ ავუვლით აბორტის თემასაც. გარდა იმისა, რომ აბორტი ქალის ჯანმრთელობისთვის დამანგრეველია, ის სარძევე ჯირკვლების დაუძინებელი მტერიცაა. მოგეხსენებათ, რომ ორსულობის დადგომისთანავე ქალის ორგანიზმში უამრავი ჰორმონული ცვლილება მიმდინარეობს, რომლის დროსაც ბუნებრივად ხდება ორგანიზმის ორსულობისა და ბავშვის დაბადებისთვის განწყობა-შემზადება. აბორტის გაკეთების შემდგომ კი ხდება ჰორმონული სისტემის „აფეთქება“. განსაკუთრებით სახიფათოა ორსულობის ნაადრევად შეწყვეტა ადრეულ ასაკში და პირველი შვილის დაბადებამდე.

# რეცეპტები ჯანმრთელი ცხოვრებისათვის

არსებობს უნიკალური ნატურალური საშუალებები, რომელთა ეფექტურობაც არათუ წლებმა, არამედ საუკუნეებმა გამოსცადეს და, მიუხედავად თანამედროვე მედიცინის პროგრესისა, დღესაც არ კარგავენ აქტუალობას, ისეთივე წარმატებით „მუშაობენ“, როგორც მრავალი ათეული წლის წინ.

### კარგი გუნება-განწყობისათვის

ორგანიზმში ენდორფინების გამომუშავების პროცესს ეხმარება არამარტო ფიზიკური აქტივობა და შოკოლადი, არამედ სხვადასხვა სანელებელიც, რომელთა დახმარებითაც მნიშვნელოვნად მაღლდება გუნება-განწყობა. დარიჩინი და კარდამონი ის ამ თვალსაზრისით ეფექტურია.

### ენერგიისა და მხნეობისათვის

ჩირეულის უნიკალური შესაძლებლობების შესახებ უკვე კარგადაა ცნობილი, მაგრამ მათი ნაყენის გამოყენება, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, კარგია ორგანიზმის



ტონიზირებისთვისაც. ასევე გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებებიც. დღეში ნახევარი ჭიქა ჩირეულის ნაყენის დალევა ასეთი ეფექტის მისაღებად სავსებით საკმარისია.

### სიმშვიდისათვის

ბარამბო არამარტო საუცხოო სანელებელია, არამედ სასურველი დანამატია არომატული აბაზანისათვის. ბარამბოს ნაყენიანი აბაზანა ამშვიდებს და აღადგენს ორგანიზმის ძალებს. თუ უძილობა გაწუხებთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბარამბოს გამომშრალი ფოთლები. ჩაყარეთ პატარა ზომის ტომსიკაში, შეკერეთ ციცქნა ბალიში, ამოდეთ ლეიბის ქვეშ (თავის მხარეს) და უძილობის დამარცხებას შეძლებთ.

### ყვავილების სიკეთე

გვირილა ფანტასტიკურია თმისთვის! მისი სამკურნალო თვისებები საყოველთაოდაა ცნობილი და აქტიურად გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც. ყვავილებისგან მომზადებული ნაყენი კარგია განსაკუთრებით ღია ფერის თმისთვის. დაბანის შემდეგ საჭიროა გვირილას ნაყენის გადავლება. რამდენიმე პროცედურის შემდეგ თმა აშკარად უფრო ელასტიკური და ბზინვარე გახდება.

ია სახის კანისთვისაა კარგი. ამ ყვავილის ნაყენი დადებითად მოქმედებს კანის ფერზე და მისი სტრუქტურაზე. 2 ს.კ. იის გამხმარ ყვავილებს 1 ჭიქა ადუღებული წყალი დაასხით და 1 საათი დააყოვნეთ. შემდეგ გაფილტრეთ და ბამბით სახესა და დეკოლტეს არეზე წაისვით (შეგიძლიათ გამოიყენოთ დილა-საღამოს). ცოტა ხანში მკვებავი გადაისვით.



Cyan Magenta Yellow Black

## არ დაუშვათ ბავშვის გაცხიმოვნება!

როგორც პედიატრები გვირჩევენ, მშობლებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ შვილის წონის დეფიციტი ან სიჭარბე. ორივე შემთხვევაში პატარას ორგანიზმში ბევრი პრობლემა შეიძლება განვითარდეს, რის შესახე-



ბაც მშობლებს აუცილებლად უნდა გვქონდეს ინფორმაცია.

ნებისმიერმა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ, რაც უფრო ჭარბი კილოგრამები აქვს ბავშვს, მით უფრო ცუდად მუშაობს მისი გულ-სისხლძარღვთა სისტემა, უფრო მეტი დატვირთვა მოდის გულზე. ჭარბი წონის გამო მაღალია ისეთი პრობლემების განვითარების ალბათობა, როგორიცაა ბრტყელტერფიანობა, ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევა.

### რა ითვლება ნორმად

ჭარბი წონის ან მისი დეფიციტის გამოთვლა ბავშვის ასაკის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. გამოთვლების წარმოებისას მნიშვნელოვანია ბავშვის სიმაღლე და სქესი. საშუალოდ 3 წლამდე გოგონების სხეულის მასა 13,5-15,5 კგ-ია, 4 წლის გოგონებისათვის — 15,5-16 კგ, 5 წლისათვის კი ნორმა 16-19 კილოგრამია. ამ ასაკის ვაჟებისათვის ნორმა 19-22 კილოგრამს შორის მერყეობს.

თქვენი შვილი არ შეესაბამება ამ ნორმებს? პირველ რიგში, დაადგინეთ, ცდომილება რა ფარგლებშია. თუ ეს ციფრი 15-20%-ს არ აღემატება, საუბარია პირველი საფეხურის გაცხიმოვნებაზე, 25-50%-ის შემთხვევაში მეორე სტადიაა, ხოლო 50-100%-ის დროს მესამე-მეოთხე სტადიაზეა საუბარი.

ბოლო ორი სტადიის შემთხვევაში აუცილებელია ბავშვის ენდოკრინოლოგთან მიყვანა და სათანადო გამოკვლევებისა და მკურნალობის კურსის ჩატარება. პირველი-მეორე სტადიის დროს კი პრობლემის მოგვარება სპეციალური დიეტით შეიძლება.

### მნიშვნელოვანი წესები

თუ თქვენს შვილს პირველი სტადიის გაცხიმოვნება აღენიშნება, ყურადღება მიაქციეთ, ჭამის დროს არ გადაამეტოს. წესი ასეთია: 3-5 წლის ბავშვი ერთ ჯერზე უნდა ჭამდეს 400-450 გრ საჭმელს, 6 წლისა — არაუმეტეს 500 გრამისა (სასმელი არ ითვლება).

მეორე სტადიის გაცხიმოვნების დროს მშობელმა მკაცრად უნდა შეუზღუდოს შვილს ტკბილეული, შოკოლადი, ცომეული, ნახშირწყლებით მდიდარი საკვები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აქტიური ცხოვრება და სპორტი. ეს საჭიროა არამარტო ჭარბი კილოგრამების თავიდან ასაცილებლად, არამედ ზოგადად პატარას ჯანმრთელობისათვის.

## შვილს და-ძმის გამონაცვალი ფეხსაცმელი არ ჩააცვათ



### როგორ დავძლიოთ ორთოპედიული პრობლემები

ბავშვის სიცოცხლის პირველი წელიწადი ძალზე საპასუხისმგებლო პერიოდია. ამ დროს პატარა კონსულტაციაზე ბევრ სპეციალისტთან უნდა მიიყვანოთ, მათ შორის ორთოპედთანაც, რომელთან ვიზიტი სასურველია 1, 3, 6 და 12 თვის ასაკში.

ბავშვების არც ისე მცირე ნაწილი 4-5 წლის ასაკში ბრტყელტერფიანობას უჩივის. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო განგაშის ატეხა, რადგან ეს ნორმალური გამოვლინებაა და მკურნალობის გარეშეც უკვალოდ ქრება.

იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად ფორმირდება ბავშვის ფეხი (ტერფი), მხოლოდ ექიმი-ორთოპედის კონსულტაციის შემდეგ არის შესაძლებელი, ამიტომ მშობლებს ნაადრევი დასკვნებისგან თავშეკავება მართებთ.

სანერვიულოა თუ არა, როცა ბავშვი სიარულის დროს ერთ ფეხს შიგნით დგამს ან თითის წვერებზე დადის? თუ ასეთი რამ შენიშნეთ შვილს, ის არამარტო ორთოპედთან, ნევროპათოლოგთანაც უნდა მიიყვანოთ.

### პროფილაქტიკა

პროფილაქტიკა ბრტყელტერფიანობის შემთხვევაში აუცილებელი და, რაც მთავარია, საკმაოდ ეფექტური დამხმარეა. ამისთვის, პირველ რიგში, საკმარისია ფეხსაცმლის სპეციალური ორთოპედიული ჩასაფენების შეძენა, რომელიც უნდა შეარჩიოთ ინდივიდუალურად, ბავშვის ფეხის სპეციფიკიდან გამომდინარე. ჩასაფენის ტარება საჭიროა მანამ, სანამ ბავშვის ძვლოვანი სისტემა, კუნთები სწორ ფორმას არ მიიღებს.

პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგია სპეციალური მასაჟების კურსის ჩატარება, სწორი ფიზიკური დატვირთვა: სამკურნალო ფიზკულტურა და სხვა სპეციფიკური ვარჯიშების გაკეთება.

### 5 აქტუალური შეკითხვა, რომელთაც ხშირად უსვამენ მშობლები ორთოპედს:

**— რომელი პროდუქტები უნდა მიიღოს პატარამ რეგულარულად 2-5 წლამდე ასაკში?**

— ხორცი, ყველი, თევზი, კვერცხი, რძე. ეს ის პროდუქტებია, რომლებიც ცილებს შეიცავენ. ამ უკანასკნელის რეგულარულად მიღება კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშკის კუნთებისთვის.

**— რამდენად ხშირადაა საჭირო ბავშვისათვის მასაჟის ჩატარება?**

— პროფილაქტიკისთვის აღნიშნული კურსის ჩატარება საკმარისია წელიწადში ორჯერ, რომლის დახმარებითაც დასუსტებული კუნთები, ძვლები მაგრდება, ასევე ხდება ნერვული სისტემისა და მამოძრავებელი აპარატის სხვადასხვა დაავადებებისგან დაცვა.

**— შედეგის მისაღწევად რამდენად მნიშვნელოვანია ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემების დროულად დადგენა?**

— რაც უფრო ადრე დადგინდება ბავშვის ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები, მით უკეთესი. ამისთვის განსაკუთრებული ძალისხმევა საჭირო არ არის. უბრალოდ, ხშირად შეუმოწმეთ ხერხემალი, პერიოდულად კი ორთოპედთან მიიყვანეთ კონსულტაციაზე.

პრობლემების არსებობაზე მიგანიშნებთ: ხერხემლის ფორმის შეცვლა (კითხვის ნიშანს წააგავს), გულმკერდის არეში ასიმეტრია, ტერფების ასიმეტრია. თუ რომელიმე ნიშანი აღმოაჩინეთ, აუცილებლად გაასინჯეთ შვილი ორთოპედს, რათა სქოლიოზის განვითარება დროულად აიცილოთ.

**— როგორ შევარჩიოთ ბავშვისთვის ფეხსაცმელი?**

— 2-5 წლამდე პატარებისთვის ბათინკების შეძენისას ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იყოს ნატურალური ტყავის, არც ვიწრო და არც განიერი. მასში კარგად უნდა იყოს დაფიქსირებული პატარას ტერფი ისე, რომ სიარულისას თავისუფლად არ მოძრაობდეს.

რაც შეეხება ე.წ. სანდლებს და ღია ფეხსაცმელს, მათი ტარება სასურველია 7 წლიდან.

ფეხსაცმლის ლანჩი არც ძალიან უხეში უნდა იყოს და არც იოლად იხრებოდეს.

პატარებისათვის, რომლებსაც ორთოპედიული პრობლემები აქვთ, საჭიროა ინდივიდუალური ორთოპედიული ფეხსაცმლის შეკერვა.

**— რა სახის ვარჯიშები შეიძლება გააკეთოს პატარამ სახლის პირობებში, რომ ხერხემალი და ძვლოვანი სისტემა გაიძლიეროს?**

— თუ ექიმმა პატარას ორთოპედიული პრობლემა დაუდგინა, მკურნალობისა და ვარჯიშების კურსიც მანვე უნდა შეურჩიოს. სხვა შემთხვევაში კარგია საკმაოდ მარტივი ვარჯიშის ჩატარება:

დააწვინეთ ბავშვი მუცელზე, ხელები ზურგსუკან გადააჯვარედინოს, თავი მაქსიმალურად მაღლა ასწიოს და ტანის ზედა ნაწილი უკან გადასწიოს. ამ პოზიციაში 2-3 წუთი გაჩერდეს.

კარგი იქნება, თუ 3-4 წლიდან შვილს ატარებთ ცურვაზე. მისი დახმარებით ბავშვის კუნთების გაძლიერება კარგია ხერხემლის ჯანმრთელობისთვისაც.

დაბოლოს, როგორც ორთოპედები გვირჩევენ, არ არის სასურველი ბავშვისთვის უკვე ნაცვამი ფეხსაცმლის ტარება. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ბავშვი იცვამს დის ან ძმის გამონაცვალ ფეხსაცმელს, რომელსაც ფორმა უკვე შეცვლილი აქვს.

✓ რუბრიკა მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black



# ფაქოს რჩეულმა ფეისკონტროლი სადედამთილოსთან უნდა გაიაროს

## „ყოფილი ცოლის მიმართ რაღაც გრძნობა შემომრჩა“

შოუმენ ფაქოს, ლევან გოგორელიანის, ქორწინება 4 წლის წინ დასრულდა. წყვილმა თანაცხოვრებიდან 2 წლის თავზე ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტა. მას შემდეგ ფაქოს დიდი სიყვარული აღარც სწვევია, თუმცა ბავშვობის სიყვარულს დღემდე ვერ ივიწყებს, იმ ადამიანის მიმართ დღემდე არ განელებია გრძნობა. დაქორწინებას არ ჩქარობს, არ უნდა, ისევ შეცდომა დაუშვას. როცა უყვარს, რომანტიკულია. საყვარელი ქალის გამო ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მისი ფანტაზია კი ამ დროს უსაზღვროა. ერთხელ შეყვარებულს სახურავზე მოუწყო ვახშამი. დღეს მისი მთელი ყურადღება საქმისკენ არის მიმართული და ამბობს, რომ გოგონებისთვის არ სცალია. თუმცა, ამ მხრივ, დედამისი აქტიურობს. თუ როგორ, ამაზე ქვემოთ.

**— ფაქო, ალბათ ბევრი გიფიქრიათ იმაზე, რატომ ვერ შედგა თქვენი ქორწინება და დასკვნებიც გაკეთებული გექნებათ. როგორ ფიქრობთ, თქვენი შეცდომა რა იყო?**

— მას შემდეგ 4 წელი გავიდა. ცოლი რომ მოვიყვანე, 21 წლის ვიყავი და რაღაც საკითხებზე შეხედულებები ბოლომდე ჩამოყალიბებული არ მქონდა, თუმცა ამ ნაბიჯს არ ვნანობ, რადგან მაშინ ისე მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო. აქ მხოლოდ ჩემს შეცდომებზე არ არის საუბარი, სხვა ფაქტორებიც იყო, რაზეც არ მინდა ლაპარაკი.

**— ალბათ ოჯახის წევრები გახსენებენ, რომ დაქორწინების დროა.**

— დედა ჩემს პირად ცხოვრებაში არ ერევა, მაგრამ ცოლი მოიყვანეო, მაინც მეუბნება.

**— როგორი რძალი უნდა?**

— დედაჩემთან „ფეის-კონტროლის“ გავლა ადვილი ნამდვილად არ არის. მე ნაკლებად ვრევ ჩემს ცხოვრებაში, თორემ რძალს თვითონაც დიდი სიამოვნებით შეარჩევდა. ჩემთვის ისეთები მოსწონებია, რომლებსაც მეც დადებითად ვაფასებდი. ერთი გოგოთი ისე მოიხიბლა, ისიც კი მითხრა, თუ მაგარი ბიჭი ხარ, მიდი და თავი მოაწონეო.

**— და მაინც ვერ დაგითანხმათ, რომ დაქორწინებაზე იფიქროთ.**

— პირველი ოჯახის დანგრევა ძალიან განვიცადე. უკვე 27 წლის ვარ და არ მინდა, მეორედაც შეცდომა დავუშვა. ძალიან ვფრთხილობ, იგივე რომ დამემართოს, ალბათ ველარ გადავიტან.

**„დილით ახალგაღვიძებული ქალი თუ ლამაზია და თან ჩემი მაისური აცვია, ე.ი. მასზე ვგიჟდები. ქალს ყველაზე მეტად ჩემი მაისური უხდება".**

**— ყოფილ მეუღლესთან გაქვთ ურთიერთობა?**

— იშვიათად, სადმე დღესასწაულებზე თუ შევხვდებით და ერთმანეთს დაბადების დღეებსაც ვულოცავთ. მე და მარიმ 2 წელი ერთად ვიცხოვრეთ და შეუძლებელია ჩვენ შორის რაღაც გრძნობა არ არსებობდეს, თუმცა ამ გრძნობას იმხელა ძალა ნამდვილად არ აქვს, რომ ისევ ერთად ვიყოთ.

**— მის მიმართ აღარაფერს გრძნობთ?**

— რასაც სხვების მიმართ განვიცდი, მარის მიმართაც იმავეს არ ვგრძნობ, რადგან, როგორც უკვე გითხარით, 2 წელი ერთად გავატარეთ.

**— როგორ გოგოს შეუძლია თქვენი გულის დაპყრობა?**

— ჩემგან განსხვავებული უნდა იყოს, ოღონდ — ოდნავ. მე როგორი ვარ, ეს მე არ უნდა მკითხოთ. მიყვარს, როცა გოგოს ლავიწის ძვალი ლამაზი აქვს. ხელებსაც დიდ ყურადღებას ვაქცევ, მეწვრილმანე ვარ. ქალის გარეგნობა მხოლოდ ხელების სილამაზეზე კი არ არის დამოკიდებული, მასზე შეხების დროს რაღაცას უნდა ვგრძნობდე, ოღონდ — რას, ამას ვერ აგიხსნით. ყოველთვის სხვადასხვანაირი გოგოები მომწონდა. არ ვარ ის ტიპი, ვინც მათ ხშირად იცვლის. ერთგულიც გახლავართ.

**— გამოდის, რომ იოლად არ გიყვარდებათ.**

— ეს ბავშვობაში უფრო ხდებოდა. უცებ მიყვარდებოდა და რას აღარ ვაკეთებდი.

**— სიგიჟეებს ჩადიოდით?**

— რას — აღარ! რასაც ვაკეთებდი, იმხელა სიამოვნებას ვიღებდი, ბოლოს ვერც ვხვდებოდი, ისინი ამ ყველაფრის ღირსები იყვნენ თუ არა. ერთი გოგო მიყვარდა და ყოველდღე წითელი ვარდები მიმქონდა მისთვის. ერთხელ სახურავზე რომანტიკული ვახშამიც კი მოვუწყვე — წითელი ხალიჩა, მაგიდა, ვარდები, შამპანური... თან ჩემი დაბადების დღე იყო, ოღონდ მან არ იცოდა. სახურავზე უბრალოდ ავედით და ეს ყველაფერი დავახვედრე. მიმტანი ჩემი ძმაკაცი იყო.

**— ასეთი საღამოთი შეძელით მისი მოხიბვლა?**

— მიზანი მისი მოხიბვლა და გულის მოგება არ ყოფილა, მთავარი იყო, ეს ყველაფერი გამეკეთებინა, მე თვითონ მსიამოვნებდა... სერენადებიც კი მიმღერია.

**— ბიჭისა და გოგოს ურთიერთობაში რა არის მთავარი?**

— სექსზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ქორწინებამდე წყვილს ერთმანეთთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს. არ აქვს მნიშვნელობა, გოგოს შეყვარებული ერქმევა თუ მეგობარი გოგო. შეიძლება ამის გარეშე ქორწინებამდე ბევრი წყვილიც ცხოვრობს, მაგრამ შემდეგ თუ აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ეს უკვე დამანგრეველი პრობლემა ხდება. მე თავიდანვე ამ აზრის ვიყავი და ამას კვლევებიც ადასტურებს, რომლის თანახმადაც, ოჯახის დანგრევის ძირითადი მიზეზი სექსია.

**„გოგო ბევრჯერ მომიტყუებია. ეს არ არის კარგი საქციელი, მაგრამ სამაგიეროდ მეც მოვუტყუებივარ ქალს".**

**— ესე იგი თქვენთვის ქალწულობის შენახვა მოძველებული მოვლენაა?**

— ქალიშვილობის ინსტიტუტი საქართველოში შეიძლება ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, მაგრამ მე არ ვიცი. ჩვენს ქვეყანაში ყველანი ვალდებულები ვართ, ერთმანეთის შეხედულებებს პატივი ვცეთ. ვინც თვლის, რომ ქალიშვილი უნდა იყოს, იყოს!.. გოიმები მათი შეყვარებულები არიან, რომ ამ გოგოებთან სექსი ვერ მოახერხეს. თუ ბიჭს თავის შეყვარებულთან სექსი არ უნდა, ეს უკვე ძალიან ცუდია.

**— თქვენ ცოლად მოიყვანდით გოგონას, რომელიც ქალიშვილი არ იქნებოდა?**

— არ ვიცი... ამაზე არასდროს მიფიქრია.

**— სექსის გარდა, ურთიერთობაში კიდევ რა არის მნიშვნელოვანი?**

— ურთიერთობაში მთავარი ნდობაა, როცა ეს არ არის, დიდი დისკომფორტი იქმნება. ნდობა კი თვითონ ურთიერთობაში იბადება, უნდა დარწმუნდე, რომ გოგო არ გატყუებს.

**— თქვენ არ მოგიტყუებიათ ქალი?**

— ბევრჯერ. ეს არ არის კარგი საქციელი, მაგრამ ხანდახან გოგოსთან დამოკიდებულებაში ტყუილი ხშირად გიწევს. სამაგიეროდ მეც მოვუტყუებივარ ქალს. ეს ხომ ჩვენი ცხოვრების კანონზომიერებაა — რასაც გავაკეთებთ, ჩვენვე გვიბრუნდება უკან. მე არ მივეკუთვნები იმ მამაკაცების რიცხვს, რომლებიც ამბობენ, რომ ქალს არასოდეს მოუტყუებია, ეს არ არსებობს!

**— მშვენიერ სქესთან ურთიერთობას დიდ დროს უთმობთ?**

— ამ ეტაპზე გოგოებისთვის ნაკლები დრო მაქვს. ისინი ვერც ხვდებიან, თუ რატომ შეიძლება, რომ სამსახურში ღამის 2 საათამდე ვიყო. ეს ჩემთვის სამუშაო აღარ არის, როგორც სახლში, ტელევიზიაშიც (ფაქო ტელეკომპანია „ჯიდიესში“ მუშაობს), აქაც ისე ვარ და საქმეზე ვფიქრობ. დროის განაწილება ძალიან მიჭირს.

**— რაიმე საერთო ნაკლი შეგიმჩნევიათ ზოგადად ქართველი გოგონებისთვის?**

— ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსები აქვთ. ბევრ რაღაცას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ ვიღაცას ეჯიბრებიან. შეიძლება ყველანაირად მიმზიდველი იყოს და ეს კარგადაც ჰქონდეს გაცნობიერებული, მაგრამ შემდეგ ურთიერთობაში პრობლემებს ქმნიდეს. ქართველი ქალების



Cyan Magenta Yellow Black

უმრავლესობას არასრულფასოვნების კომპლექსები აწუხებთ.

— **რა თვისება მოგწონთ მათში?**

— ვფიქრობ, რომ დროსთან ერთად თბილები და თავისუფლები გახდნენ, მათთან ურთიერთობაც უკვე სასიამოვნოა. გართობაც ისწავლეს და ბიჭებთან ერთად ჯდომა მათთვის აღარაფერს ნიშნავს, ხელიც კი აქვთ გადახვეული. სექსუალური ხარო, გოგოს რომ უთხრა, ეს უკვე აღარ არის სირცხვილი, სილას აღარავინ გაგარტყამს.

— **თქვენთვის გაურტყამს გოგოს ამის გამო სილა?**

— არა, რადგან ყოველთვის ვიცი, ვის რა კომპლიმენტი უნდა ვუთხრა და რა დროს. ამაში ძალიან ფრთხილი ვარ. კომპლიმენტებს იშვიათად ვისვრი, რადგან განსაკუთრებულად უნდა მინდოდეს ქათინაურების თქმა, რომ ვუთხრა. ვფიქრობ, ქალებს იშვიათი კომპლიმენტი უფრო ახარებთ.

— **როგორი გოგონებისთვის იმეტებთ ქათინაურებს?**

— „სვეჟად“ უნდა გამოიყურებოდეს, რომ მას კომპლიმენტი ვუთხრა. გოგო უბრალო და ზედმეტი „რემონტის“ გარეშე უფრო მომწონს. შეიძლება სახის ზოგიერთ მონაკვეთში აუცილებელია გარკვეული მაკიაჟი, მაგრამ თავიდან ბოლომდე რატომ უნდა გაიდღაბნონ? მაკიაჟი ყოველდღიურობაში ნამდვილად არაა საჭირო, არც დილიდან საღამომდე მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე დგომა მიმაჩნია მართებულად და არც ქუჩაში საღამოს კაბით სიარული.

— **პლასტიკურ ქირურგიას არაერთი ქალი მიმართავს. ამაზე რა აზრის ხართ?**

— რაღაც დოზით მისაღებია, მაგრამ ქალი ისე არ უნდა გადაკეთდეს, შვილი რომ აღარ ჰგავდეს.

— **როდის არის ქალი ყველაზე მომხიბვლელი?**

— დილით ახალგაღვიძებული ქალი თუ ლამაზია და თან ჩემი მაისური აცვია, ესე იგი მასზე ვგიჟდები. ქალს ყველაზე მეტად ჩემი მაისური უხდება.

— **საქართველოში ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ლამაზ ქალად?**

— არ ვიცი... არც ამაზე მიფიქრია, თუმცა ბავშვობაში ერთი ადამიანი ძალიან მომწონდა და მთელი ცხოვრება მომეწონება. ამაზე საუბარი არ მინდა, რადგან დღეს ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, თუმცა ნათქვამიც მაქვს, მის მიმართ რასაც ვგრძნობ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# ოლიმპიურ ჩემპიონს დოპინგ-ტესტის ჩაბარება მოუხდა



■ ლინდსეი ვონი

2010 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს სამთო-სათხილამურო სპორტში ლინსდეი ვონს ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს ჯილდოების გადაცემის ცერემონიის დროს დოპინგ-ტესტის ჩაბარება მოუხდა.

ცერემონია ნიუ იორკში 5 ივნისის ღამეს გაიმართა, მაგრამ ამ ინციდენტის შესახებ მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. დოპინგ-ოფიცრებმა სახელოვან სპორტსმენს მოსთხოვეს, ისინი საზეიმო ცერემონიაზე დაეშვა, შემდეგ კი ცალკე ოთახში გაიყვანეს და დოპინგ-ტესტისთვის საჭირო ანალიზები აუღეს. საბედნიეროდ, შედეგი უარყოფითი აღმოჩნდა.

ვონის პრესმდივანმა ლუსი კეიმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სპორტსმენი გაგებით მოეკიდა ანტიდოპინგური კომიტეტის წარმომადგენელთა გამოჩენას.

— მას კარგად ესმის, რომ ეს მისი სამუშაოს ნაწილია, — განაცხადა ლუსი კეიმ.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ოლიმპიური თამაშების დროს, რომელიც ვანკუვერში გაიმართა, ლინსდეი ვონმა ოქროს მედალი სწრაფდაშვებაში მოიპოვა, ხოლო სუპერგიგანტში მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. ცნობილი სპორტსმენის აქტივშია ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის ხუთი მედალი, მათ შორის ორი ოქროსი, რომლებიც 2009 წელს მოიგო. ამერიკელ სპორტსმენს საერთო ჩათვლაში ოთხჯერ აქვს აღებული მსოფლიოს თასი.

# ჩეჩენმა მსაჯმა ფეხბურთელი სცემა

ფეხბურთის მსაჯმა მუსა კადიროვმა კლუბების „ტერეკისა“ და „ამკარის“ ახალგაზრდული გუნდების მატჩის დასრულების შემდეგ, რომელიც გროზნოში გაიმართა, „ამკარის“ მოთამაშე სცემა. კადიროვმა, რომელიც მატჩზე გვერდით მსაჯად იყო გამწესებული, სტუმართა გუნდის მცველი ილია კრიჩმარი ბალახზე დააგდო და ფიზიკურად გაუსწორდა.

მატჩის ინსპექტორ ალექსეი სპირინის განცხადებით, მატჩის მეორე ნახევარში გვერდითი მსაჯი მეტად საეჭვო გადაწყვეტილებებს იღებდა და რამდენჯერმე მოედანზეც კი შევიდა, რაც მის უფლებამოსილებას აღემატება, ხოლო მატჩის მთავარი მსაჯი, იუნუს კოშკო, დაბნეული იყო და მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მატჩი 2:1 დასრულდა მასპინძელთა გუნდის სასარგებლოდ. საფინალო სასტვენისთანავე კრიჩმარმა კადიროვს შენიშვნა მისცა, საპასუხოდ კი გვერდითმა მსაჯმა ალამი დააგდო და ფეხბურთელს თავს დაესხა. მოგვიანებით მსაჯი ამტკიცებდა, რომ მოთამაშემ მას დედა შეაგინა.

აღნიშნული ინციდენტი რუსეთის ფეხბურთის კავშირის საკონტროლო-დისციპლინარულმა კომიტეტმა განიხილა და ახალგაზრდა მოთამაშის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯის გადაწყვეტილება მიიღო.

ხოლო რაც შეეხება კადიროვს, მას ფეხბურთელის ცემისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა და ნახევარი მილიონი რუბლით დაჯარიმდა. როგორც კომიტეტის გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, კადიროვს არამარტო მსაჯობა აეკრძალა, არამედ საფეხბურთო სფეროში რაიმე სახით მოღვაწეობის უფლებაც ჩამოერთვა.

მუსა კადიროვი უმუშევრად დიდხანს არ დარჩენილა და მოკრივეთა კლუბში მოეწყო. ამის თაობაზე საფეხბურთო კლუბ „ტერეკის“ პრეზიდენტმა მაგომედ დაუდოვმა განაცხადა.

დაუდოვმა, რომელიც იმავდროულად ჩეჩნეთის მოკრივეთა ფედერაციის პრეზიდენტიცაა, განაცხადა, რომ აწ უკვე ყოფილი მსაჯის შრომით მოწყობაზე ზრუნვა მას პირადად რესპუბლიკის მეთაურმა რამზან კადიროვმა დაავალა და აღნიშნა, რომ ყოფილ მსაჯს ოთხი პატარა შვილი ჰყავს სარჩენი. ამის შემდეგ მუსა კადიროვისთვის ადგილი რესპუბლიკურ მოკრივეთა კლუბ „რამზანში“ მოიძებნა.

თუ რითი იქნება მოკრივეთა კლუბში მუსა კადიროვი დაკავებული, დაუდოვს არ დაუზუსტებია. უბრალოდ მან იმედი გამოთქვა, რომ ყოფილი მსაჯი თავს გაართმევს ახალ მოვალეობას.

— თუ მას ფეხბურთში არაფერი გამოუვიდა, იქნებ კრივში მიაღწიოს წარმატებას, — განაცხადა დაუდოვმა.



■ ენრიკო პრეციოზი

# „ჯენოას“ პრეზიდენტი ჟურნალისტს თავს დაესხა

იტალიური კლუბის „ჯენოას“ პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი თავს დაესხა ჟურნალისტ ვალერიო არიჩიელოს.

კონფლიქტის მიზეზი კლუბის აქციების შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვა გახდა, რომელსაც იმ მომენტში ხელში ვიდეოკამერა ეჭირა. მცირე სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ პრეციოზი თავს დაესხა ჟურნალისტს, ვიდეოკამერა წაართვა და ძირს დაანარცხა.

ამ დარტყმის შედეგად ვიდეოკამერა დაიმტვრა და აღდგენას აღარ ექვემდებარება. აქვე ცნობილი გახდა, რომ „ჯენოას“ პრეზიდენტი მზადაა, გამოცემას სრულად აუნაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზარალი.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ გავთავისუფლდეთ უსიამოვნო წარსულისგან



ზოგჯერ ჩვენს ცხოვრებაში რაღაც სრულიად არასასურველი ხდება, რაც ჩვენს გეგმებს ანგრევს, იმედებს ამსხვრევს, განაჩენი გამოაქვს. რა თქმა უნდა, ამაში სასიხარულო არაფერია და უცნაური იქნებოდა იმის თქმა, რომ ასეთმა სიტუაციებმა არ უნდა დაგვალონოს, მაგრამ არც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა ღირს. შეიძლება თუ არა გარდაუვალის მიღება და უსიამოვნო წარსულის დავიწყება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — დიახ! მაგრამ ამისთვის საჭიროა თავზე ვიმუშაოთ.

## საფეხურები

ეს სავარჯიშო რამდენიმე ეტაპისგან ანუ საფეხურისგან შედგება. ისინი მითითებული თანამიმდევრობით უნდა შევასრულოთ და აუცილებლად ბოლომდე მივიყვანოთ. თუმცა, როგორც წესი, თითოეული ეტაპი არა ერთ დღესა და კვირას მოიცავს.

### პირველი ნაბიჯი — აღიარება

საჭიროა მომხდარი ფაქტის აღიარება. ბევრს ბოლო მომენტამდე არ სჯერა, რაც მოხდა. თავს იტყუებს, ილუზიური იმედით იკვებება. ასეთ შემთხვევაში პრობლემა მხოლოდ ღრმავდება.

თავი აიძულეთ, ემოციებისგან გათავისუფლდეთ და აღიარეთ: „დიახ, ეს მოხდა“. ნუ შეგეშინდებათ, რომ სასოწარკვეთას მიეცემით ან დეპრესიაში ჩავარდებით. სულ ერთია, ისედაც მშვენივრად იცით, რომ ეს მოხდა და ისიც კარგად გესმით, რომ ამ ფაქტის არაღიარებით სასურველს სინამდვილედ ასაღებთ.

### მეორე ნაბიჯი — შერიგება

არის ისეთი რამ, რომელთანაც შერიგება წარმოუდგენლად ძნელია და ეს გასაგებია, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია, ისევე როგორც საჭიროა თავთან მტანჯველ დიალოგს წერტილი დაუსვათ. სხვაგვარად ტკივილი, გულისტკენა და სხვა ემოციები, რომლებიც მოცემულმა მოვლენამ წარმოშვა, არასოდეს განელდება.

თავს შთააგონეთ, რომ არაფრის შეცვლა შეგიძლიათ, რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო. არც დროის მანქანა გაქვთ და არც ჯადოსნური ჯოხი, რომელთა დახმარებით სიტუაციას გამოასწორებდით. მაშასადამე, სხვა გზა არ გაქვთ, გარდა იმისა, რომ მომხდარს შეურიგდეთ.

### მესამე ნაბიჯი — გამოსავლის ძიება

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სიტუაციიდან არანაკლებ ორი გამოსავალი არსებობს (შეიძლება მეტიც). რა თქმა უნდა, იმ სიტუაციაში დაბრუნება, რომელშიც მოვლენამდე იმყოფებოდით, უკვე შეუძლებელია, მაგრამ იპოვეთ ახალი გზა, შემდეგ როგორ იცხოვროთ.

მომავალი გზის არჩევისას არ იჩქაროთ, ვარიანტები განიხილეთ. აფორიაქებული ადამიანი ნაჩქარევ არჩევანს აკეთებს და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს იღებს. შემდეგ იმის გაცნობიერებამ, რომ არასწორი გზა აირჩია, შეიძლება კიდევ ახალი დარტყმა მიაყენოს. ამიტომ, სანამ ნაბიჯს გადადგამთ, ყველა შესაძლებელი (და შეუძლებელი) ვარიანტი კარგად აწონ-დაწონეთ და არჩეული გზით თამამად წადით.

### მეოთხე ნაბიჯი — განახლება

ახალი ცხოვრების დაწყებისას თავი განახლების შეგრძნებას მთლიანად მიეცით. თავს ნუ გაკიცხავთ ამგვარი ფიქრებით: „უფლება არ მაქვს, თავი ბედნიერად ვიგრძნო იმის შემდეგ, რაც მოხდა“. ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერებისა და კარგი ცხოვრების უფლება გაქვთ. იმის გამო, რაც ჩაიდინეთ, ისედაც დაისაჯეთ თქვენი ტანჯვითა და სულიერი განცდებით. თუ მომხდარში თქვენი დანაშაული არ არის, მით უფრო, ცხოვრების ხელახლა დაწყების შესაძლებლობა რატომ უნდა მოაკლოთ თავს?

### მეხუთე ნაბიჯი — დასკვნების ანალიზი

ეს ნაბიჯი აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვლენა, რომელმაც დაგანაღვლიანათ, თქვენი დანაშაულით ან თქვენი შეცდომით მოხდა.

დაელოდეთ, სანამ წინა ეტაპი („განახლება“) ბოლომდე არ დასრულდება. როდესაც მტკიცედ დარწმუნდებით იმაში, რომ გადაიტანეთ, გაუძელით, ელდა დაძლიეთ, რამდენიმე ხანი მაინც არ ღირს წარსულში ქექვა. მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენი ცხოვრება თავის ჩვეულ კალაპოტში ჩადგება (შესაძლებელია ერთი ან მეტი წელი გავიდეს), ფიქრებით აუცილებლად დაბრუნდით წარსულში და თქვენი მოქმედებები და სხვა მონაწილეების ქცევები გონივრულად შეაფასეთ. გააკეთეთ ყველა შესაძლებელი დასკვნა, რათა მსგავსი სიტუაციები თქვენს ცხოვრებაში მეტად არასდროს განმეორდეს.

## მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომელსაც სრულად ეთანხმებით. წარმოთქვით ხმამაღლა ან გულში, როდესაც ამის აუცილებლობა იქნება.

- რაც მოხდა, სწორედ ისე და სწორედ მაშინ მოხდა, როცა საჭირო იყო.
- შესაძლებლობა არ მაქვს, წარსულში დავბრუნდე და ყველაფერი გამოვასწორო, მაგრამ შემიძლია აწმყოში მსგავსი არაფერი ჩავიდინო.
- რამაც ტკივილი მომაყენა, უფრო ბრძენი გამხადა.
- არის სიტუაციები, რომლებიც ადამიანზე დამოკიდებული არ არის. ამას უბრალოდ უნდა შევურიგდეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## დილიდანვე კარგი განწყობა

დილით ყოველთვის ცუდ გუნებაზე იღვიძებთ, მიუხედავად იმისა, კარგად გამოიძინეთ თუ არა. სიტუაციის შეცვლა შესაძლებელია?



შეუძლებელი არაფერია. საუკეთესო გადაწყვეტილებაა, საწოლიდან საჩქაროდ არ წამოხტეთ. ასევე არაფრისმომტანია დიდხანს გორაობა და პრობლემებზე ფიქრი: „ისევ უნდა ავდგე, არადა დაძინება მსურს. როდის იქნება შვებულება?“. დილიდან მსგავსი ფიქრები განწყობას ნამდვილად არ ამაღლებს. უკმაყოფილების ნაცვლად „მადლიერების ტექნიკას“ დაეუფლეთ.

გაღვიძებისთანავე დაფიქრდით იმაზე, რამდენად ბევრი გაქვთ ის, რის გამოც მადლიერი უნდა იყოთ — თქვენი გარეგნობა, ჯანმრთელობა, ახლობელი და საყვარელი ადამიანები, მიღწევები. ცხოვრებას ამ ყველაფრისთვის გულში მადლობა გადაუხადეთ. მადლიერებას არაჩვეულებრივი გამახალისებელი ძალა აქვს, რომელსაც მაშინვე შევიგრძნობთ. ასეთი ენერგეტიკული აღმავლობის ფონზე თქვენი ოცნება ნათლად და პოზიტიურად წარმოიდგინეთ. თავი დაარწმუნეთ, რომ ასრულებადია.

მოცემული სავარჯიშოს ყოველდღიურად შესრულება არამხოლოდ დილის განწყობას ამაღლებს, აგრეთვე თანხმობასიამტკბილობის სულისკვეთებით განაწყობს. მთავარი სურვილების ასრულებას ნამდვილად აჩქარებს. ხოლო თუ ყოველივეს დილის ვარჯიშს დაუმატებთ, განწყობა მრავალჯერ გაუმჯობესდება ყველაზე უჟმურ ამინდშიც კი.



Cyan Magenta Yellow Black

# დიეტა «საათის მიხედვით” – გამქრალი 6-7 კილო

პლაჟის სეზონის მოახლოებისას ბევრ ქალს საკუთარი ფიგურის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება უჩნდება. როგორ მიაღწიოთ სასურველ პარამეტრებს და ამავდროულად ღონემიხდილი არ იყოთ? პასუხი მარტივია: ისარგებლეთ დიეტით „საათის მიხედვით“ და 6-7 კგ-ს დაიკლებთ.




დიეტის არსი მარტივია. პირველ 5 დღეში საკვები უნდა მიიღოთ სქემის მიხედვით — ყოველ 2 საათში. მომდევნო 10 დღე ჩვეულებრივ იკვებებით, მაგრამ ცომეულს სრულად გამორიცხავთ და ტკბილეულს შეზღუდავთ (შეგიძლიათ გამოიყენოთ დიეტური პური და ხილის შაქარი).

გამოდის, პირველ 5 დღეში წონაში 3 კგ-მდე აქტიურად იკლებთ. ხოლო მომდევნო 10 დღეში მიღებული წონის შენარჩუნება ხდება. კიდევ მომდევნო 5 დღე კვების ხუთდღიან რეჟიმს იმეორებთ (საათების მკაცრად დაცვით). ისევ 4-5 კგ-ს დაკარგავთ. ხოლო მომდევნო 10 დღეში შედეგებს ამყარებთ.

### პროდუქტების არჩევა სურვილით

მართალია, ეს დიეტა ხანგრძლივია, სამაგიეროდ, ჭარბი წონის დაკლება თანდათან ხდება და ორგანიზმს არავითარი სტრესი არ ემუქრება. ხოლო ეფექტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ დაკარგული კილოგრამები აღარ ბრუნდება.

დიეტა ძალიან კარგია მათთვის, ვინც სიზუსტეს აღმერთებს და შიმშილის გრძნობის მოთმენა არ შეუძლია. დიეტის აშკარა უპირატესობა საკვების მრავალფეროვნება და მასთან ინდივიდუალური შესატყვისობაა. აღნიშნული დიეტის დაცვა 2-3-ჯერ შეიძლება მიყოლებით.

### როგორ მოქმედებს მექანიზმი

კვება „საათის მიხედვით“ კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების განკურნებას, ასევე სისხლში შაქრის ნორმალიზაციას ხელს უწყობს. დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ ორსაათიანი ინტერვალით საკვების მიღება რაციონის კალორიულობას მნიშვნელოვნად ამცირებს, რადგან მადის გამომწვევი შიმშილის განსაკუთრებული ჰორმონები გამომუშავებას ვერ ასწრებს. შედეგად, დანაყრება მცირე ულუფების ხარჯზე ხდება. ორგანიზმი, რომელიც შიმშილს არ განიცდის, „სიფხიზლეს ადუნებს“ და შავი დღისთვის მარაგის გადანახვას წყვეტს.

### წყალი არ დაგავიწყდეთ

ყოველდღიურად აუცილებლად არანაკლებ 1,5 ლიტრი წყალი მიიღეთ. გახდომის დროს გაცვლითი პროცესები რამდენადმე განსხვავებულად ხდება, ამიტომ ორგანიზმიდან გადამუშავებული შლაკები რომ გამოიდევნოს, ორგანიზმს ტენი ესაჭიროება. გაზიანი წყლის დალევა არ ღირს, ვინაიდან ბუშტები კუჭის წვენის გამოყოფას ააქტიურებენ და შიმშილის გრძნობა უფრო ძლიერდება.

### მენიუს ნიმუში პირველი დღისთვის

**7:00** — ფინჯანი ჩაი ან ყავა.

**9:00** — 200 გრამი გახეხილი სტაფილო, ლიმონის წვენით შეზავებული.

**11:00** —ვაშლი (მსხალი, კივი, ატამი).

**13:00** —100 გრამი მოხარშული ხორცი, 1 ნაჭერი რუხი პური.

**15:00** — მაგრად მოხარშული ერთი კვერცხი (ან 50 გრამი ყველი, ან 100 გრამი ხაჭო).

**17:00** — ბოსტნეულის სალათა.

**19:00** — 10 ცალი ჩირი (შავი ქლიავი, გარგარი) ცხელ წყალში დამბალი.

**21:00** — 1 ჭიქა უცხიმო კეფირი.

### მენიუს ნიმუში მეორე დღისთვის

**7:00** — ფინჯანი ყავა.

**9:00** — კიტრისა და პომიდვრის სალათა.

**11:00** — მსხალი (ვაშლი, ატამი, კივი).

**13:00** — 100 გრამი მტკნარი წყლის მოხარშული თევზი და ნაჭერი რუხი პური.

**15:00** — მაგრად მოხარშული 2 კვერცხი (ან 100 გრამი უცხიმო ხაჭო).

**17:00** — ვინეგრეტი.

**19:00** — 200 გრ ქორფა ხილი.

**21:00** — 200 მლ იოგურტი.

მესამე, მეოთხე და მეხუთე დღე ზუსტად გამეორებაა პირველი და მეორე დღის (ან ვარიაციები მოცემულ თემაზე).

**შენიშვნა:** თუ შიმშილის გრძნობა შემოგიტევთ, შეგიძლიათ ჩააქროთ — ქლიავი ნელა ჭამეთ, ხოლო მისი კურკა პირში დიდხანს გაიჩერეთ.

# მოხდენილად რომ ვიაროთ

ახალ საზაფხულო კაბებსა და სარაფნებში კოხტად რომ გამოიყურებოდეთ და თქვენი მოვლილი ფეხების დემონსტრირება მოახდინოთ, ამაში ჩვენი სილამაზის რეცეპტები დაგეხმარებათ.

### სულ უფრო მაღალი?

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი სიარულს მომაჯადოებელს ხდის და თავდაჯერებულობას მატებს, მაგრამ „შპილკებზე“ დიდხანს დგომა რეკომენდებული არ არის. ამოიგდეთ თავიდან იმაზე ფიქრი, რომ სილამაზისთვის დისკომფორტი უნდა მოითმინოთ. გახსოვდეთ, საღამოს ფეხების ტკივილი შეიძლება სახსრებში პრობლემად გარდაიქმნას და ხერხემლის დეფორმაციაც კი გამოიწვიოს. ქუსლის ოპტიმალური სიმაღლე 5 სმ-მდეა, ხოლო იდეალური ქუსლის გამოთვლა ასეთი ფორმულით ხდება: ტერფის სიგრძე სანტიმეტრებში გაყოფილი შვიდზე.

დაღლილ ფეხებს, რომლებსაც სიმძიმე და შეშუპება ტანჯავს, გვირილისა და ცაცხვის ყვავილების ნაყენის აბაზანა დაეხმარება. ხოლო სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად, ღამით კოჭების ქვეშ პატარა ბალიში დაიდეთ — ძილის დროს ფეხები ოდნავ მაღლა უნდა იდოს.

### მსუბუქი ნაბიჯები

ზოგჯერ საკმარისია ახალ ტყავის ფეხსაცმელში 15 წუთი გაიაროთ, რომ მტკივნეული კოჟრი გაჩნდეს. ამ შემთხვევაში მოდური ღია ფეხსაცმელი არანაკლებ ერთი კვირით უნდა დაივიწყოთ. ასეთი უსიამოვნება თავიდან რომ აიცილოთ, ახალი ფეხსაცმელი შიგნიდან სპირტით დაამუშავეთ, შემდეგ მაშინვე ჩაიცვით და იარეთ. ამის შემდეგ ფეხსაცმელი ფეხის ფორმას მიიღებს, ხოლო ტყავი დარბილდება. გარდა ამისა, ფორსმაჟორული შემთხვევისთვის ჩანთაში გქონდეთ ცვილზე მომზადებული კოჟრის საწინააღმდეგო ფანქარი. ის კანზე შეუმჩნეველ დამცავ ფენას წარმოქმნის.



კიდევ პატარა რჩევა: არ ღირს ფეხსაცმლის მოზომება სამუშაო დღის შემდეგ. ფეხები საღამოსკენ შეიძლება გასივდეს და მეორე დღეს ფეხსაცმელი თქვენი ზომის არ აღმოჩნდეს. უმჯობესია დაისვენოთ და მაღაზიებში დასვენების დღეს გაისეირნოთ. ამგვარად, შენაძენი წუნდაუდებელი იქნება.

### წერტილი დაუსვით

ტერფების მასაჟი მოდუნების შესანიშნავი საშუალებაა და ფეხებს კარგად ასვენებს. როგორც ცნობილია, ტერფებზე არსებული ყოველი წერტილი პასუხისმგებელია კონკრეტულ ზონაზე ან ორგანიზმში რომელიმე ორგანოზე. მაგალითად, ცერა თითი პასუხისმგებელია თავის ტვინზე, მის ქვევით ტერფის ბალიში — გულზე. ამ მიდამოებს მსუბუქად დააწექით და წრიული მოძრაობით მასაჟი გაიკეთეთ საათის ისრის მიმართულებით. შეგიძლიათ ამისთვის მომადუნებელი ეფექტის მქონე სპეციალური ზეთი გამოიყენოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ჩინელები ყველაზე მაღალ შენობას აშენებენ



ჩინელები მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის, „სქაი სითის“ მშენებლობას 2013 წლის ივნისიდან დაიწყებენ. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, შენობის სიმაღლე 838 მეტრი იქნება და მშენებლობა ზუსტად 90 დღეში დასრულდება.

„სქაი სითი“ ჩინეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჩანგშაში აშენდება. მასში იქნება სავაჭრო ცენტრი, ასევე 31 000 ადამიანზე გათვლილი საცხოვრებელი ბინები. გარდა ამისა, კომპლექსში იქნება რესტორნები, ხელოვნური ბაღები, ვერტმფრენის ასაფრენი მოედანი და სხვა.

„სქაი სითი“ მისი დასრულების შემდეგ ყველაზე მაღალი შენობის ტიტულს დაიმკვიდრებს, რადგან 10 მეტრით გადაუსწრებს ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მაღალ შენობას, „ბურჯ დუბაი ხალიფას“, რომლის სიმაღლე 828 მეტრია.

## კაცი, რომელსაც დენი არ არტყამს



ინდოელი რაჯი მოჰანი დენის დარტყმისას ტკივილს ვერ გრძნობს. ის რამდენიმე ამპერს უძლებს. როდესაც მის სხეულში ელექტროობა შეჰყავთ, მოჰანს შეუძლია, ნათურას ხელი მოჰკიდოს და აანთოს. დენის დარტყმა მას არ აშინებს, რადგან ვერაფერს გრძნობს.

მოჰანი 7 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. დეპრესიაში ჩავარდნილი ბავშვი თვითმკვლელობის მიზნით ეზოში დენის ბოძზე აძვრა და სველ მავთულს ხელი მოჰკიდა. მისდა გასაკვირად, არაფერი მოხდა. მას შემდეგ კაცმა მსოფლიო არაერთხელ გააკვირვა.

## 116 წლის ქალი ექიმთან არასოდეს ყოფილა

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ქალი უკრაინის სოფელ ხოტიმირში მცხოვრები 116 წლის ეკატერინე კოზაკია. რეკორდსმენი ქალი 1897 წლის 14 თებერვალს დაიბადა.



ეკატერინე არასოდეს გათხოვილა, არც შვილები ჰყოლია, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი დისშვილების აღზრდას დაუთმო, რადგან მისი და მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. ეკატერინეს არასოდეს მიუღია განათლება, საშუალოც კი. არასოდეს ყოფილა ექიმთან და საჭიროების შემთხვევაში ხალხური მეთოდებით მკურნალობს.

მიუხედავად ასაკისა, უხუცესი ქალბატონი მეხსიერებას არ უჩივის და დამოუკიდებლად გადაადგილდება, მაგრამ სმენა აქვს დაქვეითებული.

## ფერგიუსონის სალექი რეზინი 600.000 დოლარად გაიყიდა

სერ ალექს ფერგიუსონის სალეჭი რეზინი, რომელიც მან „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის როლში თავისი უკანასკნელი მატჩის დროს გამოიყენა, აუქციონზე 600.000 დოლარად გაიყიდა.

ფერგიუსონი ყველა თამაშზე ღეჭავდა რეზინს. ბოლო მატჩის დროს გამოყენებული რეზინი გაზონზე ერთ-ერთმა გულშემატკივრმა იპოვა, აუქციონზე გაიტანა და მყიდველიც მალე გამოუჩნდა. გულშემატკივარი ამბობს, რომ აღებულ ფულს ქველმოქმედებაში დახარჯავს.

## კარლ ლაგერფელდს საკუთარ კატაზე დაქორწინება სურს

77 წლის დიზაინერი კარლ ლაგერფელდი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ თეთრი სიამის კატა, სახელად შუპეტი, ასე ძლიერად შეუყვარდებოდა. შუპეტი ისეთ ფუფუნებაში ცხოვრობს, ბევრ ადამიანს შეშურდება. იგი პარიზში დიზაინერის რეზიდენციაში ბინადრობს და 24 საათის განმავლობაში ორი მომვლელი ქალი ემსახურება. როცა ლაგერფელდი იძულებულია, სახლიდან დიდი ხნით წავიდეს, კატის ძიძები მას წერილებს რეგულარულად უგზავნიან, რომლებშიც შუპეტის ფიზიკური მდგომარეობა და გუნება-განწყობა დეტალურადაა აღწერილი.



კატა მისთვის სპეციალურად განკუთვნილ ბალიშზე სადილობს, აქვს საკუთარი აიპადი, დარეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „ტვიტერში“, სადაც 27.000-ზე მეტი მეგობარი ჰყავს. ბოლოს ინტერვიუში კარლ ლაგერფელდმა დანანებით განაცხადა: „სამწუხაროა, რომ ადამიანებსა და ცხოველებს შორის ქორწინება ჯერ კიდევ არ არის ნებადართული“.



Cyan Magenta Yellow Black

## 105 წლის კაცი მანქანას მართავს

ახალ ზელანდიაში მცხოვრები 105 წლის ბობ ედვარდსი საკუთარ ქვეყანაში ყველაზე მოხუც მძღოლად ითვლება, ხოლო მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მოხუც მამაკაცად.



ედვარდსი საჭესთან პირველად 17 წლის ასაკში დაჯდა, სანამ დიდი ბრიტანეთიდან ახალ ზელანდიაში გადავიდოდა საცხოვრებლად. 105 წლის კაცი მანქანით კვირაში სამჯერ ადგილობრივ მაღაზიაში მიდის პროდუქტების საყიდლად, რომ 91 წლის მეუღლეს სადილი მოუმზადოს.

## ქალს საკუთარი სილამაზე ხელს უშლის



ჩიკაგოში მცხოვრები 21 წლის დანა ადივი თვლის, რომ თავისი სილამაზე ხელს უშლის მეორე ნახევრის პოვნაში. მისი თქმით, მამაკაცები თავიანთი ყურადღებით გასაქანს არ აძლევენ, მაგრამ მასზე სერიოზულად არ ფიქრობენ. დანამ ამის გამო სკოლასაც კი დაანება თავი.

გოგონამ გარეგნობის შესაცვლელად რადიკალურ ზომებს მიმართა — თმები შეიღება, სათვალე გაიკეთა, წონაში მომატებაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. დანას იმედი აქვს, რომ ოდესმე ნამდვილ სიყვარულს იპოვის და გარეგნობა ამაში ხელს აღარ შეუშლის.

## 15 წელი თავში ფანქრით

გერმანიაში მცხოვრებ 24 წლის ავღანელ კაცს ადგილობრივმა ექიმებმა საკმაოდ მძიმე ოპარციის შედეგად თავიდან ფანქარი ამოუღეს. ბოლო 15 წელია, კაცი, რომელიც საკუთარ ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებს, თავის საშინელი ტკივილებით იტანჯებოდა. გარდა ამისა, მას ცალ თვალში მხედველობა დააკლდა და ქრონიკული სურდო აწუხებდა.

გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ კაცს თავში ფანქარი ჰქონდა. 10 სანტიმეტრი სიგრძის ფანქარი მას მარჯვენა თვალის ბუდის თავზე ჰქონდა მიბჯენილი. კაცს არ ახსოვს, თუ როგორ მოხვდა ფანქარი მის თავში, მაგრამ ახსოვს ის, რომ ბავშვობაში ძალიან ცუდად დაეცა და შესაძლოა, ფანქარიც სწორედ ამ დროს შეერჭო.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, პაციენტი თავს უკვე კარგად გრძნობს.

## მხატვარი ძაღლი თავის „შედევრებს" ყიდის

ლას ვეგასში მცხოვრები წყვილის, ბრუს და ჯენიფერ ჰენდერსონების ძაღლი, სახელად არბორი ხატავს — პირში ფუნჯს ჩაიდებს, საღებავში დაასველებს და ქაღალდზე „შედევრებს" ქმნის. მისი ნამუშევრები 200 დოლარად იყიდება.



გაყიდული ნახატებიდან შემოსულ ფულს კი არბორის პატრონები ძაღლთა თავშესაფარს ურიცხავენ.

ჰენდერსონებმა წვიმაში მოხეტიალე ძაღლი წლების წინ იპოვეს, შეეცოდათ და შეიფარეს. მოგვიანებით კი არბორი ოჯახის სრულუფლებიან წევრად იქცა.

## ქალმა სამჯერ ტყუპები გააჩინა





სპეციალისტების თქმით, 500 000-დან ერთი შანსი არსებობს, რომ ქალმა ტყუპები სამჯერ გააჩინოს. შოტლანდიელ კარენ როჯერს სახლში ოთხი შვილი, ე.ი. ორი ტყუპი უკვე ჰყავდა, ახლახან კი კიდევ ტყუპები, გოგონები შეეძინა.

კარენ როჯერი 41 წლისაა, მისი ქმარი კოლინ როჯერი კი — 44-ის. გოგონები იდენტური ტყუპები არ არიან. წყვილს უკვე ჰყავს 4 ბიჭი: 14 წლის ლუსი და კაილი და 12 წლის ფინი და ჯუდი. ტყუპების დედა იხსენებს, რომ, როდესაც ექოსკოპიის შედეგი შეატყობინა, მეუღლემ ეს ხუმრობად მიიღო.



Cyan Magenta Yellow Black

# რა გელით მომავალში?



**1. თქვენი ცხოვრებით კმაყოფილი ხართ?**

ა) დიახ, ძალიან — 4

ბ) ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ დედამიწაზე — 2

გ) რაღაც მაკმაყოფილებს ჩემს ცხოვრებაში, რაღაც არა — 1

დ) საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო ვარ — 0

**2. რას ნიშნავს თქვენთვის მომავალი?**

ა) კარგ სამსახურს — 4

ბ) ბევრ ფულს — 2

გ) უამრავ კარგ მეგობარს, რომლებთანაც სასიამოვნო დროს გავატარებ — 1

დ) ცოტ-ცოტა ყველაფერს — 0

**3. ოცნებობთ, საზღვარგარეთ მდიდრული სახლი გქონდეთ?**

ა) რასაკვირველია, ამაზე ვინ არ ოცნებობს — 4

ბ) არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია — 2

გ) რად მინდა, რა უნდა ვაკეთო იქ? — 1

დ) არა, ჩემი საცხოვრებელი ძალიან მომწონს — 0

**4. ნათელმხილველი ხართ, რომელსაც მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლია. მოუყვებით ხილვების შესახებ ახლობლებს?**

ა) არა, ახლობლებს არ შევაშინებ — 2

ბ) მოყოლა რა საჭიროა? მოვა დრო და თავადაც ყველაფერს შეიტყობენ — 4

გ) მოვუყვები, ახლობლები ხომ უნდა გავაფრთხილო? — 1

დ) აუცილებლად მოვუყვები. საიდუმლოს დიდხანს ვერ ვინახავ — 0

**5. როგორ ფიქრობთ, როგორი მომავალი გელით?**

ა) ნათელი და ლამაზი — 4

ბ) მთავარია, ოჯახში ყველაფერი წესრიგში მქონდეს — 2

გ) ამას მომავალი გვიჩვენებს — 1

დ) არ მაღელვებს, როგორი იქნება, მთავარია, ის კრიმინალის გარეშე იყოს — 0

**6. რას ნიშნავს თქვენთვის ახლობელი ადამიანები?**

ა) ყველანი ძალიან მიყვარს და ბედნიერებას ვუსურვებ — 1

ბ) ეს ის ხალხია, ვინც მანებივრებს — 0

გ) ისინი ძალიან მღლიან, ძნელი წარმოსადგენიც კია, რომ ჩვენ ნათესავები ვართ — 4

დ) ჩვეულებრივი ადამიანები არიან — 2

**შედეგები:**

**24-10 ქულა** —შეიძლება ცხოვრებით მთლად კმაყოფილი არ ხართ, მაგრამ შეგიძლიათ, თქვენსას მიაღწიოთ. საკუთარ აზრს ყოველთვის იცავთ, მაგრამ იფრთხილეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. საქმე ყოველთვის ბოლომდე მიგყავთ და ყურადღებას არ აქცევთ, რა საშუალებით. მართალია, კარიერის თვალსაზრისით შესაშურ მომავალს იქმნით, მაგრამ... ასე შეიძლება მეგობრები და ახლობლები დაკარგოთ. მათ გარეშე კი მომავალი უინტერესო იქნება.

**9-0 ქულა** —არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც გგონიათ. იქნებ წინასწარ გეფიქრათ საკუთარ მომავალზე? კარგად აწონდაწონეთ ყველაფერი და თავად მიხვდებით, რა არ გყოფნით ბედნიერი მომავლისთვის.

# მარტოსული ხართ?

**1. შეგიძლიათ, სამსახურის შემდეგ მარტომ იბოდიალოთ ქალაქში?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**2. კატასტროფად მიგაჩნიათ, თუ ვერავინ იპოვეთ, ვისთან ერთადაც შვებულებაში წახვალთ?**

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

**3. 2 საათის შემდეგ მეგობარს უნდა შეხვდეთ, შეგიძლიათ ეს 2 საათი თავი გაირთოთ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**4. კოცონის ალის ყურება გიყვართ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**5. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმით ხართ დაკავებული. ასეთ დროს ტელეფონის ზარი გაღიზიანებთ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**6. ფეხით სიარული გიყვართ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**7. შეგიძლიათ ახალ წელს მარტო შეხვდეთ, კარგ განწყობაზე იყოთ და არ მოიწყინოთ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**8. დაბადების დღეზე ბევრ სტუმარს პატიჟებთ?**

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

**9. უცნობ კომპანიაში თავს დაძაბულად გრძნობთ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 1

**10. უცხო ქალაქში საჭირო ქუჩას ვერ პოულობთ, როგორ მოიქცევით?**

ა) გამვლელს შეეკითხებით — 1

ბ) ეცდებით, დამოუკიდებლად იპოვოთ — 0

**11. საჩუქრების გაკეთება გიყვართ?**

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

**12. ოცნებობდით, მსახიობი გამხდარიყავით?**

ა) დიახ — 1

ბ) არა — 0

**შედეგები:**

**0-5 ქულა** —მარტოობა ის მდგომარეობაა, რომლის გარეშე თქვენი არსებობა წარმოუდგენელია. ურთიერთობების მოყვარული დიდად არ ხართ. გირჩევნიათ, საკუთარ თავთან მარტო დარჩეთ და იფიქროთ, იოცნებოთ. ეს თქვენი იდეალური მდგომარეობაა და ყველაფერი, რაც ამ იდილიას არღვევს, ნერვებს გიშლით და დისკომფორტს გიქმნით.

**6-12 ქულა** —ზომიერად კონტაქტური ხართ, თუმცა პერიოდულად განმარტოება თქვენც გიყვართ, რათა აზრები დაალაგოთ, ენერგია მოიკრიბოთ. საკმარისია, რამდენიმე საათი მარტოობაში გაატაროთ, რომ უკვე გარშემომყოფებთან ურთიერთობის სურვილი გიჩნდებათ და მათკენ ილტვით. ეს კარგია.

# სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 5 | | | | 4 | |
| | | 3 | | 8 | | 6 | | |
| | 9 | | | | 2 | | | 7 |
| | | 1 | 4 | | | | 9 | |
| 4 | | | 3 | | | | | 2 |
| 8 | | | | 7 | | | 3 | |
| | 2 | 6 | | 4 | | 9 | | 8 |
| 5 | | | | | 1 | | | |
| | | 7 | | | 3 | | | 5 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 8 | 3 | | | 1 |
| 9 | | | | | 1 | | 2 | |
| | | 7 | 2 | | | 5 | | |
| 8 | | | | 4 | 2 | | 7 | |
| | 1 | | 9 | | | | 3 | |
| | | 4 | | 5 | | | | 6 |
| 3 | | | 6 | | | 4 | | |
| | | 1 | | | 9 | 8 | | |
| 5 | 2 | | | | | | | 7 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორი ხართ სახლში?



**1. სახლში არეულობა გაღიზიანებთ?**
ა) ვერ ვიტან, როცა ჩემი ნივთები თავის ადგილზე არ დევს — 0
ბ) სახლში ყოველთვის მსუბუქი არეულობა მაქვს, მაგრამ სტუმრებს თუ ველოდები, აუცილებლად ყველაფერს ვალაგებ — 4
გ) აკურატულობით გამოვირჩევი და არეული სახლი სხვისიც კი მაღიზიანებს — 2
დ) მუდმივ არეულობასა და ქაოსში ვცხოვრობ, მაგრამ ეს არაფერში მიშლის ხელს — 8
ე) მთავარია, სიბინძურე არ იყოს, შემოქმედებითი არეულობა კი ხელს ნამდვილად არ მიშლის — 6

**2. სახლში რომელ ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?**
ა) თეთრს ან ცივი ფერების შერწყმას, მაგალითად, თეთრისა და შავის — 0
ბ) ნებისმიერი თბილი ფერები მომწონს, ლამაზია და არც თვალს აღიზიანებს — 2
გ) ნაზი, რომანტიკული ფერები მიყვარს — 6
დ) კაშკაშა ფერებს ვანიჭებ უპირატესობას — 4
ე) ნეიტრალურ, არამკვეთრ, დაბალი რეგისტრის ფერებს — 8

**3. რას დაკიდებდით კედლებზე?**
ა) რაიმე გრაფიკულ სურათს — 4
ბ) ოჯახის ფოტოებს — 2
გ) ნატურმორტს — 6
დ) ვენეციურ ნიღაბს, პაპირუსს ან რამე სხვა ეგზოტიკურს — 8
ე) აკვარელში შესრულებულ ნახატს — 0

**4. ვიტრინაში მინის მიღმა გიდგათ...**
ა) წიგნები — 0
ბ) ჭურჭელი, წიგნები და ათასი სამშვენისი — 4
გ) ფაიფური ან მხატვრული მინის ნამუშევრები — 2
დ) ჩაის სერვიზი, რომელიც ეგზოტიკური ქვეყნიდან ჩამოვიტანე — 8
ე) ხელოვნების შესახებ ლამაზი ალბომები — 6

**5. თქვენი აზრით, საუკეთესო ლარნაკია...**
ა) უბრალო დარნაკი, მას ხომ ყვავილები ალამაზებს და არა პირიქით — 0
ბ) სადა ფორმის მინის ლარნაკი — 6
გ) თანამედროვე ფორმის მინის ან კერამიკული ლარნაკი — 8
დ) დახვეწილი ჩინური ლარნაკი — 2
ე) რაიმე ავანგარდული, სულ ერთია, რა მასალის იქნება — 4

**6. სახლისთვის მცენარე უნდა აარჩიოთ, რომელს მიანიჭებთ უპირატესობას?**
ა) ვარდს — 2
ბ) მინდვრის ყვავილებს ან პალმას ქოთანში — 6
გ) გამხმარ ყვავილებს, თუმცა ისინი მტვერს ისრუტავენ და ეს ცუდია — 0
დ) ეგზოტიკურ ბალახოვან ქოთნის მცენარეებს — 8
ე) იაპონურ იკებანას — 4

**7. ქსოვილებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ სახლის გასაფორმებლად?**
ა) უხეში ტილო — 0
ბ) შალი, ბუკლე — 4
გ) მსუბუქი ქსოვილები — შიფონი, ტიული — 6
დ) ნატი, ანგორა, რბილი ქსოვილები — 2
ე) ტყავი, ატლასი — 8

**8. როგორ ტახტს შეარჩევდით თქვენი სახლისთვის?**
ა) ნებისმიერს, ოღონდ თანამედროვე ფორმისას — 4
ბ) კომფორტულ, თანამედროვე ტრანსფორმერს — 8
გ) დაწნულს, მიუხედავად იმისა, რომ არაპრაქტიკულია — 6
დ) რბილ სამეულს — 0
ე) ანტიკვარულ ტახტს — 2

**9. სახლში თქვენთვის ყველაზე ძვირფასია ნივთები, რომლებიც...**
ა) იდეალურად ეთანხმებიან სტილს და თანამედროვე ინტერიერს —8
ბ) რაც წინაპრებისგან მერგო — 2
გ) ბოლო შენაძენები მოდური კოლექციიდან — 4
დ) ყველაზე ძვირადღირებულები — 0
ე) ჩემი ხელით გავაკეთე — 6

**10. რა დამოკიდებულება გაქვთ სარკის მიმართ?**
ა) სახლში სარკე აუცილებელია — 0
ბ) სარკეები სივრცეს აფართოებს — 4
გ) მიყვარს სარკე, მე ხომ ლამაზი ვარ — 6
დ) ძველებურ, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული სარკე მათბობს და კომფორტს მიქმნის — 2
ე) სახლში დიდი სარკე უნდა იყოს, რომელშიც მთელი სიმაღლით ავირეკლები — 8

**11. საღამოობით სახლში როგორი განათება გსიამოვნებთ?**
ა) სუსტი ბინდი, გვერდითი ლოკალური განათებებით — 0
ბ) სანთლები, ბრები, მაგიდის ლამპები — 2
გ) მიყვარს, როცა ოთახში საკმაო შუქი იღვრება — 4
დ) ოდნავ მქრქალი შუქი, რომელიც თვალს არ ჭრის — 6
ე) მკვეთრი, კაშკაშა განათება მიყვარს — 8

**12. თქვენი აზრით, ყველაზე ლამაზი ფარდებია...**
ა) ჟალუზები — 0
ბ) უბრალო ქსოვილის სადა ფარდები, რომლებიც კედლების ტონალობებშია — 8
გ) თანამედროვე ფარდები კაშკაშა აბსტრაქტული ნახატებით — 4
დ) მსუბუქი, გამჭვირვალე ფარდები, რომლებიც იატაკამდეა დაშვებული — 6
ე) ფუშფუშა, მდიდრული, მრავალფენიანი ფარდები, რომლებიც გვერდებში ლამაზი შესაკრავებით იკვრება — 2

**13. აბაზანაში გირჩევნიათ...**
ა) თეთრი კაფელი და არავინ მითხრას, რომ ეს საავადმყოფოს ჰგავს — 0
ბ) ცისფერ მოზაიკას მივანიჭებდი უპირატესობას — 6
გ) ხე მირჩევნია, მით უმეტეს, რომ ახლა ნესტისგამძლე მასალები არსებობს — 4
დ) შავი კაფელი და სარკისებრი ჭერი — 8
ე) კლასიკური ორნამენტებიანი კედლები, ოქროსფერი ჩანართებით — ეს ძალიან მოუხდება მთლიანად სახლის სტილს — 2

**შედეგები:**

**1-20 ქულა** — ცივი, მკაცრი, რაციონალური ადამიანი ხართ. თქვენი მთავარი შტრიხებია გონება და ლოგიკა. აკურატული და პედანტური ხართ, თანაც საკმაოდ ჩაკეტილი. ანალიტიკური წყობის გონება გაქვთ და ადამიანების მიმართ კრიტიკულად ხართ განწყობილი. სახლში მუდამ წესრიგი და სისუფთავე გაქვთ.

**21-40 ქულა** —ძველი ყაიდის ადამიანი ხართ, ტრადიციებისა და წესების მოყვარული. გიყვართ მოზომილი ურთიერთობები, ინტელექტუალურ ადამიანებთან ურთიერთობა. დამჯდარი ხასიათის ხართ. თქვენს სახლში ძველებური ატმოსფეროა — ანტიკვარული ნივთები, ფაიფური, ძველებური, მდიდრული ფარდები... და თქვენც ზუსტად ასეთი ხართ სახლში — მოზომილი, თავშეკავებული, მოწესრიგებული.

**41-60 ქულა** — გიყვართ ყველაფერი ახალი, თავს ცუდად გრძნობთ, თუ თქვენს ცხოვრებაში ყოველდღიურად რაღაც ახალი არ ხდება. ზუსტად ასევე ხართ სახლშიც — ყველაფერი ახალი, თანამედროვე, მოდური. გიყვართ მეგობრების წრეში ტრიალი, ასეთ ატმოსფეროში ხომ უამრავ სიახლეს იგებთ.

61-80 ქულა — რომანტიკოსი ბრძანდებით. გიყვართ, როცა სახლში რომანტიკული ატმოსფეროა შექმნილი. ამ დროს თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობთ. გაღიზიანებენ ადამიანები, რომლებსაც უჭირთ, გაიგონ, რატომ ანთია თქვენს სახლში სანთლები, რატომაა ასეთი მქრქალი განათება და ა.შ. თქვენთვის კი ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ აუცილებელია.

**81-104 ქულა** —თუ ვინმეს ეგზოტიკის მოყვარული შეიძლება ვუწოდოთ, ეს თქვენ ხართ. ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რა ატმოსფეროა თქვენს სახლში — კედლებზე ეგზოტიკური ნიღბები, ვიტრინებში ეგზოტიკური ჭურჭელი, ქოთნებში უჩვეულო ყვავილები... ნებისმიერი, ვინც თქვენთან სტუმრად მოვა, აუცილებლად განიმსჭვალება იმ ეგზოტიკით, რაც თქვენს არსებაშია ჩაბუდებული, რადგან მარტო ნივთები არ მეტყველებენ ამაზე, სახლის პატრონიც ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი.

# რისი „ჭამა“ უყვართ თვალებს

## ხალხური მეთოდები კარგი მხედველობისთვის



თვალები, რომელთა წყალობით გარე სამყაროს სილამაზით ვტკბებით, მეტად მნიშვნელოვანი ორგანოა. თვალის კაკალი მხოლოდ 7-8 გრამს იწონის, ე.ი. სხეულის საშუალო წონის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს, მაგრამ მისი საშუალებით გარემოდან ინფორმაციის 80-85%-ს ვიღებთ.

მხედველობის ორგანოს მეტად რთული აგებულება აქვს. მისი დაავადებების გამომწვევი მიზეზები მრავალფეროვანია.

### მშრალი თვალის სინდრომი

თვალებში წვა და ჭრა, სიწითლე, ძლიერი ცრემლდენა — ასე ვლინდება მშრალი თვალის სინდრომი. სიტუაცია პარადოქსულია: ცრემლი ნაკადულივით მოედინება, ხოლო რქოვანა მუდამ მშრალია. საქმე ისაა, რომ თვალის ძირითადი „დამატენიანებელი“ არის განსაკუთრებული ჯირკვლების სეკრეტი. ის საკმაოდ სქელი და შემადგენლობით რთულია. მისი წყალობით რქოვანას ზედაპირი ყოველთვის სველია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით სეკრეტის გამომუშავება ირღვევა. მაგალითად, ასაკის, ჰორმონული უთანხმოების, ვიტამინის ნაკლებობის გამო ან კომპიუტერთან მუშაობისას თვალების მუდმივი გადაძაბვით რქოვანა გამოშრობას იწყებს და შეიძლება ნაკლებად გამჭვირვალე გახდეს.

თუ უსიამოვნო სიმპტომები იგრძენით, სასწრაფოდ ექიმს მიმართეთ. ის დამატენიანებელ წვეთებს დაგინიშნავთ, მაგრამ თქვენი მხრიდანაც საჭიროა გარკვეული ზომების მიღება.

1. დღეში არანაკლებ 6-8 ჭიქა წყალი დალიეთ.
2. რაც შეიძლება მეტი ქორფა ფოთლოვანი ბოსტნეული, ხილი, კენკრა ჭამეთ.
3. თვალებს ნუ დაისრესთ, ეს უსიამოვნო შეგრძნებებს უფრო გააძლიერებს.
4. კითხვის, ტელევიზორის ყურების, კომპიუტერთან მუშაობის დროს თვალი რაც შეიძლება ხშირად ახამხამეთ.

### გლაუკომა

გლაუკომა თვალის მძიმე დაავადებაა, რაც თვალშიგა წნევის ამაღლებაში მდგომარეობს და ხშირად სიბრმავეს იწვევს.

თვალების წინ ცისარტყელას რგოლები, ხშირი თავის ტკივილი განსაკუთრებით კეფის არეში, ძლიერი ცრემლდენა და მხედველობის დაქვეითება გლაუკომის ნიშნებია.

ასეთი დაავადების მკურნალობა, განსაკუთრებით შორსწასულის, რთულია. მძიმე შემთხვევებში აუცილებელი ხდება ქირურგიული ოპერაცია. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ პროფილაქტიკას, განსაკუთრებით, თუ თქვენს ოჯახში ამ დაავადების შემთხვევები იყო.

1. 40 წლის ზევით წელიწადში ერთხელ თვალის შიგა წნევა გაიზომეთ.
2. დაიცავით რეჟიმი. აუცილებელია რეგულარული ძილი (არანაკლებ 7-8 საათი), სუფთა ჰაერზე სეირნობა, რძის პროდუქტებისა და მცენარეული დიეტა.
3. სრულად გამორიცხეთ ყავა და სპირტიანი სასმელები.
4. გამოიყენეთ შარდმდენი პროდუქტები: საზამთრო, ოხრახუში, კამა, გოგრა, კომბოსტო, ბოლოკი. ძალიან სასარგებლოა ასკილი, მოცხარი, ყურძენი, მარწყვი, ცირცელი.
5. უკუნაჩვენებია წინდახრილი მძიმე სამუშაო და ღამით მუშაობა.
6. არ ატაროთ ვიწრო საყელო და შემოჭერილი ქამარი, რადგან თვალის შიგა წნევის მომატებას იწვევს.
7. მზიან ამინდში მზის მწვანე მინის სათვალე ატარეთ.

### ხალხური რეცეპტები გლაუკომის დროს

1-2 ჩაის კოვზ კორდისკბილას 1/4 ჭიქა ცივი წყალი დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ, გააგრილეთ, გაწურეთ. თვალის კუთხეში 1-2 წვეთი ჩაიწვეთეთ ან ნაყენით თვალებზე თბილი კომპრესი გაიკეთეთ.

1 სუფრის კოვზ კვლიავის ნაყოფს 1 ჭიქა წყალი დაასხით. 3-5 წუთი ადუღეთ. ნახარშს 1 ჩაის კოვზი ღიღილოს დაჭრილი ყვავილები დაუმატეთ, გააგრილეთ და ბამბაში გაფილტრეთ. 1-2 წვეთი 1-2-ჯერ დღეში თვალში ჩაიწვეთეთ.

### ჯიბლიბო

ჯიბლიბო თმის ფოლიკულისა და ცხიმის ჯირკვლების ბაქტერიული ანთებაა. ქუთუთოს გარკვეულ არეში თავს იჩენს სიწითლე, შემდეგ შეიძლება ჩირქგროვა განვითარდეს. სხვა ჩირქოვანი ინფექციებისგან განსხვავებით, ჯიბლიბოს დროს რეკომენდებულია სითბო. ის ჩირქგროვის მომწიფებას და მის გახსნას აჩქარებს. ოფთალმოლოგები ამ მიზნით ულტრაიისფერ დასხივებას მიმართავენ. სახლის პირობებში შეგიძლიათ ძველი ხალხური ნაცადი საშუალებები გამოიყენოთ.

ჯიბლიბოზე ცხელი მოხარშული კვერცხი დაიდეთ (კვერცხი სითბოს დიდხანს ინარჩუნებს) ან მშრალი, სუფთა, უთოთი გაცხელებული ცხვირსახოცი დაიფარეთ. საჭიროა 2-3 პროცედურა. როდესაც ჯიბლიბო გაიხსნება, თვალში ანტიბაქტერიული წვეთები ჩაიწვეთეთ ან ქუთუთოზე ანტიბიოტიკური მაზი წაისვით.

ჯიბლიბოს გაჩენა თავიდან რომ აიცილოთ, იმუნიტეტი გაიმაგრეთ, ვიტამინები და ჰიგიენის წესების დაცვა არ დაგავიწყდეთ.

### კატარაქტა

ბროლის დაავადება მჟღავნდება მისი შემღვრევით, რაც კატარაქტის სახელწოდებითაა ცნობილი. მხედველობა თანდათან ქვეითდება და ბოლოს სრულიად იკარგება. რჩება სინათლის შეგრძნება. კატარაქტას დასაწყისში ვიტამინების შემცველი წვეთებით მკურნალობენ. მომწიფებულ და ზოგჯერ მოუმწიფებელ სტადიაშიც აუცილებელია ოპერაცია.

კატარაქტას მკურნალობაში დაგეხმარებათ სარეველა ჟუნჟრუკი. 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 30 წუთი დადგით და გაწურეთ. გამოიყენეთ თვალების ამოსაბანად 2-3-ჯერ დღეში 2 კვირის განმავლობაში.

### ანთება

თვალების ანთების დროს, რომელსაც თან ახლავს ქავილი, სიწითლე (ასევე მათი გადაძაბვის შემთხვევაში) გამოიყენეთ ქრისტესისხლას და თაფლის სველი საფენები. 1 სუფრის კოვზ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და დაბალ ცეცხლზე 5 წუთი დადგით. გაწურეთ, 1 ჩაის კოვზი თაფლი დაუმატეთ და აურიეთ. ნახარშში ტამპონი დაასველეთ და თვალებზე 10 წუთი დაიდეთ.

1 სუფრის კოვზ გვირილის ყვავილებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 10 წუთი დადგით. ბამბის ტამპონი ნაყენში დაასველეთ და საღამოს თვალებზე დაიდეთ. 15 წუთი დაწექით, მოდუნდით.

### საუკეთესო პროდუქტები თვალებისთვის

ზოგიერთი პროდუქტი განსაკუთრებით მდიდარია ნივთიერებებით, რომლებიც კარგი მხედველობისთვის აუცილებელია.

გოგრა, ისპანახი მდიდარია ლუტეინითა და ზეასკანტინით. ამ ანტიმჟანგავების გარეშე თვალს არ შეუძლია თავისი ფუნქციის ნორმალურად შესრულება.

ვიტამინიC არამხოლოდ იმუნიტეტს აძლიერებს, ასევე კატარაქტისა და თვალის ანთების პროფილაქტიკაა (შეიცავს ციტრუსები, კომბოსტოს მწნილი, მწვანილი, ჭინჭარი, ასკილი, კივი).

მცენარეული ზეთი, ავოკადო და თხილეული მდიდარია E ვიტამინით. ის თვალის კუნთების დისტროფიას თავიდან აგაცილებთ.

რეტინოლი ანუ ვიტამინი A რქოვანას გამოშრობისგან იცავს და ღამით მხედველობას აუმჯობესებს (შეიცავს ნარინჯისფერი და ყვითელი ფერის ბოსტნეული, კვერცხი, ნაღების კარაქი).

თვალებისთვის მეტად მნიშვნელოვანიაB ჯგუფის ვიტამინები. მათი დეფიციტის თავიდან ასაცილებლად ჭამეთ მეტი ფოთლოვანი ბოსტნეული და ზღვის პროდუქტები.

თვალებისთვის აუცილებელია თუთიით მდიდარი პროდუქტები (ყველაზე მნიშვნელოვანი მიკროელემენტი თვალებისთვის). ეს არის ბურღულეული და თხილეული.

### კარგი მხედველობის საიდუმლო

მთელი ცხოვრება მახვილი მხედველობა რომ შეინარჩუნოთ, ჯანმრთელობას ყურადღებით მიუდექით.

1. აუცილებლად დაიცავით ჰიგიენის წესები. არ დაისრისოთ თვალები, განსაკუთრებით უსუფთაო ხელებით. აუზში სპეციალური სათვალე გამოიყენეთ. არ დაიბანოთ თვალები ღია წყალსაცავის წყლით.
2. თვალებს ნუ გადაძაბავთ. მუშაობის დროს ყოველ 2 საათში შეისვენეთ და სპეციალური ვარჯიში შეასრულეთ, ან უბრალოდ, თვალდახუჭული იჯექით.
3. ეცადეთ, გამოიძინოთ. მოერიდეთ სტრესებს და სპორტისთვის დრო აუცილებლად გამოყავით.
4. 40 წლის შემდეგ წელიწადში ერთხელ თვალის შიგა წნევა შეამოწმეთ. ამით თავიდან აიცილებთ ისეთი მძიმე დაავადების განვითარებას, როგორიცაა გლაუკომა.
5. თუ შაქრიანი დიაბეტი გაქვთ, სისხლში შაქრის დონე რეგულარულად აკონტროლეთ. დიაბეტის ერთ-ერთი სერიოზული გართულება რეტინოპათიაა (თვალის ბადურის დაავადება).
6. აკონტროლეთ არტერიული წნევა. ნებისმიერი სისხლძარღვოვანი დარღვევა თვალის მდგომარეობაზე, პირველ რიგში, ბადურაზე აისახება.
7. მკაცრი დიეტები და ზედმეტის ჭამა მავნეა თვალის ჯანმრთელობისა და მთელი ორგანიზმისთვის.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



**— ნაღველში მცირე რაოდენობით ნალექი აღმომაჩნდა. ძალიან მტკივა კუჭი. მაინტერესებს, ტკივილები რითი არის გამოწვეული. ნაღველში ნალექის გამო ოპერაცია აუცილებელია?**

— უნდა გამორიცხოთ თავად კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგია. ნაღვლის ბუშტში მცირე ნალექის გამო ოპერაციული ჩარევა სავალდებულო არ არის, მედიკამენტური მკურნალობითაც შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. საჭიროა სწორი, დიეტური კვება. ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ მკურნალ ექიმს შეუძლია დინამიკაში ექოსკოპიური კვლევის დაკვირვებით.

**— თითები დამიბუჟდა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— დაბუჟება შეიძლება გამოწვეული იყოს პერიფერიული სისხლის მიმოქცევის პრობლემით, ამიტომ, პირველ რიგში, ანგიოლოგს მიმართეთ.

**— ვიღებდი ანტიბიოტიკებს, მაგრამ შევამჩნიე, რომ კანზე მქონდა გამონაყარი და თავს ცუდად ვგრძნობდი. რა ნიშნები აქვს მედიკამენტურ ალერგიას?**

— მედიკამენტური ალერგია დღეისათვის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ალერგიულ დაავადებებს შორის. ფარმაციაში საკმაოდ ძლიერი ანტიბიოტიკები არის მიღებული, გაფართოვდა მათი მოქმედება და შესაბამისად, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ძლიერი ალერგიული რეაქციებიც გამოიწვიოს. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიბიოტიკების მიღების პარალელურად თითქმის ყოველთვის ინიშნება ანტიალერგიული პრეპარატები, რომლებიც მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და შეიძლება მოსალოდნელი მძიმე ალერგიული რეაქციაც მნიშვნელოვნად შეამციროს. მედიკამენტური ალერგიის გამოვლინება მრავალნაირია: ახასიათებს ქავილი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ბრონქული ასთმა, მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ანაფილაქსური შოკი და ტემპერატურამაც მოიმატოს. თუ ოდნავ მაინც შეამჩნიეთ ალერგიული ნიშნები, სასწრაფოდ შეწყვიტეთ წამლის მიღება და მიმართეთ ალერგოლოგს. მედიკამენტური ალერგია ეს ის შემთხვევაა, როცა თვითნებურად, ექიმის გარეშე ანტიალერგიული პრეპარატების მიღება კატეგორიულად დაუშვებელია.

**— ციკლის დროს მტკივა მარჯვენა საკვერცხე. საშიში ხომ არ არის და რა გავაკეთო?**

— ციკლის დროს ტკივილი ბუნებრივია, მთავარია, რა სახისაა ტკივილი. ძლიერი ტკივილის დროს აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. გადაიღეთ ექოსკოპია, თუ დაფიქსირდა ფუნქციური ცვლილება, გინეკოლოგს მიმართეთ.

**— მაქვს ქავილი და გამონადენი. რას მირჩევთ?**

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, ჩაიტარეთ ნაცხის ანალიზი და მკურნალობაც შესაბამისი დაგენიშნებათ. გამონადენი და ქავილი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოკოვანი დაავადებით, ასევე ტრიქომონითაც. საჭიროა დროული მკურნალობა.

**— ციკლი არეული მაქვს, თეთრი გამონადენიც მაწუხებს. როგორ ვიმკურნალო?**

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ თეთრი გამონადენი მენსტრუალური ციკლის დარღვევას არ გამოიწვევდა. გამონადენი გამოწვეულია ანთებითი პროცესით. უნდა ჩაიტაროთ ნაცხის გამოკვლევა, რადგან გამონადენის მიზეზი ხშირად სოკოა და ჩაიტარეთ შესაბამისი მკურნალობა. რაც შეეხება მენსტრუაციის არასტაბილურობას, მას ჰორმონალური დარღვევა იწვევს. აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს.

**— მუცელი ორჯერ მომეშალა. დამიდგინეს, რომ მიზეზი არის სასქესო ორგანოთა ჰერპესი. როგორ ვიმკურნალო?**

— სასქესო ორგანოთა ჰერპესი ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა. მისი გამომწვევია მარტივი ჰერპესი მეორე ტიპი. ვლინდება კანის ჰიპერემიით და წვით, შემდგომში მტკივნეული ბუშტუკების გამოყრით სასქესო ორგანოზე. საკმაოდ სერიოზული დაავადებაა და დიდ ყურადღებასა და პერიოდულ თერაპიულ მიდგომებს მოითხოვს. რა თქმა უნდა, სპეციალისტთან ვიზიტი საჭიროა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მისი სიმძიმე და გადაწყდეს, ჩაუტარდეს თუ არა მკურნალობა. თუ ორსული არ იყო ინფიცირებული მარტივი ჰერპესის ვირუსით და ის ორსულობის პერიოდში პირველად დაემართა, ამან შეიძლება ნაყოფისთვის რაღაც პრობლემები შექმნას. ხოლო, თუ ქალი ორსულობამდე იყო ინფიცირებული ჰერპესვირუსით და ორსულობისას გაუმწვავდა, ამ შემთხვევაში დაავადება შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს. მკურნალობის ტაქტიკას ექიმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად არჩევს.

**— პულსი მუდმივად აჩქარებული მაქვს, ზოგჯერ 150-მდე ამდის, მაქვს აკვიატებული შიშები, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— თქვენი სიმპტომები შეიძლება ენდოკრინოლოგიური, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური ცვლილებებით იყოს გამოწვეული. გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რომლის კონსულტაციის შემდეგ შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზი.

**— პლაცენტის წინამდებარეობის დროს აუცილებელია თუ არა საკეისრო კვეთა?**

— საკეისრო კვეთის ჩატარების გადაწყვეტილებას მეანი იღებს. პლაცენტის წინამდებარეობის დროს საკეისრო კვეთის ჩატარება აუცილებელია.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**



# თაფლი კბილებისთვის სასარგებლოა

არსებობს მოსაზრება, რომ ტკბილი კბილებისთვის მავნეა, მაგრამ სტომატოლოგები ასე არ ფიქრობენ. სინამდვილეში ტკბილი კბილებისთვის საზიანო არ არის. მთავარია, მათი ჭამის შემდეგ პირის ღრუში წყალი კარგად გამოივლოთ და კბილები გაისუფთაოთ. რაც შეეხება კონკრეტულად თაფლს, ის სასარგებლოა მთელი ორგანიზმისთვის და, რა თქმა უნდა, კბილებისთვის. მასში ბევრი ვიტამინი, მიკროელემენტი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, რომლებიც არამხოლოდ კბილების, ასევე მის ირგვლივ ქსოვილების გამაგრებას ეხმარება. გარდა ამისა, ნატურალურ თაფლს თვითონ გააჩნია ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედება. თაფლით ღრძილებს, ლორწოვან გარსს მკურნალობენ.

პაროდონტოზისა და გინგივიტის დროს ღრძილებზე თაფლი წაისვით. 5-10 წუთი გაიჩერეთ, ამის შემდეგ პირის ღრუ კარგად გაისუფთავეთ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შაქარი სრულად მოიცილოთ. სხვაგვარად თაფლი ბაქტერიების ბუდე გახდება.

სტომატიტის, გინგივიტისა და პაროდონტოზის დროს რეკომენდებულია თაფლისა და ბალახის გამოსავლები. სალბისა და გვირილის მაგარი ნაყენი მოამზადეთ (თითო ჩაის კოვზს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით). გაგრილების შემდეგ 1 ჩაის კოვზი თაფლი დაუმატეთ. დღეში 2-ჯერ პირში გამოივლეთ, რის შემდეგ ისევ წყლით გაისუფთავეთ.

ძალიან სასარგებლოა ფიჭის ღეჭვა. გარდა ცვილისა და თაფლისა, ის ასევე პროპოლისს შეიცავს. ამ ნივთიერებას ძლიერი ანტიბაქტერიული და აღმდგენი თვისებები გააჩნია. პროპოლისი სასარგებლოა პირის ღრუს ნებისმიერი ანთებითი დაავადებების დროს და ასევე, როგორც პროფილაქტიკური საშუალება.

გახსოვდეთ, თაფლი ძლიერ არ გააცხელოთ. სხვაგვარად სუფთა შაქარს მიიღებთ და ამავდროულად ყველა სასარგებლო ნივთიერება დაიკარგება.




Cyan Magenta Yellow Black

1. დაცლილი ვაზნა; 2. მუდამ, ყოველთვის; 3. სითხის საზომი ერთეული; 4. ... მიცკევიჩი; 5. სახის მიმიკის მოშლა; 6. მსგავსი ჟარგონზე; 7. ... პარი; 8. ლიმონის პიტნა; 9. ყურძნის ჩირი; 10. საწამლავი; 11. პატიმართა ნაწილობრივი ან სრული შეწყალება; 12. მთის წვეტიანი მწვერვალი; 13. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები; 14. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 15. მომჟავო კურკოვანი ხილი; 16. სხვადასხვა ნიშნების, საგნების შემგროვებელი; 17. პატარა თევზსაჭერი გემი; 18. ტაბლეტი; 19. მცენარის ნაწილი; 20. ცეცხლის ანადენი; 21. თამარი მოფერებით; 22. ღვინისა და ქეიფის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 23. მხიარული შინაარსის პიესა; 24. ბუნებრივი საღებავი; 25. ციხის საწოლი; 26. ... მაკფერსონი; 27. „ოტელოს“ პერსონაჟი; 28. ბიბლიური ყაჩაღი; 29. ... ფიცჯერალდი; 30. დაბალი, ფართო დივანი; 31. „თავისუფლებათა დიდი ...“; 32. ფიჭვის ანახეთქი, რომელიც სანთელივით იწვის; 33. ოლქის სახელწოდება რუმინეთში; 34. ვაჟიშვილის ან ძმის ცოლი; 35. მეცნიერების დარგი; 36. ენუქას ... (ცრუ დაპირება); 37. ურანის თანამგზავრი; 38. იუპიტერი ძველქართულად; 39. სამიჯნურო ლექსი სპარსულ-ტაჯიკურ პოეზიაში; 40. „ფორსაიტების ...“; 41. ახალი წელი გურიაში; 42. „შენი ..., გენაცვალე“; 43. გეომეტრიული სხეული; 44. თანხმობა ინგლისურად; 45. სახელმწიფო აფრიკაში; 46. უსაფუძვლო რიხიანობა; 47. მიმართვა მეფისადმი საფრანგეთში; 48. ისტორიული ოლქი ეგვიპტესა და სუდანში; 49. თუთიყუში; 50. შეძახილი ცეკვის დროს; 51. ძვირფასი ქვა; 52. ვისიმე ან რისამე დაცვა, შექება; 53. სამაგიდო თამაში; 54. ვაზების რამდენიმე მწკრივი; 55. ლექსის სტრიქონი; 56. ენათმეცნიერებაში ხმარებული მოკლე კლაკნილი ხაზი; 57. პერანგი ფართო, გადახსნილი საყელოთი; 58. საძრახისი რამ; 59. ... ამოს კომენსკი; 60. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 61. ყვავილი; 62. „გულუბრყვილო“ მხატვრობა.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. კალნაბი; 2. მირაბელი; 3. ტომ; 4. ზრო; 5. ურო; 6. გიურზა; 7. ნობილე; 8. ინკასო; 9. ბელადი; 10. ასკეტი; 11. ლემა; 12. ხი; 13. ალილუია; 14. აარე; 15. სპა; 16. პაპაია; 17. პორნო; 18. ტიარა; 19. კაპრიზი; 20. არსენალი; 21. ოდა; 22. აპია; 23. კამპანია; 24. ალი; 25. აპლომბი; 26. რენტა; 27. იზა; 28. ნიჟნი; 29. საია; 30. რინგი; 31. ბადენი; 32. აბრისი; 33. ალიანსი; 34. პოსტი; 35. პეჟო; 36. ეკიუ; 37. ზენა; 38. ქარიბდა; 39. ჟინი; 40. რიგვედა; 41. ირანი; 42. კიი; 43. სიონი; 44. ევრო; 45. აზუა; 46. პიერ; 47. არიზონა; 48. ალაო; 49. ლინი; 50. იერარქია; 51. ეჟვანი; 52. ვარიანი; 53. ჯოან; 54. ადა; 55. მათარა; 56. ხაო; 57. ტახო; 58. ონეგერი; 59. კამათი; 60. თამადა; 61. ქრომოსომა; 62. ბანქო; 63. ოტია.**სურათებზე:**ალანის მორისეტი; ჟიულ დელპი; ტია კარერა; ენჟი ევენჰარტი.

**კოდი: ლაილაი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. ფულადი ჯილდო

2. ამონი

3. შტატი აშშ-ში

4. მდინარე ესპანეთში

5. საგრილობელი

6. მდინარე სამხრეთ ამერიკაში

7. სოფელი ლეჩხუმში

8. კანფეტი

9. გეომეტრიული ფიგურა

10. მეტრის მეასედი

11. სვირინგი

12. „რევოლუციური“ შენობა პეტერბურგში

13. სახელმწიფო აზიაში

14. სასმისი

15. ... ჭავჭავაძე

16. ... უილიამსი

17. ხორციანი კორკოტი

18. ძველებური სიუიტა

19. ზომიერი ტემპი მუსიკაში

20. ხვლიკის მსგავსი ცხოველი

21. იუპიტერის თანამგზავრი

22. მღვდელი საფრანგეთში

23. სარწყავი არხი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. აბი; 2. ბე; 3. სერ; 4. შველიძე; 5. რესპექტი; 6. ევერესტი; 7. წვიმა; 8. ურჩი; 9. ჩხოროწყუ; 10. ჩარლი; 11. ძე; 12. არვე; 13. აგა; 14. ლი; 15. ავლი; 16. ვაფლი; 17. ლიაო; 18. აბელი; 19. ბუ; 20. მერაბ; 21. სი; 22. პა. **სურათებზე:** შვეულმფრენი; ქვემეხი; ტანკი; გამანადგურებელი.



Cyan Magenta Yellow Black

# კერძებს სწორად ვამზადებთ

## რჩევები დიასახლისებს



ჯანსაღი საკვები არამხოლოდ გემრიელია, არამედ გარკვეულწილად წამალია კუჭისთვის. ეს არ უნდა დავივიწყოთ კერძების მომზადებისას.

დღეს სულ უფრო პოპულარული ხდება ნედლი საკვების ჭამის იდეა, მაგრამ საკვების თერმულ დამუშავებაზე უარის თქმას არავინ აპირებს. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების დროს უმი პროდუქტების ჭამა მავნებელია. საკვების დამუშავების ნიუანსები მრავალგვარია. გაგაცნობთ ზოგიერთებს, რომლებიც პროდუქტებში სასარგებლო ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნებას ეხმარება.

### ვხარშავთ

*ბოსტნეული*



1. ადუღებულ მარილიან წყალში მოათავსეთ და თავსახური დაახურეთ. სითხე არაუმეტეს 1 სმ-ით უნდა ფარავდეს. გამონაკლისია თეთრი ბოსტნეული (კარტოფილი, თავხვეული და ყვავილოვანი კომბოსტო, ხახვი, ნიახური), რომელიც თავღია ჭურჭელში იხარშება.

2. უმჯობესია, ბოსტნეული მსხვილად დაჭრათ. ხოლო სტაფილო, უკანასკნელი გამოკვლევებით, რეკომენდებულია წვნიანში მთლიანი ჩადოთ.

3. გაითვალისწინეთ თითოეული ბოსტნეულის ხარშვის დრო. დამწნილებული კომბოსტო 40-50 წუთი იხარშება, ქორფა კომბოსტო — 15-20 წუთი, სტაფილო — 15-20 წუთი, კარტოფილი (კუბიკებად დაჭრილი) — 12-15 წუთი, პომიდორი და ისპანახი — 3-5 წუთი.

*ხორცი*

ხორცი დაბალ ცეცხლზე იხარშება. ხარშვის პროცესში წყლის დამატება რეკომენდებული არ არის — მზა კერძის გემო მნიშვნელოვნად გაუარესდება.

ხორცი რბილი რომ გამოვიდეს, ხარშვის დროს წყალში 1-2 ჩაის კოვზი მზა მდოგვი (1 კგ ხორცზე) დაუმატეთ.

*თევზი*

ნედლი თევზი ადუღებულ წყალში ჩადეთ. გამონაკლისია ძლიერ დიდი თევზი. მას ცოტა ცივ წყალში ათავსებენ.

სუფრაზე მიტანამდე მოხარშული თევზი ბულიონში დატოვეთ, რომ არ გამოშრეს.

### ორთქლზე ვამზადებთ

ორთქლზე მომზადება სასარგებლოა მათთვის, ვისაც გულის გამაგრება სურს, ღვიძლი აწუხებს და ზედმეტ კილოგრამებს ებრძვის.

1. პროდუქტი ორთქლზე მხოლოდ მაშინ უნდა მოათავსოთ, როდესაც წყალი ადუღდება.

2. ყველაზე კარგია ორთქლზე მოამზადოთ მწვანე ფერის ბოსტნეული (მჟაუნა, ისპანახი, ლობიოს პარკები, სატაცური) და ნარინჯისფერი (სტაფილო, წითელი ბულგარული წიწაკა, გოგრა).

### ვაცხობთ

გამომცხვარი კერძები ნაწლავების პერისტალტიკას (ნაწლავის კედლების ტალღისებური შეკუმშვა-გაფართოება) აუმჯობესებს და აგრეთვე ადვილად შეითვისება.

პროდუქტი ღუმელში ასეთი პრინციპით მოათავსეთ: ტაფა თევზით ან ხილით — ზედა ნაწილში, მთლიანი ბოსტნეული (ბადრიჯანი ორად გაჭერით, ხახვი კანისგან გაასუფთავეთ) შუა დონეზე.

### ვშუშავთ

თუ ზედმეტის ჭამისგან კუჭი გადაიტვირთა, განმტვირთველი დღე მოაწყვეთ. ასეთ შემთხვევაში ეფექტურია მოშუშული პროდუქტები.

ხორცი მოსაშუშად წინასწარ დაბეგვეთ და შემდეგ 2-3 წუთი ორივე მხრიდან მოწვით (წითელი ქერქი უნდა გაჩნდეს).

მოსაშუშად საჭიროა სითხე. ეს შეიძლება იყოს წყალი, ბულიონი, სოუსი. ის პროდუქტის მოცულობის 1/3 ან ნახევარს უნდა შეადგენდეს.

მოშუშვა ხდება დაბალ ცეცხლზე თავდახურულ ჭურჭელში.

### ვწვავთ

თუ კუჭ-ნაწლავთან პრეტენზიები არ გაქვთ, შეგიძლიათ თავი შემწვარი პროდუქტებით გაინებივროთ.

1. უმჯობესია, პროდუქტი შეწვათ ჭურჭელში, რომელიც ზეთის დამატებას არ საჭიროებს.

2. არასდროს მიიყვანოთ პროდუქტი მუქი ფერის ქერქის წარმოქმნამდე.

3. თუ მცენარეული ზეთით წვავთ, რაფინირებული აირჩიეთ.

## ლითონები, რომლებიც აუცილებელია ანემიის დროს



როგორც ცნობილია, სისხლნაკლულობის დროს ექიმი რკინის პრეპარატებს ნიშნავს და პაციენტებს ამ ლითონით მდიდარი პროდუქტების (წითელი ხორცი, თევზი, ჭარხალი, ბროწეული) ჭამას ურჩევს. რკინის გარდა სისხლის წარმოსაქმნელად ასევე მნიშვნელოვანია სპილენძი და კობალტი. ზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე კერძების სპილენძით გამდიდრება ადვილია. მას შეიცავს ბადრიჯანი და გოგრა, ბოლოკი და ხახვი, მწვანე ბარდა და ნიორი, მარწყვი და ხურტკმელი. ასევე აუცილებელია კობალტი. ის წარმოდგენილია ნიორში, თხილეულსა და კომბოსტოში. ამ პროდუქტების შეძენა წლის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ.

როგორც ხედავთ, არავითარი განსაკუთრებული და იშვიათი პროდუქტების ძებნა არ მოგიწევთ, მაგრამ ანემიის დროს სასარგებლო პროდუქტები რაც შეიძლება ბევრი ჭამეთ.

## ეს იცოდით?

- კენგურუს 69 სახეობა არსებობს.
- ზღარბს 36 კბილი აქვს.

- პირველი მსოფლიო ომის დროს გარდაცვლილ მებრძოლთა ერთი მესამედი „ესპანური გრიპის“ მსხვერპლი გახლდათ და არა — საბრძოლო მოქმედებების.
- მე-19 საუკუნემდე რომი მოსახლეობით ევროპაში ყველაზე დიდი ქალაქი იყო — მასში მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. მე-19 საუკუნეში კი ამ მაჩვენებლით დიდი ბრიტანეთის დედაქალაქმა ლონდონმა გადაუსწრო.

- იამაიკელმა მომღერალმა ბობ მარლიმ ანდერძად დაიბარა, რომ საფლავში მისთვის ჩაეყოლებინათ თავისი გიტარა, ფეხბურთის ბურთი, ბიბლია და მარიხუანა.
- მომღერალი ბობ მარლი ბავშვობაში ხელზე მკითხაობდა.
- ჯაზის ცნობილი შემსრულებელი ჯანგო რეიჰარდი პირველი გახლდათ, ვინც ჯაზში გიტარა გამოიყენა.
- ერთხელ ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯონი დეპმა სკოლის მოსწავლისაგან წერილი მიიღო, რომელიც სთხოვდა, გაკვეთილის გაცდენაში დახმარებოდა. ჯონი დეპი სკოლაში ბეღურას კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა და გაკვეთილი ჩაშალა.

მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**ოსმა სახინკლეში ოცი ხინკალი შეუკვეთა. ათი იქვე შეჭამა, ათი კი ჯიბეში ჩაიწყო.**

**— რას აკეთებ? — ეკითხება გაოცებული მიმტანი.**

**— სახლში წავიღებ და ეზოში მოვაშენებ.**

— თქვენ ხვალ დაგხვრეტენ. უკანასკნელი სურვილი გაქვთ?

— როგორ არა, მაგრამ შემისრულებთ?

— აუცილებლად.

— ჩინური და იაპონური წერა-კითხვა მასწავლეთ სრულყოფილად.

❖ ❖ ❖

მამამ საბავშვო ბაღიდან ბავშვი მოიყვანა.

— ვინაა, კაცო, ეს, ვინ მოიყვანე. ეს ჩვენი შვილი არაა!

— სამაგიეროდ ნახე, რა ჯინსები და ფეხსაცმელები აცვია!

❖ ❖ ❖

დეპუტატობის კანდიდატს ეკითხებიან, რა თვისებები გახასიათებთო.

— ხალხს რასაც დავპირდები, აუცილებლად შევუსრულებ, მაგრამ ფრთხილი ვარ.

— ეს სიფრთხილე რითი გამოიხატება?

— რომ ხალხს არაფერს დავპირდე.

❖ ❖ ❖

— ჩემი და ჩემი ცოლის შეუღლების ხუთი წლისთავია და გოჭი უნდა დავკლა.

— საწყალი გოჭი, რა მაგის ბრალია?!



**ინფორმაცია:**

**ზოოპარკიდან დარაჯი დაიკარგა. პოლიცია აქტიურად მუშაობს, რომ ლომებს სიმართლე ათქმევინოს.**

❖ ❖ ❖

— ბაბუა, ბერდები და შვილიშვილებს არაფერს უტოვებ ანდერძით?

— კი, მარა ნოტარიუსი არ მიმტკიცებს.

— რეიზა?

— სიტყვა „ხვიშტი“ არალიტერატურულიაო.

❖ ❖ ❖

— სადაა, თიკო, შენი პაწაწა იაპონკა?

— ელვამ დაბრიდა, გოგო.

— როგორ?

— უბეში მყავდა და ელვას რო ვიკრავდი, კისერში მოეჭირა.

❖ ❖ ❖

ქუთაისელმა ლუდის ბარი გახსნა. შევიდა კლიენტი და ეკითხება:

— რამდენ ბაკალს ყიდი, სიმონ, დღეში?

— ასე, ორასს.

— სამასი რომ გაყიდო, არ გინდა?

— რაფრა?

— რაფრა და გაავსე ბაკალი, შე ჩემა, ვინ შემოვა ნახევარი ბაკალიზა აქანა?



**— ქალო, — მიუვარდა გამყიდველს ბებია, — ბალანას ფული გამოვატანე და ორი კილო ქლიავი დავაბარე.**

**— მერე?**

**— ავწონე და ერთი კილო აკლია.**

**— ბალანა აწონე ხოლმე წინასწარ და ისთე გამოუშვი.**

❖ ❖ ❖

ორი მწერალი ხვდება ერთმანეთს.

— შენი წიგნი წავიკითხე.

— რომელი, ბოლო?

— იმედია, ბოლო!

❖ ❖ ❖

ორი კანიბალი კაცი ოცნებობს.

— აუ, — ამბობს ერთი, — ახლა კაი ლორთქო, 18 წლის გოგო რას გაასწორებდა!

— აბა, აბა! დაჭრი მსხვილ-მსხვილად და აამიშხინებ ნაკვერჩხალზე.

❖ ❖ ❖

— ყველაზე მეტად რისი გეშინია?

— კბილის ექიმის და კიდევ სიბნელის.

— კბილის ექიმი გასაგებია, სიბნელის რატომ გეშინია?

— სიბნელეში შეიძლება ექიმმა სულ სხვა კბილი ამომიღოს.

❖ ❖ ❖

— ვაჟაია, ექიმთან მიდი, რაცხა შენი როჟა არ მომწონს.

— და შენი აზრით, ექიმს მოეწონება?

❖ ❖ ❖

— ქალო, გახსოვს, თავის ტკივილებ რომ მქონდა და კიბო მეგონა?

— მერე?

— ექიმთან ვიყავი და მითხრა, თავში არაფერი გაქვსო.

— რამდენი მიეც ექიმსა?

— 50 ლარი.

— მაგის ნახევარი მოგეცა შემთვინ და განა მე კი დაგიმალავდი სიმართლესა?!



**გურული აფრიკაში ჩავიდა. მდინარეში მოინდომა ბანაობა და იქაურს ეკითხება:**

**— ახლა მე აქანა რომ ვიბანაო, მედუზები ხომ არ დამსუსხავენ?**

**— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ნიანგები როგორ გააჭაჭანებენ მედუზებს.**

❖ ❖ ❖

კოკა ავად გახდა. სამი დღე იწვა. მეოთხე დღეს ძმაკაცებმა დაურეკეს, თითო ჩავურტყათ, ჩვენ მოგარჩენთო.

კოკამ ჩუმად ჩაიცვა, კარადიდან კონიაკი გამოიღო, იღლიაში ამოიღო და, რომ უნდა გავიდეს, ცოლმა „დაასტუკა“.

— რა გაქვს იღლიაში?

— თერმომეტრია, ქალო, თერმომეტრი!



**— ვანო, ერთი ველოსიპედი რათ იყიდე, შენ ხო ტყუპი ბიჭი გყავს?**

**— მერე რა, რო?**

**— დახოცავენ ერთმანეთს.**

**— სამაგიეროდ, ბოქსიორები გამოვლენ!**

❖ ❖ ❖

— მიკვირს, ადამიანები ადრე უკომპიუტეროდ როგორ ძლებდნენ?!

— ვერ ძლებდნენ, ჩემო ბიძია, ვერა! დეიხოცენ!

❖ ❖ ❖

ქმარი ცოლს:

— რაღაც ძალიან აქებ შენს გარდაცვლილ ქმარს.

— ნუ გეშინია, საყვარელო, როცა მოკვდები, შენც ეგრე შეგაქებ.

❖ ❖ ❖

ქმარი გახარებული ბრუნდება თევზაობიდან.

— გეტყობა, შედეგიანად ითევზავე, — ეუბნება ცოლი.

— აბა, რა, ზუთხიც იყო, კალმახიც, ცოცხალიც, ჭიჭყინაც.

— აბა, მაჩვენე.

— რა უნდა გაჩვენო, ქალო, ზუთხმა ანკესი მოგლიჯა და გაშპა, კალმახმა ჭიაყელა გადაყლაპა, ჭიჭყინა ქე მყავს აგერ, სპიჩკის კარობკაში.

— ცოცხალი?

— ცოცხალი მე ვარ აგერ!

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ●

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები



# მკვლელობა ეიფელის კოშკზე

**კლოდ იზნერი**

მიუხედავად დილისა, ეჟენი პატინო თავს უკვე დაღლილად გრძნობდა. ახალი კორსეტი გარეგნულ ელეგანტურობას კი სძენდა, მაგრამ შინაგანად ბევრი რამ აწუხებდა — ფილტვები, კუჭი და, რაც მთავარია, გული.

ამჟამად ეჟენი სამი პატარა დისწულის ახირების მსხვერპლი გახლდათ და მათი მწყემსვა ევალებოდა.

— მარი-ამელი, ნუ გარბიხართ! ექტორ, შეწყვიტეთ სტვენა! სად გაგონილა?!

— დეიდა, ომნიბუსზე გვაგვიანდება! მე და ექტორს მესამე სართულზე გვინდა! მართლა, ბილეთები ხომ არ დაგავიწყდათ?

ეჟენი შეჩერდა, ხელჩანთა გახსნა და დარწმუნდა, წინასწარ ნაყიდი ბილეთები ადგილზე რომ იყო.

— ჩქარა, დეიდა! დაგვაგვიანდა! — ვეღარ ითმენდა მარი-ამელი.

დეიდა მოიღუშა. გოგონა ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანის ტალანტს ფლობდა. უკეთესი არც ექტორი იყო — პატარა, ჭირვეული მამლაყინწა და მხოლოდ მათზე უფროსი ჰანტრანი იქცეოდა ასე თუ ისე ასატანად.

გაჩერებაზე მომლოდინე ხალხს შორის ეჟენიმ მასოების ოჯახის მოახლე ლუიზა ვერნი შენიშნა დიდი კალათით ხელში — ეტყობოდა, თეთრეული მიჰქონდა მირაბოს ქუჩაზე მდებარე სამრეცხაოში, თან, სულ არ ერიდებოდა, ისე იწმენდდა ოფლიან სახეს პირსახოცისხელა ცხვირსახოცით. მათი შეხვედრა გარდაუვალი იყო, რაც ეჟენის სულაც არ სიამოვნებდა (ლუიზას თავი ეჟენის ტოლ-სწორად მიაჩნდა, რაც ამ უკანასკნელს აღიზიანებდა).

— ააა, მადამ პატინო! დავიწვი, ისე მცხელა! საით გაგიწევიათ?

— გამოფენაზე. ამ სამ ეშმაკუნას ჩემი დის ხათრით უარს როგორ ვეტყოდი?

— მერე არ გეშინიათ? ამდენი უცხოელი... ისე, ბილ ბუფალოს ცირკის ნახვა მეც მინდა. თურმე ნამდვილი წითელკანიანები გამოდიან და ნამდვილ ისრებს ისვრიან!

— ნუ ცელქობთ, ექტორ! ღმერთო! სხვადასხვა წინდები ჩაუცვამს, ერთი თეთრია, მეორე ნაცრისფერი! სად გაგონილა?!

— დეიდა, მოდის, მოდის! — პატარა ეშმაკუნას სულ სხვა რამ აინტერესებდა.

სამი სევდიანი ცხენი, მათზე გამობმული ომნიბუსით, ხალხის წინ გაჩერდა. ყველა აფუსფუსდა. ექტორმა და მარი-ამელიმ მეორე სართულს მიაშურეს. ჰონტრანის გვერდით მჯდარი ეჟენი თავს ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლს ადარებდა, რომელსაც ქარი იქითკენ გააქანებს, საითაც მოესურვება...

— ახალი კაბა იყიდეთ? — შეეკითხა ლუიზა ვერნი.

— დის საჩუქარია, — მიუგო ცივად. არ გაუმხელია, დამ რომ ის უკვე ორი სეზონი ატარა.

— გიხდებათ.

— ძვირფასო, — ხმა დაითაფლა ეჟენიმ, — ყურადღებით იყავით, გაჩერება არ გამოგრჩეთ!

მოაკეტვინა რა ხეპრე მოახლეს, ეჟენიმ პორტმანე გახსნა, ფული დათვალა და კმაყოფილი დარჩა, ფიაკრს ომნიბუსი რომ ამჯობინა — ამგვარი ეკონომიისთვის უარესი მგზავრობაც ასატანი იქნებოდა.

ომნიბუსი გაჩერდა. ლუიზა ვერნი წამოდგა და, ვიდრე ჩავიდოდა, ნაწყენი ხმით ისროლა:

— მადამ პატინო, ჩემს დარიგებას, ჯობს, თქვენს ფულებს მოუაროთ, თორემ მარსის ველი ქურდბაცაცებითაა სავსე და ემანდ, არ აგწაპნონ.

ცოტა ხნის შემდეგ ჰონტრანიც აჭიკჭიკდა:

— ლევალუა-პერეს სახელოსნოებში 12 ათასი დეტალი დაამზადეს, აგებას კი სამასამდე მუშა დასჭირდა. ფიქრობდნენ, 228 მეტრის მერე ჩამოინგრევაო, ის კი ისევ დგას!

„დაიწყო“, — გაიფიქრა ეჟენიმ, ხმამაღლა კი შეეკითხა, — რაზე ლაპარაკობ?

— კოშკზე, რა!

— წელში გასწორდით და ცხვირი მოიწმინდეთ. წვინტლი ჩამოგდით.

— მისი გადატანა თუ დასჭირდათ, 10 ათასი ცხენიც არ ეყოფათ! — თქვა ჰონტრანმა და ცხვირი მოიწმინდა.

ზედა სართულიდან ექტორი და მარი-ამელი ჩამოცვივდნენ:

— მოვედით, მოვედით!

მდინარის მეორე მხარეს გუსტავ ეიფელის ბრინჯაოსფერი კოშკი ელვარებდა და თითქოს ცას სწვდებოდა, ეჟენიმ კი გულზე ხელი მიიდო და გაიფიქრა: „თუ იქიდან ცოცხალი ჩამოვალ, „მამაო ჩვენოს“ ორმოცდაათჯერ, არა, ასჯერ წავიკითხავ“.

❧

ხალაროს სარკმელს როცა მიაღწიეს, ეჟენი უკვე ისეთ პანიკაში იყო, რომ ხმას ვერ იღებდა. მარი-ამელიმ მას იდაყვში უბიძგა, მერე ფეხის წვერებზე აიწია და ხმამაღლა თქვა:

— ოთხი მეორე პლატფორმაზე, თუ შეიძლება!

— რატომ ასე მაღლა? — ამოღერღა ეჟენიმ, — პირველი არ იკმარებდა?

— დეიდა, სტუმრების ოქროს წიგნში ხელი უნდა მოვაწეროთ. ნუთუ დაგავიწყდა? ის კი მამიკოს გაზეთ „ფიგაროს“ პავილიონშია. მამას ხომ ჩვენი სახელების წაკითხვა უნდა! დეიდა, ფული გადაიხადეთ, უკანაც ხალხია!

❧

ლიფტში რომ შევიდნენ, ეჟენი ხის სკამზე დაეხეთქა და სული ღმერთს შეავედრა. მერე უეცრად მოდების ჟურნალში ნახული რეკლამა გაახსენდა: „თქვენ ანემია გჭირთ? სქოლიოზი? რკინა არ გყოფნით? ბრავეს ფირმის რკინა ანემიით გატანჯულების სისხლს აუმჯობესებს“.

— ბრავე, ბრავე, ბრავე, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

ლიფტი მეორე სართულზე გაჩერდა, დედამიწიდან 115,73 მეტრის სიმაღლეზე.

❧

ვიქტორ ლეგრი — საშუალო სიმაღლის, ოდნავ გამხდარი, 30 წლის ხშირულვაშა მამაკაცი — ლიფტების მოძრაობას ადევნებდა თვალს და შიგადაშიგ იქითკენ იცქირებოდა, საიდანაც თავისი მეგობრის, მარიუს ბონეს გამოჩენას ელოდა. მზე უმოწყალოდ აჭერდა. ვიქტორს წყურვილი კლავდა. ანაზდად იქვე, სუვენირების კიოსკის მხრიდან, ბიჭის უკმაყოფილო ხმა მოისმა:

— გეუბნებით, კოვბოი იყო! ნიუ იორკიდან ჩამოვიდა, ოქროს წიგნში კი ხელი ჩვენს მერე მოაწერა!

ვიქტორმა ორი ბიჭი დაინახა, მესამე კი გოგონა იყო, ვიტრინაზე ცხვირით მირჭობილი:

— აქ თოჯინები არაა, მაგრამ... ეს ბროში მართლა ლამაზია... ზედ ეიფელის კოშკია და კიდევ რაღაცა...

— რატომ არ მიჯერებთ? — არ ცხრებოდა ბიჭებიდან უფრო პატარა, — ის ნამდვილად ბილ ბუფალოს დასიდანაა! ცირკში მუშაობს, გესმით? ცირკში!

— მაგ შენი ბუფალო მოსაწყენი ვიღაცაა, — მოზრდილი ბიჭი ჰორიზონტს გასცქეროდა, — მოდით აქ, ნახეთ, რა მაგარი ხედია! ყველაფერი ჩანს, შარტრიც, ნოტრდამიც, სენ-სიულპისიც, პანთეონიც, ობსერვატორიაც, მონმარტრიც! თან რა დიდებია, როგორც „გულივერში“!

— ჰონტრან, — მიმართა მას მეორე ბიჭმა, ხელში ცისფერი გაბერილი ბუშტი რომ ეჭირა, — ბუშტი რომ გავუშვა, ამერიკამდე მიფრინდება?

„ნეტა, მეც თქვენხელა ვიყო, — გაიფიქრა ვიქტორმა, — ას წლამდეც რომ იცოცხლოთ, ამგვარი აღფრთოვანება ალბათ აღარ განმეორდება“.

❧

— დეიდა, ბუშტი დამიჭირეთ!

სკამზე ლოკოკინასავით მიწებებულ ეჟენის განძრევის ეშინოდა. ექტორისთვის უარის თქმის თავიც არ ჰქონდა, თავბრუ ისე ეხვეოდა. ბიჭმა ცისფერი ბუშტი ძაფით მაჯაზე გამოაბა და ძმასთან ერთად სადღაც გაიქცა. ეჟენი უფრო ცუდად გახდა, გულიც ერეოდა.

— მარი-ამელი, დარჩით ჩემთან...

— დეიდა, ასე არ შეიძლება! ბიჭებს ყველაფრის ნებას...

— დარჩით-მეთქი! — გააწყვეტინა გოგონას ფრაზა დეიდის სუსტმა ხმამ.



Cyan Magenta Yellow Black

ოქროს წიგნის რიგში უსასრულო დგომამ ეჟენის მთლად მოუღო ბოლო — ხელები აუკანკალდა, სახე აუწითლდა, იჯდა და აღარ იცოდა, ლიფტით მესამე მგზავრობას როგორ გადაიტანდა.

უეცრად გვერდით ვიღაცა მიუჯდა, მერე წამოდგა, წაიბორძიკა და მთელი სიმძიმით მხარზე დააწვა, თან ისე, ბოდიშიც არ მოუხდია. იმავ წამს კისერზე ჩხვლეტა იგრძნო და შეჰკივლა. რა იყო? ფუტკარი? ჰო, ფუტკარი! ის ხელების ქნევით წამოხტა, იგრძნო, წონასწორობას რომ კარგავდა, ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდა, ძლივსღა სუნთქავდა...

შვილის სიკვდილი და კიურეს ნათქვამი გაახსენდა: „მიწიერი სიცოცხლე პრელუდიაა და მეტი არაფერი, ასე წერია ბიბლიაში, ბიბლია კი ღვთიური სიტყვაა“.

მან დაინახა, როგორ გარბოდა მარი-ამელი, მისი დაძახების თავი კი არ ჰქონდა... მერე თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა, ჩაიკეცა და... სული განუტევა.

ზიცხისაგან გათანგულმა ვიქტორმა მხარზე ხელის დაკვრა იგრძნო და იქითკენ შეტრიალდა. მის წინ დაბალი, სქელლოყება, 40 წლის მამაკაცი იდგა და პანამა ყურებამდე ჩამოეფხატა, მელოტშეპარული თავი რომ დაემალა.

— მარიუს, ჭკუიდან შეიშალე? — მიმართა ვიქტორმა მეგობარს, — ასეთ ადგილზე შეხვედრა რამ გადაგაწყვეტინა?



— ზევიდან სამყარო პაწაწინა ჩანს, რაც სულიერად გვაძლიერებს. შენი კომპანიონი სად არის?

— მალე მოვა. თქვი, რა ხდება.

— მოკლედ, მაგის წყალობით ნახტომი გავაკეთე.

— რა ნახტომი? წესიერად ამიხსენი.

— ბატონი მორის დაცინვებმა ჩემი თავმოყვარეობა შელახა, — განუმარტა მარიუსმა, — შენ წინაშე ახლა ყოველდღიური გაზეთის „პასპარტუს“ დირექტორი და მთავარი რედაქტორია.

— აბა, „დროს“ რეპორტიორი აღარ ხარ?

— აღარ. „პასპარტუს“ ბრწყინვალე მომავალი აქვს, შენ კი ისეთ წინადადებას გთავაზობ, ოქროში ჩაეფლობი.

ვიქტორმა ეჭვით შეხედა მარიუსის მბრწყინავ, მრგვალ სახეს. ამ დაუცხრომელი სამხრეთელის ენერგიით, გამჭრიახობითა და ლიტერატურული ციტატებით გაცნობისთანავე მოიხიბლა. მისი მოჩვენებითი მიამიტობა ქალებსაც ატყვევებდა და მამაკაცებსაც, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ისეთი ენამწარე იყო და ისეთ რაღაცას იტყოდა, რაზეც სხვები, როგორც წესი, კრინტსაც არ ძრავდნენ.

— „ფიგაროს“, ცხადია, ჯერ ვერ შევეჯიბრებით, — განაგრძო მარიუსმა, — მაგრამ ალექსანდრე დიდიც ხომ პატარა ტანის იყო?!

— ჰო, მაგრამ...

— ვიქტორ, მოდი, ბარში შევიდეთ. ვიღაცეებს გაგაცნობ, ამასობაში კი ალბათ შენი კომპანიონიც გამოჩნდება.

ასეც მოიქცნენ. მაგიდას, რომლისკენაც მარიუსი წავიდა, ოთხნი უსხდნენ და ლუდს სვამდნენ, ორი მამაკაცი და ერთი ქალი.

— ბავშვებო, — მიმართა მათ მარიუსმა, — გაიცანით, ეს ვიქტორ ლეგრია, ჩემი ერუდიტი მეგობარი. მისი თანამშრომლობა ბევრ საქმეში დაგვეხმარება. ვიქტორ, ახლა შენ მომისმინე. ეს მადმუაზელ ედოქსი ალარია, ფასდაუდებელი მდივანი, ბუღალტერი, მთხზველი და ნუგეშისმცემელი.

თვალმიბნედილმა, გრძელწამწამებიანმა, ქერა ალარიმ ვიქტორი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და, დარწმუნდა რა, რომ ის მისთვის, პროფესიონალურის გარდა, არანაირ ინტერესს არ წარმოადგენდა, ყასიდი ღიმილი გაუგზავნა.

— დენდივით გამოპრანჭული ანტონენ კლიუზელია, ინფორმაციის ნამდვილი ასი! — განაგრძო მარიუსმა, — მას, მგონი, იცნობ, ერთად მოვედით წიგნის კიოსკში. კარიდან რომ გააგდო, ფანჯრიდან შემოძვრება, — დაამატა ღიმილით.

ვიქტორმა კეთილგანწყობილი სახის, ქერათმიან ახალგაზრდას შეხედა, ცხვირი რომ ოდნავ მობრეცოდა მარცხნივ, მერე კი მის გვერდით მჯდარ სქელ, უსიამოვნო ტიპს, რომელსაც თვალები გადმოეკარკლა და თავის კათხას მისშტერებოდა.

— მის გვერდით შეთავსებით პოლიციელი ისიდორ გუვიე ზის, რომელიც ყველაზე კარგად ფლობს ცხოვრების პერიპეტიებს და ძალიან გვადგება ამით. დაბოლოს, ტაშა ხერსონი, ტურგენევის პატრიოტი, ილუსტრატორი და კარიკატურისტი.

სასიამოვნო სახის ქალიშვილმა თბილად შეხედა ვიქტორს და, რომ იტყვიან, გული აუძგერა. ინტერესი ორმხრივი — ტაშასაც მოეწონა ვიქტორი და რომელიღაცა მხატვრის რომელიღაც პორტრეტს მიამსგავსა.

ამ დროს კარი გაიღო და...

— აქეთ მობრძანდით, ბატონო მორი! — მიეახლა შემოსულს მარიუს ბონე, მერე კი საზეიმოდ განაცხადა, — ბატონი კენძი მორი, ჩემი მეგობრის, ვიქტორ ლეგრის კომპანიონი, ეროვნებით იაპონელი.

მორიმ მამაკაცებს თავი დაუკრა, ქალებს კი ხელზე ეამბორა. წამიერი სიჩუმე ისევ მარიუსმა დაარღვია:

— ბატონო ჩემო, ლუდი გირჩევნიათ თუ შამპანური?

— ცხადია, შამპანური, თუმცა საკეს ვერც ის შეედრება, — მიუგო იაპონელმა, — ისე კი, ახლა, ამ სიცხეში, ცივი წყალია პრიორიტეტული.

— სრული სიმართლეა, — გაიღიმა აზიატის დახვეწილობით მოხიბლულმა ედოქსი ალარმა, — ბატონო, იაპონურ პავილიონს ალბათ დაათვალიერებდით.

— არ მიყვარს კონვეიერულად დამზადებული ექსპონატები, თუნდაც იაპონური სტილის.

— და მაინც, ძალიან ლამაზი რაღაცეებია გამოფენილი, — შენიშნა ტაშამ, — თუნდაც ესტამპები.

— ჩვენი ფერწერა დასავლეთში ცოტას თუ ესმის. თქვენი სახლები ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებით ისეა გამოტენილი, რომ ბოლოს მათ ვეღარც კი ამჩნევთ.

— მგონი, ცდებით, — შეეპასუხა ტაშა, — ჰოკუსაის „ტალღამ“, ძმები ვან გოგების მოწყობილ გამოფენაზე რომ ვნახე, ჩემზე ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ძლიერი შთაბეჭდილება მაშინ ნახეთ, ეს ტრანსატლანტიკური ლაინერი თუ ამოტრიალდა! — ღვარძლიანად ისროლა ისიდორ გუვიემ, — ცოტა ძლიერი ქარი და რკინის ამ მონსტრს ჩვენიანად მოუსავლეთში გააქანებს!

ყველამ გადაიხარხარა, კენძი მორის გარდა:

— ეიფელს რას ემართლებით? თუ არ მოგწონდათ, ნუ ამოხვიდოდით.

უხერხული სიჩუმე ანტონენ კლიუზელმა დაარღვია:

— გავალ, ცოტას მოვწევ.

— ოღონდ მალე დაბრუნდი, — მიაძახა მარიუსმა და დაამატა, — ბავშვებო, მოდით, „პასპარტუს“ აყვავების და ჩვენი ახალი ლიტერატურული ქრონიკიორის ვიქტორ ლეგრის სადღეგრძელო დავლიოთ!

— მერე ლუდით? — იკითხა რომელიღაცამ.

— რატომაც არა? მთავარი აზრია და არა სასმელის სახეობა.

— მოიცათ, მოიცათ! — შესძახა ვიქტორმა სიცილით, — ეს ხაფანგია! ამას მოფიქრება უნდა!

ამ დროს ბარში სახეშეშლილი კლიუზელი შემოვარდა:

— ჩქარა, ჩქარა! ქალია მკვდარი!

მარიუსი ზეზე წამოიჭრა:

— ყურადღებით, ბავშვებო! ედოქსი, ახლავე გაზეთში გავარდი! სპეციალურ ნომერს ვამზადებთ. ცოცხლად, ცოცხლად! ტაშა, შენი ნახატები დამჭირდება, ამიტომ იჩქარე! ისიდორ, თქვენ პრეფექტურაში. ეცადეთ, სიკვდილის ზუსტი მიზეზი გაიგოთ. შენ კი, ანტონენ, მე მომყვები! — ის დანარჩენ ორს მიუბრუნდა, — ბატონო მორი, ვიქტორ! ვწუხვარ, მაგრამ ინფორმაცია ლოდინს ვერ იტანს. იფიქრეთ ჩემს წინადადებაზე! — და კლიუზელთან ერთად კარში გავარდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

thinking თინათინ ბონი

www.facebook.com/Tinatinbonney

# ეიფორია

მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-23

## ჯოჯოხეთი ან ჩემი ულევი ფანტაზია

ჭიქის დახეთქების ხმაზე თამარა კრთება. ვდგავარ გაუნძრევლად. გავიდე და ვნახო? თუ ვიყო, სადაც ვარ? იყოს, რაც იქნება. აღარ შემიძლია.

— ფრთხილად, არ გაიჭრა რამე, — თამარა მანიშნებს, რომ გავიწიო.

დამლაგებელი შემორბის ცოცხით. სანდრო არ ჩანს. რაული დიდად არ რეაგირებს ამ ყველაფერზე. იტალიელი კაცის სიდინჯე მაინც სულ სხვაა. მე უნდა ვიყო ძლიერი!

— ვაიმე, გამიცურდა ხელიდან. დიდი ბოდიში, — ვეუბნები თამარას დაჭიმული ღიმილით.

— ჩემთან არ გჭირდება ეგ, — მეუბნება სერიოზულად და პრაქტიკულად მაკეტინებს.

ვიღუშები. აშკარად თვითონაც განიცდის ამ ყველაფერს. სანდრო კი არ ჩანს. ორ წუთში თუ არ შემოვა, გავალ და ვნახავ, რა ხდება. რატომ მოვიდა? რა უნდა სანდროსგან? თუ აღარ კონტაქტობენ, საიდან იცის მათი სახლი? ადრეც არის ნამყოფი? გული მაქვს გახეთქვაზე. გავიდე? არ გავიდე? რისი მეშინია? ახლა ვნახავ თუ სხვა დროს, ხომ მაინც ვნახავ. შეიძლება იმედი მაქვს, რომ საერთოდ ვერ ვნახავ და ეს ყველაფერი მესიზმრება. ამ ჩემი გახევების პერიოდში დამლაგებელი წმენდს იატაკს, თამარა კი გვერდით უჯდება რაულს. არავინ ეძახის სანდროს. ალბათ იციან, რომ არ ღირს. მე ისევ ისე ვდგავარ.

— შვილო, დაჯექი, — მეუბნება თამარა.

ვჯდები წაშლილი სახით. სულ მაცახცახებს.

— სხვა რა ხდება შენკენ ახალი? — მეკითხება თამარა.

რაული მშვიდად კითხულობს გაზეთს. დამშვიდდი, ლენა!

— რა ვიცი, ძველებურად, — ვპასუხობ თამარას და ვიღიმი, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს შესამჩნევი იყოს, ისე ჩამომტირის სახე.

— ნუ ნერვიულობ! — თამარა მიღიმის, თუმცა არც მისი ღიმილია დიდად დამაჯერებელი.

ამ ნატალიას უკან ბევრად დიდი ამბავია, ვიდრე უბრალოდ რომანი. ეს იცის თამარამ, ეს იცის ოჯახის დამლაგებელმა, ეს ვიცი მე, მაგრამ ყველაფერზე მწარე ისაა, რომ ეს იცის სანდრომ.

— სამსახურში რა არის ახალი? — არ ნებდება თამარა.

— არც არაფერი.

— რამე იქნება.

— არაფერი, — არ შემიძლია ამ თამაშის თამაში.

— დედა როგორაა?

— კარგად.

— მამა?

— კარგად.

— შენი ძმა?

— კარგად.

თამარა ჩუმდება. ეტყობა, მეტ ნათესავს ვერ იხსენებს. სანდრო კი ისევ არ შემოდის.

— იცი, მე და რაული ვაპირებთ ბრაზილიაში წასვლას.

— რა კარგია.

— სულ მინდოდა და მიკვირს, აქამდე როგორ არ წავედით.

— ახლა ხომ წახვალთ.

— წავალთ.

— წადით.

— აუცილებლად წავალთ.

სიჩუმე. ვდგები სკამიდან. გავალ და ვნახავ, რა ხდება.

— რას აკეთებ? — შეშინებული სახით მეკითხება თამარა.

— გავალ, სანდროს ვნახავ.

— არ გინდა, შემოვა თვითონ.

— თამარა, რა ხდება? — ურჩევნია, მომიყვეს ყველაფერი.

— და რა ხდება?

— სანდროს და ამ ქალს შორის.

— არაფერი.

— კარგი, მაშინ ამისთანა რა მოხდა მათ შორის.

— ლენა, არაფერია აქ სანერვიულო.

გავდივარ ოთახიდან. სანდრო არსად ჩანს. თუ წავიდა ისე, რომ არაფერი მითხრა, ურჩევნია, აღარც დამირეკოს.

— სანდრო სად არის? — ვეკითხები დამლაგებელს.

— გარეთ გავიდა.

ვაღებ კარს და ვხედავ, რომ სანდრო მანქანაზეა მიყუდებული. წინ უდგას ქალი. ძალიან კარგი აღნაგობის ქალი. მე მის სახეს ვერ ვხედავ. პრაქტიკულად ახდა ჩემი სიზმარი. სამწუხაროდ, სანდროს სახეს ვხედავ, ძალიან კარგად ვხედავ. ნატალია რაღაცას უყვება ემოციურად. ვკეტავ კარს. შემიძლია მივიდე და გავეცნო, მაგრამ არ მინდა, რომ ეს გავაკეთო. თუ საჭიროა, სანდრო თვითონ გამაცნობს. შევდივარ სამზარეულოში და სკამზე ვეშვები.

— წყალი ხომ არ გნებავთ? — შეწუხებული სახით მეკითხება დამლაგებელი.

— არა, გმადლობთ.

ხელებში ვრგავ თავს და ვეღარაფერზე ვფიქრობ. არც კი ვიცი, რამდენ დროს ვატარებ ამ პოზაში. სანდროს ხელს ვგრძნობ ბეჭზე.

— აქ რატომ ხარ? — მეკითხება მიამიტი სახით.

— შენ რატომ იყავი ამდენ ხანს გარეთ?

— ლენ, მოდი აქ, არ გვინდა, რა.

— რატომ არ გვინდა, სანდრო? ჩემ გარდა ყველამ იცის თქვენი ისტორია.

— ლენა, ძალიან გთხოვ.

— სად არის თვითონ?

— გავუშვი.

— სად გაუშვი?

— სასტუმროში.

— უკაცრავად?

— არ ჰქონდა წასასვლელი და გავუშვი „რედისონში“.

— და თვითონ ვერ წავიდოდა სასტუმროში?

— ვერა.

— სანდრო, ცეცხლს ეთამაშები.

— ლენა, ეს ადამიანი ჩემთვის ძვირფასია, — სერიოზულდება სანდრო.

— ნუთუ? ჩემზე უფრო ძვირფასია?

— ეს სულ სხვაა.

— მაშინ ამიხსენი, რაშია განსხვავება.

— ის უბრალოდ ძველი მეგობარია.

— რომლის გამო მზად ხარ, კუდი აქიცინო.

— რა შედარებები გაქვს ხოლმე, რა.

დამლაგებელი კარს აღებს, გვხედავს და იმ წამსვე კეტავს.

— სანდრო, ნუ გააკეთებ ისეთ რამეს, რომ ინანო.

— ლენა, შენ ნამდვილად არ გაქვს ჩემთვის ამის თქმის უფლება.

— მე ჩემი გითხარი, — სკამიდან ვდგები.

— ადამიანს დახმარება სჭირდება და რა ვქნა, არ დავეხმარო?

— რაც გინდა, ის ქენი.

— ლენა!

— სანდრო, მე მინდა ვიცოდე, რა იყო თქვენ შორის. ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე რომანი.

— ეს იყო რომანი მსუბუქი გართულებებით, — სანდრო ცდილობს, რომ გაიღიმოს.

— აგერაა, სანდრო, მაშინ, მიცუქცუქდი „რედისონში“ და გყავდეს.

— დაიწყო, — სანდრო ოხრავს.

— კიდევ ჩემი ბრალია?! — შეურაცხადი ვარ.

— არაფერი არ ხდება, ლენა! არაფერი!

— რატომ არ გამაცანი?

— ადამიანს პრობლემები აქვს და მე მიმეხარებინა, რომ ვქორწინდები?

— თუნდაც.

— გაგაცნობ, როცა დრო მოვა.

— ანუ დიდი ხნით შემორჩა აქ.

— არ ვიცი ჯერ.

— და შენ უნდა სდიო კუდში?

— მე არავის უნდა ვდიო.

— გიყვარს?

— გააფრინე?

— მე კითხვა დავსვი.

— მე კიდევ არ გავცემ პასუხს.

— ესე იგი გიყვარს.

— ისევ შემოტევა გაქვს ფანტაზიის!

— ჩემს ადგილას ნებისმიერი ასე იფიქრებდა.



Cyan Magenta Yellow Black

— არავინ არ იფიქრებდა.

— იცი, მე შემიძლია ვებრძოლო გოგოშკებს, ნაშოჩკებს, მაგრამ არ შემიძლია ვებრძოლო ოცნებას.

— შენ ჯობია, წიგნები წერო, ისე ლამაზად გამოხატავ შენს აზრებს.

— დავწერ კიდევაც, როცა გავარკვევ, რა ხდება ჩემს თავს.

— არ არის ახლა ეს ყველაფერი საჭირო.

— ნუ ცდილობ, რომ მე გამომიყვანო ცუდი.

— მე უბრალოდ ვცდილობ, საღად შეგახედო სიტუაციაზე.

— ძალიანაც საღად ვხედავ მე ყველაფერს.

— პატარა ბავშვივით იქცევი.

— რამდენი წლისაა?

— რაში გაინტერესებს?

— მომეჩვენა თუ უფროსია?

— არ მოგეჩვენა.

— რამდენი წლისაა?

— ლენა, მოისვენე, რა! — სანდრო მაცივარს აღებს.

— მგონი, შეკითხვა დავსვი.

— და მე არ გავეცი პასუხი, — სანდრო მაცივრის კარს კეტავს.

— სპეციალურად მაღიზიანებ?

— მასე მიცნობ?

— სამაგიეროს მიხდი?

— შენი აზრით, იმსახურებ?

— შენ არასოდეს შეიცვლები!

— მე არ შევიცვლები, ლენა? მე?

— შენ!

— დაუნახავი ხარ.

— აი, მოახერხა და წაგვაჩხუბა.

— მან მოახერხა? შენ ცდილობ.

— მთავარია, იმას არ დაბრალდეს და მე ჯანდაბას, ხო?

— ატყობ, რომ ისტერიკაში ხარ?

— იმიტომ, რომ არ მეუბნები, რა ხდება.

— არაფერი არ ხდება. არაფერი, ადამიანო! ძველ მეგობარს დასჭირდა დახმარება და ეგაა.

— საიდან იცის ეს სახლი? ნამყოფია?

— გევედრები, თავი დამანებე.

— ოღონდ არ მითხრა და მზად ხარ, გული გამისკდეს.

— ეტყობა, კარგად მიცნობ.

— ცინიკოსი ხარ.

— არ იცოდი აქამდე?

— და ეგოისტი.

— კიდევ?

— საკმარისია, დამიჯერე.

— მაშინ რატომ ხარ ჩემთან?

— ასე, ხო?

— ხო, აი, ასე!

— წავიდე?

— მე არ მითქვამს, წადი-მეთქი.

— გასაგებია ყველაფერი, — სულ აწითლებული ვარ.



— შენ ქმნი პრობლემებს, ლენა!

— სხვა ქალი გყავს და მე ვქმნი?

— ვინ მყავს? ძაან გიჭირს შენ, გეფიცები.

— ალბათ რომ აგიკრძალოს ჩემთან ურთიერთობა, დაემორჩილები.

— გინდა, ვალიდოლი დაგალევინო?

— თან მეღადავები. ბრავო!

— თვითონ იხდი საღადაოდ საქმეს.

— რატომ არის ის ქალი შენთვის ასეთი მნიშვნელოვანი?

— ის მეგობარია, ლენა და მას ახლა უჭირს. მეტი არაფერი.

— რომ გითხრა, არ დაეხმარო-მეთქი, მაინც დაეხმარები?

— და შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც ამის თქმას იკადრებს?

— ესე იგი დაეხმარები.

— ნამდვილად.

— რა პრობლემები აქვს?

— ლენა, ეს პირადია.

— მისი და არა — შენი!

— მგონი, დროა, ეს საუბარი დავასრულოთ.

— ასე მარტივად?

— ეს თუ მარტივად იყო, რთული რაღაა, არ ვიცი მე.

— წავედი მე სახლში.

— წაგიყვან.

— არ მინდა.

— ნუ იქცევი მასე.

— შენი აზრი ამ წუთას არ მაინტერესებს საერთოდ.

— როგორც გინდა, — სანდრო სამზარეულოდან გადის.

ვზივარ და ძლივს ვიკავებ ცრემლებს. წავალ და სულ კარგად იყოს! ვდგები, სახეზე წყალს ვიპკურებ და გავდივარ. სალხში უნდა წავიდე.

ისე წამოვედი, არავის დავემშვიდობე. ვზივარ სახლში და გოგოებთან ერთად ვუყურებ სერიალს. ისინი კი უყურებენ და მე გული მაქვს ყელში.

ვწევვარ საწოლში. ვერ ვიძინებ. ღამის სამი საათია. სანდროს არ დაურეკავს. ადგილს ვერ ვპოულობ. ძალიან ცუდად ვარ. ზოსის ჩემს ფეხებთან სძინავს. გოგოებსაც სძინავთ. ვდგები საწოლიდან. სანდროსთან უნდა წავიდე.

ტაქსისტი შემხვდა სუნიანი. ნუთუ ძნელია, იხმარონ ეს უპატრონო დეზოდორი ან თუნდაც სოდა შეიყარონ! ისედაც სასტიკ ხასიათზე ვარ. ვრეკავ ზარს და არავინ აღებს. კიდევ ვრეკავ. გასაღები ხო მაქვს, როგორ არ წამოვიღე. არ არის სახლში. მასთანაა? არ გააკეთებდა ამას სანდრო! გიჟივით ჩავრბივარ კიბეზე. ვაჩერებ ტაქსს.

— „რედისონთან“ მინდა, — ვხტები მანქანაში.

— ათი ლარი, — ჩემი გიჟი სახით სარგებლობს მძღოლი.

— ჩქარა! — ვბღავი და იძვრის ადგილიდან.

ჰაერი არ მყოფნის. მგონია, რომ საათები ვიმგზავრებთ. იქ თუა, რა გავაკეთო? მოვძებნო, რომელ ნომერში არიან? და მერე? დავიმცირებ თავს და ეგ იქნება.

გადმოვდივარ ტაქსიდან. ოცი ლარიდან ხურდასაც არ ვართმევ. ვიწყებ მანქანების თვალიერებას. ნეტავ, აქ არ იყოს. დავდივარ მანქანებს შორის ზომბივით. თავბრუ მეხვევა. ვხედავ მარცხნივ, ორი რიგის იქით დგას მანქანა, რომელიც ძალიან ჰგავს სანდროსას. ნელი ნაბიჯებით მივდივარ მისკენ. დრო იწელება და სუნთქვა შეუძლებელი ხდება. ოღონდ არ დავეცე. ვუახლოვდები მანქანას და ვუყურებ ნომრებს. გული მეკუმშება. „Maranzzana“ მანათებს პირდაპირ. აქ არის. აქ არის! მასთან არის!

ვდგავარ გაშეშებული. ტკივილი აუტანელია. ყველა უჯრედი მტკივა. ჩემი სანდრო ახლა სხვასთანაა. ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. მე არარაობა ვარ. მე უვარგისი ქალი ვარ. მე არ ვიმსახურებ სანდროს. არც არასდროს ვიმსახურებდი. ახლა კი აღარ მყავს და საფიქრალიც აღარაფერია. მას მოაკითხა იმ ქალმა, რომელიც უყვარს. ჩემი დრო გავიდა.

ნელი ნაბიჯებით ვცილდები „რედისონის“ ავტოსადგომს. შევდივარ მარკეტში და ზომბივით დავდივარ დახლებს შორის. ვიცოდე მაინც, რას ვეძებ. ვხედავ სასმელებს და ვიწყებ არყების თვალიერებას. ეს არ გიშველის, ლენა! ვიღებ არაყს და მივდივარ მოლარესთან. გავდივარ გარეთ. ძალიან თბილი ღამეა. მე ისევ მარტო ვარ. სანდროს მკერდზე სხვა ქალს უდევს თავი და ეფერება. მე კი არყის ბოთლი მიჭირავს და ისიც კი არ ვიცი, რატომ ვიყიდე.

ვაჩერებ ტაქსს, ვჯდები, ვეუბნები ჩემი სახლის მისამართს და ვხსნი არაყს. ტაქსისტი მათვალიერებს, მაგრამ ხმას არ იღებს. ვიყუდებ არყის ბოთლს და დიდ ყლუპს ვაკეთებ. ცხოვრება მშვენიერია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# გამოუსწორებელი

— არა, მაინც რა ვქნა, სპეციალური ლიტერატურა ვიკითხო თუ კლუბი დავაარსო, სადაც ვივლით კვირაში ერთხელ... არა, ორჯერ... თუ ყოველდღე ჯობია? მოკლედ, დავაარსო კლუბი, სადაც ვივლით ქმართა გამოსწორებაზე მეოცნებე ცოლები, მოვიწვევთ მწვრთნელებს უკვე გამოსწორებულ ქმართა ცოლების კლუბიდან და ტრენინგებს ჩავატარებინებთ? მაგრამ ეს საჩემო საქმე არაა. ჯერ ერთი, სად მაქვს მაგდენი დრო, კლუბებში ვიარო, მეორეც, ვინ გამიშვებს და მესამეც, ღმერთო ჩემო, ამის გაკეთება რომ შემეძლოს, ქმრის გამოსწორებაც ხომ შემეძლებოდა!

და რაღა მე შემხვდა ასეთი? რომ გამოდგებიან და ამტკიცებენ ბრძნულად... — აქ ხმა დავიბოხე, ტუჩები გამოვბერე, ცხვირი ავიბზუე — „ქალზეა დამოკიდებული, გენაცვალე, ყველაფერი. ჭკვიანი ქალი ქმარს საითაც უნდა, იქით წაიყვანს“! — მერე ისევ საწყის პოზიციას დავუბრუნდი და გავაგრძელე, — ვინ თქვა ეს სისულელე პირველად, მითხარით, გეხვეწებით! ახლა ვინმემ რომ მითხრას, ეგ ჭკვიან ქალებზეა ნათქვამიო, გავგიჟდები! თქვენ მაინც იცით, რომ ძალიანაც ჭკვიანი ვარ! ზედმეტადაც კი! სკოლის ვერცხლის მედალიც მიდევს სახლში და უნივერსიტეტის წითელი დიპლომიც. რომ დამცლოდა, ახლა პროფესორი ვიქნებოდი ან დოქტორი. მაგრამ ვინ დამაცადა? დამავლეს ხელი, უფრო სწორად, დავივლე ხელი და გავყევი ადამიანს, რომელიც ჩემგან დამოუკიდებლად, ხაზს ვუსვამ, ჩემგან დამოუკიდებლად, ლამაზი, ბუნჩულა შეყვარებულიდან მონსტრ ქმრად გადაიქცა.

ჰოდა, ერთი მანახეთ, რა, ვინც ამბობს, ქალზეა ყველაფერი დამოკიდებულიო. უნდა მივუყვანო ეს მონსტრი, თან ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული, წითელი ლენტით გამობაფთული და დავუსვა სახლში. ინებეთ, ბატონო, დიდებული და ძვირფასი საჩუქარი უუნარო ცოლისგან. არა, არა, რა შეწუხებაა, შეწუხება თქვენი ნახეთ ახლა... მე მეყოფა, მე-ყო-ფა! ქალს აღარ ვგავარ მაგის ხელში. აი, მითხარით, ვგავარ ქალს თუ არ ვგავარ?

— კეეე, — ანა მიქნევს თავს, თვალებმოჭუტული მიყურებს. აშკარად მობეზრდა ჩემი ისტერიკული მონოლოგი.

— აჰააა, — თავის კანტურში ჰყვება ლეა.

ლეა არა, ის კიდევ! მთელი ცხოვრება ლია იყო და ახლა... ჰმ, ლეა!.. საიდან მოიტანა ეს სახელი, ვინმემ იცით?

— კეე, — ამაზეც თავს დააქნევდა ანა. რა იცის ამ გოგომ, ყველაფერზე თავს აქნევს და თან ამ დროს კევივით წელავს „კიი“-ს კი არა, „კეე“-ს.

ეგ სულ ეგრეა. ისე გეთანხმება, არც გისმენს და რომც მოგისმინოს, მაინც ფეხებზე ჰკიდია, რას ამბობ, რას განიცდი... ისე, კი აქვს გრძელი და საჩვენებელი ფეხები. არ მჯერა მაგათი, არც ანასი და არც ლეასი. იაპონურ თოჯინებს ჰგვანან, ხელს რომ დაჰკრავ ოდნავ, სულ ოდნავ და თავის კანტურს იწყებენ, მაგრამ მაინც სულ მათთან ერთად ვარ, მეგობრები არიან ბოლოს და ბოლოს.

სარკისკენ ვაპარებ თვალს, ერთი კარგად ვნახო, მართლა ვგავარ ქალს თუ არა. სარკე, იცოცხლე, იმხელაა და ისეთი სოლიდური, ქუდი რომ მქონდეს, მოვუხდიდი. აუ, რას ვიხედებოდი, მომეშალა ნერვები.

„ქალი ვარ მე, ქალი ვარ?! — ამას უკვე ჩუმად გავყვირი, გულში და საკუთარ თავს ვეჩხუბები, — წადი, რა, სარკეში ყურებას სასწორზე შედექი... ქალი კი არა, ნამდვილი სტადიონი ხარ თავისი ყიჟინითა და დაფდაფებით... და ამ სტადიონს ერთი ქმარი რა გაგიხდა, რომ ვერ მოგირჯულებია!“.

— აუ, რაღა მაინცდამაინც მე შემხვდა ასეთი...

— არ ამთავრებ? — აღარ დამამთავრებინა ანამ, ზანტად მითხრა. ეგეც თუ მეგობარია, არც აინტერესებს, რას განვიცდი.

— თუ არ გინდა, ნუ მისმენ! — გაბრაზებული ვარ. რომ იტყვიან, ცეცხლებს ყრისო — იმაზე უარესად. ცეცხლებს კი არა, ვულკანებს ვისვრი ფეიერვერკივით, ლავა გადმომდის, ფერფლის ღრუბლებს ვიქაფავ, მაგრამ რა მერე? არც არაფერი. ქმარი მაინც გამოუსწორებელია.

— არც გისმენ, — არხეინად მპასუხობს ანა, კი არ მპასუხობს, თავისთვის ამბობს, მეც ფეხებზე ვკიდივარ ჩემი განცდავნებანით.

— არც მჭირდება! — ვპასუხობ დემონსტრაციულად და თეოსკენ ვაპარებ თვალს. ამან მაინც მითანაგრძნოს და შემიცოდოს, მიყვარს, როცა ვინმე მიცოდებს... აუჰ, ეს რას მითანაგრძნობს, მინი-სალონი მოუწყვია და ვიზაჟისტობს — თვალებს იტუშავს.

— უნდა გავშორდე! — არ უნდა მეთქვა, ახლა იძულებული ვიქნები, დროებით მაინც გავშორდე, არადა, გამოსწორება მინდა, გაშორება კი — არა.

— კეე, — მაშინვე დამეთანხმა ანა.

„ჰმ, ამას ახლა თავში აგურს ჩავარტყამ, — ვბრაზობ ანაზე, — არა, აგური პატარაა, ბლოკი ჯობს. ვაიმე, ის კედელი მაინც ამოაშენოს“. ბლოკზე ჩემი სარდაფის გადანგრეული კედელი მახსენდება და, რა თქმა უნდა, ქმარი, საერთოდ რომ არ აინტერესებს, სარდაფის კედელი გადანგრეულია თუ არა.

— აი, ხომ არ შეიძლება ასეთ ადამიანთან ერთად ცხოვრება? — უკან აღარ ვიხევ.

— კეე, — ამბობს ისევ ანა.

შევხედე, მზერა მაქვს — ტყვიას ტყვიაში ვაჯენ. აბა, იმას კი არ მეტყვის, რას ამბობ, გაშორება რად გინდაო.

— არაა, — დამეთანხმა მოულოდნელად, ჰმ, გული დამიმშვიდა.

— ჰოდა, არც ვიცხოვრებ, — ვამბობ, თან ვიფხორები, ვიბრიქები, შემომხედონ! ახლა მაინც ნახონ, რა პრინციპული ვარ, ერთხელ ვთქვი, უნდა გავშორდე-მეთქი და აღარც გადავთქვამ.

— მანამდე რომ მოარჯულო? ასე, ერთი ხელის მოსმით ოჯახის დანგრევა... — მინი-სალონს ჩანთაში დებს თეო. ვაიმე, რამდენი წელია ეს გოგო მიცნობს და ნუთუ ვერ ხვდება, რომ მე ერთი ბაქიბუქა ქალი ვარ და ოჯახის დანგრევა — ეს უბრალოდ სიტყვის მასალად გამოვიყენე.

— არავითარ შემთხვევაში! — თავს ვიგიჟებ და ველოდები, როდის დამახევენ კალთებს: „რას ამბობ, მაგაზე არც იფიქრო, უბრალოდ ეცადე, შენს ჭკუაზე გადმოიყვანო, ანუ მოარჯულო“...

მსგავსი არაფერი.

— ნუ, რადგან ასე გადაწყვიტე, ესე იგი, ღირსია, — არ გამახარა ლეამ.

— დიახ, ღირსია და გავშორდები კიდეც! — ისევ ვბაქიბუქობ.

„არადა, არ ვაპირებ გაშორებას, ა-რა! — ვფიქრობ ჩემთვის, — ნეტა რას ვიგიჟებდი თავს. ამათ რომ ვუყურო, ეეჰ... თუმცა სხვას ვის ვუყურო. პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ, მოვდივართ, მოვდივართ... ზეპირად ვიცნობ, ისინიც მიცნობენ. ანა ამ „კეე-კეე“-ს ძახილით ოთხჯერ გათხოვდა, სამჯერ ქართველზე, ერთხელ უცხოელზე. საერთოდ ამ საკითხს ძალიან მარტივად უყურებს. მე მგონი, ვინც სთხოვს, „კეე, კეე“ — ყველას თავს უქნევს და მიჰყვება. კიდევ რამდენჯერ გათხოვდება, ვინ იცის. ლეა, წარსულში ლია, ჯერ არ გათხოვილა. ამბობს, არ მინდა და არ ვთხოვდებიო, მე კი მგონია, უნდა და ვერ თხოვდება. აბა, რომელ ქალს არ უნდა გათხოვება? მე ხომ მინდოდა? ისე, ბოიფრენდი ჰყავს, ანუ საყვარელი, ანუ მეგობარი მამაკაცი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქმევა, ქმარი თუ დანარჩენი, ერთად ცხოვრობენ და სულ არ ადარდებთ პასპორტში ჩაწერილი მონაცემები და ჯვარდაწერილი ბეჭდები...

ვაიმე, მე რა უსუსური ვარ ამათთან შედარებით, გულზე შეიძლება გავსკდე, ისეთი უსუსური: არც ოთხი ქმარი მყავდა, არც მეგობარი მამაკაცი, არც საყვარელი, არც ბოიფრენდი...

პირველ კლასში ვინც მეჯდა გვერდით, ახლაც ის მიზის, ოღონდ სამზარეულოში. ეგ კი არა, ღამით საწოლშიც კი ეგ მიწევს, მამუკაზე ვამბობ — ჩემს ძვირფას, ერთადერთ და განუმეორებელ მეუღლეზე.

მე მგონი, თაყვანისმცემლადაც ეგ ერთი მყავდა, ყოველ შემთხვევაში, სხვა ისტორიულ პერსონაჟებს ჩემს უტყუარ ისტორიულ ქრონიკებში — ბავშვობის დღიურში ვერ ვპოულობ. სულ მამუკაზე მიწერია, ყველა ფურცელზე, ყველა აბზაცში... არადა მშვენიერი გოგო ვიყავი (ახლაც გადასარევი გოგო ვარ, დიახ!). ალბათ ვიღაცას მოვწონდი კიდეც, მოვწონდი კი არა, ვუყვარდი, მაგრამ მამუკა ჩემამდე არავის უშვებდა. ყველას ეჩხუბებოდა და



Cyan Magenta Yellow Black

ეძიძგილავებოდა, სულ კუდში დამყვებოდა. ვაღიარებ, რომ მეც არანაკლებ დავყვებოდი კუდში. გამეხედა გვერდით, სხვებიც შემეჩნია, ახლა ხომ მექნებოდა ოჯახური კამათისას სათქმელად: „იცი, რა ბიჭი დამდევდა? რა თაყვანისმცემლები მყავდა? მე კი შენ შემოგწირე ჩემი ცხოვრება და ამისთვის მადლობასაც არ მეუბნები!“

კამათი კი ხშირად მოგვდის, ხომ ვთქვი, ვერ გამოვასწორე-მეთქი. ძალს მე ვარ, ძალს — მამუკა. უფრო სწორად, სულ მამუკაა ძალს“.

— თანაც, — გადავხედე ისევ ამაყად გოგოებს, — მთელი ცხოვრება მაგას ვუყურებ და მომწყინდა უკვე.

— ამას მოსწყინდა მამუკას ყურება, — ჩემზე ანიშნა ლეამ ანას, ხმაში ირონიის წვეთები გაურია.

— კეე, — ამჟამად თეომ თქვა, ანას დაეთანხმა, — მაგრამ რაღა დროს მამუკას მოწყენაა, სიამის ტყუპივით ჰყავს შეზრდილი.

— თან როგორი სიამითა და სიამტკბილობით, — ტუჩები გამობერა ანამ.

„დამცინიან, აშკარად დამცინიან. ამათ როგორ დავაცინინებ თავს!“

— ირონია და დაცინვა მოგვიანებით, ძვირფასებო, — ვცდილობ, ანაზე კარგად გამოვბერო ტუჩები და სალეჭი რეზინივით ზედ ცხვირზე მივუტკაცუნო, — ჩათვალეთ, რომ უკვე გაშორებული ვარ, — ესეც ასე! ახლა უკანდასახევი გზაც მოვიჭერი.

— აი, ეს გოგო ამდენი ხანია, ლაპარაკობს და რა მოხდა, მიზეზი ვერ გავიგე, — ჩემზე ისე ეუბნება ლეა ანას, თითქოს მე არც ვარსებობ.

გავბრაზდი, ისევ ვულკანები ამოვაფრქვიე:

— რა, არ იცით, რა მოხდა? არ იცით, რა ხდება საერთოდ? არაფერს აკეთებს, არაფერს მიჯერებს, არაფერს მეკითხება... სახლი ლამის თავზე დაგვენგრეს, ოცდაოთხი საათი გარეთაა გასული და მე თუ გავედი, გიჟდება. მაცივრის კარს არ გამოაღებს — მე უნდა მოვემსახურო. მაგისმა სხამ ხომ გადამიყოლა, თან ყველაფერს მიკრძალავს, ყველაფერს! თუმცა თქვენ ამას როგორ გაიგებთ, ძვირფასებო, მსგავსი პრობლემები არც ერთს გქონიათ და არც — მეორეს. მეც აღარ მინდა, რომ მქონდეს და აღარც მექნება! მერე მინდა მთაში წავალ, მინდა — ზღვაზე, მინდა, მეორე სვირინგს გავიკეთებ, მინდა — პირსინგს. ეგ ქაჯი, აზიატი! ამ სვირინგის გამო ლამის ფანჯრიდან გადამაგდო, — ჩემს სვირინგს ვუყურებ, ძალიან მომწონს.

— დაწყნარდი, ვერ მოგერეოდა, — ვითომ დამამშვიდა ლეამ.

— არა, ხომ გახსოვთ, შეყვარებულობის დროს როგორიც იყო — არ შევიმჩნიე ლეას პასუხი, — თავზე მევლებოდა, ყველა სურვილს მისრულებდა, ოღონდ რამე მეთქვა და გაუჩენელს გააჩენდა. სულ არ აქცევდა ყურადღებას, მინი მეცვა თუ მაქსი, ღია თუ დახურული... მერე რამ შეცვალა, ვერ ვხვდები.

გუშინ საერთოდ კულმინაცია იყო! ქორწილში ვიყავით. მე ცალკე მივედი, ახალი კაბა მეცვა, ისეთი ლამაზი დეკოლტეთი, ყველა მე მიყურებდა, ეგ ვაჟბატონი გვიან მობრძანდა და...

— და მაგანაც შენ დაგიწყო ყურება? — მკითხა ლეამ, ისევ ირონიულად.

— არა, ვერ გამოიცანი, — ნიშნისმოგებით ვუთხარი, — ზედაც არ შემომხედა. სამაგიეროდ, სახლში რომ მოვედით, ის კაბა ტანზე შემომახია.

— არ გამაგიჟო, ასე აღაგზნე? მერე, მერე, გააგრძელე. აი, ახლა კი ინტერესით მოგისმენ, — სიცილი აუტყდა ლეას.

— აღგზნება და სექსი რომ ყოფილიყო, ახლა ასე აღშფოთებული არ იქნებოდა, — ჩემ ნაცვლად განუმარტა ანამ, — აკლია ამ გოგოს ეგ საქმე. როგორც ჩანს, დაგვიბერდა მამუკა, გამოსაცვლელია.

არა, ესენი მეგობრები არიან?! დიდი ხანია, ამაში ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არ არიან.

— ჰოდა, ცვლის კიდეც, ასე არაა? — შემომხედა ლეამ.



— მე ჩემი ვთქვი უკვე, — ვთქვი ამაყად, — ისედაც ამდენი წელი დავკარგე, ისედაც იმდენი გამოხდომა ვაპატიე, მაგრამ ახლა... ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის — ჩვენს ოჯახსაც! როგორ? მაგინა, მთელი კორპუსი შემიყარა, ბოლოს და ბოლოს, ხელით შემეხო და ვაპატიო?!

— დაგარტყა? — ეს კი მართლა გაუკვირდა ლეას.

— აბა, კაბის შემოხევა რა იყო? — ახლა მე გავიკვირვე, — ხელი ხან სად მოუხვდა და ხან — სად. და ყველაფერი ერთი დეკოლტეს გამო?! არ ვაპატიებ-მეთქი და მორჩა!

...და სწორედ ამ დროს მობილურზე დამირეკა ამ ამბის მთავარმა მოქმედმა გმირმა — ჩემმა ქმარმა.

„ვაიმე! — შევცბი, მაგრამ არ შევიმჩნიე, — ახლა დამიწყებს, სახლში რატომ არ დამხვდიო, ახლავე ადექი და წამოდიო, რას დამჯდარხარ მანდ, სახლი არ გაქვსო... მერე ერთს შემომაგინებს“.

იმან კი:

— სადა ხარ? ე, მოდი, რა, გეყოფა ახლა, ერთი გაფრენა მომივიდა... ხო, კაი, ვიცი, მაგრად მივქარე, იმ კაბასაც გიყიდი, მაგრად გიხდებოდა... ოღონდ მოდი, რა და თან ერთი კონიაკი ამოაყოლე, თორემ მკვდარი დაგხვდები... თავი მისკდება, ისეთ „პახმელიაზე“ ვარ...

რატომ კაქტუსი არ ამომივა ამ ენაზე! რა ვქნა ახლა? რომ ვბაქიბუქობ: „არიქა, უნდა გავშორდე, არიქა, არ ვაპატიებ არავითარ შემთხვევაში“... მე ხომ ვიცი, რომ ამის გამკეთებელი არ ვარ? და ისიც ხომ ვიცი, რომ ახლავე სახლში გავიქცევი, უკანმოუხედავად, დედობრივი მზრუნველობით შეპყრობილი, რომ მოვუარო, არ მოკვდეს, რამე არ მოუვიდეს. კაბას გიყიდიო... მიხვდა თავის დანაშაულს და როგორ არ ვაპატიო?!

მაგრამ ამ სამ „სტერვას“ რა ვუყო? მრცხვენია, ვუთხრა, რომ ჩემს გამოუსწორებელ ქმარს, რომელიც ხვალ თუ არა, ზეგ იმავეს ან მსგავსს გაიმეორებს, რომელსაც ცოტა ხნის წინ ვლანძღავდი და მიწასთან ვასწორებდი (ღირსი კი იყო, ვიცი), უკვე ვაპატიე და გაშორებით კი, რა ვქნა, ვერ ვშორდები. ბოლოს და ბოლოს ერთად გავიზარდეთ. სხვათა შორის, ერთად გაზრდის გამო ვმეგობრობ გოგოებთან, თორემ რა სამეგობროები ესენი არიან, ჰმ...

— პატიებას მთხოვს ბიჭი, — ვთქვი ჩუმად, ამაყად, მერე მობილურში გავაგრძელე, — ბატონო? მეტი საქმე არ მაქვს, აი, მეტი საქმე არ მაქვს, გაპატიო! მორჩა! გშორდები! დედაჩემთან მივდივარ, ნივთებისთვის ჩემებს გამოვაგზავნი. არც მელოდო, არც გაბედო ჩემი ნახვა, დარეკვაც კი არ გაბედო, გაიგე? შენ ბოლოს და ბოლოს, ვინ გგონივარ? არა, არ გაპატიებ, არავითარ შემთხვევაში...

— აი, ეგრე, ძალიან კარგი, იგრძნოს, რომ დამნაშავეა! — შემაქო ანამ, როცა მობილური დემონსტრაციულად ჩავაგდე ჩანთაში, — კაცი თავზე როგორ უნდა დაისვა, თუნდაც ეგ კაცი მამუკა იყოს...

— არ მოველოდი შენგან, — აჰყვა ლეაც, — ეს უკვე პროგრესია.

„იეს“! „იეს“! — გამომივიდა. ესე იგი, დაიჯერეს!

მაინც რას არ მოგაფიქრებინებს გამოუვალი სიტუაცია: ვითომ მამუკას ველაპარაკებოდი ასე მკაცრად და კატეგორიულად და სინამდვილეში უკვე გათიშულ მობილურში ავტეხე ერთი ამბავი. კიდევ კარგი, იმ დროს ხელმეორედ არ გადმორეკა, თორემ მაშინვე გავიყიდებოდი, რომ გათიშულ ტელეფონში ვლაპარაკობდი.

...ჰო, გავშორდები თუ არა, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. რამე დამაჯერებელ ტყუილს გამოვაცხობ გოგოებისთვის, ისევე როგორც ახლა, მაგრამ ამაზე ხვალ ვიფიქრებ, ამ წუთას ფიქრისთვისაც არ მცალია, სასწრაფოდ სახლში უნდა გავიქცე, გზად კონიაკი ვიყიდო, მივუტანო, მოვუარო, ყირამალა დავდგე მაგის გულისთვის... რამე არ მოუვიდეს ჩემს გამოუსწორებელ ქმარს!

sms-ები გამოგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 15 ივნისი 17 საათი.

## გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 43 წლის, მომხიბვლელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 48 წლამდე მომიხიბვლელ ქალს. 555678096

2. ვარ ქუთაისელი, ცოლიანი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 555272506

3. შეხვედრებისთვის გავიცნობ თელაველ ან თელავის რაიონის სოფლიდან გოგოს ან ქალს. 555660618

4. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სიმპათიურ და ბინით უზრუნველყოფილ 40 წლამდე ქალს, მხოლოდ მეგობრული ურთიერთობისთვის. 558650637. ლუკა

5. ჯერ სამეგობროდ, ხოლო შემდეგ ოჯახის შექმნის მიზნით, გავიცნობ 50 წლამდე ქალს. ვარ 54 წლის. 557454739. ვახტანგი

6. ვარ 31 წლის, სიმპათიური, განათლებული, ყოფილი სპორტსმენი, მწვანეთვალება, დასაქმებული მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ და სერიოზულ 50 წლამდე ქალს. 555619588

7. გავიცნობ 20-35 წლამდე, მოწესრიგებულ, სერიოზულ ქალს. ვარ 27 წლის, დასაქმებული, მყავს მანქანა. 555163585

8. გავიცნობ ბინიან, ერთგულ ქალს. ვარ 52/180/80 მამაკაცი. 599254174

9. ვარ იმერელი, მყავს მანქანა, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 40 წლამდე იმერეთში მცხოვრებ ქალს. 555339690. ლევანი

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ 34 წლამდე სიმპათიურ გოგოს. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მამაკაცი. 555163020

11. სამეგობროდ გავიცნობ 45-50 წლის ქალს. 598999725. გარიკა

12. ვარ 54/80/182, ბინიანი, გავიცნობ 40-50 წლის, ლამაზ ქალს შეხვედრებისთვის. 599124224

13. გავიცნობ თბილისელ 25-დან 35 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ თბილისელი, 29 წლის, დასაქმებული ბიჭი. 551202570. იკა

14. ვარ 30 წლის, სიმპათიური, თბილისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ გოგოს, სასურველია ჰქონდეს შეხვედრის ადგილი. 593973884

15. გავიცნობ 30 წლამდე ლამაზ გოგოს. 598891850. გიორგი

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ ქვრივ, 35 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ იმერეთიდან, 39 წლის სიმპათიური მამაკაცი. 557994113. ჯონი

17. გავიცნობ 35 წლის ქალს. 557437513. ნიკა

18. ვარ 44 წლის, სიმპათიური, კარგი გარეგნობის და ფიზიკური აღნაგობის მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც ერთგულებას, სითბოს და თანაგრძნობას არ მოვაკლებ, როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად. 557589381

19. გავიცნობ 35 წლამდე ეშხიან, გათხოვილ ან განათხოვარ ქალს. ვარ ცოლიანი, მაგრამ... ისე, რომ მარტო ჩვენ ორმა ვიცოდეთ... 595999214

20. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. ვარ 37 წლის, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. 593638594

21. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. 593461898

22. ვარ 26 წლის, ქუთაისელი ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ კარგ გოგოს, მყავს მანქანა და მაქვს ბინა შეხვედრებისთვის. 599457187

23. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ ქალს. ვარ 45 წლის მამაკაცი. 558187561. გელა

24. გავიცნობ პატიოსან და სუფთა წარსულის 25 წლამდე გოგოს. 593025045

25. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს სამეგობროდ. 555266048

26. გავიცნობ 38 წლამდე პუტკუნა გოგოს. 558556489

27. გავიცნობ ბათუმელ, ფინანსურად შეძლებულ ქალს. ვარ არამწეველი, 34 წლის. 514617575

28. ვარ თბილისელი, 38/170/69, დასაქმებული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, არამსუქან 40 წლამდე ქალს. 593908100. ზურა

29. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. ვარ მოსიყვარულე მამაკაცი იმერეთიდან. 555195520. რეზო

30. სამეგობროდ გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ქალს. 598770814

31. ვარ 50 წლის მამაკაცი. გავიცნობ ქალს დასავლეთ საქართველოდან. 557497135

„2. შეხვედრებისთვის გავიცნობ 28 წლამდე თბილისელ გოგოს. ვარ 26 წლის. 557260607. გიორგი

33. ვარ 40 წლის, სიმპათიური, თბილისელი, გაცილებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. 555639450

34. ვარ მაღალი, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი, ბინით და ავტომანქანით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ გოგონას. 557412499

35. ვარ სიმპათიური, თბილისელი, შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. დათო

36. შეხვედრებისთვის გავიცნობ კახელ, მარტოხელა, უკომპლექსო გოგოს 20-დან 25 წლამდე. ვარ 30 წლის. 555660618

37. სამეგობროდ გავიცნობ მშვიდი ბუნების, არამატყუარა, 45 წლამდე ქალს. ვარ 33 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი, ვარ მარტო. 558166173

## გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ ოჯახის გოგოს. ვარ 39 წლის. 599060494

2. ვარ 27 წლის, მაღალი და სიმპათიური, ვცხოვრობ თბილისში მარტო, მაქვს ჩემი ბიზნესი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თუნდაც განათხოვარ გოგოს. 593160340

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ქალს. ვარ 54 წლის. 557454739. ვახტანგი

4. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 47 წლამდე ქალს. 555677690

5. ვარ 42 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კარგი აღნაგობის ქალს. 551557465

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლამდე ქალს. ვარ 42 წლის მამაკაცი. 557504417

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 29-39 წლამდე ქალს. ვარ 38 წლის. 557504417

8. ვარ 36 წლის პატიოსანი ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე გოგოს. ვარ რაიონიდან. 555933317

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან გოგოს, ვარ დასაქმებული. 596117721

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ 30 წლამდე ქალს, უნდა იყოს ეკლესიური, პატიოსანი და ლამაზი. ვარ თბილისელი, 35 წლის, დასაოჯახებელი, სიმპათიური მამაკაცი. 555555202

11. ვარ 39/180/8, თბილისელი მამაკაცი, უმაღლესი განათლებით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე თბილისელ, მარტო მცხოვრებ, გასათხოვარ, მორწმუნე გოგოს. 599422503

12. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 959342

13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის ქალწულ გოგოს. 598140200. ჯაკა

14. ვარ 59 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 51 წლამდე ქალს, სასურველია რაიონიდან, ვუპასუხებ მესიჯებს. 555298598

15. ვარ ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. 558270100

## გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

18 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დაუქორწინებელ მამაკაცს. 558162515. ლოლიკო

2. ვარ 54 წლის, თბილისელი ქალი, მყავს ერთი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, მოწესრიგებულ მამაკაცს. 555127658

## გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ 45 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ ეკონომიურად ძლიერ, არაძუნწ მამაკაცს, რომელიც ამ გაჭირვებიდან ამომიყვანს. 555629927

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ხამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 15 ივნისის 17 საათამდე.

ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!

ერთი არქესატისაემი მიწერილ ორ ზარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

გზა ტაძრისაკენ

# დედა ანა: „მინდა, პატრიარქს ჩემი გამოცხადების შესახებ მოვუყვე“



მონაზონ დედა ანას (სურგულაძე) სულიერი გზა ეკლიანი, მაგრამ მრავალი სასწაულით და უფლის მადლით განათებულია. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ღვთისმშობელი გამოეცხადა და მიანიშნა, რომ მასთან უნდა წასულიყო. მერე კი იყო განსაცდელები. ჯერ ქმარი დაკარგა, მერე — შვილი. ამ ტრაგედიების შემდეგ მონასტერს მიაშურა. იქ ცხოვრების პერიოდში კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს, მეორე შვილი ავტოავარიაში დაეღუპა... სანამ მონაზონი გახდებოდა, 25 წელი მორჩილებაში გაატარა, დანარჩენი 5 წელი სამონაზვნო იყო, 2001 წელს კი მონაზვნად ეკურთხა. დღეს დედა ანა თავისი ქალიშვილის სახლში ცხოვრობს. იქ ულამაზესი სამლოცველო აქვს მოწყობილი. უამრავი წმინდანის ხატს შორის არიან მირონმდინარე ხატებიც. სახლში საოცარი მადლი იგრძნობა, ამ მადლს 79 წლის მონაზონი ყველას გადასცემს, ვინც მასთან რწმენით მიდის. დედა ანასთან საუბარი ადამიანებს გულისხმაში აგდებს, დააფიქრებს, გონების თვალს უხელს. ამაში ჩვენი მკითხველი თავადაც დარწმუნდება.

### ოჯახური ტრაგედიიდან მონასტრამდე

**დედა ანა:**

— წარმოშობით აფხაზეთიდან, ქალაქ გაგრიდან ვარ. იქ, საავადმყოფოში, ექთნად ვმუშაობდი. გათხოვილი ვიყავი, მეუღლე და ხუთი შვილი მყავდა. ჯერ ქმარი გარდამეცვალა, შემდეგ კი — 15 წლის ბიჭი. ამის შემდეგ ყველაფერი დავტოვე და მონასტერში წავედი. მანამდე ღვთისმშობელი სულ მესიზმრებოდა და მანიშნებდა, ჩემთან წამოდიო. მაშინ ძალიან ახალგაზრდა, 23-24 წლის ვიყავი და ეს ყველაფერი არ მესმოდა, არც სულიერად ვიყავი მზად. მერე, როცა თანდათანობით ამდენი განსაცდელი მომეცა, ამ ყველაფერზე მეტად დავფიქრდი. მივხვდი, რატომ მთხოვდა ღვთისმშობელი მასთან წასვლას.

37 წლის ვიყავი, მეუღლე რომ გარდამეცვალა. ერთი წლის შემდეგ უფროსი შვილი მომიკლეს. უბანში ბავშვებთან ერთად თამაშობდა, რაღაცაზე წაკინკლავდნენ ბავშვურად, მათ კი ისე აწამეს ჩემი ვაჟი, რომ სახე აღარ უჩანდა... მეუღლის სიკვდილის შემდეგ ეს საშინელი დარტყმა იყო. კარგად მახსოვს, ჩემი პატარა გოგონა როგორ მეხვეოდა და მთხოვდა, დედიკო, არ იტიროო.

ჩემი მეორე ვაჟი რომ დაიღუპა, მე უკვე მონასტერში ვცხოვრობდი. მანქანით სახლში ბრუნდებოდა, ნასვამი იყო და სახლთან ახლოს ავარია მოუვიდა. ადგილზევე გარდაიცვალა. ახლა მყავს სამი შვილი — ორი გოგო და ერთი ბიჭი, შვიდი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი.

თითქმის 25 წელი მორჩილი ვიყავი, მერე ცოტა ხანი — სამონაზვნო და 2001 წელს მონაზვნად მაკურთხეს. ახლა ძალიან ახალგაზრდა ქალებს აკურთხებენ მონაზვნად. ჩემი აზრით, ასე არ უნდა ხდებოდეს. მონასტრებში ძალიან დიდი ბრძოლებია. ჯობია, ქალებმა ოჯახები შექმნან, შვილები გააჩინონ, ერი გაამრავლონ. მერე კი, თუ ღმერთი ინებებს, წავიდნენ მონასტერში. არ არის საჭირო, უამრავი მონაზონი გვყავდეს, მთავარია, ხალხის რწმენა როგორი იქნება. წმინდა ნინო ერთი იყო, მაგრამ მთელი საქართველო გააქრისტიანა.

ჩემთან ბევრი გოგონა მოდის და ამბობს, რომ მონასტერში უნდა წასვლა. მათი ასაკი 19-22 წელია. ვუხსნი, რომ ჯერ იქ წასვლა არ შეიძლება, რადგან სამონაზვნოდ მომზადებული არ არიან. მონაზვნის კაბას რომ ჩაიცვამ და მერე გაიხდი, მაგას სჯობია, საერთოდ არ ჩაიცვა. 19-20 წლის გოგონებს რომ იღებენ მონასტერში, სწორი არ არის. ეს ბავშვები ჯერ კიდევ კომუნისტურ სტილში არიან აღზრდილი და მათში სულიერების ფუნდამენტი არ დევს. თუ სახლს კარგი ფუნდამენტი არ აქვს, ის ხომ დაინგრევა. სახურავიდან ხომ ვერ დაიწყებ სახლის აშენებას.

ეკლესიაში 1963 წლიდან დავდიოდი, მონასტერში კი 1970 წელს წავედი. იმის გამო, რომ ტაძარში დავდიოდი, კომუნისტური იდეოლოგიის ხალხი საშინელ დღეში მაგდებდა. ქუჩაში შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მაფურთხებდნენ. ერთხელ რამდენიმე ადამიანი დამხვდა და სამოსელი შემომახიეს. ლოცვას სახლშიც ვერ ვახერხებდი, ამიტომაც დავტოვე ყველაფერი და მონასტერში წავედი. ჩემი ოჯახი ძალიან წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვუთხარი, რაც უნდა გზები მომიჭრათ, უფალს მაინც არ დავტოვებ-მეთქი. შვილები დედაჩემს დავუტოვე და სამთავროს დედათა მონასტერში წავედი.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ძალიან თბილად მიმიღო. ჩვენი ეპარქია მას ეკუთვნოდა. ჩვენს ტაძარში იყო იღუმენი ანა, რომელიც 21 წლის ასაკში

> **„ახლა ძალიან ახალგაზრდა ქალებს აკურთხებენ მონაზვნად. ჩემი აზრით, ასე არ უნდა ხდებოდეს. მონასტრებში ძალიან დიდი ბრძოლებია. ჯობია, ოჯახები შექმნან, შვილები გააჩინონ, ერი გაამრავლონ".**

გახდა მორჩილი. თურმე მის ძმას რაღაც განსაცდელი ჰქონდა, მან კი აღთქმა მისცა, რომ მონასტერში წავიდოდა. მართლაც, მთელი თავისი ახალგაზრდობა და სიბერე უფალს შესწირა. 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩვენს მონასტერში კიდევ ორი მორჩილი იყო — დედა სუსანა და დედა ნინო.

ჩემს ოჯახში, როგორც გითხარით, ყველა წინააღმდეგი იყო ჩემი გადაწყვეტილების. სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მონასტრიდან არ გამოვიდოდი, მანამდე თავი არ დამანებეს. მერე კი შეეჩვივნენ, რომ მე ასეთი გზა ავირჩიე. თანაც მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შვილები ჩემს მხარეზე იყვნენ და ჩემს მონასტერში ყოფნას არ აპროტესტებდნენ. სამთავროს დედათა მონასტრის შემდეგ ცოტა ხანი ყაზბეგში, ლომისას წმინდა გიორგის მონასტერში მამა სერაფიონთან და დედა ბარბარესთან დავდიოდი, მაგრამ იქ ზამთარი ძალიან მკაცრია და ამ ბოლო დროს იქ ჩასვლა ვეღარ მოვახერხე.

ეკლესიის გზა რომ ავირჩიე, თანაც ასეთი მძიმე, იმ დღიდან ბევრი წინააღმდეგობა შემხვდა. ბრძოლები ყოველთვის მქონდა და დღესაც მაქვს. როდესაც ჩემთან მორწმუნე ადამიანები მოდიან, მთხოვენ: „დამლოცე, დედაო!“. მეც ხელს ვადებ და ვლოცავ. ამის გამო ბევრჯერ მისაყვედურეს, შენ ვინ ხარ, რომ ხალხს ასე ლოცავ, მოძღვარი ხომ არ ხარო. ეს ერთმა მოძღვარმაც (სახელის დასახელებისგან თავს შევიკავებ) მითხრა, მაგრამ არაფერი ვუპასუხე. ღვთის კურთხევა მაქვს, თორემ ჩემით კი არ ვაკეთებ რამეს. თუკი ერთ ადამიანს მაინც ვეხმარები, ამას მე კი არა, უფალი აკეთებს. ბევრს არაფერს ვითხოვ. მხოლოდ ის მინდა, რომ ერთი ჩემი კელია მქონდეს.

ბოლოს, გასულ ზამთარში, კიდევ ერთი გამოცხადება მქონდა. მამა ლეონტი ჟვანიამ მითხრა, აუცილებლად მიდი პატრიარქთან და ამის შესახებ უამბეო. ღვთისმშობელს არ უნდა, რომ სახლში ვიყო. ბოლოს რომ გამომეცხადა, ის ჩემ წინ იდგა, ორივე ხელში თონის პური ეჭირა. გვერდით მისი უწმინდესობა ედგა. ღვთისმშობელმა მითხრა: „წამოდი ჩემთან!“. თან გზა მიჩვენა ყაზბეგის რაიონისკენ, პატრიარქის სოფლისკენ. ალბათ უფრო გერგეთის სამების დედათა მონასტრისკენ მიმანიშნებდა.

მინდა, ჩემი სიცოცხლის დარჩენილი წლები მონასტერში გავატარო. თუმცა არა ისეთ ადგილას, სადაც დიდი ბრძოლებია. გამიჭირდება ისეთ მონასტერში ცხოვრება, სადაც ბევრი ახალგაზრდაა. დიდი სურვილი მაქვს, შევხვდე მის უწმინდესობას და რასაც მეტყვის, ისე მოვიქცევი. ჩემი გამოცხადების შესახებ მოვუყვები და ის თავად გადაწყვეტს, რა უნდა გავაკეთო. რამდენჯერმე მივედი, მაგრამ ჯერჯერობით მისი ნახვა ვერ მოვახერხე. ხომ იცით, ჩვენი პატრიარქი როგორი დაკავებულია.

### მოგონებები მამა გაბრიელზე

— მამა გაბრიელს სამთავროს მონასტრამდე ვიცნობდი. მასთან სახლში ხშირად მივდიოდი და ჩემი ახლობლის შვილი, ავადმყოფი გოგონა მიმყავდა, რომ დაელოცა. მისი დები და დედა გამოგვეკიდებოდნენ და მოგვაძახებდნენ ხოლმე: „სულელები მოდიან თავისნაირ სულელთან“. წლების შემდეგ, როცა მამა გაბრიელი ცოცხალი აღარ იყო, მის დას შევხვდი და გავახსენე, როგორ გვდევნიდნენ. მან კი ბოდიში მომიხადა და მთხოვა, მოდით ხოლმე ჩვენს სახლშიო.

1970 წელს, როცა მონასტერში მივედი, მამა გაბრიელი იქ დამხვდა. პატარა კელია ჰქონდა, რომელიც ყველაზე ზევით და ყველაზე ძველი იყო. მე ხშირად შევდიოდი და იქაურობას ვალაგებდი. ზოგიერთ დედას არ სჯეროდა მამა გაბრიელის ძალის. ხშირად უთქვამთ, მისმა ზეთმა რა უნდა მიქნასო. ერთხელ ჩემი ქალიშვილი მოვიდა და შემომჩივლა, ფეხი მტკივაო. მე კი მამა გაბრიელის საფლავთან მივიყვანე, ზეთი წავუსვი და ვილოცეთ. ცოტა ხანში გაკვირვებულმა მითხრა: „დედა, ახლა კარგად ვარ, ფეხი აღარ მტკივა“. თუ რწმენა არ გაქვს, ვერც ზეთი გიშველის და ვერაფერი. ხოლო, თუკი რწმენით ხარ სავსე, მაშინ უფალი →75



Cyan Magenta Yellow Black



# თუ ღმერთი უსმენს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვეშინოდეს

## ხსენება წმინდათა მოციქულთა იასონისა და სოსიპატრესი და მათთან წამებულთა სხვათა მოწამეთა

**გაგრძელება**

იმ დღიდან მოხდა ქრისტოდულოსის სულიერი ფერისცვალება, ხელში ეჭირა კერკირას მიერ ნაჩუქარი ჯვარი და ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში მოუწოდებდა ყველას სინანულისკენ, ასწავლიდა ხალხს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ეგების თაყვანისცემა და განკაცებული, ხორცშესხმული, კაცთა მოდგმის გამომხსნელი არის ქრისტე. ხმამაღლა იმეორებდა: „ქრისტეში ვცხოვრობ, ვითხოვ ქრისტეს, მას ვეძებ და ვეთაყვანები მხოლოდ“. ეს იყო სიტყვები, რომლებიც ქრისტოდულოსის ცხოვრების წესი გახდა კერკირასგან განშორების შემდგომ.

ქრისტოდულოსის გულანთებული მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის, რომელთაც წარმართული კერპების მსახურებით ჰქონდათ გონება დაბინდული და ყოველი ქრისტიანული წამოწყება მათთვის იყო საშინელება. ეპარხოსი გამხეცებული იმუქრებოდა და ეძებდა ისეთ შემთხვევას, რომ ქრისტოდულოსი თავისი საქციელის გამო სასტიკად დაესაჯა.

ერთ დღესაც ბრძანა მისი შეპყრობა. მართლაც, შეიპყრეს ჯვრით ხელში მოსიარულე ქრისტოდულოსი და მიჰგვარეს ეპარხოსს, რომელმაც მიმართა ქრისტოდულოსს: „ბნელეთის მოციქულო და ყველა ცხოველზე კიდევ უფრო ცხოველო, ნუთუ არ გაქვს სხვა მეტი საქმე, რომ აგილია ეგ ეშმაკის მახვილი და გაიძახი, ქრისტე არის ღმერთი და მხოლოდ მისი არს პატივი და თაყვანისცემაო. როგორ მოგაჯადოვა იმ გველის წიწილმა კერკირამ და შეგაცვლევინა მამა-პაპათა სარწმუნოება“. ქრისტოდულოსმა აღმართა ჯვარი და შესძახა ყველას გასაგონად: „ქრისტეს ვითხოვ და ქრისტე მწადია, მხოლოდ ქრისტეს ვცემ თაყვანს“.

ეპარხოსმა ბრძანა, ქრისტოდულოსი გაეკრათ ქრისტეს მსგავსად ძელზე ხელფეხგაშლილი და ეცემათ შეუბრალებლად, ვიდრე სულს არ განუტევებდა. მართლაც, აღასრულეს მსახურებმა ეპარხოსის ბრძანება და იმდენი ურტყეს თავში, ვიდრე სული არ განუტევა ქრისტეს მოწამემ, რომელიც საშინელი წამების მიუხედავად გაიძახოდა შემდეგ სიტყვებს: „გმადლობთ შენ, უფალო იესო ქრისტე, რაითა სისხლითა ჩემითა ნათელს ვიღებ, მიიღე მშვიდობით ჩემი სული წარდგომასა წინაშე შენისასა“.

დასახიჩრებული ქრისტოდულოსის სხეული ეპარხოსის ბრძანების თანახმად გალავნის გარეთ გაიტანეს და ფრინველთა საჯიჯგნად გადააგდეს. ამის შემდეგ გაბოროტებულმა ეპარხოსმა საპყრობილეს მიაშურა, სადაც წმინდა ქალწული კერკირა ჰყავდათ გამომწყვდეული და შეატყობინა მეფეს ციხეში მისვლის მიზეზი. მეფემაც ნება დართო, ემოქმედა სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

მაშინ ბრძანა ეპარხოსმა კოცონის დანთება, რომელზეც ყველას დასანახად დაწვავდნენ კერკირას. მართლაც იმხელა ცეცხლი დაანთეს, რომ მისი ხმაური აყრუებდა კუნძულის მოსახლეობას. კოცონს მცველები დაუყენეს. სამი დღის განმავლობაში იწვოდა და ვერავინ ბედავდა ახლოს მიკარებას. კოცონი ნელნელა ჩაიფერფლა და წმინდა ქალწული მლოცველი და სრულიად უვნებელი იდგა ნახშირზე. უფალმა ასე დაიფარა განსაცდელისაგან საკუთარი მოწაფე და ამით ყველას უჩვენა რწმენის მაგალითი. ყველას გასაოცრად იდგა მშვიდად წმინდა მოწამე და უფლის ანგელოზი იფარავდა საკუთარი ფრთებით.

ამის შესახებ რა შეიტყო მეფემ, შეეშინდა, არ გაგიჟებულიყო, თუმცა მაინც მოახერხა და ჰკითხა: „შენ ხარ კერკირა, ჩემი შვილი?“ რაზეც წმინდანმა უპასუხა: „შენი შვილი ვიქნები მაშინ, თუ ირწმუნებ იესო ქრისტეს“. მეფემ მიუგო: „კიდევ არ გსურს, გონს მოხვიდე, შვილო, ვერ ხედავ, რამხელა ცეცხლისგან გიხსნეს ჩვენმა ღმერთებმა და შენ მაინც ქრისტეს გაიძახი“. ამის შემდეგ მიმართა წმინდანმა მეფეს: „ასე რამ დაგაბრმავა, ნუთუ ვერ ხვდები ამ სასწაულს, რაც იხილეთ ჩემი კოცონში ჩაგდების შემდეგ. შორს ჩემგან შენი უგრძნობი ღმერთები, რომელთაც არც ესმით, ვერც ხედავენ, ვერც ვერაფერს გრძნობენ. ასე რომ, ჩემი შემწე არის ქრისტე, მან მომავლინა ანგელოზი, რომელმაც მიხსნა ცეცხლისაგან. ვისაც სწამს მისი, არასოდეს დარჩება იმედგაცრუებული“.

ამ სიტყვების გაგონებაზე აცახცახდა მეფე. თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა სიბრაზისგან, მრისხანების გამო მწყობრიდან გამოდიოდა. მართალია, არ უნდოდა შემჩნევა, მაგრამ ამის დაფარვა შეუძლებელი იყო. იხმო თავისთან ეპარხოსი და უბრძანა: „ახლავე მომაშორე ეს ღვთისმგმობელი, რათა თვალით აღარ დამენახოს, ამის სახსენებელი გააქრე დედამიწიდან, თუ არ გსურს, შენც სასტიკი წამებით დაასრულო სიცოცხლე“.

ეპარხოსს ისღა დარჩენოდა, გაეყვანა ქალაქის გარეთ და შეურაცხმყოფელი სიკვდილით მოეკლა ღვთის, ჭეშმარიტების აღიარებისთვის მოწამე ქალწული. გალავნის გარეთ თავდაყირა ჩამოკიდეს წმინდანი და ყველა ურტყამდა, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა წარმართობისაგან გაბოროტებულს.

ასე აღესრულა წმინდა ქალწულმოწამე კერკირა საკუთარი ხორციელი მამისგან უარყოფილი, ხოლო ღვთისგან უზომოდ შეყვარებული. ეს ყოველივე კი ღირსეულმა მღვდელმა თეოდოსიმ შემოგვინახა და გადმოგვცა მოციქულების წმინდანთა იასონის და სოსიპატრეს ცხოვრებასთან ერთად, რომლებიც კერკირას და ქრისტოდულოსის შემდეგ გამოიყვანეს საპყრობილიდან და რაც მოიფიქრეს მათ საწამებლად, იყო ის, რომ გალავნის გარეთ ამოთხარეს დიდი ორმო, რომელშიც ფისთან ერთად ჩაასხეს ზეთი და ცეცხლი მოუკიდეს. გავარვარებულ ორმოში გადაწყვიტეს მათი ჩაყრა, სადაც, მტარვალთა აზრით, ფერფლად იქცეოდნენ წმინდა მოციქულები და ეს იქნებოდა მათი და ქრისტიანობის ქადაგების დასასრული.

კუნძულზე წმინდა მოციქულებთან ერთად იმყოფებოდა ასევე ნეტარი სატორნინოსი, რომელიც გალობით მიაბიჯებდა მოწამეობრივ გზაზე საკუთარ მასწავლებლებთან ერთად და ხმამაღლა ლოცულობდა: „უფალო იესო ქრისტე, რომელმაც აცხოვნე ავაზაკი ჯვარზე გაკვრით შენი აღიარებისთვის, ჩვენცა ცოდვილნი და უღირსნი მონანი შენი შეგავედრებთ სულთა ჩვენთა. მოგვიხსენე ჩვენცა სასუფეველსა შენსა“. ამ დროს მოისმა ხმა ზეციდან: „გიხაროდეთ და მხიარულ იყვენით, მოწამენო ჭეშმარიტებისთვის, რადგან შეისმინა უფალმა თქვენი სათხოვარი და იქნებით წიაღთა შინა აბრაამისათა, რისთვისაც მიიღებთ უჭკნობ გვირგვინებს“.

ამ სიტყვების გამგონე შეკრებილი ხალხის უმრავლესობამ მაშინვე ერთხმად წამოიძახა: „ჩვენც მოწამეების მსგავსად ვართ ქრისტიანები“. სატორნინოსმა კი, უზომოდ ბედნიერმა, მადლობა შესწირა უფალს შემდეგი სიტყვებით: „გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ვაკურთხევთ, ვუგალობთ და ვადიდებთ წმინდასა სახელსა შენსა, რათა მსწრაფლ გვიჩვენე ჩვენ უღირსთა მონათა შენთა სასწაული შენი“.

აღესრულა კიდევ ერთი ღირსეული ქრისტეს მხედარი სატორნინოსი, რომლის წმინდა სხეულიც გალობით გადაასვენეს წამების ადგილიდან და მიაბარეს მიწას იმ ადგილას, სადაც წარმართული სამსხვერპლო გააუქმეს. ამის შესახებ შეიტყვეს წმინდა მოციქულებმა, რომლებიც ჯერ კიდევ საპყრობილეში ელოდებოდნენ თავიანთ განაჩენს, ჰმადლობდნენ და ადიდებდნენ მომხდარის გამო უფალს: „ესე არს განახლებაი მარჯუენისა მაღლისაი“ (ფს.76.10).

როცა გაიგო ღვთის დაუძინებელმა მტერმა კერკილინოსმა, რომ კუნძულის უმრავლესობა უკვე გაქრისტიანებულიყო და მალე ალბათ მხოლოდ თვითონ და მისი მსახურები თუ იქნებოდნენ წარმართები, ზომების მიღება გადაწყვიტა და ვიდრე მოციქულების წამებას მოიფიქრებდა, წმინდა მოწამეების საფლავებზე წარმართული სამსხვერპლოების აგება ბრძანა, რომ ამით დავიწყებას მისცემოდა ქრისტიანთა თაყვანისცემის ადგილები.

ურჯულო კერკილინოსმა შეკრიბა მთელი სამეფოს ჯარი და დაიწყო მათ წვრთნა ქრისტიანთა ამოსახოცად, რათა არასდროს აღარავის გასჩენოდა ამ კუნძულზე გაქრისტიანების სურვილი. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ უფალი მეფობს და ღვთის ეკონომია ამოქმედდა ამ შემთხვევაში. მორიგი წვრთნისთვის მეფემ მთლიანი ჯარი ზღვაში გაიყვანა მოსამზადებლად და სწორედ ზღვაში ეწიათ ღვთის სასჯელი ურჯულო მეფესაც და მის ჯარსაც. ისეთი ღელვა ატყდა, რომ ფარაონის და მისი მხედრების მსგავსად მეფეც და მისი ჯარიც პირწმინდად აბობოქრებულ ზღვაში შთაინთქა ისე, რომ ამბის გამომტანიც კი არავინ გადარჩენილა.

ამის მნახველი მორწმუნე ქრისტიანები ადიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ მოსეს და ისრაელიანთა გალობას, რომლითაც უმღერდნენ უფალს: „ვუმღერი უფალს, რადგან განდიდდა დიდად, ზღვაში გადაყარა ცხენნი და მხედარნი მათნი“ (გამოს. 15.1-2). ამის შემდეგ გათავისუფლდნენ საპყრობილიდან წმინდა მოციქულები იასონი და სოსიპატრე,





Cyan Magenta Yellow Black

რომლებმაც კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძეს ღვთის სიტყვის მოფენა დარჩენილ წარმართებში.

ამასობაში ტახტზე ავიდა დატიანოსი, რომელმაც დაიბარა თავისთან წმინდა იასონი და სოსიპატრე და ჰკითხა: „აბა, მითხარით, საიდან გაქვთ ასეთი გამბედაობა და შემართება და ბედავთ ამ ყოველივეს შემდეგ ურჯულოების ქადაგებას. მე არ მაქვს სურვილი, ვიდგე და ვუყურო, როგორ შეურაცხყოფენ ჩემი მამა-პაპების ღმერთებს და მასწავლიან, რომ ღმერთი არის ვილაც იუდეველი ჯვარცმული ქრისტე“. ამაზე მეფეს მიუგო წმინდა იასონმა: „რომ გქონდეს ახელილი გონების თვალი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა შენთვის იმის გაგებაც, თუ ვინ არის ნამდვილი ღმერთი და არა ისინი, ვისაც შენ და შენნაირები ეთაყვანებით“.

ამის შემდეგ კიდევ მიუგო მშვიდად მეფემ: „თქვენთვისაც სასარგებლოა, ისევ დაუბრუნდეთ წინაპრების ღმერთებს, რომლებიც მსოფლიოში აღიარებული და ცნობილები არიან თავიანთი ღვთაებრიობით, რომელთაც მოგვცეს ბრძენნი ორფევსი, ომიროსი, ისიოდოსი და უამრავი სხვა. თუ არ შეისმენთ ჩემს შეგონებას, მაშინ იძულებული ვიქნები, ვიყო უსასტიკესი თქვენ მიმართ და უმკაცრესად გაგისწორდეთ“. ამაზე ღიმილით უპასუხეს წმინდა მოციქულებმა: „ის, რაც გსურს, რომ მოიმოქმედო და გვაწამო, იქნებ დააჩქარო, რადგან, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ არც ერთ ღმერთს ვცემთ თაყვანს, გარდა ქრისტე იესოსი“.

არ არის აუცილებელი, თქვენ დამაჩქაროთ ამის გასაკეთებლად, მე თვითონ დავაჩქარებო და გასცა მეფემ განკარგულება, შეეკრათ მათთვის რკინის ხელბორკილებით ხელ-ფეხი და ადუღებულ ფისში და სანთელში ჩაეყარათ. ასევე ბრძანა მტარვალმა, ჯერ სოსიპატრე ეწამებინათ და ამისთვის ეცქირა იასონს. მაგრამ ეს ყოველივე როდი ცვლიდა რამეს, რაც არ უწყოდა უგუნურმა მტარვალმა.

ასე ღვთის დიდებაში აღესრულა წმინდა მოციქული სოსიპატრე 28 აპრილს ახალი სტილით. ხალხი კი უფრო მეტი შემართებით გაიძახოდა სოსიპატრეს გარდაცვალების შემდგომ: „თვინიერ ქრისტე ღვთისა არა არს სხვა ღმერთი“ და მის წამებას აყვედრიდნენ მეფე დატიანოსს, რომელმაც ველარ გაუძლო ხალხის ყვედრებას და მეორე დღეს თავი ქრისტიანად გამოაცხადა. კისერზე მძიმე ქვა ეკიდა სინანულის ნიშნად, რაც მოიმოქმედა სოსიპატრეს მოკვდინებით. „ღმერთო სოსიპატრესო და იასონისო, მილხინე მე, ცოდვილსა და შემიწყალე, წმინდაო მოწამეო სოსიპატრე, ევედრე ღმერთსა შენსა ჩემი ცოდვილი სულისათვის, იმ ცოდვისთვის, რაც ჩავიდინე, უკანონოდ მოგექეცი, ცეცხლში რომ ჩაგაგდე“.

ამის შემდეგ მეფე მიუბრუნდა წმინდა იასონს და მიუგო: „დღეიდან მეც ქრისტიანი ვარ და მოვიქცევი ისე, როგორც მიბრძანებ“. იასონი ჰმადლობდა უფალს მეფის ამგვარი შემობრუნების და სინანულის გამო. შებრუნდა და ხალხს მოუწოდა: „მოდით, ძმანო, ქრისტიანენო, ახლა ჩვენი ძმის სოსიპატრეს ნეტარი სხეული მივაბაროთ მიწას და განვადიდოთ ქრისტეს სახელი“.

მიაბარეს წმინდა მოციქული მიწას სათანადო პატივით და დადგა ის დრო, როცა მეფესაც უნდა ნათელეყო. ამაზე ცოცხლად გადარჩენილმა იასონმა იზრუნა, მონათლა მეფეც და იქ შეკრებილი ათასობით მკვიდრი. იმ დღიდან გახდა კუნძული კერკირა ქრისტიანული კუნძული. როცა მოინათლა მეფე და მისი სახლეული მთლიანად, ყოვლადწმინდა სამების სახელით მეფეს სახელად სებასტიანოსი უწოდეს.

ამ დღიდან დაიწყო კუნძულზე ტაძრების მშენებლობები, წარმართული სამსხვერპლოების ადგილზე შენდებოდა უფლის ტაძრები. თვითონ მეფემ ააგო ტაძარი იქ, სადაც ინახებოდა წმინდა სოსიპატრე მოციქულის წმინდა ნაწილები. ტაძარი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელზეა და დღესაც ამაყად დგას კუნძულ კერკირაზე. ამავე ტაძარში მოღვაწეობდა თვით მოციქული იასონი და რამდენიმე წლის შემდეგ ისიც დიდი პატივით დაკრძალეს სოსიპატრეს გვერდით.

ერთხელ მეფის ვაჟი უკურნებელი სენით დაავადდა და გარდაიცვალა. უნუგეშოდ დარჩენილი დედოფალი მიადგა წმინდა მოციქულების საფლავებს და ჩასძახა ცრემლმორეულმა: „მონანო ღვთისა მაღლისანო, ვფიქრობ, რაც უნდა სთხოვოთ უფალს, დაუყოვნებლივ მოგეცემათ, ამიტომ ვკადნიერდები და ვითხოვ თქვენგან, ევედროთ ჩემი შვილისთვის, რადგან მწამს, რომ დაუყოვნებლივ აღსრულდება თქვენი თხოვნა“. მაშინ მოისმა ხმა წმინდანთა, რომელთაც მიუგეს: „დედაკაცო, ითხოვე ისეთი რამ, რაც ჩვენ ძალებს აღემატება და უძლურები ვართ, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის ყოველივე შესაძლებელ არს“. შინ დაბრუნებული დედოფალი თვალებს არ უჯერებდა, შვილი სრულიად ჯანმრთელი წამომდგარიყო და შეკრებილებს ესაუბრებოდა, ხალხი კი გაიძახოდა: „ნამდვილად ჭეშმარიტი ღმერთის ნიშანი არის ეს, რასაც ვხედავთ“.

იყო კიდევ ასეთი შემთხვევაც ჯერ კიდევ წმინდა იასონის სიცოცხლეში: მასთან მივიდა ერთ-ერთი დიდებულის ცოლი, მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვდა, არაწმინდა სულებისგან გაეთავისუფლებინა. მართლაც, ქრისტეს ჭეშმარიტმა მოციქულმა მაშინვე გამოსახა ავადმყოფს თავზე ჯვარი და შესთხოვა უფალს ქალის განკურნება. სასწაულმაც არ დააყოვნა და ქალი სრულიად გათავისუფლდა უწმინდური სულებისაგან.

წმინდა იასონის სასწაულების შემხედვარე, ერთმანეთის მიყოლებით ინათლებოდნენ და აშენებდნენ ტაძრებს წარმართული სამსხვეპლოების ნაცვლად, რითაც უზომოდ ბედნიერი იყო წმინდა იასონი. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და მოახლოვდა წმინდა მამის აღსასრულიც. ერთ დღეს ლოცვის დროს წმინდანს ხმა მოესმა ზეციდან, რომელიც ამცნობდა: „გიხაროდეს და მხიარულ იყავ, მონაო კეთილო მორწმუნეო, დროა, შეიგრძნო სამოთხის სურნელი შენს ძმასთან სოსიპატრესთან ერთად საუკუნოდ“.

მიხვდა წმინდა მამა, რომ ეს ხმა მოასწავებდა მისთვის მიწიერ დასასრულს. გახარებული მიწაზე დაემხო და მადლობდა უფალს, თავისივე საფლავი მოამზადა წმინდა სოსიპატრეს გვერდით. ამის შემდეგ შეკრიბა მთელი კუნძულის ქრისტიანები და სთხოვა ყველას, არასდროს დავიწყებოდათ მოწყალება და ყოველთვის ჰყვარებოდათ ერთმანეთი. ეს იყო მისი სათხოვარი, რადგან ვისაც სურს, რომ ღმერთი იხილოს, ეს ორი სათნოება არის უმნიშვნელოვანესი.

სამოცი წლის იყო წმინდა იასონი, როცა მიაბარა სული თვისი უფალს. ეკლესია ახალი სტილით 29 აპრილს დღესასწაულობს მათ ხსენებას. სამღვდელოება თაობიდან თაობას გადასცემდა წმინდა მამის დანაბარებს და ასე გრძელდება დღემდე. უზომო პატივს მიაგებენ მორწმუნეები წმინდა მოციქულებს და მათთან ერთად წამებულთ, რომელთა მეოხება და მფარველობაც ჩვენთვისაც აუცილებელია და არც მოგვკლებოდეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

**დასასრული**



# „დროს კი არ მოაქვს ურწმუნოება, რწმენის არქონას მოაქვს ცუდი დრო“

„წყალობა ადრე თუ გვიან აუცილებლად ბრუნდება მწყალობელთან, ხშირად მოულოდნელად და გაცემულთან შედარებით მრავალჯერ აღმატებულად“, — ამბობს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე). ზოგჯერ ადამიანს უნდა, გაღებული სიკეთის საზღაური მალევე, ამქვეყნად ყოფნისას მიიღოს. არადა უანგარო სიკეთე ის სულიერი საგანძურია, რითიც უფლის წინაშე უნდა წარდგეს. ალბათ ძნელია იპოვო ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს, რომ მოწყალების გაცემა, ამქვეყნიურ ამაო სიმდიდრეზე უარის თქმა ცხონებისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზაა, მაგრამ მატერიალური კეთილდღეობის დათმობა მხოლოდ გამონაკლისებს თუ შეუძლიათ. ქონების მოხვეჭის ცდუნებას ხშირად მორწმუნე ქრისტიანებიც ვერ უძლებენ, სწორედ ამ დროს არის საჭირო სულიერი მამისგან დამოძღვრა.

— **მამაო, მორწმუნეებს ხშირად უჭირთ მატერიალური გაჭირვების სწორად აღქმა და გადატანა. ამ დროს უფლის მიმართ საყვედურებიც ისმის. რას ეტყვით მათ?**

— წუთისოფელი ყველას მასპინძლობს, მაგრამ ყველას თანასწორად როდი ექცევა. ისეთ სტუმარს ყვარობს, რომელიც თავისად მიაჩნია, დაემორჩილება მის „ოჯახურ წესებსა და ტრადიციებს“, ხოლო ვინც უარყოფს მის თვალთმაქცურ „შეპატიჟებას“ და ვნებებითა და ბოროტებით სავსე „გაშლილ სუფრას“, სძულს. ადამიანი 100 წელსაც ვერ ცოცხლობს ამსოფლად და 1000 წლისას იმზადებს, განუწყვეტლივ ეძებს, აგროვებს იმას, რასაც პოვნისა და შეგროვებისთანავე დაკარგავს. შიშველი მოდის ამქვეყნად, უკან კი საკუთარი ხორციც ვერ მიაქვს, რომელიც ყველაზე ახლობელია მისთვის.

ცხოვრების არსი და ხარისხი სიცოცხლის ხანგრძლივობითა და რაოდენობით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ ამის მაგალითს, პირველ რიგში, განკაცებული ღმერთი მოგვცემდა, არ ეცმებოდა ჯვარს 33 წლის ასაკში. უფალმა მიწაზე ყოფნის ამ მცირე დროის განმავლობაში აღასრულა ის უდიდესი მისია, რასაც კაცთა მოდგმის ცოდვის ტყვეობიდან გამოხსნა ჰქვია. ამიტომ, როდესაც ვინმე ახალგაზრდა გარდაიცვლება ან მოკლავენ, ან უსამართლობის მსხვერპლი გახდება, არ უნდა დავბრკოლდეთ, ძვირი არ უნდა ვთქვათ უფლის მიმართ (უსამართლობაა, რატომ დაუშვა უფალმა და ა.შ.), არამედ გავიხსენოთ ჯვარცმული ქრისტე, უსამართლოდ, შურით მოკლული და ამით ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. უფალი ჯვარზე აწამეს და მოკლეს, მისი ჯვარმცმელები კი ცოცხალნი დარჩნენ. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება, სიცოცხლისა და კეთილდღეობის ხანგრძლივობით განვსაზღვროთ ადამიანის რაობა და ბედნიერება?! ჭეშმარიტად, რომ არა!

მაცხოვარი ბაგაში იშვა პირუტყვთა შორის, რადგან წუთისოფელმა უკეთესი ვერ გაიმეტა მისთვის, არ მოიძებნა უფლისთვის ამ ცოდვილ მიწაზე უკეთესი ადგილი. 33 წლის მეტი ვერ გაუძლო ამ ცოდვილმა მიწამ მაცხოვრის წმინდა სხეულის ტარებას, აღარ ამყოფა თავისთან. ჰეროდეს, კაიაფას, პილატესა და მათი მსგავსი სისხლისმსმე-

→74



Cyan Magenta Yellow Black

ლებისათვის მეფობა, კეისრობა და დიდებულება გაილო, გასცა, ქრისტესთვის კი, ერთადერთი ჭეშმარიტებისათვის, ჯვარზე გაკრულის სიკვდილისწინა თხოვნაც არ შეისმინა: მოწყურებულს ნაღველში გარეული ძმარი მიართვა. ბაგა, დევნა, ცემა, ტანჯვა, ფურთხება, ძმარი, ლურსმნები, ლახვარი — აი, ის დიდი „სიკეთეები“, რომლებიც მიწას ემეტება ქრისტესა და ქრისტიანებისათვის. შენ კი, ადამიანო, თუ ის ამაზე უკეთესს გთავაზობს — ძვირფასს, დიდებულს, დაფიქრება გმართებს. უცებ ნუ მიენდობი მას, განსაჯე, ვისი ხარ — ქრისტესი თუ ამ წუთისოფლის.

— **შეიძლება თუ არა, მორწმუნე გამართლდეს ღვთის წინაშე იმის გამო, რომ მას რთულ პერიოდში, მრავალი საცდურით სავსე დროში მოუწია ცხოვრება?**

— დღეს ძალიან მძიმე გარემოში, ათასგვარი საცდურით აღსავსე დროში ვცხოვრობთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ განვმართლდებით ღვთის წინაშე ჩვენი ურწმუნოების გამო. ბედნიერება განისაზღვრება არა გარეშე საგნებით, სამყაროში არსებული მატერიალური კეთილდღეობით, არამედ სულისა და

**„ცხოვრების არსი და ხარისხი სიცოცხლის ხანგრძლივობითა და რაოდენობით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ ამის მაგალითს, პირველ რიგში, განკაცებული ღმერთი მოგვცემდა, არ ეცმებოდა ჯვარს 33 წლის ასაკში“.**

გულის შინაგანი მდგომარეობით, განწყობით. როდესაც სულს უხარია, თითქოს ირგვლივ ყოველივე ხარობს. მართალია, გარემოს, ოჯახურ აღზრდას, მაღალზნეობრივ ადამიანთა გარემოცვაში ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ არა — გადამწყვეტი. გავიხსენოთ იუდა, მაცხოვრის საყვარელ მოწაფედ შერაცხული და მისი ალსასრული და ავაზაკი, ავაზაკთა შორის მყოფი და ცხონების კარის პირველი შემღები. მაცხოვნებელმა გარემოცვამ ვერ იხსნა იუდა წარწყმედისაგან და არც ავაზაკის ცხონებას შეუშალა ხელი მისმა დამღუპველმა გარემოცვამ, რადგან შეინანა. დროს კი არ მოაქვს ურწმუნოება, რწმენის არქონას მოაქვს ცუდი დრო.

— **ბევრი მიიჩნევს თავს მორწმუნედ, უფლის სახელს ხშირად ახსენებენ, მაგრამ დგება მომენტი, როცა აშკარავდება, რომ მათი სიტყვა და რწმენა ერთმანეთისგან დაშორებულია.**

— ადამიანთა ნაწილს სარწმუნოება საკუთარი კეთილდღეობისათვის, ნებიერი ცხოვრებისა და ბიზნესის უშფოთველი წარმართვისთვის ესაჭიროება. იგი საკუთარ „თილისმად“ წარმოუდგენიათ, რომელიც მათ ინტერესებს უნდა ემთხვეოდეს და აკმაყოფილებდეს. თავად კი არ ემსახურებიან უფალს, რწმენას, არამედ პირიქით, სურთ, რომ უფალი, რწმენა იყოს მათი მოსამსახურე. ნეტარებენ იმ საგნებით, რითაც უნდა სარგებლობდნენ (სიმდიდრით, ქონებით, საზრდელით) და სარგებლობენ იმით, რითაც უნდა ნეტარებდნენ (რწმენა, სათნოება, მოწყალება). თუ ისე არ მოხდა, როგორც მათ აწყობთ ან რაიმე უბედურება შეემთხვევათ თავიანთი ცოდვების გამო, იმ წამსვე უფალში შეაქვთ ეჭვი, მასზე რისხდებიან და ამბობენ: „ამდენს ვლოცულობ, ასეთი მორწმუნე ვარ და რატომ დამემართა ეს?“. თუ ყველაფრით დაკმაყოფილებული არიან, მაშინ სწამთ და არა — პირიქით.

უფალი გულს უყურებს კაცისას და არა



■ მამა გიორგი

— მის გარეგნულ თამაშს. ნურავინ გამოსცდის ღვთის გულმოწყალებას, რადგან იგი სამართლიანია. ერთი წმინდა მამა ამბობს: „ნუ იქნები დამწუხრებული, რამეთუ უფალი მოწყალეა, მაგრამ ნურც უდარდელი, უზრუნველი, რამეთუ იგი სამართლიანია“. სამართლიანობასა და მოწყალებას შორის არსებობს ოქროს შუალედი, რომლითაც მოქმედებს უფალი, რადგან არც ზედმეტი მოწყალება ვარგა, რომ სამართლიანობას არ დაშორდე და არც სიმართლის აღსრულებისას უნდა გამოიჩინო გადამეტებული სიმტკიცე, რათა ამით მოწყალებას არ დაშორდე.

— **ხშირად კითხულობენ: რატომ უნდა გავცე მოწყალება? რატომ უნდა მივცე ჩემი მძიმე მუშაობით შეძენილი ქონების ნაწილი უცნობ ადამიანს? ამ კითხვებზე პასუხს ეძებენ არამარტო ურწმუნონი, არამედ მორწმუნენიც.**

— საბედნიეროდ, საქართველოში ბევრი ეხმარება გაჭირვებულ ადამიანს. ისინი, ვინც გასცემენ წყალობას ან მოწყალებას, არაფერს კარგავენ. წმინდა ადამიანური გაგებით, წყალობა ადრე თუ გვიან აუცილებლად ბრუნდება მწყალობელთან, ხშირად მოულოდნელად და გაცემულთან შედარებით მრავალჯერ აღმატებულად. ესწრაფეთ, თქვენი სიკეთის შესახებ არავინ გაიგოს — „ხოლო შენ რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენაი შენი, რასა იქმოდის მარჯუენაი შენი“.

— **რა ცოდვაა ვერცხლისმოყვარეობა?**

— წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები ნათლად გვაჩვენებს, თუ რა საშინელი ცოდვაა ეს: „საშინელია, ჭეშმარიტად საშინელი ვერცხლისმოყვარება. იგი თვალისჩინსაც გვართმევს და სმენასაც გვიხშობს, გარეულ მხეცზე უარესად აქცევს ადამიანს, არ აძლევს უფლებას, იფიქროს არც სინდისზე, არც მეგობრებზე, არც ურთიერთობებზე, არც საკუთარი სულის ცხონებაზე, არამედ ერთბაშად ავიწყებს ყველაფერს და, თუ ვინმეს ხელში ჩაიგდებს, როგორც რამ ტირანი, თავის მონად აქცევს“. და ამ მწარე მონობაში ყველაზე საშინელი ის არის, რომ ვერცხლისმოყვარება საკუთარი თავით ტკბობას იწვევს. ასე რომ, რაც უფრო მეტად ეძლევიან ამ ვნებას, მით უფრო მატულობს სიამოვნება. ამის გამოა სწორედ ეს სნეულება უკურნებელი, ამის გამოა ეს მხეცი მოუთოკავი.

ვერცხლისმოყვარებამ აღმოაცენა უამრავი ომი, გზები სისხლით მორწყო, ქალაქები კი — გლოვითა და ცრემლებით. მან მეგობრული სალამოებიც არაწმინდად ჰყო, ტრაპეზები შებღალა და თვით სანოვაგეც უსჯულოებით სავსედ აქცია. ამიტომაც უწოდა პავლემ ვერცხლისმოყვარებას კერპთაყვანისმცემლობა, მაგრამ ამითაც ვერ შეგვაშინა. მაინც, რატომ დაარქვა მას მოციქულმა ეს სახელი? ბევრი, ვინც სიმდიდრეს ფლობს, კი არ სარგებლობს მისით, არამედ რაღაც სიწმინდედ მიიჩნევს და უკლებლივ გადასცემს შვილებსა და შვილიშვილებს ისე, რომ ვერც ბედავს, შეეხოს მას. გეგონება, რაღაც ღმერთისთვის შეწირული იყოს. შეხედე, როგორც წარმართი უფრთხილდება თავის კერპს, შენც ისე იცავ ოქროს კარებითა და ურდულებით, ეკლესიის ნაცვლად კიდობანს აგებ მისთვის და ოქროს ჭურჭელში ათავსებ. მერე რა, რომ ისე არ ეთაყვანები ოქროს, როგორც წარმართი თავის კერპს? და მაინც, ყოველნაირად გამოხატავ მის მიმართ პატივისცემას. ვერცხლისმოყვარების ვნება დემონზე უარესია და მას ბევრი უფრო მეტად ემონება, ვიდრე ზოგიერთი — კერპებს...

„ანგარჰთა სასუფეველი ღმრთისაი არა დაიმკვიდრონ (1 კორ. 6, 10) — ამბობს პავლე მოციქული, — მაგრამ მათ ესეც არ აშინებთ. თუმცა ახლა ჩვენ იმაზე როდი ვლაპარაკობთ, რომ თქვენი ქონება დაარიგოთ. მე კი ვისურვებდი ამას, მაგრამ რაკიღა ეს თქვენს ძალებს აღემატება, არ გაიძულებთ. მე მხოლოდ ვცდილობ, დაგარწმუნოთ, რომ სხვისი არ ისურვოთ და თქვენი საკუთრებიდანაც გაიმეტოთ სხვებისთვის რამე. ხომ ბევრია ისეთი, ვინც საკუთარით კმაყოფილდება, ახლობლებზეც ზრუნავს და პატიოსანი შრომით ცხოვრობს. რატომ არ გვიპყრობს მათ მიმართ შური და არ ვცდილობთ მიბაძვას?“.

— **თუკი ადამიანი თავადაც ღარიბია და მატერიალურად დახმარების გაწევა არ შეუძლია მოყვასისთვის, როგორ მოიქცეს, რომ ამ სათნოების — მოწყალების — გარეშე არ გალიოს ცხოვრება?**

— არის ის, რისი მიცემაც უკანასკნელ ღარიბსაც შეუძლია. ეს არის თანაგრძნობა, კეთილი რჩევა და ლოცვა. სიტყვა ის გამტარია, რომლის მეშვეობითაც სულში იღვრება არამხოლოდ აზრები და სახეები, არამედ შეგრძნებების, განცდების, გრძნობებისა და სურვილების ნაკადიც. არსებითად, სიტყვა

**„ესწრაფეთ წყალობის კეთებას როგორც ცოცხლების, ასევე მიცვალებულებისთვის. ამ დროს უფლის უსაზღვრო წყალობას გამოვითხოვთ გარდაცვალებულისათვის. სასურველია, ახლობლებმა გააკეთონ საკურთხი და ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადონ გარდაცვლილის დაბადების დღეს, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში“.**

არაფრით განსხვავდება საქმეთაგან — ქმედებისაგან. სიტყვით შესაძლებელია ადამიანთა ამაღლება, განწმენდა და გაკეთილშობილება, შესაძლებელია შესძინო მათ რწმენა, სიხარული და სიმხნევე, აალორძინო მათში სიყვარული და გულმოწყალება, მოჰმადლო სულს მშვიდობა და სიმყუდროვე. და პირიქით — ავსიტყვაობით შეიძლება მოკლა და მოშხამო სული, შეიძლება შეჰყარო მას ყველა სახის ვნება, ცოდვა და მანკიერება, შეიძლება გარყვნა უმანკო, წმინდა გულები, შეიძლება მოშხამო გარშემომყოფთა არსებობა.

ასე რომ, ესწრაფეთ წყალობის კეთებას როგორც ცოცხლების, ასევე მიცვალებულებისთვის. ჩვენი ლოცვა შეეწევა მიცვალებულს. ამ დროს უფლის უსაზღვრო წყალობას გამოვითხოვთ მათთვის. სასურველია, ახლობლებმა გააკეთონ საკურთხი და ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადონ გარდაცვლილის დაბადების დღეს, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

←71 შენ გამო მთას გადააბრუნებს.

მამა გაბრიელს წირვას ხშირად ვაყენებინებდი. ის ყველას მოგვმართავდა, რომ მიცვალებულების სახელები ჩამოგვეწერა. ერთხელ ასე ჩამოვწერე სახელები, მაგრამ ფურცელზე არ დაეტია და მეორეზე გადავედი. ლოცვის შემდეგ სულიერად ვიგრძენი, რომ მეორე გვერდზე ჩამოწერილი მიცვალებულები მოხსენიებული არ იყვნენ. მამა გაბრიელს ეს მოკრძალებით

**„ღვთისმშობელს არ უნდა, რომ სახლში ვიყო. ბოლოს რომ გამომეცხადა, ის ჩემ წინ იდგა, ორივე ხელში თონის პური ეჭირა. გვერდით მისი უწმინდესობა ედგა. ღვთისმშობელმა მითხრა: „წამოდი ჩემთან!", თან გზა მიჩვენა ყაზბეგის რაიონისკენ, პატრიარქის სოფლისკენ...".**

ვუთხარი და ფურცელი გადავეცი. როგორც კი მოიხსენია, თითქოს ზეცაში ავფრინდი, თავი ისე მსუბუქად ვიგრძენი. სულები უყურებენ ზეციდან, თუ ვის მოიხსენიებენ ლოცვაში და ვის — არა. ვისაც არ მოიხსენიებ, მათი სულები სიბნელეში არიან და ტირიან. ღმერთს ევედრებიან, ღმერთო, ისეთი განსაცდელი მიეცი მათ, რომ ჩვენი თავი შეახსენოო.

მამა გაბრიელს ბევრი ტანჯვა ჰქონდა გადატანილი. ის ხშირად გვიყვებოდა იმ ამბის შესახებ, როდესაც ლენინის სურათი დაწვა. ამბობდა, ერთი წუთითაც არ შემშინებია, რადგან ვიცოდი, თუ მომკლავდნენ, უფალთან ვიქნებოდიო. დარბეული ეკლესიებიდან უამრავი ხატი მოჰქონდა და თავის სამლოცველოში ინახავდა.

სიცოცხლის ბოლო დღეებშიც ხშირად ვნახულობდი. ფილტვებში წყალი ჩაუდგა, ძალიან ცუდად იყო. მახსოვს, თავის კელიაში პატარა კუბო ჰქონდა გაკეთებული. შიგ ჩაწვებოდა და იქიდან ლოცულობდა. ვეკითხებოდი, მამაო, მანდ რომ წვებით, არ გეშინიათ-მეთქი, ის კი მპასუხობდა, არ მეშინიაო. ერთხელ ჩემსა და მამა გაბრიელს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— შენ მეორედმოსვლას მოესწრები, — მითხრა მან.

— არა, რას ამბობთ, თქვენ დიდხანს იცოცხლებთ! — შევიცხადე მე.

მან თავისი სურათი მაჩუქა, თან დააყოლა:

— ეს სურათი შენ გქონდეს, დედაო. მე უფალი მალე გამიყვანს.

— ჯერ რა დროს წასვლაა, თქვენ ჩვენ გვჭირდებით...

— ეს უფლის ნებაა... როდესაც აქ აღარ ვიქნები, შენ ეს სურათი გქონდეს და ჩემზე ილოცე!

მამა გაბრიელის ქადაგებები დღესაც მახსოვს. მას გადმოცემის საოცარი უნარი ჰქონდა და ყველაფერს მხატვრულად ყვებოდა. მისი წირვა იმდენად მადლიანი იყო, მინდოდა, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო. ტაძარში რომ შევიდოდა, ხელებს ზევით აღაპყრობდა და ისე ლოცულობდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, მთელი ეკლესია ქუხდა. ყოველთვის გვიმეორებდა, ჭეშმარიტება და სიყვარული გადაგარჩენთო. ისე ახლოს ვიყავი მამაოსთან და ისე მწამდა მისი, რომ აღსარებასაც მას ვაბარებდი.

მამა გაბრიელი სულ ქადაგებდა, რომ მთავარია სიყვარული, ჭეშმარიტება, თავმდაბლობა, მოთმენა და მოწყალება. მოწყალება თუ არ გაქვს ადამიანს, მაშინ ყველაფერი ფუჭია. ყველა ქრისტიანმა სახარებით უნდა იცხოვროს. უფალი ამბობს: „მშიერი ვიყავი და არ მაჭამე, მწყურვალი ვიყავი და არ მასვი, შიშველი ვიყავი და არ ჩამაცვი, საპყრობილეში ვიყავ და არ მომინახულე... ერთი თქვენთაგანი მოხუცი, ვინც მოვიდა და არ შეიწყალე, ის მე ვიყავი". ჩვენს მაცხოვარს დიდი მოთმინება აქვს. არ უნდა, რომ სული დაიღუპოს. რომელ დედას უნდა, რომ მისი შვილი ცოცხალი აღარ იყოს? ასე რომ, უფალი ჯერ კიდევ გვითმენს. ის ხედავს ყველაფერს და იმასაც, ადამიანები გულით ლოცულობენ თუ ბაგეებით. ტაძარში რაც მრევლი მოდის, ყველა რომ გულმხურვალედ ლოცულობდეს, საქართველო განა არ გადარჩება? სამწუხაროდ, ფარისევლებით გაივსო ქვეყანა და იმიტომაც არის სულიერების საკითხი ასე მძიმედ.



მამა გაბრიელი სულ სიყვარულსა და ერთგულებაზე საუბრობდა, მაგრამ მას არავინ უსმენდა. ახლა კი ყველა დარწმუნდა მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში. ის ყველაფერს გრძნობდა. იცოდა ყველა ადამიანის მომავალი, ვინ რისი გამკეთებელი იყო, ვინ გაჰყვებოდა უფლის გზას და ვინ — არა. მახსოვს ის დღე, როდესაც დედა პარასკევა პირველად მოვიდა სამთავროს დედათა მონასტერში. ის მეგობრებთან ერთად მხიარულებით მობრძანდა. მამა გაბრიელმა კი ქეჩოში ხელი მოჰკიდა და პატარა კელიაში დაამწყვდია. მისცა სჯულის კანონი და უთხრა, მე უნდა მემსახურეოო. მან წინასწარ იცოდა, რომ ის მონაზონი გახდებოდა.

**„ქუჩაში შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მაფურთხებდნენ. ერთხელ რამდენიმე ადამიანი დამხვდა და სამოსელი შემომახიეს... ჩემი ოჯახი ძალიან წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვუთხარი, რაც უნდა გზები მომიჭრათ, უფალს მაინც არ დავტოვებ-მეთქი".**

კიდევ მახსოვს ასეთი ფაქტი: ჩვენთან, მონასტერში, სამი ბიჭი მოიყვანეს. მამა გაბრიელმა ორზე თქვა, ესენი მალე დაანებებენ თავს ეკლესიურ ცხოვრებას, რადგან მოძღვრობას ვერ შეძლებენო. ერთ მათგანზე კი თქვა: „მას თავზე ნათელი ადგას, ის გაჰყვება უფლის გზას ბოლომდე!". ეს ადამიანი მამა მირიანი იყო, რომელიც მართლაც გახდა სასულიერო პირი. დანარჩენმა ორმა კი ეს ვერ შეძლო.

## გამოცხადებები

— ჩემს სამლოცველოში რამდენიმე მირომდინარე ხატი მაქვს. ესენია — წმინდა მარიამ ღვთისმშობლის, წმინდა მამა ნიკოლოზის, წმინდა ერმოგენის და სხვების. ჩემი ცხოვრების განმავლობაში დედა ღვთისმშობელი ხშირად გამომცხადებია. ერთხელ, 30 წლის წინ, ერთი ასეთი გამოცხადება მქონდა: ბევრი ეკლესიის შუაში ვიყავი. სანთლის დასანთებები სულ გამურული იყო. ყველა ეკლესიის კარი ღია იყო. შემდეგ სანთლები გარეთ გამოვიდა და კარი მიჯახუნდა. მე შემოვტრიალდი და ერთ ეკლესიას შემოვუარე. უკან დავინახე, რომ ბოსელი იდგა, რომელშიც ჩვენი მოძღვრები ბაწრებით იყვნენ დაბმული. ფეხი თითქმის ბოსელში მქონდა შედგმული. ღვთისმშობელმა კი მანიშნა, იქ არ შევსულიყავი. მითხრა: „შენ შენი სანთელი დამინთე, თორემ ისეთ სანთელს მინთებენ, ვიხრჩობი". თან ხელით მანიშნა, რომ წმინდა ნინოს ხატთან უნდა დამენთო. სამთავროს დედათა მონასტერში არის წმინდა ნინოს ხატი, რომელზეც მისი წმინდა ნაწილებია დაბრძანებული. სიზმარში სწორედ ამ ხატისკენ მიმანიშნა.

იცით, ეს გამოცხადება როგორ ავხსენი? სანთლები, რომლებსაც ეკლესიებში ანთებენ, ხშირ შემთხვევაში არ არის სუფთა. სწორედ ამან შეაწუხა ღვთისმშობელი. მე იმ დღიდან, რაც ეკლესიაში სიარული დავიწყე, სხვადასხვანაირ სანთელს ვანთებდი. იღუმენია იმის გასაქანს არ მაძლევდა, რომ ჩემი სანთლები ამენთო. ამ გამოცხადების შემდეგ კი მას თამამად ვუთხარი, რომ სუფთა სანთელს დავანთებდი. სანამ სამთავროში ვიყავი, ამ ხატის წინ ყოველთვის თაფლის სანთელს ვანთებდი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა.

ახლაც, სადაც უნდა წავიდე, რომელ ტაძარშიც უნდა ვიყო, ღვთისმშობლის ხატთან მივდივარ და ჩემს სანთელს ვუნთებ. ადრე ბაზარში ვყიდულობდი სუფთა სანთელს, შემდეგ კი მისი დამზადება თავად დავიწყე. მაქვს ისეთი კელაპტრები, რომლებიც უამრავ წირვას შესწრებია და სახლში დროდადრო ვანთებ ხოლმე. რაც უფრო მეტ წირვაზეა ანთებული ერთი სანთელი, უფრო დიდი მადლი აქვს.

გასულ შემოდგომას გამოცხადება მქონდა, რომ მახათას მთის მონასტერში ღვთისმშობლის ხატთან ვლოცულობდი. მან დამანახა პატარა ბავშვი მთლიანად სისხლში მოსვრილი. რამდენიმე დღის შემდეგ მთელმა საქართველომ იხილა ის საზარელი კადრები, თუ როგორ ექცეოდნენ ციხეში პატიმრებს, მათ შორის — არასრულწლოვნებს.

დაახლოებით 6 წლის წინ თეთრებში ჩაცმული მამა გაბრიელი გამომეცხადა. იმ პერიოდში ჩემს სახლში ყაზანის ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული. გამოცხადების დროს ჩემს სამლოცველოში ვიყავი და ეს ხატიც იქ მედო. მოვიდა მამა გაბრიელი, ჩემ წინ დადგა და მითხრა: „შენს ხელებს ვენაცვალე!". მივხვდი, ეს რისი ნიშანიც იყო. მამა გაბრიელი იმ მადლს გულისხმობდა, რომელიც ჩემზე უფლისგან გადმოვიდა. დიდება უფალს! მან გადმომცა მადლი უშვილობაზე, ავადმყოფობაზე, ლოცვაზე. იმ გამოცხადების მეორე დილას ღვთისმშობლის ხატს მირონი გადმოუვიდა.

ერთხელ ბავშვებმა გამაბრაზეს და უფალს შევთხოვე, გამიყვანე ამქვეყნიდან და შენთან მამყოფე-მეთქი. ეს გაუაზრებლად ვთქვი, რადგან სიკვდილისთვის მზად არ ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ უფალი დამესიზმრა. ის ხელით მანიშნებდა, გავჩუმებულიყავი. მაცხოვარმა მითხრა: „შენი საქმე არ არის, მე როდის გაგიყვან ამქვეყნიდან".

ერთხელ, აღდგომის დღესასწაულზე, ღამისთევით წავედი სამთავროს დედათა მონასტერში. თან ჩემი →76



Cyan Magenta Yellow Black

შვილებიც მახლდნენ. ჩვენ იქ სასწაულის მომსწრენი გავხდით. უკვე რომ თენდებოდა, ტაძრიდან გამოვედი. გავიხედე მამა გაბრიელის საფლავისკენ და საოცრება დავინახე — საფლავი ზევით-ქვევით იწეოდა, ისე, თითქოს სუნთქავდა. ეს სასწაული ნიშანი იყო იმისა, რომ მამა გაბრიელმა თავისი იქ ყოფნა გვაგრძნობინა.

## ტრადიციებდაკარგული თაობა

— ზამთარში 80 წელი შემისრულდება. უკვე საკმაო ასაკში ვარ, მაგრამ უფალს ჯერ არ მივყავარ. ალბათ იმიტომ მაჩერებს ამ ცოდვიან დედამიწაზე, რომ, როგორც შემიძლია, ისე ვიზრუნო ახალგაზრდების სულიერებაზე. ღვთისმშობელმა მადლი გადმომცა, რომლის ღირსადაც თავს არ ვთვლი, თუმცა მინდა, ქართველ დედებს მაინც მივმართო. ქართველმა გოგონებმა, რომლებიც მომავალი დედები არიან, ტრადიციები საერთოდ დაკარგეს. კარგი იქნება, რომ სასწავლებლებში ღვთის სჯული ისწავლებოდეს, მაგრამ ეს მეორე საკითხია, რომელზეც ცოტა მერე ვისაუბრებ. რადგანაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგია არ ისწავლება, ამიტომ მშობლები სხვანაირად უნდა ეცადონ, რომ შვილების სულიერებაზე იზრუნონ. ძალიან მინდა, ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილები ეკლესიურად ცხოვრობდნენ და შესაბამისი სწავლებაც ჰქონდეთ.

გავარკვიე და აღმოჩნდა, რომ სულ რამდენიმე სასულიერო სკოლაა და ყველა კერძოა. გადასახადი თითო ბავშვზე ძალიან დიდია. მართალია, არის გარკვეული შეღავათები, მაგრამ ეს რას უშველის ხალხს? ყველას არ შეუძლია, შვილები ასეთ სკოლებში ატაროს. მე, მაგალითად, შვიდი შვილიშვილი და შვილთაშვილები მყავს და რომელი ერთი უნდა ვატარო სასულიერო სკოლაში, როდესაც ამხელა გადასახადია? დღეს ჩვენს ქვეყანას სულიერების კუთხით ძალიან უჭირს და ჩვენი შვილების სულიერ განათლებაზე გაძლიერებულად უნდა ვიზრუნოთ. ღვთისმშობელი დედობის ღირსს რომ გხდის, ვალდებული ხარ, შვილის სწორად აღზრდაზე იზრუნო. ყველა დედას მოვუწოდებ, მიმართონ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც, ხელისუფლებასაც და სხვა შესაბამის ორგანოებსაც, რომ მათ შვილებს სკოლებში ღვთის სჯულის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ადრე კიდევ ისწავლებოდა საჯარო სკოლებში რელიგია, მაგრამ წინა ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა, რომ ეს საგანი ამოიღეს, გარდა სპეციალიზებული სკოლებისა.

გული მწყდება, როდესაც დღევანდელი ქალების უმრავლესობას ვუყურებ. ისინი დედობას ელოდებიან და იმაზე არ ფიქრობენ, რომ მომავალი დედა მოკლე კაბებით, შარვლებით და გაწეწილი თმით არ უნდა დადიოდეს. ხშირად, როდესაც ქუჩაში ვხედავ ასეთი ტიპის გოგონებს, ვეკითხები: „შვილო, შენ ქართველი ხარ?“. გაკვირვებულები მიყურებენ ხოლმე და მპასუხობენ, ქართველი ვარო. მე კი ვეუბნები: „არ ჰგავხარ შენ ქართველს. რატომ დაკარგე ქართველობა?“. ეს სიტყვები ყველა ქალბატონს ეხება, ვინც ტრადიციებს პატივს საერთოდ აღარ სცემს. ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში სამაგალითო იყო. სხვა ერები ჩვენგან იღებდნენ სტუმართმოყვარეობის და პატიოსნების მაგალითებს. ახლა ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

ქართველი დედები თითქმის შიშვლები არიან. ქუჩაში ხომ შარვლებით დადიან, ეკლესიაშიც ისე შედიან, თითქოს იქაც ქუჩაა. იმას ვერ ხვდებიან, რომ წმინდა სახლში შარვლით არ უნდა შევიდნენ. არ მომწონს, რომ ორსული ქალები შარვლით დადიან ტაძრებში. როგორც იცით, ღვთისმშობელი ამაზე ძალიან ბრაზდება და ამბობს: „ვინც ჩემი სამოსელი შეცვალოს მამაკაცის სამოსით, ის წყეული იყოს!“. მიწიერი ცხოვრება ხომ დროებითია, რად გინდა ისეთი ცხოვრება, თუკი ღვთისმშობელს გააბრაზებ? ის ყველას ვერ გამოეცხადება და ვერ ეტყვის, ჩემნაირი სამოსელი ჩაიცვითო. ამიტომ გოგონები თავად უნდა ხვდებოდნენ, რომ შარვალი არ ჩაიცვან. ალბათ ამის მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდა ქალებს ბევრი დაავადება სჭირთ, უშვილობაც მომრავლდა. ისინი ღმერთს აბრაზებენ თავიანთი ქცევით და ამიტომ ისჯებიან.

ჩემთან ხშირად მოდიან გათხოვილი ქალები, რომლებსაც უშვილობის დიაგნოზი აქვთ დასმული. ბევრ შემთხვევაში ჩემთან მოსვლისა და დალოცვის შემდეგ ფეხმძიმდებიან. ამას წინათ ერთი გოგონა მოვიდა. შემომჩივლა, შვილი არ მიჩნდებაო. მე დავლოცე და შემდეგ მოსვლაზე მახარა, მალე დედა გავხდებიო.

ახალგაზრდა თაობამ უფროსების მიმართ პატივისცემა დაკარგა. ადრე, როცა შემეძლო, ავტობუსით ვმგზავრობდი ხოლმე. ზოგიერთი ახალგაზრდა ფანჯარას „გატეხს“ და „გაძვრება“, ოღონდაც მოხუცებულს ადგილი არ დაუთმოს. ჩვენს თაობაში კი სულ სხვანაირად იყო. მოხუცს რომ დავინახავდით, გავიქცეოდით და მივეხმარებოდით. თუ რამე ტვირთი მოჰქონდა, სახლამდე მივატანინებდით. დღეს ასეთ რამეს ველარ ნახავ. ასე იქცევიან არაქრისტიანულად აღზრდილი ადამიანები, რომლებსაც სულიერი განათლება მიღებული არ აქვთ. ამაში მშობელიც დამნაშავეა და სახელმწიფოც. რამდენი დიპლომიც უნდა ჰქონდეს ადამიანს და როგორი განათლებულიც უნდა იყოს, თუ მან ღვთის სჯული არ იცის, ამ ყველაფერს ფასი არ აქვს. ეკლესიურად აღზრდილი ბავშვი სულ სხვანაირია. შეუძლებელია, მან სიბოროტე ან არაქრისტიანული საქციელი გამოავლინოს.

> **„უფალი ჯერ კიდევ გვითმენს. ის ხედავს ყველაფერს და იმასაც, ადამიანები გულით ლოცულობენ თუ ბაგეებით. ტაძარში რაც მრევლი მოდის, ყველა რომ გულმხურვალედ ლოცულობდეს, საქართველო განა არ გადარჩება? სამწუხაროდ, ფარისევლებით გაივსო ქვეყანა და იმიტომაც არის სულიერების საკითხი ასე მძიმედ“.**

ჩემი შვილთაშვილი ყოველ საღამოს ჩემს სამლოცველოში შემოდის. ბებიამისი (ჩემი ქალიშვილი) ლოცვებს უკითხავს. თუკი მაგ დღეს რამე დააშავა, ეტყვის, დაიჩოქე და ბებოს ბოდიში მოუხადე, თორემ გაგიწყრებაო. ჩემთან მოდის და მეუბნება: „ბოდიში, დედაო!“. შემდეგ პირჯვარს გადაიწერს და დამემშვიდობება: „ძილი ნებისა, ანა ბებო!“. მეც დავლოცავ და დასაძინებლად ისე გავუშვებ ხოლმე. ჯერ ძალიან პატარაა იმისთვის, რომ რაღაცეებს ხვდებოდეს, მაგრამ სულიერად უხარია ეს ყველაფერი და უფლის მფარველობას გრძნობს.

ღმერთმა ქნას, რომ ღვთისმშობელმა მისი წილხვედრი ქვეყნის შვილებს გონება გაუნათოს მზესავით და მშიერი სული კეთილით აღუვსოს. ვინც სიბნელეში მოსიარულე არის, ყველა სწორ გზაზე დააყენოს!

მამა გაბრიელი, იცით, რას ამბობდა? „სოფლის მეურნეობა და შრომა ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეთ. ხშირად გამოკვებეთ პირუტყვი. ვინც ერთ ძაღლს ან ქათამს გამოკვებავს, ეს ერთი კაცის გამოკვების ტოლფასი იქნება“. ამიტომაც ვთვლი, რომ ყველა ახალგაზრდა სოფლის მეურნეობით უნდა დაინტერესდეს. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, დღევანდელ გოგო-ბიჭებს კი თავისუფალი ცხოვრება მოსწონთ — ტელევიზორი, ინტერნეტი, გართობა და აქეთ-იქით სიარული. საქართველოს სოფლები დაცარიელდა, სოფლის მეურნეობა ყველამ დაივიწყა და მატერიალურად ამიტომაც გვიჭირს. შრომას მოკლებულ ადამიანს კი სულიერადაც უჭირს.

არ მესმის, რატომ უნდა მივბაძოთ ევროპელებს? ჩვენ ყოველთვის აქეთ ვიყავით მისაბაძი. მოკლე კაბით და შიშველი სიარულით თავი ევროპელები ჰგონიათ. ეს ხომ ღვთისმშობლისთვის სამარცხვინოა და ის ამაზე ძალიან წუხს.

■

**ნესტან კოპაძე** დიდი ხანია დედა ანას იცნობს და მისი სულიერი შვილია, ერთ-ერთი მათგანია, ვინც მადლიანი მონაზონისგან ღვთივსათნო ცხოვრებას სწავლობს:

— დედა ანას დიდი ხანია ვიცნობ. სამების საკათედრო ტაძარში გავიცანი. მასთან უამრავი მორწმუნე მოდის. მასთან სახლში ხშირად დავდივარ. კარგად მახსოვს, რომ ბევრი ხატი, რომლებიც სიძველისგან დაბურული იყო, საერთოდ არ ჩანდა, დროთა განმავლობაში გაბრწყინდა. გარდა იმისა, რომ დედაოს სახლში ბევრი მირონმდინარე ხატი აქვს, რამდენიმე წელია, რაც ჩვენ თვალწინ ხატები ახლდება.

დედაოს აქვს საოცარი უნარი, შენს ფიქრებსაც მიხვდეს. ხშირად მქონია ისეთი მომენტი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც მომხდარა და მასზე დედასთან საუბარს ვერ ვბედავდი, თუმცა ის მიმხვდარა. შეიძლება პირდაპირ არ მითხრას, მაგრამ მიმანიშნოს, რომ რაღაცას ვმალავ. მაგალითად, უთქვამს, დღეს ახალგაზრდები ლოცვის დროს გაფანტულები არიანო. მე კი იმ წუთში ვხდები, რომ ეს სწორედ ჩემი სისუსტეა.

დედა ანას ძალიან ხშირად უთქვამს, რატომ ვარ ცოცხალი, თანაც ასეთ ასაკში, მე ხომ, წესით, ამქვეყნად აღარ უნდა ვიყოო. მას ღვთისმშობელი ხშირად ეცხადება და ბევრი რამისკენ მიანიშნებს. დედა ანა ტყუილად არ არის ამქვეყნად. ის მინიშნებები, რასაც ღვთისმშობელი აძლევს, სხვასაც უნდა გაუზიაროს.

ერთი ამბავი არასდროს დამავიწყდება. ერთხელ დედაომ მთხოვა, გერგეთის სამებაში გავყოლოდი. მეც გავყევი ისე, რომ არც კი ვიცოდი, თუ იქ სამებობას აღნიშნავდნენ. დედა ანა ტაძრიდან რომ გამოვიდა, მითხრა, ისეთი მადლი მივიღე, თითქოს მდუღარე წყალი გადამესხაო. შემდეგ დედათა მონასტრის მოსალოცად წავედით, სადაც დედა ბარბარეს შევხვდით. იქ იყვნენ ავადმყოფი და უპატრონო ბავშვები, ერთი 7 წლის ბიჭიც, რომელიც გონებადაქვეითებული იყო. უცებ ის დედა ანას გამოეკიდა, უყვიროდა: „რას ჰგავხარ! რას ჰგავხარ!“. ბავშვი გაუცნობიერებლად ყვიროდა და ხმაც კი სხვანაირი ჰქონდა, ძალიან ბოხი... იმ მომენტში მივხვდი, რომ ამ ბავშვის სახით დედა ანას ბოროტი ძალა ებრძოდა. თვალებიდან არ გადამდის დედაოს სახე, რომელიც ამ ყველაფერს დიდი სიმშვიდით უყურებდა, ხმაც კი არ ამოუღია, გზა ისე გააგრძელა.

✓ თეონა კენჭიაშვილი

# თავსატეხი

იპოვე 5 განსხვავება



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# სამაჯურები ნაყინის ჯოხებისგან

ნაყინის ჯოხებისგან სამაჯურების დამზადებას ბევრი არაფერი უნდა. თან უმარტივესია და გაფორმებაც მრავალნაირად შეიძლება.

ნაყინის ჯოხები (რა თქმა უნდა, ან ახალი, ან კარგად გარეცხილი) თბილი წყლით სავსე ჭიქაში მოვრკალოთ (მე-2 ფოტო) ისე, რომ წყალი ფარავდეს. დავტოვოთ მთელი ღამით. შემდეგ წყალი გადავაქციოთ, ჯოხები არ ამოვიღოთ ჭიქიდან, რომ ამ სახითვე, მორკალული გამოშრეს და არ გაიშალოს.

როცა კარგად გამოშრება, სურვილისამებრ გავაფორმოთ. მოვხატოთ საღებავებით (ამ შემთხვევაში, ზევიდან უნდა გადავუსვათ უფერო, თუნდაც ფრჩხილების ლაქი), გავაფორმოთ ჯინსისა და თუ სხვა ქსოვილებითა და მძივებით.

სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე


1


2


3


4


5

### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 3 | 2 | 6 |
| 4 | 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 9 | 2 | 8 | 3 | 6 | 5 | 4 | 1 | 7 |
| 2 | 8 | 4 | 9 | 3 | 6 | 5 | 7 | 1 |
| 6 | 9 | 1 | 5 | 7 | 4 | 2 | 8 | 3 |
| 5 | 3 | 7 | 8 | 1 | 2 | 6 | 4 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 4 | 6 | 1 | 5 | 3 | 8 | 9 | 2 |
| 8 | 5 | 2 | 6 | 9 | 7 | 1 | 3 | 4 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 |
| 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 3 | 8 | 4 | 2 |
| 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 4 | 7 | 3 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 2 | 9 | 3 | 5 |
| 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 |
| 5 | 2 | 9 | 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 8 |

## ეს იცოდით?

❖ პანდას საყვარელი საჭმელი ბამბუკია.

❖ კაქტუსი საგაურო, რომელიც არიზონას და კალიფორნიის უდაბნოებში იზრდება, მსოფლიოში ყველაზე დიდია. მისი სიმაღლე ზოგჯერ 17,7 მეტრს აღწევს.

❖ გრენლანდიური ვეშაპის ცხიმის სისქე 50 სმ-ია.

❖ დედამიწაზე მტაცებელი მცენარეების დაახლოებით 450 სახეობაა ცნობილი.

❖ ადამიანებისათვის საშიში ობობების მხოლოდ 3%-ია, რომელთაც საკმაოდ ძლიერი შხამი აქვთ.

❖ ალიგატორების მხოლოდ 7 სახეობა არსებობს.

❖ ალიგატორები სიცოცხლის განმავლობაში დაახლოებით 40-ჯერ იცვლიან კბილებს.

❖ მორიელები ღამით ნადირობენ.

❖ მორიელების 1500 სახეობაა ცნობილი.

❖ უძველესი არსების, ხმალკბილა ვეფხვის ეშვები 20 სანტიმეტრს აღწევდა.

❖ ციმბირული ვეფხვი კატისებრთა ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენელია.

❖ ჰეპარდს შეუძლია 112 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს.

❖ პირველი ზოოპარკი ავსტრალიაში მე-15 საუკუნეში შეიქმნა.

❖ ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში დაახლოებით 18 კილოგრამ კანს კარგავს.

❖ სისხლის უჯრედები ძვლის ტვინში წარმოიქმნება.

❖ მოზარდი დასვენების დროს წუთში დაახლოებით 3,75 ლიტრ ჰაერს ჩაისუნთქავს.

❖ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე გართულებების 15%-ზე მეტს სისხლის დაკარგვა იწვევს.

❖ წელიწადში ადამიანი დაახლოებით 1140 სატელეფონო ზარს ახორციელებს.

❖ თანამედროვე მედიცინას საფუძველი ინგლისელმა მეცნიერმა უილიამ ჰარვეიმ ჩაუყარა.

❖ თანამედროვე გეოლოგიის მამად მიჩნეულია შოტლანდიელი ექიმი და მეცნიერი ჯეიმს ჰატონი.

❖ პლანეტა ურანი გრეს უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა.



Cyan Magenta Yellow Black

სამომხმარებლო
სესხების აქცია

# ტკბილი და სასარგებლო სიახლე საზაფხულო მენიუში!

11,95%-დან



**ტკბილი და სასარგებლო სიახლე** ბანკ „რესპუბლიკის" მენიუში! მხოლოდ ამ ზაფხულს და მხოლოდ ბანკ „რესპუბლიკისგან", აიღეთ სამომხმარებლო სესხი ლარში ყველაზე მიმზიდველი პირობით! სესხი გაიცემა 200-დან 50 000 ლარამდე მოცულობით.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



# აირჩიე თემატური პაკეტი

## დაიმატე პირდაპირ ტელევიზორიდან

პლიუსი + / სპორტი / კინო

საბავშვო / ჰობი / HD / 18+

**2 100 100**

**www.silknet.com**

Find us on: facebook

